

၁၉၄၇ခုနှစ်၊ ဇန်နဝါရီလ၊ ၁၀၂




ဒုသနပြည်

եղբայր այցու առքին,
ունի սրբազնութեան,
կոչվեցած ու գորշակած
քու յիշանեան

ՀԱՅԱՍՏԱՆ
20.10.2001

6

ՏԱՐԱԹՈՎԵԱՑՑՈՒ ԱՅԵՒԹԵ
ԺԵՄԱՍՅՈ
2000





ელექტრონული თავმეტყველები

მ ა ნ ს ხ ა

ლიტერატურული - კრიტიკული
ნული

საგამოცემლო ცენტრი

გუთაიძე

2000



დედა, ქენს ხსოვნას ვუძღვი ამ წევნების გრძელებით

წიგნში იბეჭდება წერილები, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნიდებოდა ჩვენს სალიტერატურო კურნალ-გამეორებში და თანამედროვე ქართული მწერლობის სხვადასხვა თაობის მოღვაწეთა შემოქმედების მნიშვნელოვანი მომენტების ახლებურად დანახვისა და გაშუქების ცდას წარმოადგენს.

შეფასებისას თვალნათლივ გამოიკვეთება ავტორის კეთილმოსურნე, ობიექტური პოზიცია, მოვლენებისათვის საკუთარი სახელის დარქმევისა და შესაფერისი აღვილის მიჩნის სურვილი.

კრიტიკოსის მახვილი თვალი ღრმად სწვდება ცალკეულ მწერალთა შემოქმედების უმთავრეს ნიშნებს, გამოჰყოფს და განიხილავს მათ ერთიან სალიტერატურო პროცესთან მჭიდრო კავშირში.

F 22.954
2

რედაქტორი თემურ ამირილაშვი
მხატვარი ჯავა პეიშვილი

ISBN 99928-46-19-4

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს კულტურის მინისტრი

„შფროს არს ცოდვა...“

ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მთავარ პარადიგმას სათაური წარმოადგენს. ბიბლიური თქმულების მიხედვით, მმისმკვლელ კაენს ღვთის მსჯავრი ემბიმა და განაცხადა: „ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომქლას მე“. სათაურად გამოტანილ პარადიგმას რომანისათვის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა რომ გააჩნია, ქართული სალიტერატურო კრიტიკა ამას დიდი ზანია აღიარებს, მაგრამ მაინც რჩება საკითხთა გარკვეული წრე—კერძოდ, მთავარი პერსონაჟის ზოგადი მსოფლმხედველობრივი მახასიათებლები და აქედან გამომდინარე—რომანისა და ბიბლიური თქმულების შესაძლებელი აზრობრივი მიმართების საკითხი. მათი ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ ამ მართლაც მრავალპლანიანი რომანის ზოგიერთ მხატვრულ თავისებურებაში.

რომანში ძმა ძმას არ კლავს, არც ღვთის განაჩენი და მსჯავრია სადმე ნახსენები, მაგრამ ეს მაინც მცირე შესაძლებლობას გვაძლევს იმისათვის, რომანის სათაურს რომ თავი დავანებოთ, მის აზრობრივ სიტუაციებში ზემოთ ხენებული თქმულების ანარეკლი არ დავლანდოთ. კერძოდ, კაენის მითი რომანის მთავარი პერსონაჟის გაშიფრისას

მუდავნდება და საბოლოო ჯამში ანგარიშგასაწევდებლის მიზანის სათვალისწინებელიც ხდება.

ქაიხოსრო მაკაბელს ძმა არა ჰყავს (ამიტომ ძმის მკვლელობის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება არსებობდეს), მაგრამ ოთარ ჭილაძე—რომანისტს საკითხის ეს მხარე ნაკლებად აინტერესებს. მისთვის არც ძმის ხელით ძმის მოკვლაა მთავარი, არც ღვთის განრისხება და მკაცრი განაჩენი. რომანის სააზროვნო სიტუაციის მიხედვით, ერთი სურვილის, მიზნისა და საწადელისაკენ მიმსწრაფი ორი ადამიანი „ძმაა“. ამიტომ, ქაიხოსრო და თათარი შეიძლება „ძმებად“ მივიჩნიოთ იმდენად, რამდენადაც ერთი მიზანი, უფრო სწორად, ერთს მიღწეულის შენარჩუნება, ხოლო მეორეს პირველის მიღწეულისა და მოპოვებულის დასაკუთრება სწადიათ. გამომდინარე აქედან უნდა ვითიქროთ, რომ ქაიხოსროსა და თაორის დამოკიდებულება რომანში აბელისა და კაენის მითის მწერლისეული ინტერპრეტაციაა.

მაგრამ ამ ინტერპრეტაციის ხასიათის, აბელ-კაენის ურთიერთობიდან მომდინარე მკრთალი, მწერლის მიერ თავისებურად გააზრებული, გადასხვავერებული, რომანის ერთერთი აზრობრივი პოსტულატის მისაგნებად და გასაშიფრად საჭიროა თვალი გავადევნოთ ქაიხოსრო მაკაბელის ცხოვრების გზას.

ქაიხოსროს მთელი ოჯახი მაშინ ამოწყვიტეს, როცა იგი ხუთი წლისა იყო. მოვუსმინოთ მწერალს:

„ხუთი წლის იყო, მარტო რომ დარჩა ამ ქვეყანაზე, ისიც კი არ ახსოვდა, როგორ გადარჩა თვითონ, მაგრამ რაც უკანასკნელად დაინახა მშობლიურ სახლში, სამარადისოდ

აღებეჭდა სულსა და გონებაში: კედელთან ჩაცუცქული, ლორ-
ყითა და ხელისგულებით კედელს მიხუტებული დედა, რით-
ქოს ეს წუთია, შემთხვევით შემოფრენილი და გზამოჭრილი
ჩიტივით, კედელზე ჩამოხოხილებულაო, სისხლის გუბეში
მოქანავე აკვანი და აწეწილი არტახებიდან გამოყოფილი
ხელი უმცროსი დისა: კარში პირქვე ჩაწოლილი მამა და მის
ზურგზე ტალახიანი ტერფის ანაბეჭდი, თვალებდაჭყეტილი,
მაგიდის ფეხს ჩაფრენილი ბებია, თითქოს მაგიდას ვერ შე-
ლევიაო. და მოულოდნელი, შემაწუხებელი სითეროე კაბის
ქვეშ დაბერებული ხორცისა. იმ დღიდან სულისშემძვრელი,
გაუთავებელი ქროლვა დაამახსოვრდა კიდევ და დაბრული,
მისკენ გამოქანებული ქვაფენილი, მაგრამ ვერაფრით გაეხსე-
ნებინა, თვითონ გადმოხტა აივნიდან, თუ იმათ გადმოაგდეს.
მოულოდნელად, ფაციფუცით, ერთმანეთის ჯიკაობით რომ
შემოცვივდნენ ოთახში“.

აქედან ეყრდნობა საფუძველი ქაიხოსროს ცხოვრებისა და
აზროვნების ხასიათს. იძულებით მოუხდა სახლის მიტოვება,
ახლობლებისა და სამშობლოსაგან მოწყვეტილად წარიმარ-
თა მისი ცხოვრება, სული მშობლიურის სიყვარულის გრძნობის
გარეშე განვითარდა. ურუქში მისვლისას იგი, ფაქტიურად,
სამშობლოში ბრუნდება, მაგრამ მისი სიყვარულის გრძნობა
არ გააჩნია, ვერ განიცდის მას, როგორც საკუთარს, თავი-
სას, მშობლიურს, ერთადერთსა და განუმეორებელს: „სამ-
შობლო არასოდეს არ ყოფილა მისთვის თავშესაფარზე დი-
დი მცნება, არც დაკარგვამდე და არც დაბრუნების შემ-
დეგ“—გვეუბნება ერთ ადგილას მწერალი და აქედან უკვე
ნათელი ხდება, რომ ხუთი წლის ბავშვს არც შეიძლებოდა

ოჯახისა და მოყვასის სიყვარული აღექვა, განეცადა, ძირ
უმეტეს, მთელი არსებით გაესიგრძეგანებინა. იგი იმ დროი-
სათვის ისევე აღიქვამდა ყოველივე მას, რაც არსებობდა,
როგორც სიცხისაგან გათანგული მგზავრი ჩრდილს...

ოჯახში დატრიალებულ საბედისწერო ტრაგედიას თავ-
დაღწეული ქაიხოსრო მეფის ჯარს შეეკედლა, ვარისკა-
ცულ ცხოვრებას ეზიარა და ნათლობის მიღების შემდეგ
ოცდახუთი წელი დაჰყო არმიაში. ესეც არაა შემთხვევითი
ფაქტი. იმპერიის ჯარი სხვადასხვა ეროვნების ხალხისაგან
შეკოწიწებული, ერთფეროვანი, უსახური, საერთო ინტერეს-
სა და წესრიგს დამორჩილებული მასა იყო. ინდივიდუალუ-
რი და მით უმეტეს ეროვნული სურვილები და მისწრა-
უებანი ამ ზოგადში ნაკლებად, უფრო სწორად, სულაც არ
ჰქოვებდა გამოხატულებას. ქაიხოსროც მშვენივრად გრძნობდა
თავს ასეთ მასაში: „საიმედოდ იყო შენიღბული თავის მსგავ-
სთა შორის, რომელთა გამორჩევაც, ალბათ, მშობლებსაც
გაუჭირდებოდათ“.

რომანის ერთ-ერთი იდეა, გვიჩვენოს მშობლიურობას მოწ-
ყვეტილი ზასიათის მქონე ადამიანის ბედი, სამშობლოს გა-
გებისა და გააზრების მწერლისეულ კონცეფციასთანაა წილ-
ნაყარი. ო. ჭილაძის აზრით, სამშობლოს სიყვარული ოჯახის
სიყვარულიდან იწყება, იგია საძირკველი, ფუძე იმ ყოვლის-
მომცველი სამყაროს აღქმისა, სამშობლო, მამული და მისი
სიყვარული, სამსახური რომ ჰქვია. ქაიხოსროს ოჯახის სიყ-
ვარულის გრძნობა არ გააჩნია და უფრო დიდ რამეზე ლაპა-
რაკიც ზედმეტია.

ზოსიმე მღვდელთან საუბარში ცრუმაიორი წმირად აშიშ-

ვლებს საკუთარ არსებას, ხასიათს, გულაზდილი და აღადგინებული მართალია ღვთის მსახურის წინაშე. „მე მეზიზღება მოყვასი ჩემი... რა ვიცი, რომ მე მართლა მე ვარ, ანდა ჩემი მოყვასი მართლა ჩემი მოყვასია“ — უცხადებს ზოსიმე მღვდელს და შემდეგ ასეთი შინაარსის ამბავსაც უყვება: ქაიხოსროს მეგობარი ბავშვობისას ბოშებს მოუტაცნიათ, ორი წლის შემდეგ მშობლებს უპოვნიათ და გამოუსყიდიათ კიდეც, მაგრამ აღარც ბოშები ელეოდნენ თურმე და აღარც მას სდომებია მშობლებთან დაბრუნება. ქაიხოსრო ამბობს, რომ მას მთელი სიცოცხლე აწუხებდა კითხვა, „რა ვიცი, რომ მართლა ჩემი თავი დაუბრუნეს მშობლებს ბოშებმაო“.

ბოშებთან ცხოვრებამ ამ ადამიანის ხასიათის, ჩვევების, მიღრეკილებათა და მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე გარკვეული დაღი დაამჩნია. ქაიხოსროს მეგობრის ბოშებთან მოხვედრა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ისინი ხომ უსამშობლო ხალხია, მთელი ცხოვრება მომთაბარეობენ და ქვეყნიერება სამშობლოდ ესახებათ, კონკრეტული ხატი მშობელი ქვეყნისა კი არ მოეძევებათ. მათთვის ჩვეულებრივი, ყველა ერისათვის ნიშანდობლივი სახელმწიფოებრივი არსებობის ატრიბუტები (მთავრობა, პოლიცია, სახლი, ეზო, ჭიშკარი, ეპლებია, მღვდელმსახური და ა.შ.) უცნობია. ისინი თითქოს დედამიწის გარსშემოსავლელად აბობლებული ხალხია და თავიანთი პირველყოფილობით (სწორედ ეს გამოარჩევს მათ სხვა ხალხებისაგან), იმით, რომ არც დაბადების, არც გარდაცვალების ადგილი იციან, სადაც სულს დაფავენ, იქვე იმარხებიან, საფლავი, უფრო სწორად — წარსული, აქედან გვარის ხსოვნა და მეხსიერება არ გააჩნიათ, დღევანდელით

არსებობენ, მომავალზე ფიქრით თავს არ იტკივებენ უწყობების სიტყვით, ასეთი უსახური მასიდან სახის დაბრუნება, ეროვნულის გაღვიძება ძნელია. ქაიხოსროს ამიტომ ეეჭვება, რომ ის განა მართლა ის არის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქაიხოსრო მართლა არ არის ის, მისი მშობლების ამოწყვეტა, ოჯახის მოშლა, ამის გამო ცხოვრების, არსებობის წესის აბსოლუტური შეცვლა რომ არა, ვინც შეიძლებოდა ყოფილიყო. სამშობლოს იძულებით მიტოვებიდან ურუქში (ფაქტიურ სამშობლოში) დაბრუნებამდე განვლილმა წლებმა და ცხოვრების ხასიათმა არსებითი ანაბეჭდები დაამჩნია მის სულს, ბუნებას, რამაც საბოლოოდ, საკუთარი ინდივიდუალობის სიმყარეში დააეჭვა და უპირველესად მოყვასთან დამოკიდებულებაში იჩინა თავი, მისი სიყვარულის გრძნობის გაქრობა განაპირობა.

ქაიხოსროს მეგობარმაც იმდენი რამ შეიძინა, შეითვისა ბოშებისაგან ორი წლის განმავლობაში, იმდენად გადასხვა-ფერდა, სახე იცვალა მისმა არსებამ, რომ სამართლიანად ეეჭვება მისი იმგვარობა, როგორიც ბოშებთან მოხვდა. ბოშებმა მშობლებს უკვე თითქმის სხვადქცეული შვილი დაუბრუნეს და არა, რა თქმა უნდა, ისეთი, როგორიც იგი ორი წლის განმავლობაში მშობლებისა და ახლობლების კალთის ქვეშ შეიძლება გამხდარიყო.

ამდენად ქაიხოსროს სამშობლოსადმი დამოკიდებულებას შემთხვევითობა განაპირობებს. იგი ფაქტიურად უსამშობლო კაცია. იმ ქვეყნის სიყვარულის გრძნობა, რომელიც ხატზეც უნდა დაეფიცა და საჭიროების დროს ხმლითაც დაეცვა, ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, არ გააჩნია, არც შეიძლებოდა

გასჩენოდა. უბრალოდ, ცხოვრობს მისი მშობლების სამშობლო
 ში სამშობლოს გარეშე...

მეფის ჯარს ადევნებული ქაიხოსრო მოზდოკში არტილე-
 რიის მაიორმა ყაფლან მაკაბელმა იშვილა და სანამ ჯარის
 ასაკი შეუსრულდებოდა, თვითონ წვრთნიდა და ამზადებდა
 ამ საქმისათვის. ყაფლანმა ქაიხოსროს მაკაბელის გვარი
 უბოძა, რადგან ქაიხოსროს „ჯერ ერთი, ნამდვილი წესიე-
 რად არც ახსოვდა და მაინცდამაინც არც გახსენებას ცდი-
 ლობდა, მეორეც ერთი, ახალი გვარიც თავისებური თავშესა-
 ფარი იყო და ახლა უფრო გაუჭირდებოდათ მისი პოვნა და
 გამოცნობა მისიანების ამომხოცველ ხალხს...“

ქაიხოსროს მაკაბელის გვარის მიღებასთან ერთად თავა-
 ღობაც მიენიჭა (ყაფლანის ბაბუას მიეღო ოდესლაც). ასე
 გახდა იგი უცოლშვილო ყაფლანის ერთადერთი მემკვიდრე.
 სიკვდილის წინ მამობილმა გვართან და წოდებასთან ერთად
 მამისეული სახლი და სამბოქლომიანი სკივრიც უანდერძა
 შვილობილს. ამდენად, ქაიხოსროს „დაეკისრა სხვისი სახლისა
 და ნასახლარის პატრონობა და სხვისი გვარის აღდგენა“.

თავის გადასარჩენად ცრუმაკაბელმა ნამდვილი და საკუ-
 თარი ყველაფერი დაივიწყა, გვარი, მშობლები, სამშობლო,
 მოირგო თვითშენახვის საიმედო გარანტიის ნიღაბი, ყველა-
 ფერი მიჩქმალა და მიაჩუმათა, რაც მას გაამჟღავნებდა და
 სამუდამო დავიწყებისათვის გასწირა.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქაიხოსროს ხასიათის ერთ-ერთ
 ძირითად თვისებას—ჭეშმარიტების, სიმართლის აბსოლუ-
 ტურ უარყოფასა და იგნორირებას, სიცრუე, ტყუილი არ-
 სებობის ფორმა და არსებობის შენარჩუნების ერთადერთი

საშუალება გახდა. ქაიხოსრო ცრუობს ყველასა და შემომავლებულის შესახებ, წარმომავლობის, გვარის, მდგომარეობის თუ შესაძლებლობის შესახებ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არსად ახსენებს, რომ იგი ყაფლან მაკაბელის შვილი კი არა შვილობილია და მისგან აქვს ნაბოძები ყველაფერი. ამავე დროს ქაიხოსროს შეუძლია სიმართლე დაინახოს, მის ირგვლივ დატრიალებულ ამბებში ჭეშმარიტების მარცვალიც მოიძიოს, განჭვრიტოს, ობიექტურად შეაფასოს, მაგრამ სიცრუის ერთხელ არჩეულ გზას არასდროს ღალატობს, სიმართლის გამჟღავნებას, ხმამაღლა თქმას, გაცხადებას გაურბის. ამის საშუალებას წარსული და არსებობის არჩეული თუ „მითვისებული“ გზა არ აძლევს, თუმცა სიკვდილის წინ გულახდილია, სიმართლეს გვეუბნება, მაგრამ ეს მაინც არ არის ჭეშმარიტების საბოლოო აღიარება. ქაიხოსრო ამ დროს უბრალოდ თავისი არჩეული გზის სისუსტეზე ფიქრობს და არა სიმართლის საბოლოოდ მიღებასა და თაყვანისცემაზე.

ქაიხოსროს ბუნება რთულია. როგორც ვთქვით, იგი შეგნებულად უარყოფს სიმართლესა და ჭეშმარიტებას. ო. ჭილაძე რომანში პერსონაჟის ამგვარობის გასამუღავნებლად, ძალიან ხშირად, ერთ მეტად ნიშანდობლივ სიტყვას იყენებს—თავშესაფარი. ქაიხოსრო მთელი თავისი არსებობის გრძელსა და რთულ გზაზე თავშესაფარს „იშენებდა“, „იქმნიდა“, „იძენდა“, რათა მის ბნელ კედლებსა და ტალანებში საიმედოდ ყოფილიყო შეფარებული და შენიღბული.

აქ ქაიხოსროსთან დაკავშირებული ერთი ამბავიც უნდა გავიხსენოთ! სიკვდილამდე ორი დღით ადრე მან სიზმარში

თბილისის მშობლიური ლამაზაივნიანი სახლი იხილა დედა გამოეცხადა. „—იასე, იასე!—იძახდა აივანზე გაღმომ-დგარი ქალი.

„მე მეძახისო“—გაეხარდა ქაიხოსროს—მაგრამ მე რომ იასე აღარა ვარ?—შეშფოთდა მაშინვე“.

უნდა ვიფიქროთ, რომ იასე ქაიხოსროს ბავშვობისდროინ-დელი სახელია, რომელიც კვლავ „თავშესაფრის“ ძებნაში უკუაგდო და ახლით შეიცვალა. იასედან ქაიხოსრომდე სიც-რუისა და ჭეშმარიტებათა უარყოფის გრძელი ჯაჭვია, რის გამოც დედა და შვილი აბსოლუტურად დაშორებული და განცალკევებულია ერთმანეთისაგან. პერსონაჟმა სიზმარში ძალა მოიკრიბა და მაინც დაუმახა „დედა“, მაგრამ გა-მოცხადებაც იმავწამს გაქრა და ქაიხოსრო მშობლიური სახლიდან მაკაბელების საკუთარი ხელით აშენებულ „ფუბეს“ დაუბრუნდა. რომანში ეს ადგილი ასე მთავრდება:

„—ვაღიარებ... ვაღიარებ... —ამოილუდლუდა დაბნეულმა და ყელში გაჩხერილი ცრემლის გორგალი ჩაყლაპა“.

რას აღიარებს ცრუმაიორი სიკვდილის წინ?

ალბათ, სხვას არაფერს, იმის გარდა, რის შესახებაც ზემოთ ვამბობდით—ყოველივე მისეულის, საკუთარისა და ერთადერთის უარყოფისა და მიჩქმალვის უაზრობასა და შეუძლებლობას. ქაიხოსროს ევალებოდა და ეკისრებოდა არა სხვისი, არამედ საკუთარი გვარის გადარჩენა, შენახვა, გაგრძელება, იმ შემზარავ ტრაგედიას თავდაღწეულთა შო-რის ხომ ის იყო ერთადერთი და, ამიტომ მას უნდა ეკისრა ეს მძიმე ტვირთი, თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომო-

და ამის გაკეთება, მაინც უნდა ეცადა, მან კი ოოლად უფრნესები გასვლა—ტყუილისა და სიცრუის გზა აირჩია, ეგონა ასთმო უფრო შეძლებდა თავბრუდამხვევად რთულსა და აწეწილ დროში არსებობის შენარჩუნებას, მაგრამ ესეც მხოლოდ დროებითი კეთილდღეობა აღმოჩნდა. ასე იქცა იგი სხვად, არჩეული ცხოვრების წესითა და მიზნით სავსებით გადასხვა-ფერდა, გაუცხოვდა და რაღაც ინტერესების მექანიკურ შემ-სრულებლად იქცა.

რა ინტერესები ამოძრავებდა ქაიხოსროს?

ცრუმაკაბელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოსიმე მღვდელთან (რომანში ეს პერსონაჟი სულის მკურნალის ფუნქციას ასრულებს) საუბარში ამჟღავნებს თავის თავს, შეხედულებებს, სურვილებს, მისწრაფებებს. ქაიხოსრო განვლილმა ცხოვრებამ ერთ დიდ აზრამდე მიიყვანა და მის აბსოლუტურ სისწორესა და აუცილებლობაში მყარად და-არწმუნა. მშობლიურ ოჯახსა და არმიაში დატრიალებულმა ათასგვარმა ხითვათმა და შემთხვევამ მას გადარჩენის წყურ-ვილი გაუღვიძა და საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ „სიკ-ვდილი ყველას შეუძლია, გადარჩენა კი—არა“. ადამიანის მთავარ ნიჭად ყოველგვარი განსაცდელისაგან თავის დაძვრე-ნის ნიჭი მიიჩნია და ამ საქმის, მისი აზრით, უბადლო მცოდ-ნედ და განმახორციელებლად—ბიბლიური ნოე და მის მიერ ჩადენილი აქტი: „სამუდამოდ განიმსჭვალა მისადმი უსაზ-ჩადენილი შურითა და თაყვანისცემით“. ქაიხოსრო ნოეს სახეში ღვრო შურითა და თაყვანისცემით. ქაიხოსრო ნოეს სახეში ჩადენილს ადამის მოდგმის წინაშე, მაგ-რამ არ ითვალისწინებს ამ ღალატის ზნეობრივ აუცი-ლებლობასა და მიზანს—სურვილს, ადამიანთა მოდგმის გა-

ლი:

„—ყველას არ შეუძლიაო...—ეუბნება მოყვასისათვის სიკ-
 ვდილთან დაკავშირებით ქაიხოსრო ზოსიმე მღვდელს—მარ-
 თალი ბრძანებაა. ნოემაც ვერ შეძლო მოყვასისათვის სიკ-
 ვდილი და მოყვასთან ერთად დაღუპვას, ისევ მოყვასის ღა-
 ლატი ამჯობინა. ასე არ არის? განა ასე არ სწერია ბიბლი-
 აში? ნოეზე დიდი მოღალატე კაცობრიობას არ ახსოვს.
 იუდა ვინ მიგდია. ნოემ ადამის მოღვა გასწირა. იმის მაგივ-
 რად, რომ გაეფრთხილებინა, არიქა, ვისაც როგორ შეგიძლი-
 ათ, გადაირჩინეთ თავიო, იჯდა და კიდობანს აკოწიწებდა,
 ვინ იცის, თან ღიღინებდა კიდეც. ნოე ჩემი ღმერთია!“

ამრიგად, ქაიხოსროს ხასიათისა და აზროვნების პოსტუ-
 ლატები მყარი და უცვლელია ნებისმიერ ვითარებაში. იგი
 ყოველთვის ერთი მიზნისა და სურვილის აღსრულებისაკენ
 ისწრაფვის და ურუქში (ე.ი. სამშობლოში) დაბრუნებას მის
 არსებაში გარდატეხა გამოუწვევია კი არა, არც არაფერი
 შეუცვლია. ანაც, ქმარი ჭარბელაქნის ომში რომ დაეღუპა
 და „თათარი შეეჩვია“, ქაიხოსროსათვის გამოსარჩლების, დაც-
 ვის კი არა, მითვისების, დაპყრობისა და დამორჩილების
 ობიექტია. თათარს ცვლის ქაიხსორო, მაგრამ თუ პირველს
 სიყვარული მოარბენინებდა ცხრა მთას იქითა ქვეყნიდან,
 მეორეს ახალ სამკვიდრებელში დაფუძნების სურვილმა გა-
 დაადგმევინა ასეთი ნაბიჯი. ისინი რომ აბელ-კაენის მითის
 მწერლის მიერ თავისებურად გააზრებულ „ძმებად“ არიან

მიჩნეული, ეს ტექსტშიც არაორაზროვნად იკითხება: „ქაიხოს-როს „თათარი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება არც ეფიქრა ანაზე“, თათარს „მეორე კაცისთვისაც უნდა გაეგო, რადგან ყველა მეორე კაცი ძმა იყო მისი, თანამზრახველი, თანამონაწილე, თანამესუფრე“. საერთოდ, ო. ჭილაძის ამ რომანში ძმათა დამოკიდებულება აბელ-კაენის ურთიერთობის ტოლ-ფასადაა აღქმული და გააზრებული: „ ადამიანი ყოველთვის კლავდა ანდა ეკვლევინებოდა საკუთარ ძმას, რადგან სწორედ ძმის, მისი მსგავსის, მისი ჩამონაჭერის არსებობა აღიზიანებდა. ყველაზე მეტად, მაინცდამაინც ძმის ხელობა ეგონა თავისაზე სარგებლიანიცა და იოლიც, მაინცდამაინც ძმის ხელშენავლები ქალი ეჩვენებოდა ლამაზად, და დარწმუნებული იყო, უძმოდ უკეთესად მოიწყობდა ცხოვრებას...“ ეს ციტატა კიდევ გრძელდება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია „მსგავსთა“ იმ ურთიერთდამოკიდებულების საჩვენებლად, რომანში რომაა გამჟღავნებული.

ამდენად, აბელ-კაენის მითის ინტერპრეტაცია ქაიხოსროსა და თათრის დამოკიდებულებაშია საგულვებელი. მართალია, ქაიხოსროს თათარი არ მოუკლავს, მაგრამ ზოსიმე მღვდლის სენტენციის მიხედვით, „გინდა მოგეკლას და გინდა მოკვლა გდომებიაო“. ქაიხოსრო წუხს, რომ კაცი არ მოუკლავს და კაცის მკვლელივით ცხოვრობს, ყველას ჩემი მოკვლა სწადიაო—შესჩივის ღვთის მსახურს, ეს უკანასკნელიც სწორედ მაშინ უბნება: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“, ქაიხოსრო შეცბება: „რათა? მე რომ არავინ მომიკლავს?—დაიბნა, გაცხარდა, დაფრთხა ქაიხოსრო“. ამ-

დენად, სურვილი და მისი შესრულების აქტი ერთნაირად აღიქმება. მას, მართალია, თათარი არ მოუკლავს, მაგრამ შემდეგში არაერთხელ იტყვის—უნდა მომეკლაო. ამიტომ მის სახეში კონდენსირდება კაენის ცოდვის ანარეკლი, რომლის გამოსყიდვა მისსავე შვილიშვილებს ეკისრებათ.

უფალმა კაენს ჩადენილი ცოდვისათვის ასეთი მსჯავრი დასდო: „რაუამს შურებოდი ქუეყანასა, არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა. კვნესით და ძრწოლით იყო ქვეყანასა ზედა“. კაენს ხვედრი ემძიმა, რადგან ღმერთსაც და ქვეყანასაც უნდა განრიდებოდა, კვნესით და ძრწოლით მოეპოვებინა მოსაპოვებელი. ამიტომ იყო, რომ უფალს შეჰვალდა: „უფროს არს ცოდვა ჩემი მოტევებისა ჩემისა და უკეთუ განმაძებ დღეს მე პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა და დავიმალო, და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქუეყანისა ზედა. და იყოს: ყოველმან მპოვნელმან ჩემმან, მომკლას მე“. მართალია, ღმერთმა კაენის მკვლელისათვის შვიდმაგი სასჯელი დააწესა და თითქოს ყოველი მპოვნელისაგან მისი მოკვლის საშიშროებაც მოიხსნა, მაგრამ მაინც კაენი უფრო ცოდვილია ცოდვის მიტევების შემდეგ. ასევეა ქაიხოსროც. იგი უფრო ცოდვილია უფლის ხელისაგან მოუკვლელობით, რადგან, კაენის ტოლფასი ცოდვის ჩადენის გამო, ყველასა და ყველაფერს უნდა განერიდოს.

ზოსიმე მღვდელი ბრძანებს: „ვიბადებით, რათა შევცოლოთ და ვიღუპებით, რათა განვიწმინდოთ“. ქაიხოსროს ცოდვათა გამმა მხოლოდ სიკვდილით განიწმინდება, იგი ცრუგ-

მირია, ამიტომაა, რომ მისი შვილიშვილი — ალექსანდრე სიძე ვდილის შემდეგ მას ვირზე შესვამს და მთელ სოფელს შემოატარებს. ეს თავისებური გამოძახილია იმ უარყოფისა, რაც მომავალმა თაობამ წინაპარს გამოუტანა. ქაიხორსოს მიკროიმპერია უნდა დაიმსხვრეს, დაინგრეს ყველას დასანახად გასაგონად და მკვდარი ადამიანის, ცრუგმირისა და ცრუგმაიორის ვირზე შესმა სწორედ ამისი გამოხატულებაა.

სალიტერატურო კრიტიკაში უკვე აღინიშნა, რომ ანა საქართველოს, ხოლო გიორგა — წმინდა გიორგის დეპეროიზებული სახეა. ეს იმითაც ნათელი ხდება, რომ ქვრივ ანას, ისე, როგორც საქართველოს, ჯერ თათარი ეპატრონება, შემდეგ კი ქართველი, მაგრამ აბსოლუტურად გადასხვავერებული, რუსეთის არმიას, რუსულ ყოფასა და ზნეს ნაზიარები, კაუნის ტოლფასი ქაიხოსრო.

„ცისფერი მთების“ სტილისტიკა

რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთები“ უპირველესად ლიტერატურული ფაქტია. ნაწარმოების მრავალმხრივი აზრობრივი განშტოებანი მხოლოდ სწორედ ლიტერატურულ ტექსტშია სრულყოფილად ფოკუსირებული, რომლის საფუძველზეც იქმნება შემდეგ, რასაკვირველია, სხვა უანრის ესა თუ ის ქმნილება (ფილმი, სპექტაკლი...). ხანდახან ხდება, რომ განსხვავებული მხატვრული დარგის (ვთქვათ, კინოფილმის) ფართო აუდიტორია თვალს გვჭრის და გვავიწყდება მხატვრული ტექსტი, რომელიც ამ შემთხვევაში საფუძველია ყველა დანარჩენისა. „ცისფერ მთებს“ იმდენი მრავალწახნაგოვანი, სტილური თუ აზრობრივი განზომილებანი გააჩნია, რომ იგი მომავალშიც შეიძლება მრავალნაირი წაკითხვისა და გააზრების საფუძველი გახდეს.

მწერალმა ჯერჯერობით ბოლო ვარიანტად გამოქვეყნებულ ნაწარმოებს „დაუმთავრებელი რომანი“ უწოდა. თუ მკაცრი უანრობრივი თვალთახედვით განვსჯით, „ცისფერი მთები“ მართლაც ასეთია: თითქმის რომანი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დაუმთავრებლობა, რომანის უანრობრივი სპეციფიკისათვის ნიშანდობლივი არასრულქმნადობა სწორედ იმისთვისაა საჭირო და აუცილებელი, რომ უფრო შთამბეჭდავი, გამჭვირვალე გახდეს ნაწარმოების ძირითადი აზრობრივი მდინარებანი.

„ცისფერ მთებში“ ყველაზე თვალშისაცემ, ზედაპირზე ამო-

ტივტივებულ, აზრობრივი დატვირთვის მქონე ფრაზას „გარე კვეული კონცეპტუალური ფუნქცია რომ გააჩნია და გასაღებად, ათვლის წერტილად გამოდგება პერსონაჟთა რაგვარობის გარკვევის საქმეში, სოსო ეუბნება დირექტორს: „სამი წელი სიცარიელეში ვარ, ბატონო ვაჟა“. ეს სენტენცია ქვემოთ უფრო გავრცობილ სახეს იძენს და ერთგვარი მეგზურის ფუნქციას ასრულებს იმ ყოფიერების აღსაქმელად და გასააზრებლად, რომელშიც „ცისფერი მთების“ პერსონაჟები ცხოვრობენ: „სიცარიელეში, ბატონო ვაჟა, დროისა და სივრცის შეგრძნებას ვკარგავ თანდათან“. „ცისფერი მთები“ სიცარიელის, აბსურდის, დროისა და სივრცის შეუგრძნობლობის, მათი ლაბირინთოვანი გააზრებისა და მხატვრული გადაწყვეტის გენიალური ცდაა. აქ დრო და ქმედება არანაირად არ ემთხვევა ერთმანეთს, თუ დრო სახელდება, ქმედება არ მოჰყვება, ან პირიქით, ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში დრო არაა მინიშნებული და იქმნება უდროობისა და ქაოსის საოცარი ნაზავი, რომელსაც პირობითად უდროო დრო და უმოქმედო ქმედება შეიძლება დავარქვათ.

„ვასო მღებავს მიჩერებია ღიმილით.

—როდის გაიტან?

—რას, ვასო ბიძია?

—სურათს,—განცხადებას აჩვენებს.

—სურათს?

—დიახ, სურათს.

—როცა გინდათ.

—მაინც?

—ჩემთვის სულ ერთია, როცა გინდათ.

—დღეს?

—დღეს... —თანდათან უფრო ებმის ენა, ნაწილ-ნაწილ აწვდის თითქოს ვიღაც პირიდან სიტყვებს.—დღეს ვერა, ვასო ბიძია.

—აბა, როდის?

—ჩემთვის სულ ერთია, როცა გინდათ.

—ხვალ?

—ხვალ ვერა, ვასო ბიძია...—მორცხვად ხრის რატომდაც თავს.

—აბა, როდის?

—როცა გინდათ.

—ზეგ?

—ზეგ? ზეგ ვერა, არ მეცლება ზეგ.

—აბა?

—როცა გინდათ, ჩემთვის სულ ერთია, როცა გინდათ...

—მაზეგ?

—მაზეგ? მაზეგ ვერა...

—აბა, როდის?

—როცა გინდათ, ვასო ბიძია!“

აქ დროისა და მოქმედების ისეთი აბსურდული გააზრებაა, როცა ისინი კი არ თანხვდებიან, არამედ პირიქით, გამორიცხავენ კიდეც ურთიერთს. მღებავი მიხო სურათს, როცა ვასოს სურს, „მაშინ“ გაიტანს, მაგრამ იქმნება იმის ნათელი ილუზია, რომ ეს „მაშინ“ საერთოდ არ არსებობს—იგი არც ხვალ, არც ზეგ, არც მაზეგ და არც არასდროს იქნება. ამიტომ მისი პასუხიც, „როცა გინდათ, ჩემთვის სულ ერთია“, ირონიული განმარტებაა იმისა, რომ, ვასოს სურვილის მიუხედავად, სურათს არასდროს გაიტანენ, რადგან ესაა

სწორედ აზრდაკარგული, შინაარსისაგან დაცლილი ჟრატ-მი
თუ დროში ქმედების განსაზღვრა არ ხერხდება; მაშინ ეს
ორი ცნება ძირითად მოდალურ ფუნქციას კარგავს, რადგან
მათ ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანმსაზღვრელ-განმა-
პირობებელი ცნებითი ღირებულების გარეშე მნიშვნელობა
არ გააჩნიათ. ასეთია ის სიცარიელე, ვაკუუმისმაგვარი, დროისა
და ქმედების შინაარსისაგან დაცლილი ყოფითობა, სადაც
აბსურდია ერთადერთი და განმსაზღვრელი საზრისი არ-
სებობისა.

„—პრემია იქნება, ქალბატონო თამარ?—ეკითხება
ბელა.—შეიძლება იქნეს, შეიძლება არა, თუ იქნა, იქნება,
ისე ხელფასიც არ არი!“ ნაწარმოებში დროისა და ქმედების
გადაკვეთის, თანაარსებობის ერთადერთი განმარტება ასე-
თია: „თუ იქნა, იქნება...“

„შვებულებაში ვარ, და არც ვარ ფაქტიურად, გავდივარ
და ვერ გავედი“... —აცხადებს იროდიონი და ამით ირგებს
ნიღაბს, რომლითაც შვებულებაშიცაა და არც არის, გადის
და ვერ გავიდა. ეს ორი გაურკვეველი მყოფობა მას იმისათ-
ვის სჭირდება, რომ რეალური, ნამდვილი როგორმე მიჩქმა-
ლოს და მიაჩუმათოს. ამიტომ ამ ორი მყოფობის ზღვარზე
არსებობა მას იმდენად მოსწონს, რომ ყოველწამს აფიქსი-
რებს და ახსენებს ირგვლივყოფთ.

„ცისფერი მთების“ პერსონაჟთა აზროვნება, აქედან გა-
მომდინარე—მეტყველება იმდენად ახლებური და ორიგინა-
ლურია, რომ ისინი სიტყვებს, ჩვეულებრივ, კომუნი-
კაბელობისათვის კი არ ხმარობენ, არამედ, პირიქით, რაც

შეიძლება მეტი დისკომფორტი რომ შეიტანონ ურთიერთობაში მეტყველება ყოველნაირ აზრსაა მოკლებული, სიტყვები იმიტომ კი არ წარმოითქმება, რომ რაღაც სემანტიკური ფუნქცია გააჩნიათ, არამედ საპირისპიროდ, უარყონ და ეჭვი შეიტანონ წინა ნათქვამში. ასე იქმნება აზრის, პოზიციის უარყოფათა საოცარი ჯაჭვური სისტემა, რომლის მთავარი მიზანი საბოლოო უარყოფისა და არარაობის ილუზიის შექმნაა: „მოველაპარაკები მე თქვენს დირექტორს, მოველაპარაკები, მაგრამ ვერ ვუბრძანებ. ჩვენდამი რწმუნებული ორგანოს წარმომადგენელია, უწყებით გვემორჩილება, მართალია, თუმცა ბრძანებით არ გვექვემდებარება, ადრე ბრძანებით გვემორჩილებოდა, უწყებით არ გვექვემდებარებოდა...“ ამგვარი აბსურდის ტიპური ნიმუშებით ახერხებს რ. ჭეიშვილი ფიქტიურ-ფაქტიურით, უწყებრივ დამორჩილება-არდამორჩილების და ბრძანებით დაქვემდებარება-არდაქვემდებარების (ან პირიქით) გროტესკული ხერხებით შექმნას არარაობის, სიცარიელის შთამბეჭდავზე შთამბეჭდავი ატმოსფერო.

პერსონაჟთა მეტყველების ხასიათი, სტილისტური თვალსაზრისით, არასდროსაა ცალსახა და ერთგვაროვანი. თითოეულ მათგანს გარკვეული, მისთვის ნიშანდობლივი, დამახსიათებელი მანერა, ერთგვარი შტრიხი გააჩნია. ისინი საოცარი ზედმიწევნურობით ხატავენ სიცარიელის იმ გამოშველ სამყაროს, ყოვლად უჰაერო, უსახური გარემო რომ უდევს საფუძვლად. პერსონაჟები თითქმის ჩვეულებრივად საუბრობენ, ერთფეროვანი, გაცვეთილი ლექსიკით, მაგრამ ფრაზის აზრობრივი სიმწყობრე დადებით პასუხს არასდროს



შეიცავს. ამ შემთხვევაში ერთი უარყოფს მეორეს მეტყველებული და მესამეს, მესამე მეოთხეს, მეხუთე ხშირ შემთხვევაში პირველ ოთხს ერთად აღებულს და ა.შ. ამგვარად ხორციელდება ლაბირინთოვანი, სტილური თვალსაზრისით საოცრად თავბრუდამხვევი აზროვნებისა და მეტყველების ახალი ნიმუშის გენიალური ჩანაფიქრი, როცა სიტყვები იმისთვის წარმოითქმებიან, უფრო სწორად, იმისთვის არსებობენ, რომ რაღაც წინანდელი უარყონ და ეჭვის ბურუსში გაახვიონ. აი, ამგვარი აზროვნებისა და მეტყველების კლასიკური ნიმუში: „რაც შეეხება საქმეს (ამბობს ვასო ჩორგოლაშვილი, ე.თ.), „ცისფერი მთები“ მიღებულია. დღეს თუ ხვალ ერთ-ერთი ჩვენგანი დაწერს დასკვნას, მაგრამ საქმე ის არის, რომ დასკვნას მე ხელს ვერ მოვაწერ. ეს ევალებოდა იროდიონს. იროდიონმა გაგვასწრო, რომ არ წასულიყო, ხელს მაინც არ მოაწერდა, კარგად იცით. შეგვიძლია, დავუცადოთ შოთას, მაგრამ არც ის მოაწერს, მითუმეტეს ის არ მოაწერს, განხილვაში არ მიმიღია მონაწილეობაო, იტყვის. ამას არც ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება დასკვნას მე და საბჭოს ნებისმიერმა წევრმა მოვაწეროთ ხელი, მაგრამ არც ერთი თქვენთაგანი არ მოაწერთ. იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ესეც კია, ან გეშინიათ, უბრალოდ, არავითარი ძალა თქვენს ხელმოწერას არ ექნება არც ფორმალურად, არც იურიდიულად. სამაგიეროდ დირექტორს შეუძლია დაამტკიცოს ულაპარაკოდ, მაგრამ ჩვენი ხელის მოწერის გარეშე არ დაამტკიცებს და ჩვენს ხელმოწერილსაც არ მიიღებს. კიდევაც რომ მიიღოს, არ დაამტკიცებს და რომ დაამტკიცოს, ხელს



არ მოაწერს. ამგვარია დაახლოებით ვითარება“ ვასო ჩორეკვეული გოლაშვილი ამგვარ, უარყოფათა ჯაჭვური სისტემით აკინძულ აზრებს ხშირად იმეორებს, მაგრამ მათ არანაირი მნიშვნელობა არა აქვთ. უბრალოდ, საოცარი ხატოვანებით წარმოაჩენენ აბსურდს, ფარსს, თამაშს, რომლებიც სიტყვათა საშუალებით ხორციელდება ნაწარმოებში. თუ კარგად ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ „ცისფერი მთების“ პერსონაჟთა აზროვნებისა და მეტყველებისათვის რეზო ჭეიშვილმა ახალი სტილი შექმნა, ამ შემთხვევაში ესაა ურთიერთგამორიცხვის, უარყოფის მეთოდით მიღწეული ეფექტი, თორემ ნაწარმოების სხვადასხვა პერსონაჟი სხვადასხვაგვარად „აზროვნებს“, ლექსიკაც განსხვავებული აქვთ, ოღონდ ყველაფერს ერთი მიზანი აერთიანებს: აბსურდის წარმოჩენა. ვასო ჩორგოლაშვილის „აზროვნების“ კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი: „ჩემი დაანგარიშებით, გეკუთვნით, თუმცა, თუ მიუუყენებთ დაგეგმარების კანონს, გეკუთვნით კიდევაც და არც გეკუთვნით. ეს დირექტორზეა დამოკიდებული, თუმცა დირექტორი მურვანიძეს დაეკითხება უეჭველად. მურვანიძე, რასაკვირველია, წერილობით საბუთს არ წარმოადგენს, კიდევაც რომ წარმოადგინოს, მთავარი ბუღალტერი უკანონოდ ფულს არ გასცემს, მგონი...“ ამგვარი „უნიკალური აზროვნების“ ნიმუშებმა არ შეიძლება არ გაგიტაცოს, არ დაგატყვევოს და ციტატების მოხმობაც ბლომად არ დაგჭირდეს. თუმცა ვასო ჩორგოლაშვილი არა მარტო მისი აზრებით, იმითაცაა დასამახსოვრებელი, რომ მწერალი ასე მაღალგროტესკული ფორმით ალაპარაკებს მას მისი „დამსახურების“ შესახებ: „მე

არაფრის არ მეშინია... მე ჩემი დღე გავლიე და გინდაც
 დამეცეს, არ მეშინია. მე ტანკისტი ვიყავი ომამდე. რცით თუ
 არა ეს თქვენ?“ და აქ ცოდნა-არცოდნა კი არაა მთავა-
 რი—ომამდე ტანკისტობა გულიანი, ღრმა ქვეტექსტით დატ-
 ვირთული ღიმილის მომგვრელი მდგომარეობაა.

აღვნიშნეთ, რომ თითოეული პერსონაჟის მეტყველება ინ-
 დივიდუალურია. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზემომოტა-
 ნილ ციტატებში ლოგიკის (თუნდაც ის პაროდია იყოს ლო-
 გიკისა) რაღაც მარცვალი შეიმჩნევა. უბრალოდ, რაღაც სის-
 ტემით ხდება აზროვნება და აქედან გამომდინარე მეტყვე-
 ლებაც, მაგრამ რ. ჭეიშვილს „ცისფერი მთების“ ერთფერო-
 ვანი სამყაროს წარმოსახენად არც საოცრად უღლოგიკო, უაზ-
 რო, მართლაც რომ ცარიელი სიტყვების რახარუხით მეტ-
 ყველება ავიწყდება, როცა იქმნება ყალბი რიტორიკის საო-
 ცარი ნიმუშები. ამგვარ ანონიმურ მეტყველებაში სიტყვები
 თითქოს ერთმანეთზეა დახვავებული, წინადადებები ტრაფა-
 რეტებითაა სავსე. ესაა ყოვლად უშინაარსო, ექსპრესიისაგან
 განგებ დაცლილი, გამომშრალი სტილი მეტყველებისა, რო-
 მელშიც აშკარად იკითხება უაზრობისა და უსიცოცხლობის
 მოტივი: „პრინციპში,—დამჯდარი ლაპარაკობს თენგი-
 ზი—...დიახ, ეს ნაწარმოები უაქტიურად აქ ტრიალებს, ამ
 კედლებში. თემა, იდეა, მე ასე ვიტყოდი, მიზანდასახულობა,
 ასე ვთქვათ, ავტორისა, გასაგებია...ასევე გასაგებია ხარჯთაღ-
 რიცხვის პირობითობის ზედაპირულობა. დიახ, ეს არც არის
 მთავარი: მთავარია, ასე ვთქვათ, თემის მონუმენტურობის
 შენარჩუნების ერთგვარი სურვილი და მასშტაბურობის ლან-

დშაფტთან შეფარდების შეგრძნება, ნუ, ეს გასაგებია, ჩემ-თუმ
თვის, ყოველ შემთხვევაში...“

ეს პასაჟი კიდევ გრძელდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც
საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად განსხვა-
ვებულია აქ მეტყველება და რამდენად ტრაფარეტული, ყალბი
და ფსევდოაზრებითაა იგი სავსე.

ამდაგვარ ფსევდოყოფიერებაში ჩავარდნილ ადამიანთა ხასი-
ათში მარადიული ეჭვი, გაურკვევლობა იკითხება. წინაღობა
კიდეც რომ არ იყოს, გამოიძენება და სტილისტური ეფექ-
ტით ისეთ სახეს მიიღებს, პო-ც რომ ეთქმოდეს და არა-ც
(ცალ-ცალკე არც ერთი). მწერალი გარკვევით არასდროს
არაფერს განსაზღვრავს, პირიქით, განსაზღვრებათა ორსაზოვ-
ნებითა თუ ორბუნებოვნებით იმის ილუზიას გვიქმნის, რომ
ერთიც ფარსია და მეორეც, მესამე არ არსებობს. „იგავ-
არაკებს თუ მიიღებს?—ეკითხება ვულკანოლოგი ბელას.—მი-
ღებით არა, მაგრამ უარს არ გეტყვით...“ აი, აზროვნების
ნიმუში, აქედან გამომდინარე—მოქმედების ხასიათიც. „ცის-
ფერი მთების“ დიალოგებში ლოგიკური რეზულტატი არ
იკითხება, ამიტომ ყოველთვის ჩნდება კითხვა—მიღებით თუ
არ მიიღებს, მაგრამ უარსაც თუ არ იტყვის, მაშ, რა, რას
მოიმოქმედებს? არაფერს.

მწერალი ხანდახან უარყოფის მოულოდნელ ეფექტსაც
მიმართავს. ესაა პოზიცია, როცა დადებით პასუხს იმწამსვე
უარყოფითი მოპყვება და რაღაცნაირი ელდა, მოულოდნელი
შედეგით განპირობებული, ცივწყალგადასხმულივით მოქმე-
დებს მკითხველზე. უარყოფის მოულოდნელი ეფექტიც „ცის-



ფერი მთების“ პერსონაჟთა აზროვნებისა და მეტყველების
დამახასიათებელი ნიშანია. ოღონდ აქ ადამიანები თითქოს
ძილბურანიდან გამოდიან, მაღვე ერკვევიან და ჩქვიფდებიან
კიდეც:

„—საშა, გადმოგცა ოთარიმ?

—კი, როგორ არა, რა უნდა გადმოეცა?“

ან კიდეც: „ამას ამ საღამოსვე მოვულებ ბოლოს და საშას
ავუტან ზევით, შემხვდა ამასწინებზე და მყითხა კიდეც,
რას შვრება, ხომ არ მოუტანია, მხოლოდ შენზე იყო თუ
არა ლაპარაკი, ვერ გეტყვი“. ნაწარმოებში, სხვა მრავალთან
ერთად, ასეთივე სტრუქტურული მოდელის ერთი უნიკალუ-
რი ამბავიცაა. იგი იმდენად ღრმა, ლაღი გროტესკული შე-
ფერილობისაა, რომ უპრიანი იქნება მასზე დაწვრილებით
შევჩერდეთ. ეს ეხება ნაწარმოების ეგზემპლარის დაკარგვის
საქმეს. ერთ-ერთი კოპალეიშვილს წაულია, მაგრამ იგი, ამბობს
კოტე, მანქანიანად მტკვარში გადავარდა, ახლა წევს, სამი
ნეკნი აქვს მოტეხილი, მანქანა კი ხეზე გარჩაო. მტკვარში
გადავარდნილი მანქანა ხეზე გარჩა, აი, პირველი ირონიის
მომგვრელი კითხვა, თუმცა მარტო ამ ეფექტით არ კმაყო-
ფილდება მწერალი:

„მანქანა ხეზე გარჩა, ამოიყვანეს, მე ვუყურებდი, როგორ
ამოყავდათ ამწეკრანით.

—შენ საიდან უყურებდი?

—მანქანის ფანჯრიდან, შიგ ვიჯექი მეც...“

„—მერე ეგზემპლარი ხომ არავის წაულია—აინტერესებს
თენგიზს.

—არა მგონია, მხოლოდ რადიო და ცალი ბორბალი შოგი იყო კარეს, მეტი არაფერი. საბარგულმა დეფორმაცია მიიღო და ვერ ავხსენით. ეგზემპლარი კი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შიგ დევს, მხოლოდ „ცისფერი მთებია“ თუ არა, ვერ გეტყვით....“

ხეზე გარჩენილი მანქანიდან, ერთი მგზავრიც რომ იყო შიგ, მოიპარეს რადიო და ცალი ბორბალი, აი, ჭეშმარიტი იუმორი და რაც მთავარია, რისთვისაც ამ მართლაც და ორიგინალურ ამბავს მოჰყვა პერსონაჟი, მასზე ასეთი გაურკვეველი, ეჭვნარევი პასუხი.

„ცისფერი მთების“ პერსონაჟთა აზროვნების დამახასიათებელი ატრიბუტი ისიცაა, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ, ჭეშმარიტი მდგომარეობა არ დააფიქსირონ, იყვნენ იქ და ეგონოთ აქ, ან არც იქ, არც აქ, სულ სხვაგან და ეგონოთ კიდევ უფრო სხვაგან. ისინი მთელ სააზროვნო მონაცემებს თითქოს იმისათვის იყენებენ, რომ კვალი აუბიონ მეორეს, დააბნიონ, არ მიუთითონ ჭეშმარიტი ადგილსამყოფელი. ამით იმის ილუზია იქმნება, რომ ისინი არსად არიან, უფრო სწორად, სადაც უნდა იყვნენ, მათ არსებობას საზრისი არ გააჩნია:

„ქვევით ჩავდივარ, ეზოში, თუ ვინმემ მიკითხოს, ბანქში ვიქნები“...

„—ვიღაც კაცია, ყუფარაძემ დარეკაო, იგავარაკების საკითხზე ვარო...“

—დამელოდოს.

—მიიღებთ.

—ვერა.—საათზე იხედება. სესხბანკში უნდა პრეზენტაცია იმავე თუ მიკითხავენ, მშენბანკში ვარ, ამ ტელეფონმა თუ დარეკა, წამოვიდა-თქვა“...

ასეთი ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთუარმყოფელი აზრებით აზროვნებენ „ცისფერი მთების“ პერსონაჟები. ყველა-ფერთან ერთად, ის ადგილიცაა აბნეული და აღრეული, სადაც შეიძლება ესა თუ ის პერსონაჟი მართლა იმყოფებოდეს. უბრალოდ, აქ იმდენად თავბრუდამხვევი აბსურდი თამაშდება, და ეს ყველაფერი ისეთი მორგებული სტილისტურ-ფრაზეოლოგიური ძიებებითაა მიღწეული, რომ მწერალს ხშირად, ნამდვილი ფარსისაგან რომ გავარჩიოთ, ამგვარი რემარკებიც სჭირდება: „მართლა ღელავს და ნერვიულობს“, „მკერდი მართლა აუდ-ჩამოუდის აჩქარებულად“ და სხვა. თუმცა არამარტო ადგილსამყოფელის გაურკვევლობას, საერთოდ, „ცისფერი მთების“ პერსონაჟები ხანდახან არსებობის აბსურდულობასაც აშკარად აფიქსირებენ:

„—არ გახლავთ, ბატონო, წავიდა.

—ბოლიშს ვიხდი, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ გარეთ რომ არ გამოსულა?

—ცოტას ნიშნავს, რომ არ გამოსულა...“

„ცისფერი მთების“ პერსონაჟებს ერთი უცნაური თვისებაც ჭირთ. ისინი ნებისმიერ კითხვას რაღაცნაირი შეშფოთებით აღიქვამენ და ასეთივე განწყობილებით პასუხობენ კიდეც. ეს პასუხები გაკვირვების, გაოცების შემცველია. მათში ზედაპირულად ის აზრი გამოკრთის, რომ თითქოს ამ კითხვის დასმა არც იყო საჭირო და აუცილებელი, მაგრამ თუ ღრმად

ჩავუკვირდებით, აქ ის აზრი უფრო უნდა იყოს მართველობა
რომ ამგვარი აზროვნების (აქედან გამომდინარე—მეტყვე-
ლების) პირობებში კითხვის დასმას აზრი არა აქვს, რადგან
პასუხი პასუხის შინაარსის შემცველი არაა და კითხვას
უფრო ჰგავს. ერთი სიტყვით, „ცისფერ მთებში“ კითხვას
პასუხი კითხვითვე გაეცემა და ამით იქმნება აბსურდული
გარემოს კიდევ ერთი შტრიხი, როცა გარკვეული არაფერია
და კითხვის დასმაც კი უაზრობად აღიქმება, რადგანაც მას,
სიცხადის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა და
დაბნეულობა მოსდევს: „—არ დაგავიწყდეს, ძალიან გთხოვ!
—რატომ უნდა დამავიწყდეს!“; „—ბორია, წაიკითხავ
ხომ?—როგორ გეკადრება,—წყინს კოტეს“. ასეთივე ძლგო-
მარეობაა ურთიერთობის ნებისმიერი ფორმის ან სიტუაციის
დეფინიციის დროსაც. აქ არა მარტო კითხვა, თხოვნაც
არაბუნებრივად აღიქმება, რადგან ამნაირ საზოგადოებაში
მას არანაირი შინაარსი არ გააჩნია. ამიტომ კითხვისა თუ
თხოვნის შეუსრულებლობის თავიდან აცილების საუკეთესო
ფორმას საოცრად გროტესკული შტრიხით (რომლის სტრუქ-
ტურული შრეებია: კითხვა—პასუხის ნაცვლად—კითხვა) გვაც-
ნობს მწერალი:

„—ძალიან გთხოვთ, ბატონო ვაჟა!

—რა უცნაური კაცი ხარ, რად მინდა ამდენი ბატონო და
თხოვნა...“;

„—ბატონო ვაჟა, „ცისფერი მთები“ მოგიტანეთ, ძალიან
გთხოვთ...

—რად მინდა, კაცო, თხოვნა, აბა მე აქ რისთვისა ვარ,
აბა, მე აქ რას ვაკეთებ?“;

„—დღესვე შეგვიძლია დავნიშნოთ განხილვის თარიღი
—ძალიან გთხოვთ.

—როგორ გეკადრებათ, რად მინდა თხოვნა!“

საერთოდ, „ცისფერი მთები“ სტილისტურ-ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნაწარმოების ძირითადი პრობლემატიკა სწორედ ამ საშუალებებითაა წარმოჩნილი) ისე ფართო და მრავალმხრივ მასალას იძლევა განსჯისათვის, რომ იგი, აღბათ, ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ კი გვინდა, ზოგიერთი მათგანი ყოველ-გვარი ინტერპრეტაციის გარეშე გავიხსენოთ:

„წავიკითხავ და გადავცემ წვერავას... ორკვირიან ჯარშია გამოძახებული, თუ დრო არ გადაუვადეს, გამოვა დღეს, ხვალ, ზეგ...“

„....ჩემი ეგზემპლარის გვერდები მეჭირა ხელში, აქ ჩომ არ დამრჩა?

—აქ არ შემოსულხარ და საიდან უნდა დაგრჩენოდა“...

„....ოცი ცენტნერი ქაღალდი დაგვაკლეს, ახლა თათბირია და არარსებულ ქაღალდს გვიბრუნებენ ქაღალდზე...“

„....რა კარგი იქნება, როგორც მწამს, ისე რომ მჯეროდეს...“

„მწამს, თან არ მჯერა...“

„—ვერა ვარ ისე, ქე რომ უნდა, კბილმა შემაწუხა.

—კბილის წამალი დალიეთ?

—არა, თირკმლის. სხვა არ მქონდა და აბა, რა მექნა“.

„—ბენდექსია ჩაშლილი,—უხსნის ვულკანოლოგი.

—ვერ გადმოარიცხვინე მერე ერთი ბენდექსი,—ოთარისკენ იხედება.



—ამ კვარტლის საბენდექსო ფონდი გადახარჯული გმირების
მომავალი წლის შესაბამისი კვარტლის ხარჯზე. საერთოდ,
ბატონო ვაჟა, კაპრემონტშია ჩასაყინებელი.

—როდის გაუვიდა საექსპლოატაციო ვადა?

—გასული ჰქონდა, რომ მოიტანეს.“

„კვირას მასიური კროსი ტარდება და შაბათი გადმოიტა-
ნეს ხუთშაბათს—უმარტავს ოთარი

—ხუთშაბათს შაბათობა, შაბათს კვირაობა...“

იროდიონის „შვებულების ფული კოპალეიშვილს წაუღია,
კოპალეიშვილის ხელფასი გამოუწერიათ წვერავასთვის და
წვერავას ცოლმა ხელი ხაბურზანიას უწყისში მოაწერა“.

„სილოვანს უთხარი, აფსკი წამოიღოს, კარს გაგიღებთ
ივლიტა, მაცივარში არის გაყინული იხვი“.

„...სოსო, ნგრევის დროს ფერები ხუნდება. ამ პროცესს—შე-
ნებას და ნგრევას, გათვალისწინება უნდა, მარტო აქ კი არა,
საერთოდ ცხოვრებაში. ორი სათაური, ადრევეც გითხარი და
ახლაც გეუბნები, არ არის საჭირო. მე თავისთვად ცისფერს
კი არ ვეწინააღმდეგები, ანდა ტიანშანთან კი არა მაქვს
სადაო, ზედმეტია-მეთქი ერთი. ისე ორივე დატოვე და ერ-
თიც დაუსართე, თუ შენ გაგეხარდება. საერთოდ კი,—რისი
უფლება და საშუალება გქონდა, თავიდანვე გცოდნოდა,
აჯობებდა. თუმცა აწი თუ გეცოდინება, არც ეს იქნება ური-
გო“.

„დეფიციტში გარღვევა გაქვთო, გარღვევა გვექნება, აბა
რა იქნება, ჩვენ არ ვიცით ვითომ, რა გვაქვს და რა არა, შენ
არ იცი? ყველამ იცის, რა გამოდის მერე ამ ცოდნიდან?

ცოდნა რას გვიშველის? მიზეზი? მიზეზს ვინ კითხულობს? ანდა რატომ უნდა იკითხონ? თუ იკითხავენ, გამოჩნდება კიდევაც, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება!..“

„ხაბურზანიას ველაპარაკე ახლა, ამ წუთას და განხილვაზე მოვალო, კოპალეიშვილმა მითხრა, შეიძლება გამოვიაროო. ბელას აქვს იმ ნახევრის ნახევარი, რომელიც კოპალეიშვილს წაუღია მოსკოვში, თუ ჩამოიტანა, შეაერთე და წაიკითხე. შემდეგ გაყავი, ნახევარი თენგიზს მიეცი, ნახევარი კაკოს, როცა გაცვლიან და მორჩებიან, შუქრის შეუტანე, არც დახედავს, მაგრამ რომ არაფერი თქვას, მაინც გადაეცი, არ წაიკითხავს და იროდიონის მაგიდაზე გადადებს, ამიტომ სანამ იროდიონი ჩაკეტავდეს სეიფში, გამოიტანე, ხომ არ დაგავიწყდება?

—როგორ გეკადრება,—წამწამებს ახამხამებს და მოკლე ქოჩორს ისწორებს გაბრუებული კოტე“.

„ცისფერი მთების“ პერსონაჟები სიყვარულის თავისებურ, ახლებურ გააზრებასაც ამჟღავნებენ. მათ არც უყვართ, არც ძულთ, გამოკვეთილად არც ერთი მათგანი არაა პრიმატული მათ გრძნობებში. ადამიანს რომ უყვარდეს, ან პირიქით, მის არსებობას რაღაც საზრისი უნდა ჰქონდეს, მათ კი ამგვარი რამ არ გააჩნიათ და სიყვარულისა და სიძულვილის ზღვარზე, რაღაცნაირ გაურკვეველ, ასე ვთქვათ, მესამე მდგომარეობაში იმყოფებიან. მარადიული გრძნობისადმი ამგვარი დამოკიდებულება აშკარად გამოსჭვივის ვასოსა და ბელას დიალოგში: „ეს კაცი ქმარია თუ არა შენი?“ „არის და არც არის“ (ოფიციალურად განქორწინებულები არ არიან).



„—როგორ შეიძლება, ბატონო ვასო, იცხოვრო ადამიანთა თან, რომელიც არც გძულს და არც გიყვარს.“

—ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი, არც გვძულს, არც გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ვცხოვრობთ“.

ეს ცხოვრება კი არა, წუთისოფლის დღეთა თრევაა, როცა ჭეშმარიტი, ნალდი გრძნობისაგან დაცლილი ადამიანები რაღაც მექანიკურად, მოვალეობის ან ჩვევის გულისათვის ცხოვრობენ ერთად, როცა სიყვარული აღარც ახსოვთ, აღარც აღელვებთ, აღარც ფიქრობენ მასზე. პერსონაჟთა სულებში დასადგურებულ სიცარიელეს სხვანაირი მდგომარეობა ნაკლებად შეეფარდებოდა, მათი უპაერო, დახშული სივრცე სწორედ ამნაირ სიყვარულს მოითხოვდა. ბურუსისმაგვარი ყოფიერება, თხზულების პროტაგონისტთა სამკვიდრო, სიყვარულისა და სიძულვილის სხვანაირ გააზრებას ვერ აიტანდა.

რეგაზ ინანიშვილის ჩანაწერი „სამაგიდო რვეულებიდან“:

„რ. ჭეშვილის „კვამლი“. დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ, უკეთესად წერენ ევროპელები? რა საზარელი გამოფიტულობაა და როგორ ტრიალებს და ბორიალობს ადამიანის სული კვამლივით. ყოჩაღ ჭეია.“

მართალია, ეს ჩანაწერი სხვა მოთხრობას ეხება, მაგრამ იგი ორი რამით ჩვენთვისაც უნდა იყოს საინტერესო. ჯერ ერთი, ალბათ, დროა გავთავისუფლდეთ უცხოურის უკრიტიკო აღიარებისაგან. ჩვენში ზოგიერთებს დიდი მწერალი მხოლოდ უცხოელი ჰვინია და ხბოს აღტაცებითაა გამსჭვალული მისდამი. ერთხელ და სამუდამოდ ცოცხალ ქართველ

მწერლებზეც უნდა ითქვას სიმართლე (ამის საუკეთესო მა-
გალითი რ. ინანიშვილის აზრია) და მეორე—„ქვამლის“ მსგავ-
სად, „ცისფერ მთებშიც“ რ. ინანიშვილის მიერ შენიშნული
საოცარი გამოფიტულობაა. ამგვარი გამოფიტული, უსი-
ცოცხლო გარემო ათასგვარი ხერხით წარმოჩინდება და თან-
დათან იმგვარი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არსებული,
მაგრამ არარსებული რეალობაა, რადგან არანაირი შინაარსი
მათ არსებობას არ ეძებნება: „წიდასფერ კალოზე მოტობურთს
თამაშობენ. უზარმაზარ ბურთს დააფხოკიალებენ მოტომზედ-
რები წინ და უკან. წიდასფერი მტვერი და დამწვარი აირი
ადის ბოლქვა-ბოლქვად და ცხელ ჰაერში იფანტება...“

მოედანს იქით ხევია, ხევს იქით რკინიგზის მიწაყრილი. /
მტვრითა და დამწვარი საწვავის ბოლით გაცრეცილ ნის-
ლში იკვეთება ქალაქის ახალი გარეუბნის ერთფეროვანი,
მაღალი სახლების კონტურები“...

გამომშრალი, გამოფიტული, გახუნებულ-გაფერმკრთა-
ლებული ფერებით—წიდასფერით, დამწვარი აირით, მანქა-
ნის საწვავის ბოლისაგან გაცრეცილლი ნისლით იხატება
„ცისფერი მთების“ უშინაარსო, ერთფეროვანი გარემო და
იგი აბსოლუტურად თანხვდება პერსონაჟთა უმოქმედო და
უბადრუქ შინაგან სამყაროს.

მარტო „გრენლანდიის პეიზაჟის“ გახსენება რად ღირს.
აი, როგორ ახასიათებს მას მწერალი: ლაუვარდისფერი გლეტ-
ჩერი გადამხობია ცივი ოკეანის ნაპირს. გლეტჩერს იქით
ცისფერგადაკრული ყინულოვანი ველია. ყინულის ხორგთან
თეთრი დათვი უნდა იყოს დაყუნცული...“ ირონია, გრენლან-

დიდის უსახურ, პირქუშ პეიზაჟს რომ ახლავს, მოლიდნად
გასდევს ნაწარმოებს და ფინალისაკენ ერთგვარ სარკას-
ტულ სახესაც იძენს. მისი გატანა-არგატანა რ. ჭეიშვილისე-
ული თბილი დაცინვის საგანი ხდება. საერთოდ, გრენლანდი-
ის პეიზაჟიც ხომ გარკვეული უსიცოცხლობის აქცენტირებაა.

რ. ჭეიშვილის მოთხოვებში თითოეულ ფრაზას, ნიუანსს
გარკვეული დატვირთვა გააჩნია, შემთხვევითი, გაუაზრებელი
არაფერია. მწერალი დიდ ყურადღებას უთმობს პერსონაჟთა
გვარ-სახელების საკითხსაც. მათში იკითხება წასიათი და
გაცნობის შემდეგ წარმოუდგენელიც გეჩვენება, რომ სახელი
შეუცვალო. „ცისფერი მთების“ პროტაგონისტთათვის მწე-
რალს ყრუ, მკვეთრი სახელები კი არა აქვს შერჩეული
(თვითონ გარემოა ასეთი), არამედ რაღაცნაირად წავერდო-
ვანიც კი, რაც აშკარად გამოარჩევს ნაწარმოებს სხვა
მოთხოვებისაგან.

დაბოლოს, „ცისფერ მთებს“ ვინც გულდასმით წაიკითხავს,
არ შეიძლება რაღაც ელდამ არ შეიპყროს და მონუსხული
არ დარჩეს. ამგვარი გრძნობა ხშირად (ამასაც ჩაკვირვება
უნდა) იმ მწერალთა კითხვისას გვეუფლება, რომელთა
ბრინჯაოს ქანდაკება სადღაც ახლოს გვეგულება და ხში-
რად გვიფიქრია—როგორ ან რატომ ვერ ამჩნევდნენ მის
სიდიადესა და გენიალურობას თანამედროვენი.

„ცისფერი მთები“ (სხვა მრავალთან ერთად) დიდი მწერ-
ლის გენიალური ქმნილებაა.

ოთხი მოთხოვბა

„სერსო“, „მწვანე ჭიშკარი“, „მივემგზავრები მაღრიდს“, „უანჯრები“—ნაირა გელაშვილის ამ ოთხი მოთხოვბის შესახებ გვექნება მსჯელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ მოთხოვბათა წერის მანერა მეტნაკლებად განსხვავებულია, ზოგადი სურათი მოკლედ შეიძლება ასე დახასიათდეს:

როგორც ცნობილია, ტექსტის ჭეშმარიტი არსი ავტორისა და მკითხველის ცნობიერების საზღვარზე ვლინდება. ნ. გელაშვილის მოთხოვბებში ხშირად ძირითადი მთხოვბელი და მთავარი პერსონაჟი ერთი და იგივეა. ამასთანავე, მთხოვბელი მკითხველის გარკვეულ ფუნქციასაც ითავისებს და იქმნება ერთგვარი სამება „მთხოვბელი-პერსონაჟი-მკითხველი“. მთხოვბელისა და პერსონაჟის დაცილების შემთხვევაში, მკითხველის როლს ავტორი კისრულობს და ამდენად მათი თანაარსებობისათვის „მწერალი-პერსონაჟი-მკითხველი“ შეგვეძლო გვეწოდებინა. მოსალოდნელი იყო, რომ ნ. გელაშვილის „მწერალი-მკითხველი“ ტექსტის ზედაპირულ შრეებში მოქცეულ კონფლიქტთა ინტერპეტაციით დაკმაყოფილებულიყო და მკითხველისათვის ქვეტექსტის შიგა სივრცეებში შეღწევა გაეადვილებინა. მაგრამ ხდება პირიქით, რის გამოც თავს იჩენს ერთგვარი მოჩვენებითობა. კერძოდ, ის, რომ პერსონაჟის ბედს, რომელშიც ავტორის პოზიციაა გაცხადებული, ავტორი წარმართავს, მოქმედებათა შეფა-

სებასაც იგი იძლევა. ასეთ შემთხვევაში რეალურმა მკითხველი 300-იანი ლაბირინთი უნდა გადააჭარბოს, თუ კველაფერი ჩვენს თვალშინ მოხდა—სახლი ჩვენი თანამონაწილეობით აშენდა, კარებიც გვახსოვს საით იყო, მაგრამ მაინც ვეძიებთ და ძიებით ისევ ნაცნობთან მივდივართ... მოთხრობის დამთავრებისას ხელახლა ვიაზრებთ მთელ პროცესს და საბოლოოდ მწერლის მიერ კომენტარის სახით გაცხადებული აზრი („მწერალი-მკითხველის“ უუნქცია) გვრჩება ხელთ.

ავიღოთ მოთხრობა „მივემგზავრები მაღრიდს“. მთავარი გმირი—სანდრო ლიჩელი გადაწყვეტს ორი კვირით განერიდოს ყველაფერს, წავიდეს, როგორც ავტორი გვეუბნება, „საკუთარი თავისაკენ“. ამიტომ აბნევს კვალს, სურს, არავინ იცოდეს მისი ადგილსამყოფელი. სამსახურში უფროსს თხოვს, რომ თანამშრომლების თვალის ასახვევად ყალბი მივლინება გაუხერხოს, თვით უფროსს კი გამოუტყდება, ავადმყოფი დედის მოსანახულებლად მივდივარო სოფელში. თავისი ოჯახის წევრებს არწმუნებს, რომ სოხუმში მიდის მივლინებით, ოღონდ ეს მათ არავისთან არ უნდა გაამხილონ: თუ სანდროს ვინმე მოიკითხავს, უნდა უთხრან, კისლოვოლძესკში გაემგზავრა დასასვენებლადო. საყვარელთან („არც ოჯახში, არც სამსახურში“) სანდრო ლიჩელი „აღიარებს“, რომ ქუთაისში მიდის მემკვიდრეობის დასამტკიცებლად.

ასე აღმოჩნდა სანდრო ლიჩელი ყველგან და ამავე დროს არსად. იგი ერთდროულად არის სოფელში, სოხუმში, კისლოვოლძესკსა და ქუთაისში, მაგრამ სინამდვილეში არსად არ

არის. მაშ, სად გაემგზავრა იგი ორკვირიანი უფლებობების შეძლების აღების შემდეგ?

ზემონახსენებ საქმეთა მოგვარების შემდეგ მას ქუჩაში ნაცნობი ხვდება და მათ შორის ასეთი საუბარი იმართება.

—მართლა, ხვალ მაღრიდს მივემგზავრები.

—უჲ! როგორ მოახერხე?

—თუ ძალიან მოინდომებ, ზომ იცი... მთელი ცხოვრების ოცნება მისრულდება, ესპანეთი, მაღრიდი!—ჩემი სიგიჟეა!

ამ დიალოგის შემდეგ მკითხველი ფიქრობს, რომ ლიჩელი ნამდვილად მაღრიდში გამგზავრებას აპირებს, მაგრამ ესეც ილუზია, რადგან სინამდვილეში არავითარ გამგზავრებასთან არა გვაქვს საქმე და იგი მხოლოდ გმირის სულიერი სამყაროს საჩვენებლადაა მოტანილი.

„როდესაც სანდრო ლიჩელმა ცხოვრების ლოგიკას უსწორა თვალი, საღად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადვილად და-ასკვნა: თუ საგზური გამოჩნდებოდა, არ იქნებოდა ფული, როცა იქნებოდა ფული, არ იქნებოდა საგზური, როცა იქ-ნებოდა ორივე—არ მისცემდნენ შვებულებას, თუ იქნებოდა სამივე, უღალატებდა ჯანმრთელობა. როცა იქნებოდა ოთხივე—მოუკვდებოდა დედა, ავად გაუხდებოდა ცოლი ან თვითონ წაიღებდა წერილს, ანუ გაემგზავრებოდა სამყაროს ქველაზე საინტერესო ქვეყანაში, გარკვეული მსოფლმხედველობის წარმომადგენელი „მოუსავლეთს“ რომ ეძახიან. ამი-ტომ მიდის საავადმყოფოში, საღაც ეძლევა საშუალება, ოც-ნებით წარმოსახულ ქვეყანაში გადასახლდეს.

მკითხველი თანდათან რწმუნდება, რომ სანდრო ლიჩელი უკიდურესად მეოცნებეა და მისი ასეთი მიღრეკილება ოც-

ნების პრაქტიკული განუხორციელებლობით არის განვითარებული რობებული. მწერალი დამაჯვერებლად გვიხატავს გმირის სულიერ სამყაროში ფანტაზიისა და რეალურობის მონაცემების: „ნუ გაგიკირდებათ, მეგობრებო! „ვითომ“ — ეს მრავლის მეტყველი ენობრივი ფენომენი, ჩვენი ყოფიერების რაღაც უღრმეს მოვლენას რომ გამოხატავს, კერძოდ კი, არარსებულ არსებულს, საერთოდ სანდრო ლიჩელის (და არა მარტო მისი) ცხოვრების არსებითი განზომილება გახლდათ! მისი ცხოვრების ორივე ძირითადი ნაკადი — როგორც ხილული (სამსახური, ოჯახი და სხვა), ასევე უხილავი (მოგზაურობა და სხვა) „ვითომ“-ის ცოორილი ვარსკვლავით განათებულ სივრცეში მიედინებოდა. პირველი იმიტომ, რომ იყო და არც იყო, რაკი ლიჩელი მასში მთელი არსებით არ მონაწილეობდა, მეორე კი არ იყო და მაინც იყო, რამდენადაც არც ლიჩელის არსების არსებითი ნაწილი დაეპყრო და გაეტაცნა“.

სანდრო ლიჩელს „ამოაჭრეს მაღრიდი“ — ოცნებისა და ფანტაზიის სიმბოლო და ამით იქნა დაძლეული ის ცალმხრივობა, რაც მის სამყაროში ოცნების აბსოლუტურმა გაბატონებამ გამოიწვია.

მოთხობა „სერსო“ მშვენიერების გადარჩენას ეხება. მარიანა გარეგნულად და შინაგანად სრულყოფილი ქმნილებაა. გარეგნულობას იშვიათი სილამაზე ქმნის, ხოლო შინაგანი სამყარო იმით შემოიფარგლება, რომ მარიანას შეუძლია იმღეროს, ფაიფურის თოვინაში შემოქმედი სულია ჩა-

სახლებული, რომელიც ფაქიზ მოპყრობასა და დიდ შურალ-
ღებას მოითხოვს. ასეთ ფიზიკურ და სულიერ საწყისთა
ერთიანობით იქმნება მშვენიერება. მარიანა—თოჯინა სერ-
სოს ქალის დისშვილის სახელს ატარებს და მისი სულიერი
მემკვიდრეა—ორივენი უტილიტარიზმს ეწირებიან. მარიანა,
სერსოს ქალის დისშვილი, ახლობელთა პრაქტიკულმა ინ-
ტერესებმა იმსხვერპლა, ჩაკლა მასში შემოქმედი სული, რაც
ფიზიკური სიკვდილის ტოლფასია. იმისათვის, რომ რეჟისორს
დედამისისათვის კარგი როლი შეეთავაზებინა, ეს უკანასკნე-
ლი თანახმა გახდა ანდალუზიური ცეკვები (რაც მარიანა-
სათვის არ იყო გასართობი) მარიანას ნაცვლად რეჟისორის
შვილს ლიზის შეესრულებინა. მარიანას უკანასკნელი
სათხოვარი იყო: „ელიზამ იმღეროს“ და ელიზაც ამღერდა
(ელიზა მარიანა-თოჯინას პირველსახელია). ასე გადავიდა
მარიანას სული მარიანა-თოჯინაში და სახელთა იგივეობითაც
გაფორმდა. წინათ სერსოს ქალის დამოკიდებულება მარია-
ნასადმი ესთეტიკურის სფეროს არ სცილდებოდა, მაგრამ
მალე გაუჩნდა ინტერესი და მარიანა მოგების წყაროდ, სერ-
სოს ნივთად აქცია. მშვენიერება ქრება, როგორც კი დაუინ-
ტერესებლობის სფეროდან გამოდის და ამა თუ იმ პრაქტი-
კულ ინტერესს იძენს. ამიტომ მარიანამ მხოლოდ ფიზიკუ-
რობა შეინარჩუნა და სულიერი საწყისი—სიმღერის უნარი
დაკარგა. ასეთ მიკროკონტექსტში მართებულია ჩერნიშევ-
სკის მოსაზრება: „მშვენიერი არის ის არსება, რომელშიც
ჩვენ სიცოცხლეს ვხედავთ ისეთს, როგორიც უნდა იყოს იგი
ჩვენი წარმოდგენით: მშვენიერია ის საგანი, რომელიც თავის
თავში გამოავლენს სიცოცხლეს ან მოგვაგონებს სიცოცხლეს“.

მარიანა-თოჯინაში გამოვლენილ სიცოცხლეს საფრთხე შეა-
ექმნა და მისი გადარჩენის აუცილებლობა წარმოდგენილი
იგივე სულიერი საწყისის—სიძლერის უნარის დაბრუნებაა,
რაც დიდი ნებისყოფისა და ღრმა სულიერი სივრცის ბიჭმა
შეასრულა—ჩამოაშორა მარიანა მერკანტილისტურ სამყა-
როს, დაუბრუნდა სიძლერის უნარი და მიანიჭა თავისუფ-
ლება.

ბიჭს არა აქვს საშუალობისაკენ მიმსწრაფი შინაგანი
ენერგია. უმაღლესი სურვილისაკენ მიმავალი ფოტოგრაფი
კი უმცირესსაც არ თაკილობს ხშირად. სურათების გამოფე-
ნა სამსახურის შოვნის კარგი საშუალება იყო და მშვიდად
დაშორდა საგამოფენო კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც
მისი სურათები მოიწონა, მ.მ.-სი—არა. ფოტოგრაფს მ.მ. მთელი
არსებით უყვარდა. სიყვარული მისთვის უმაღლესი სურვილი
იყო, რომელიც ყველაფრის შეწირვას მოითხოვდა. ფოტოგ-
რაფს ეს არ შეეძლო და მცირედდა—სამსახურის შოვნის
სურვილმა ათქმევინა სიცრუე: თითქოს მ.მ.-ს სურათებმა და-
იგვიანა და ამიტომ არ მიიღო საგამოფენო კომისიის თავმჯდო-
მარემ. ასეთი კომპრომისით კი დიდი სურვილის მიღწევა
შეუძლებელია. ფოტოგრაფმა მ.მ.-ს სიყვარულის დაკარგვის
შემდეგ დაიწყო „ხეტიალი შემოღომის ბალებში“—დაკარ-
გვის მიზეზის ძიება. ხოლო როცა კუს ტბაზე მ.მ.-სათვის
სურათის გადაღება გადაწყვიტა, უცებ ბურქებიდან მომავალ-
ში მარიანას გადამრჩენი ბიჭი ამოიზარდა და მასთან ერთად
მოხვდა კადრში—მათი შესაძლო ყოველდღიური ინტერე-
სებით შემორკალურ სამყაროში დიდი სურვილით ანთებულ-



მა პატარა ბიჭება შემოიხედა. საერთოდ, მოთხოვობაში ცენტრული სონაჟები ფოტოპორტრეტებით შემოდიან და გარკვეული მიზნებით კავშირით ერთიანდებიან:

„ბოლოს ჩემი ფოტომოთხოვა წინ გავიშალე და ჩავუკვირდა:

1. მ.მ. და მის უკან, ბუჩქებში უცნობი ბიჭი.
2. ცარიელი კარუსელი და მის ფონზე ქალი მარიანასთან ერთად.
3. სერსოს მოაჯირთან ქალი. მის კალთაში მარიანა, შორს ფიცარნაგი სამიზნებით.
4. ბიჭი რგოლს ისვრის. ქალი მოაჯირის კუთხეში და მარიანა პირამიდაზე.
5. მეცხრე ნომერი ღურჯ რგოლში.
6. ბიჭს მარიანა უჭირავს წინგაწვდილ ხელებში.

შემოდგომინდელი ამბავი კი თანმიმდევრულადაა აღბეჭდილი, მაგრამ ერთმა გარემოებამ გამაოცა და მიიპყრო ჩემი ყურადღება. რაც ერთ სურათზე ფონია, მომდევნოზე მთავარ საგნად არის ქცეული. ეგრეა ბიჭი, კუსტის ფოტოზე რომ ფონს ქმნის და მეოთხეზე მთავარ პლანს, და ქალი და მარიანაც, კარუსელის ფოტოზე შორეულ კუთხეში რომ მოსჩანან და შემდეგ წინ გადმოდიან („ამიტომ მიყვარს ჩემი აპარატი ამ ფონის გამო და იმიტომაც, რომ იგი ნაჩუ-კარია“).

მოთხოვობაში ერთ მხარეზე დგანან ადამიანები, რომელთაც აქვთ იდეალი, მაგრამ არ შეუძლიათ მისი განხორციელებისათვის ბრძოლას შესწირონ ყველაფერი. სერსოს ქალი და ფოტოგრაფი ყველაზე მეტად გრძნობენ, განიცდიან და

იტანჯებიან კიდეც იმით, რომ საყოველთაო პრაქტიკულმა გარემომ შინაარსი დაუკარგა, არარად აქცია მათი იღეალი. მათ უპირისპირდება ბიჭი, რომლის ფუნქციაა, დააფიქროს ისინი თავიანთ ყოფაზე და მაგალითით (მარიანა—მშვენიერების გადარჩენა) მოახდინოს პრაქტიკულობისაგან მიჩქმა-ლული მათი სულის ევოლუცია. ბიჭს ყველაფერი უმანკო, პირველყოფილი სიყვარულით უყვარს, მისი სოციალური ფორმირება არაა დასრულებული, მისთვის ჯერ კიდევ არ დაუქროლია იმ საშინელ ქარს, რომლითაც იგი ბავშვობის სამყაროს გამოეთხოვებოდა და მისი სული წვიმებისაგან ამღვრულ გუბეს დაემსგავსებოდა.

მოთხრობის ფინალში გაჩერებული საბარგო ვაგონიდან ფოტოგრაფი საბავშვო ბაღსა და მასში მოფუსფუსე ბავშვებს იღებს: „ამ ფოტოს ფონი აღარა აქვს. ქვემოთ დედამიწაა და ზედ ბავშვები უზარმაზარი ხეების ძირში: თავგადაგდებული, ხელებგაწვდილი, მოფუსფუსე სხეულები და მათზე რკინის ვაგონის მუქი ჩრდილი...“ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჩანართი მოულოდნელობისა და ინფორმატულობის საზღვარს არ სცილდება, მისი საშუალებით მწერალმა ზოგადობისაკენ მიგვითითა: „სერსოს“ სამყარო განავრცო და გააფართოვა. თუმცა ამის გარეშეც არ შეგვეძლო იგი ვიწროდ და თვითკმარად ჩაგვეთვალა.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი და ამბის მთხრობელია ფოტოგრაფი. იგი გამორჩეული პროფესიის ადამიანია და დიდი ხანია აინტერესებს მწერლობას. ექსპრესიონისტული ხელოვნება ასეთ შემთხვევაში ძირითადად კ. ედშმიდის გამონათქვამით საზრდოობდა: „სამყარო არსებობს, უაზრობა

იქნება მისი განმეორება“ ფოტოგრაფი ყველაფერს წატურად ლისტურად ხედავს და იმეორებს, მისთვის ხილვაა მთავარი. ექსპრესიონისტებმა კი, როგორც ცნობილია, ხილვას ჭვრეტა დაუპირისპირეს და იგი აქციეს მხატვრული შემეცნების ძირითად მეთოდად. ფოტოგრაფის შემეცნებითი სფერო სამყაროს მხედველობითი აღქმითაა შემოფარგლული და ექსპრესიონისტთა ძირითადი დებულების—სინამდვილეში, ობიექტში შემაღული სუბიექტის სულის აღმოჩენა შეუძლებელი ხდება. ქართულ ლიტერატურაში ასეთია კ. გამსახურდიას ნოველა „ფოტოგრაფი“, რომლის ფინალშიც ზემოთ მოტანილი ძირითადი დებულებიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნაა გაკეთებული ფოტოგრაფის საქმიანობის შესახებ:

„კარი გაიღო, შავი ფრინველი დინჯად შემოვიდა. ნისკარტით აიღო ნაციები სოფლისა და ელექტრონიანი ქალაქის სურათი. თავზე გადაახია ფოტოგრაფის. ფოტოგრაფი წამოდგა. ფოტოგრაფიულ აპარატზე წამომჯდარ სტუმარს დააცემერდა.

—ქვეყანა სურათის გადაღებად არა ღირს,—დაიყრანტალა სტუმარმა და გაფრინდა.

ფოტოგრაფმა თავისი აპარატი გადმოიღო. ჩექმის ქუსლით დაამტვრია. ამის შემდეგ მას სურათი აღარ გადაუღია.

ფოტოგრაფი ახლა წიგნსა სწერს: „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებად არ ღირს“.

6. გელაშვილის მოთხრობაში განსხვავებული გააზრება გვაქვს და ეს ნოველა, ყოველგვარი პარალელის გარეშე, საკითხის ისტორიისათვის გავისხენეთ.

მოთხრობაში „სერსო“ ფოტოსურათი მთხრობელის მიერ

არა მარტო გარეგნულადაა დახასიათებული, არამედ გამჭვიფვა არა
ნებულია დამკვირვებლის პოზიციაც—რას ვგრძნობთ, ჩოცარი ასეთსა და ასეთ სურათს ვხედავთ:

„საუკრანალე ფოტოებიც კარგად გამოვიდა და ის ორი
ხომ შესანიშნავად—კარუსელი და სერსო, ვხედავ საოცრად
ძლიერად გამოხატულ მარტოობას, მარტოობის წუთებს. რა-
ღაცნაირადაა დაჭვერილი შემოდგომის ფარული ჰიპნოზი, გა-
რინდების, სიჩუმისა და სიმარტოვის ყვითელ წყალში რომ
გვძირავს, მონუსხულებივით გვიშტერებს თვალებს. განა სა-
შინლად მარტო არ არის ეს კაცი ცარიელ, უძრავ კარუსელ-
ზე, უსულო დედოფალა რომ უზის კალთაში და მასთან
ერთად შორს იმზირება, თითქოს სივრცის უხილავ წერ-
ტილს შეწებებოდეს მისი გუგები? და ეს ქალი და კაცი იქ
არ არიან, სადაც სხედან, არამედ—სადღაც, ყველანი—ქა-
ლიც, დედოფალაც, ცხენიც და კაციც იმზირებიან შორს,
ძალიან შორს, ან არსად...“ (ხაზგასმა ყველგან ჩემია ე.თ.).
როგორ აღვიქვათ ეს „შორს, ძალიან შორს, ან არსად...“
ცნობილია, რომ როლან ბარტისათვის ფოტოპორტრეტი მე-
დიუმის როლს ასრულებდა და, მისი ნახვისას სიკვდილს
ხედავდა. „ფოტოგრაფია მიჩვენებს მე სიკვდილს მომავალ-
ში“—აცხადებდა იგი. ზემომოტანილ ნაწყვეტში სურათი აღიქ-
მება არა უშუალოდ, არამედ შეგრძნებით „იკითხება“ და
დაინახება სულის ის სიღრმე, რაც მიუღწეველია ჩვეულებრივი
თვალისათვის.

ფოტოსურათს რეალური დროის ფარგლებიდან გავყავართ
და საფიქრალად განვითარობს. იგი თითქოს გამორიცხავს
თვისუფალ აღქმას, მაგრამ პირიქით, ხელს უწყობს მის

წარმოშობასა და არსებობას, რადგან სურათის პერცეფციაზე არ ემორჩილება დროში თანმიმდევრობის კანონს და მომზღვარის და შესაძლო მოსახლენი ერთდროულად აღიქმება. სუბიექტის მიერ აღქმული დრო წამიერ აწმყოზეა დაფუძნებული, რადგან წარსული არის ის, რაც უკვე იყო, მომავალი ის, რაც ჯერ არ ყოფილა.

ფოტო, რ. ბარტის მიხედვით, აჩერებს დროს, მაგრამ არ უარყოფს მის მსვლელობას. ფოტოგრაფიული დრო სრული წინააღმდეგობით აღსავსე დროა—„ახლანდელი წარსული“. თავისი აზრის საილუსტრაციოდ კრიტიკოსს მოჰყავს ასეთი მაგალითი: 1865 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სიუარდის მოსყიდვისათვის სიკვდილმისჯილი ლუის პეინის ფოტოპორტრეტი ეკუთვნის ალექსანდრე გარდნესს, რომელმაც იგი შეასრულა პეინის სიკვდილით დასჯის წინა დღეს. სურათზე, ბარტის მიხედვით, ერთმანეთს დაემთხვა ორი მომენტი—მასზე გამოსახული ადამიანი ხვალ უნდა მოკვდეს და ის, რომ იგი უკვე მკვდარია, ე.ი. „ეს მოხდება“ და „ეს მოხდა“ ერთდროულად აღიქმება მნახველში.

„სერსოში“ არსებობს მოთხრობის წინასწარი, ერთგვარი მონტაჟური ვარიანტი, ძირითადი ამბავი შვიდ ფოტოზეა აღდეჭლილი. პერსონაჟები და მათი სამყარო ფოტოპორტრეტებით შემოდიან ტექსტში და ხდება მათი ერთგვარი ეკრანიზება მწერლური საშუალებებით. ასეთი ხერხით (პერსონაჟთა ფოტოებით შემოყვანა) წარსულიდან აწმყოში ამოიზიდება ამბავი და მიიღწევა მისი სასურველი გააზრება. იქმნება პირობითი, კატეგორიულობას მოკლებული დრო, რომელსაც ასეთი თვისება აქვს: „მივენდოთ დროს—ეჰ, თუკი

დრო გვაქვს (თუ არადა, დროის გარეთაც ხომ გაგებულება აქაურობა, დროის ფარული ნამუშევარი)—მუდამ აკეთებს თავის საქმეს და მუდამ ზუსტად: ჩუმად შლის, ცრიცავს, ჩუმად ამჟღავნებს და სახეცვლილად დაგიბრუნებს შენს დაკარგულს, თავის წარომეულს, ისევ თავიდან შეგძენს, თუკი მართლა შემძენელი ხარ“... ე.ი. დროის თვისება მოვლენათა და საგანთა სასურველი თუ არასასურველი გარდაქმნა-განახლება და ცვალებადობაა, ხოლო ისეთი სამყარო, სა-დაც ასეთი ცვლილება არ ხდება, მოკლებულია მის მდინა-რებას. მწერლის მიერ დროითი ფაქტურის ასეთი გააზრება ის მხატვრული ხერხია, რომელიც მკითხველამდე სათქმელის ნათლად მოტანის საშუალებას იძლევა. „სერსოს“ სამყარო ერთფეროვანი და ნორმირებულია. მისთვის ყოველდღიური მკაცრი რეუმითაა განსაზღვრული და იგივეა, რაც მარადი-ული. აქ დრო მოძრაობს, მაგრამ სასურველი გარდაქმნა-განახლება არ ხდება, ე.ი. „გაჩერებულია“. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი „გაჩერებულია“ რაღაც მოძრა-ვისა და ცვალებადის მიმართ. ასეთია ბიჭის სამყარო, რო-მელსაც დროის ფლობა და მაღალი მიზნებისაკენ წარმარ-თვა შეუძლია. კარუსელის ფოტოსურათის დახასიათებას ასეთ-ნაირად აგრძელებს მწერალი: „ისეთი ადგილი შევარჩიე, რომ კარგად გამოჩენილიყო მისი (კარუსელის, ე.თ.) სამწ-ყსო: ცხოველები და ფრინველები, რომლებიც არასოდეს იძვროდნენ ადგილიდან, რომელთაც მხოლოდ ტრიალი ერ-გოთ, ტრიალი ერთ დაკანონებულ წრეში, როგორც პარკის შადრევნების წყალს მოძრაობა უცვლელ რკალებად ან შვე-

ულ ზაზად და ახლა ეს ცხოვრებაც ენატრებოდათ: ნისკართული ტწატეხილ წეროს, თვალებამოვარდნილ ირემს, გვერდჩა მოფლეთილ სპილოს და განა ჩვენც ასე არ გვაქვს თავები წინწაწვდილი და წინ არ მივისწრაფით? მაგრამ სად არის „წინ“?

ვინ იცის რამდენჯერ გავიფიქრებთ, რომ მოთხრობაში დროის სიმბოლოა კარუსელი, ხოლო სერსო კი იმისა, რაც მის (დროის) მსახვრალ ხელს შეიძლება დასტყუო, გამოსტაცო და შენად აქციო.

საინტერესოა „სერსოს“ შედარება თანამედროვე არგენტინელი მწერლის ხულიო კორტასარის მოთხრობასთან „ეშ-მაკის დორბლი“. ორივე შემთხვევაში მთავარი გმირი ფოტოგრაფია, ორივეგან დარღვეულია დროის საზღვრები. მიშელი რობერტი, „სერსოს“ ფოტოგრაფის მსგავსად, შემოდგომის ხედების გადაღებას გადაწყვეტს და მის მიერ კადრზე აღბეჭდილის მწერლისეული გააზრება იქცევა მოთხრობის ფაბულად. მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაცაა: ერთ შემთხვევაში მომხდარი აღდგება მხოლოდ (წარსული-აწმყო—„სერსო“), მეორე შემთხვევაში კი არ სებულ მყოფობას შესაძლებლობაში მყოფობა ემატება და საქმე გვაქვს დროის სამივე ფორმის ინთეზთან (წარსული გადმოდის აწმყოსა და მომავალში—„ეშმაკის დორბლი“).

დროის საინტერესო გააზრება გვაქვს მოთხრობაში „მწვანე ჭიშკარი“, სადაც ასეთი ამბავია მოთხრობილი. პერსონაჟი ოცი წლის შემდეგ უბრუნდება მშობლიურ კერას. შინ არა-

ვინ ხვდება. მეზობლებისაგან შეიტყობს, რომ მშობლები ვერ ვიცით თადერთი შვილის საფლავზე არიან წასული (ეს ერთადერთი შვილი თვითონაა). ათი წლის წინათ პლაჟზე მისი ტან-საცმელი უნახავთ, დამხრჩვალად მიუჩნევიათ, ტანსაცმელი დაუმარხავთ და გლოვობენ. სინამდვილეში პლაჟიდან მეტ-ყევის ქალიშვილს გაჰყვა და ტარსაცმელი აღარც გახსენებია. ასე იქცა ცოცხალი ადამიანი მკვდრად, „სიკვდილამდე ადრე მიიცვალა“. პერსონაჟი არჩევანის წინაშე დადგა—ყველაფერი გააძევოს სახლიდან, რაც მისი სიკვდილის დასტურია და განაგრძოს ცხოვრება, რაც იქნება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, თუ რაც შეიძლება მალე გაეცალოს აქაურობას. მან მეორე გზა აირჩია.

გმირისათვის ერთადერთი დრო წარსულია. აწმყოს მიხედვით, იგი მკვდარია. შეუძლია დაბრუნდეს წარსულში და ბრუნდება კიდეც... „სამი კვირის შემდეგ მზე ღრიანკლის ზოდიაქოში შევა. მერე კი მისი დაბადების დღეც მოდის. გადაუხდიან? რა თქმა უნდა. იქვე, ფანჯარასთან, კედელზე მიმაგრებულ კალენდარს შეხედა, რომელიც ქარმა ფოთლებთან ერთად ააშრიალა. ეს კი შეშლიათ. რა უნდა ამ ოთახში კალენდარს, აქ ხომ დრო არ იძვრის“. შემდეგ ფრთხილად მივიდა. „იპოვა რომელი რიცხვიც უნდოდა—თავისი დაბადების დღე, ჩამოხია, ოთხად გაკეცა და ჯიბეში ჩაიდო“.

მოვლენის განვითარების ლოგიკა მართებულია, მაგრამ აკლია სრულყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ ამბავი არაჩვეულებრივი, ერთი შეხედვით, მომნუსხველიცაა. მაინც ისე-



თი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალმა წინასწარ შეუძლია ადგინა სქემა და შემდეგ შეაკონტიცა ამბავი, რომელიც შეტყისილრმისეულ დამუშავებას მოითხოვდა. სქემურობა საერთოდ ნიშანდობლივია ნ. გელაშვილის მოთხრობათათვის, მაგრამ აქ იგი ზერელე ლოგიკასაა დამორჩილებული.

ნაწარმოებში არის ერთი მეტად საყურადღებო ადგილი: შინდაბრუნებულ პერსონაჟს ახსენდება, რომ მახლობელ გორაზე უყვარდა მარტო ხეტიალი.

„მწვანე ხვლიგებს იჭერდა, მზეზე რომ თბებოდნენ... ერთხელ მორიელიც დაიჭირა. შუშის კოლოფში ჩასვა და უყურებდა. დედამ კი აიღო და ზეთში ჩაჭყლიტა, წამალია, მაგისსავე ნაკბენს არჩენსო. კინაღამ გაგიუდა, რა გინდოდა ჩემს მორიელთან, ხელი როგორ ახლეო. გაჩუმდი, არაფერი რომ არ იცი, უთხრა დედამ, არ გაგიგია, ტყვეობას რომ ვერ იტანს, მაინც თავს მოიკლავდაო. თვითონ მოეკლა თავი, შენ რას ჩაახრჩვე მაგ ზეთშიო, არ ჩერდებოდა. მერე სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა მოეკლა მორიელს თავი. თან ისიც აინტერესებდა, მართლა მოურჩენდა თუ არა ის ზეთი ნაკბენს“. ამ პატარა ნაწყვეტში მოთხრობის სიმბოლური ქვეტექსტი მაღალპროფესიული უბრალოებითაა გახსნილი. ვფიქრობთ, ასეთი ასოციაციური პარალელები საკმაოდ გააღრმავებდა ტექსტს და პრობლემის მართებული გადაწყვეტა ზედაპირული აღარ გამოჩნდებოდა.

„ფანჯრები“ გამოირჩევა ნ. გელაშვილის სხვა მოთხრობებისაგან. მასში ოთხი მთხრობელი პერსონაჟის ფიქრი და

განსჯა ენაცვლება ერთმანეთს. ყველა პერსონაჟი პირველი დღის პირით საუბრობს და ემსახურება მთავარი გმირის წარმოჩენასა და ახსნას, რებული ქალის სულიერი სამყაროს წარმოჩენასა და ახსნას, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საშუალებაა ზოგადის გამოსაკვეთად. პერსონაჟთა მონოლოგური თხრობა თავისუფლად დაიყვანება მის პირველად ფორმაზე—დიალოგზე და გაიაზრება, როგორც საუბარი საკუთარ გაორებულ სამყაროში პირობითად უარსაყოფად განწირულ მე-სთან, შენივე არსების მეორე პოლუსთან, რომლის „განდევნა“, „უარყოფა“ წარმოშობს თვითშეცნობის ბიძგის მომცემ წინააღმდეგობას.

მოთხრობის ძირითადი თემაა სიყვარული. მასში წარმოჩენილია, თუ როგორ ირლვევა ჩვენს ეპოქაში, ნივთის ადამიანზე ბატონობის დროში, პიროვნების შინაგანი სამყარო, როცა ადამიანი აღმოჩნდა მარტო, მაგრამ ვერც „საკუთარი მე-ს მედ იქცა“ (ნოვალისი).

მოთხრობაში ხელოვნურადაა შენილბული, თუ სად ხდება მოქმედება და სად რომელი პერსონაჟი მოქმედებს (მოქმედებას აქ პირობითად ვხმარობთ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობაში თითქმის ყველაფერი მომხდარია).

მკითხველს რომ დაბნეულობა თავიდან ავაცილოთ, გავარკვიოთ ეს საკითხი: მოქმედება ხდება ორ ადგილას—მეშვიდე, სადაც არიან შეყვარებული ქალი და ვაჟი, და მეთოთხმეტე სართულზე, სადაც ცხოვრობენ დედა და შვილი (პოეტი).

„აი, იმ ფანჯარაშიც რომ ჩაქრება სინათლე, სულ ზედა



სართულზე, სულ განაპირობას, წავალ. რომელი სართულება? —მეთოთხმეტე“.

ასე იწყება მოთხრობა და იმ ადგილამდე: „—დაიძინე, შვილო, უკვე გვიანია“, ერთმანეთს ენაცვლება შეყვარებული ქალისა და ვაჟის მონოლოგები. ამის შემდეგ ვგებულობთ, თუ რა ხდება მეთოთხმეტე სართულზე, რომლის აღწერის შემდეგ ერთგან კიდევაა ჩასმული შეყვარებული ქალის მონოლოგი („მახსოვს მეუბნებოდნენ, წადი...“)

რამდენადაა ბუნებრივი თხრობის ასეთი ხერხი? ვფიქ-რობთ, რომ იგი მკითხველისათვის ერთგვარ რებუსს ქმნის და მის ამოხსნას ნ. გელაშვილისათვის ნიშანდობლივი უსახელო პერსონაჟები აძნელებენ.

გამორჩეულობის მეორე მხარე კი ისაა, რომ მწერალი მაღალპროფესიული ოსტატობით ახერხებს ემოციური და განსჯითი ელემენტის შეთავსებას და მათ სინთეზში აბსოლუტური ზომიერების დაცვას.

ზემოთ ვთქვთ, რომ ყველა პერსონაჟი შეყვარებული ქალის (ვუწოდოთ მას მთავარი გმირი) სამყაროს საჩვენებლადაა მოხმობილი. იგი მარტოსულია — დედა აღრე გარდაეცვალა, მამამ სხვა ქალი შეირთო, ბავშვი დეიდასთან გადავიდა საცხოვრებლად: გავიდა სკოლის წლები... დეიდა მეუბნებოდა, წადი, უკვე დიდი ხარ, შენს გზას უნდა დაადგეო. ეს იყო „წადი“ და როგორ უდერს „დარჩი“? როგორ გაისმის ეს სიტყვა? „დარჩი, ნუ წახვალ“. რა ხდება ამ დროს? უთქვამთ, უთქვამთ... მაგრამ თუ ის არ გეტყვის, ვინც გინდა რომ გითხრას, იგივეა, რაც არავის ეთქვას. სინამდვილის ასეთმა გამძაფრებულმა აღქმამ უკიდურესობამდე

შეკვეცა კავშირი საზოგადოებასთან და პერსონაჟი არსებობის აბსურდულობის ერთგვარ აღიარებამდე მიიყვანა და მტკრისა ვიჯერე, რომ სხვის ადგილას ვცხოვრობდი, რომ ჩემი წილი არაფერი გამაჩნდა ამქვეყნად, რომ არაფერი არ მეკუთვნოდა“...

მოთხოვთ შესაძლო-რეალური წარმოსახულს ერწყმის და მათი იმგვარი არატოლფარდი სინთეზი იქმნება, რომ რეალური მხოლოდ საძირკვლის ფუნქციას ასრულებს, წარმოსახულს კი გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. პერსონაჟს მიკროსამყაროში ორი ინდივიდი შემოჰყავს. პირველი გულგრილად ეკიდება ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას და „ბუნებრიობისაკენ“ ისწრაფვის. მას შეუძლია კამიუს მერსოს მსგავსად აღტაცებით წამოიძახოს: „რა მშევნიერი მზეაო“, შემდეგ კი მოხუცი დედა ყვირილითა და მუჯლუგუნებით გამოიყვანოს საერთო აივანზე, დასვას, უფრო სწორად, დააგდოს ხის მოაჯირზე, ჩაკეტოს კარი და თვითონ სადღაც წავიდეს, ან ოთახში დარჩეს. და მეორე—მოხუცი ქალი, რომლის საქციელშიც რაღაცნაირი მიწიერი სისუსტე და ღვთაებრივი კოშმარია განზავებული. მისთვის სიცოცხლე შვილის სიკვდილის შემდეგ აზრდაცლილი შეიქნა, გამოიფიტა, მყუდრო სიცარიელე გახდა, ვერ იტანდა, რომ ამ სიცარიელეში ვიღაც ხმაურობდა—იზრდებოდა და წყევლიდა მას. ორივე დეტალი ერთმანეთს ავსებს და ანზოგადებს: პირველის საფუძვლიანი გულგრილობა, მეორისა—ფატალური შიში სიცოცხლისადმი. ორივენი ერთ დიდ აზრს ეჭიდებიან—გარდაქმნან არსებობა, რაც პირველისათვის მშობლიურისადმი ზურგის შექცევა და საკუთარ „სურვილთა“ დაქმაყოფილებისა-

კენ სწრაფვა იქნება, მეორისათვის კი—სიცოცხლის გამართვის დღიულება. ორივე აზრი მიუღწევადია—ადამიანს არ შალუშს უარყოს მოყვასი, შეუძლებელია მისი ასეთი დეგრადაცია და მეორე—სიცოცხლე რომ დაუსაზღვრავი გახდეს, სიკვდილის გამოგონება გახდება საჭირო. მოცემულ შემთხვევაში საკითხის მხატვრული გადაწყვეტა კი არა, სინამდვილის ჰიპერტროფირებული ზიღვა დომინანტობს და გარკვეულ ფონს უქმნის მთავარი პერსონაჟის სულიერი სამყაროს ჩვენებასა და ახსნას, ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი არაკომუნიკაბელობა ადამიანთა სულიერებაში „სიცივის ზონას“ ქმნის და აეჭვებს მათ საკუთარ სრულფასოვნებაში:

როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობის ერთ-ერთი ძირითადი თემაა სიყვარული, სადაც იგი გაგებულია როგორც მეორე არსების სულიერ სამყაროში შეღწევის, გაერთარსების რთული პროცესი, რომლის შემდეგაც არ შეიძლება ადამიანი თავის თავში ჩაკეტილი იყოს. იგი ვიღაცის სულიერი თავშესაფარი უნდა გახდეს, რაც გარკვეულად ორივე მხარისათვის სხვადექცევასაც გულისხმობს: „შენში არ მიშვებო, კარს არ მიღებ, რადგან მე ისევ ჩუმად ვიყავი“... ამრიგად, მარტობის უარყოფა საკუთარი ჩაკეტილი არსებიდან გაქცევად და მეორე არსებაში საყრდენის ძიებად (რაც სიყვარულის საწყისადაა გაცხადებული) აღიქმება.

აი, ის, რაც ამ პატარა მოთხრობის გამო შეიძლება ითქვას. ზოგადად კი, ვფიქრობთ, რომ „ფანჯრების“ თხრობის მანერა მკითხველში ერთგვარი დაბნეულობის გრძნობას იწვევს და ანელებს ამ ნაწარმოების ერთიანი აღქმის პროცესს.

ჩამავალი მზის პარადიგმა

ლია სტურუას პოეზიას თაყვანისმცემელიც ბევრი ჰყავს და პირიქით... ამას, უპირველესად, მისი გამორჩეული, ინდივიდუალურად გამოკვეთილი პოეტური ხელწერა განაპირობებს. ამგვარი პოეტი არ შეიძლება ნაწილობრივ გხიბლავდეს, მის ექსპერიმენტთა მხოლოდ ნაწილს იზიარებდე, ღ. სტურუა იმდენად ჯიუტად აგრძელებს ერთხელ არჩეულ პოეტურ გზას, რომ ლირს მასზე დაფიქრება, მისი ლექსების ზოგი-ერთ ნიშან-თვისებაზე დაყრდნობით რამდენიმე დასკვნის გა-კეთება.

ღ. სტურუას პოეზია გარეგნული მომხიბვლელობით არ გამოირჩევა. მისთვის ზედაპირული აღმაფრენითა და აღტაცებით შექმნილი ლექსი უცხოა. პირიქით, პოეტი ცდილობს, რაც შეიძლება უფრო ღრმა ქვეტექსტით დატვირთული გახადოს თითოეული სტრიქონი. ამ პრინციპით იმდენადაა გატაცებული, რომ ლექსის ემოციურ დატვირთვას უგულ-ვებელყოფს და ცდილობს, გონების სიღრმიდან მომდინარე მშრალი, თითქოს გაქვავებული განცდით დატვირთოს იგი.

ღ. სტურუას პოეზიაში შეცნობადობის ელემენტი მძაფრ ფსიქოლოგიზმთანაა წილნაყარი, რომლის მთავარი მიზანი შინაგანი წონასწორობის მიღწევაა, თუმცა ეს წონასწორობა მაინც რაღაცნაირად დარღვეული, ამორფული მთლიანობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი სიტყვით, განსჯითი



საწყისის მდინარება სრული ჰარმონიისა და სიმშვიდეს მიღწევს. წევას კი არ ესწრაფების, პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პოეტს განზრახულის შუა გზაზე მიტოვება უფრო ხიბლავს, ვიდრე იმ სრულყოფილების აღზევება, რისთვისაც, საბოლოო ჯამში, იქმნება ესა თუ ის ლექსი. ამიტომ აზრის ამგვარი დინამიკით „განვლილი გზა“ მაინც დანაწევრებული, დაჩეხილი და ნაკლულოვანი ჰარმონიის შთაბეჭდილებას ტოვებს: „ისლა დაგრჩენია, საკუთარი ხერხემლით სწორი ხაზი გაავლო მიწაზე თქვენ ორს შორის, საწოლი ქვა-ღორღიანი გექნება, როგორც მეომარს, რომელსაც ეშინია, არ ჩათვლი-მოს გადამწყვეტი ბრძოლის წინ“... ან: „ბიჭი გაჩუმდა, მერე ჩვენს თვალწინ წამოიკიდა ზურგზე მინდორი, რომელზედაც ცხენი გარბოდა (ცხენის თვალებში მიწის ფსკერი ირეპლებოდა და ამბიმებდა), და წავიდა პორიზონტისაკენ...“ ლ. სტურუას პოეზიაში რაციონალური საწყისის ამგვარი პირ-დაპირობა მეტაფორული აზროვნებითაა შეჯერებული. ასეთ შემთხვევაში სიმბოლური აზროვნება უშუალოდ ლექსის ძირი-თადი სენტენციის განათებას, უკეთ გამოკვეთას უწყობს ხელს, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რაციონალური საწყი-სის სიმბოლიზაცია შეფარულს ხდის მის სიშიშვლესა და პირდაპირობას, ცილდება გონებითი სიწმინდის სფეროს და აზრს დაქვემდებარებულ დინამიკაში ექცევა. ამიტომ პოეტური ხატი ვიზუალურობას ჰყარგავს და პირობითობის ელ-ფერს იძენს: „შემოდგომის ფანჯარაში გამოფენილი ტანი უკვე საცერივით ატარებს ქარს და წვიმას, პირდაპირ ჭვავი-ლივით გაფურჩქნულ მტკიცნეულ ღვიძლამდე“, „შენი კაბა

აცვია მოთმინებას და ამხელა სტიქია ვერ ეტევა შიშკრალ
ხაზებში, „კაცს ხელში თავის ქალა ეჭირა, წუთისოფლის
ფშუტე ნაყოფი, და მისი ტვინის პიტალო კალაპოტში მდი-
ნარე ლეთა მიედინებოდა“. ასეთ ლექსებში პოეტური ხატია
ანალიტური აზროვნების ცენტრში.

ლია სტურუა ელიტარული პოეტია, თუმცა მის ამგვა-
რობას არანაირი საზოგადოებრივი საფენელი არ გააჩნია.
პირიქით, მკითხველთა გარკვეული, საკმაოდ დიდი ნაწილის
ინტერესი და სიყვარული სწორედ ასეთი ასოციაციური, და-
ნაწევრებული, ათასჯერ განსჯილ-გააზრებული სახეების აშ-
კარა მოწონებითა განპირობებული. ვისაც ლექსი დამშვი-
დებისა და აღმაფრენის საშუალება ჰგონია, ლია სტურუას
პოეზია ნაკლებად გაიტაცებს, რაღაც იგი აქ ვერ იპოვის ამ
სიჩუმეს და ამით ტკბობასაც ვერ მიიღებს. სტურუასეულ
ლექსები დისპარმონია, უწესრიგობა სწორედ სამყაროს დის-
პარმონიულობითა გამოწვეული და ამიტომ არ შეიძლება
იგი ხელოვნური იყოს. ამას ემატება პოეტის დანაწევრებული
ცნობიერება, როცა ყველგან და ყველაფერში პირველყოფი-
ლობის ელფერით აღბეჭდილი მოიძევება და მისი გადარჩე-
ნის პიმი ხმამაღლა გაცხადდება:

„და სულ უფრო ვემგვანებით იმ მუნჯ ბავშვს,
რომელსაც მოსიყვარულე კაციჭამია შშობლები
ყოველდღე თითო ოქროპირს აყლაპებენ,
მას კი, მაინც, სიტყვების ნაცვლად



განწირული ყმუილი ამოსდის პირიდან,
 ან სხვა რა შეუძლია,
 როცა სახე ისე აქვს მიღრეცილი
 მანქანების გამონაბოლქვისკენ,
 როგორც მზისკენ,
 და როცა ბორბლებიდან
 ბროწეულის ხე გამოხტება,
 წითელი ბურთივით,—
 კიდევ ერთი გადარჩენილი გაზაფხული,
 ისე უხარია მისი ყოველი წუთი,
 როგორც მარტოხელა მგელს,
 სანამ თავისავე მომმები დაგლეჯენ...“

ასე გვერდიგვერდ მკვიდრობს ლია სტურუას პოეზიაში
 შიში და სასოწარკვეთა. პოეტს აროდეს შორდება ფიქრი, რომ გაუცხოებული, გადაგვარებული სამყარო ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს შეიწირავს, მაშინ ბროწეულის ხესაც ვეღარ აღვიქვამთ „კიდევ ერთ გადარჩენილ გაზაფხულად“. ამიტომ ჩნდება ეჭვი, გაორება, შიში—სტურუასეული ლექსის თანამდევი სუბსტანციები და ისინი ასევე მტკიცნეულად, შფოთვანარევი განწყობილებით შემოდიან მკითხველის ცნობიერებაშიც.

„ჰაერი მარტო იმიტომ არ არის გაჩენილი, რომ ისუნთქო, არამედ იმისთვის, რომ იფრინო!“—გვეუბნება ერთგან პოეტი და საოცარი ტკიცვილით აღიქვამს ადამიანებში გრძნობის დასუსტებას, პოეტურის, ფრენის სურვილის გაჩენის უგულებელყოფას, უფრო სწორად, იმ ნიპილისტური დამოკიდებულების მომძლავრებას, როცა პოეტური რაღაცნაირად აბუჩად აგდების საგანი ხდება. პოეტის აზრით, ადამიანებმა,

ჩვენმა საზოგადოებამ „რა დროს პოეზიაა“, ამ გამოთქმით
 დიღი ხნით გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი ადამიანში
 ადამიანურის, გრძნობის უპირველესი, ბავშვივით გულუბრყვი-
 ლო საწყისის პრიმატს და სავალალო ისაა, რომ არა მარ-
 ტო გონიერმა ცხოველმა, სამყარომაც დაივიწყა თითქოს
 პოეტური: „მტრედები, თეთრი, ჟღალი, კვამლისფერი, ჰაე-
 როვანი მტრედები ძალლებივით დასდევენ პურის ნაგლეჯს,
 თუ ხორცის ძვალს და, უკვე, ძნელი წარმოსადგენია, რომ
 ფრენაც იციან... ქალები, ქუდებზე ფრთებს რომ იმაგრებდნენ,
 ესეც, ალბათ, მინიშნება იყო იმაზე, რომ ნოყიერი საკვების
 და ლოგინის გარდა ცაზეც ფიქრობდნენ. ბებიაჩემის ფრთია-
 ნი ქუდი, ვერცხლის საფულე და გრძელი ხელთათმანები
 სკივრში ისვენებენ. ადრე, თურმე, სიმინდის ფქვილზე
 შეიძლებოდა მათი გაცვლა, ხორცზე და რეზინისძირიან
 ფეხსაცმელებზეც კი; მეოცნებებს მაშინაც შერეკილებს
 ეძახდნენ, მაგრამ რაღაცნაირი აღტაცებით უყურებდნენ მა-
 ინც. ახლა მათოვის განუსაზღვრელი დროით განაჩენია გა-
 მოტანილი: რა დროს პოეზიაა!“ ესაა სტურუასეული სამყა-
 რო—დატეხილი, დისკარმონიული, რაღაც უინით აღტკინებული
 და მარადიულად ადამიანის ბედზე მოფიქრალი: „სისხლით
 და ხორცით, ძვლებით და ღამით, მიკირული მაქვს ტანი
 ყოფაზე და ინსტიქტები პირველყოფილი ბოლმით და უინით
 ვლინდება ჩემში“. ასეთი დრამატული აღქმა ყოფიერებისა
 ადამიანთა ნიპილისტური ბუნებითა და სამყაროს მარადიუ-
 ლი მოუწესრიგებლობითაა გამოწვეული. ქალბატონი ლია

მუდმივად ამ დისკარმონიაზე მოფიქრალი პოეტია. მის გვიში ერთხელ ჩამოქნილი, მარად ყალიბში მოქცეული პოსტულატები არ არსებობს, ყველაფერს რაღაც ცოდვა აქვს შერეული და იგი განაპირობებს, პოეტის აზრით, მათ ზიგზაგურ ხასიათსა და ბუნებას.

ლია სტურუას პოეტური პოტენციის გამოვლენის საუკეთესო ფორმად ვერლიბრი რჩება, მისი თვითგამოხატვა სწორედ აქ პპოვებს ყველაზე ფართო გასაქანს. ამიტომაა, რომ ერთხელ არჩეული ფორმის ერთგულება პოზად კი არ აღიქმება, არამედ სათქმელის განდობის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. ლ. სტურუას ლექსი, ალბათ, ცნობიერების ნაკადია. პოეტის ფხიზელი და ტკივილიანი მზერა სულის სილრმიდან გარეგან სამშვენისამდე აშიშვლებს ადამიანს, ათასი კუთხითა და რაკურსით დაგვანახვებს მის შინაგან სამყაროს და ეს მსჯელობითი ნაკადი ისე ვითარდება, რომ საბოლოო აზრი და პოზიცია გამუღავნებისთანავე გვიმტკიცდება და სახეობრივად გვამახსოვრდება.

როგორც ცნობილია, ლექსის შინაგანი საგნის დასახატავად უპირველესი შთაგონებაა, მაგრამ ლ. სტურუას პოეზიაში იგი უშუალოდ არ გადმოიცემა, თითქოს ჯერ გონებაში გაიფილტრება, გაიწმინდება და ამგვარი, გონებაში შთაგონებით დაფიქსირებული მოვლენისა თუ საგნის „სქემური არქეტიპი“ მიეწოდება მკითხველს. ეს იმიტომ, რომ პოეტისათვის ნახვა შეცნობას არ ნიშნავს, იგი თანდათანობით, ჭვრეტითი ანალიზის შედეგად შეიძლება გამომუშავდეს. ამ პრინციპით კი პირობითობით აღბეჭდილი, შედარებათა მკვეთრად

განსხვავებული იმპულსებით დახუნძლული მშვენიერობობის
ტური სახეები იქმნება, რომელთა ანალიზისას ნათელი ხდება, რომ
რომ პოეტის ფანტაზია სივრცითია და იგი (სივრცე) იშვია-
თია, ხშირად ერთმანეთთან შეუთავსებელი, მაგრამ მაინც
მშვენიერი პოეტური სამოსელით იკერება. იქმნება ილუზია,
თითქოს პოეტი სხვებისაგან განსხვავებულად აღიქვამს თი-
თოეულ ფერს და მეტაფორებით ასხეულებს. „შინდის ტო-
ტივით აყვავდა სისხლი ქვაფენილზე“... „გავიღვიძე, ისე შე-
მომანათა დღემ, თითქოს ქათქათა მიტკლის ზეწრები ამიფ-
რიალეს თვალწინ“... „ხმასავით მკაფიოა ტყემლის ყვავილი
ფანჯარაში“... „...ქუჩის ბოლოს, უანგიან ბუჩქთან ფარშავან-
გი დგას, ჩემი ბავშვობის ნარინჯისფერი, მყვირალა ელდა“. რაციონალური საწყისის პრიმატულობისა და გაუმჭვირ-
ვალე ემოციური სამოსელით გატაცების საბოლოო მიზანი
ლ. სტურუასათვის იმ ტკივილის სისხლით ხორცამდე
შეგრძნებაა, რომელზედაც ასე ხელაღებით, ათასნაირი ქვე-
ტექსტითა და რაკურსით გვეუბნება პოეტი.

...და ჩემს სხეულში ჩადგა ტკივილი, როგორც მდინარე...“

ან კიდევ

„ქარის ბოლოში სიმშვიდე იყო,
ახალგაზრდა, მოქნილი მგელი
ნახტომისთვის რომ გაინაბება
და ხეები ძეგლებს რომ პგვანან,
ისეთი სიმშვიდე,
ხოლო ტოტებზე ჭირისუფლის თმა
ყვაოდა,
ვარდისფერი და სევდიანი“.

გულისშემძვრელი განცდა და ტრაგიზმი, ამ სტრიქონების წაკითხვას რომ თანსდევს, ნათლად გამოხატავს მიტოვებული სახლის (ამ ღექსის სათაურიც ესაა) გამო ფიქრსა და წუხილს, იმ შემფოთებას, რაც ამ გავერანების, გაუდაბურების უამსმომდგარ სიჩუმეს ახასიათებს, საბოლოოდ მსხვრევითა და ნგრევით რომ ბოლოვდება. ამიტომაა, რომ როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ნათლად წვდები, რომ ამგვარი სიჩუმე, უპირველესად, ქარიშხლის ხმას მოიცავს...

ლ. სტურუას აქვს ღექსი „მეტაფორის სიყვარული“, რომელშიც პოეტი თავის დამოკიდებულებას ამ პოეტური ხერხისადმი ასეთნაირად გადმოგვცემს: „როგორც დედა იპოვის გამოსავალს ყველანაირ მდგომარეობაში შვილისთვის, ისეთს, როგორიც ჯანსაღ გონებას არც მოელანდება, თაგვის ხვრელში გააძვრენს, თმის ბეწვზე გაატარებს, ფანჯრის ღრიჭოში შეაცურებს მზის სხივივით, ასეთი შველაა ჩემთვის მეტაფორა“, ან კიდევ: „...მე თავქვეშ მეტაფორის ბალიში მიდევს, დედის კალთის მაგიერი“... თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად ტკივილის ხელოვნური გამძაფრებით მეტაფორას ბუნებრიობის ელფერი აქვს გამოცლილი, ასეთი, ყალბი ორიგინალობის პრეტენზიით აღბეჭდილი სტრიქონები ლ. სტურუას პოეზიაში იშვიათია, მაგრამ... „ცაზე ბასრი ნაჯახივით კიდია წვიმა“ „დაგორდა ლოდი ტვინის წვეროდან ფეხის მტკივნეულ ბებერებამდე“... და ა.შ.

ლ. სტურუას პოეზია, გარკვეულწილად, ფერების სიტყვით გადმოცემის ცდაცაა, მაგრამ ეს ფერწერა ისეთი მტკივ-

ნეული ბგერებითაა გადმოცემული, რომ მასში აღამიანის არამარტო შინაგანი სამყარო, არამედ, ერთი შეხედვით, იდილიური, მაგრამ ამაზრზენი ყოფის შიშველი პანორამაცაა მოცემული:

„ჩემს უძილო ფანჯარაში
კლდე იღანდება
ყოველ დამე, როცა გამაძლარი,
ვნებადამცხრალი, კმაყოფილი ადამიანები
სინათლეს აქრობენ და იძინებენ“...

უძილო ფანჯარაში გალანდული კლდის მშვენიერ სურათს (იგი შემდეგ უფრო დეტალიზდება, მაგრამ ჩვენი მსჯელობისათვის, ვფიქრობ, ესეც საკმარისია) ადამიანთა ჩვეულებრივი, მომაბეზრებელი ყოფა ენაცვლება, მხოლოდ პოეტია ამ ერთფეროვნებას განრიცებული. უფრო სწორად, იგია ის ბავშვი, რომელსაც ლამაზი, ბუნებრივი, პირველყოფილი აღტაცების უნარი არ დაკარგვია და სამყაროს მარადიულობაც ამგვარი აღქმის შეუბდალველობასა და წარუვალობაშია საგულვებელი.

ლ. სტურუა ამგვარი ბგერწერით ხშირად ისეთ ფანტასმა-გორიულ, საცარ სურათს ხატავს, კადრივით რომ გაიედვებს მკითხველის თვალწინ და წარუშლელად ჩაეკირება მეხსიერებაში:

„...და ბავშვი—ზარი
ჩვეულებრივი დედის მუცლიდან
ამოზრდილი ჭეშმარიტება,
დგას გამჭვირვალე, წკრიალა თოვლში,
რომელიც ცაა...“

ოთარ ჭილაძე ლია სტურუას ლექსების ერთ-ერთშეულის წინათქმაში წერდა: „ლია სტურუას პოეზიაშიც განუწყვეტლივ უკრავს ვიოლინო, ოღონდ ეს ვიოლინო რომელიმე კონკრეტულ მუსიკალურ მელოდიას კი არ გამოსცემს, არამედ—ბუნებაში სტიქიურად არსებულ ხმებს, ფარშავანგის ყივილი იქნება ეს, ძაღლის წკავწკავი თუ ცხენის ჭიწვინი“...

ლია სტურუას პოეზიაში მუსიკის კულტს, მისაღმი კდემასა და თაყვანისცემას მართლაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მუსიკა პოეტისათვის სიწმინდის, პირველყოფილობის, ჰარმონიული სისავსეობის საწყისია. იგია ერთერთი იმ მცირეთაგანი, საღაც გაუცხოებისაგან თავდაღწეულ სულს შეუძლია დაივანოს, სილამაზე სილამაზედ აღიქვას და ამქვეყნიურ ამაოებაში არ ჩაიძიროს. პოეტს, მუსიკა, როგორც ვთქვით, იმ ფონის შესაქმნელად სჭირდება, ყოველდღიურ, წარმავალ პრობლემებში თავჩარგული პიროვნება მშვენიერებისაკენ რომ შემოაბრუნოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფონი (მუსიკის ელემენტი) და ლექსის ძირითადი დედააზრი კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ურთიერთთანაარსებობენ და მათი ამგვარი წარმოდგენით ცდილობს ლ. სტურუა თავისი სათქმელის გამუღავნებას:

„და ვიოლინოს ფორმის ქალი,
მგრძნობიარე და უასაკო,
მღეროდა სულში“...

ან კიდევ: „შეუმჩნეველი კაცი იყო, მთელი სიცოცხლე

ქალაქურად მოხრილი მხრებით ოჯახისა და სამსახურის ჯვარს ატარებდა, მაგრამ როდესაც მისი შვილების ფრინველივით გაწელილ ყელში ჩამდგარ წკრიალს მსუსე შეჭამანდს დაასხამდნენ და კოცონივით ჩააქრობდნენ, ის გავიდოდა მაშინ სახლიდან, ხელებს უღონოდ აიქნევდა და ხედიქცეოდა...“ „სალბუნივით გრილი იყო მუსიკის ხელი, მკვდარი პეპლების ხავერდისაგან აჭრილი დილა თენდებოდა“.

ლია სტურუა ხშირად ცდილობს სულიერი მდგომარეობის ფიზიკური მოძრაობით გამოხატვას ანუ საგნებისათვის დამახასიათებელ თვისებათა გადატანას სულზე. აქ ორი მხარე იჩენს თავს: პირველი, როცა სათქმელი პარალელური ნიშანთვისებითაა დამუხტული და მისი მიგნება ავტორისეულად გვეცხადება: „როგორც ქარი ამსხვრევს ფანჯარას, ისე დაიმსხვრა მყიფე ძარღვები მის ტანში“... და მეორე, როცა აბსოლუტურ აბსტრაქციასთან გვაქვს საქმე და პოეტი ლამაზ და გაბედულ ექსპერიმენტს გვთავაზობს: „კაცი კი არ მოდის, შემოდგომის ბალი მოირჩევა“, „და იმ ერთადერთ კაცს ისე უყვარდი, თითქოს მზის გულზე იდგა და შიშველ ტანზე ხეებს იხატავდა“...

ლ. სტურუას პოეზიისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია აზრის პრიმატი. ემოციის წარმოჩენა ინტელექტის მიღმითი შრეებისათვის არის მინდობილი. მაგრამ გამონაკლისიც გვხვდება. გავიხსენოთ ერთი ყველასათვის ცნობილი ლექსი, სადაც ლირიზმია წინ წამოსული და გრძნობა-გონების იშვიათი პლასტიკა იგრძნობა:

„თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი წლის განვითარების
შემდეგ.

ის არ იქნება მიწა ან წვიმა,

ის არ გადავა არც ერთ ქალში,

რომელიც მე მგავს,

და არც ერთ კაცში,

რომელიც უყვართ ბრძან და მწარედ

ჩემნაირ ქალებს.

ის არ გადავა არც ცხენებში ან

არწივებში,

რომელთა ხილვა

არ მასვენებდა მთელი სიცოცხლე...

თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი წლის

შემდეგ,

ის ჩასახლდება

აკანკალებულ და თბილ

კურდღელში,

რომელიც ყვირის,

როგორც კაცი,

როდესაც კლავენ“...

ლ. სტურუასათვის ბუნებრივია ყოველი მოვლენისადმი მსაჯულებრივი დამოკიდებულება. იგი იმდენად ესწრაფვის ამ ხერხს, რომ სურს, მკითხველიც აქციოს თავის ფიქრის თანაავტორად. შეუნელებელი ურბანიზაციის მდინარებაში, ქალაქის მტვრიან და ხმაურიან ქუჩებში სურს იპოვოს ადამიანი ტექნიზაციისაგან გაუუხეშებელი, ძველებური უშუალობითა და რომანტიკით აღსავსე. ურბანიზაციის თემაზე პოეტს უამრავი ლექსი აქვს დაწერილი, თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი განვითარების მოწინაამდებელ კი არ გვეცხადება, ან მოწუწუნედ სოფლის იდილიური სამყა-

როსაგან დაშორების გამო, რომლის ყველაზე რეალურობაზე
დაწყვეტა უკანდაბრუნება იქნებოდა, არამედ მომავალ ქა-
ლაქურ ყოფაში ხედავს მრავალი „ძველის“ დაკარგვის სა-
შიშროებას. ამიტომაა, დაუნდობლად რომ კიცხავს ადამიან-
თა დაპროგრამებულ საქმიანობას: „დღე დედაქემის მაღ-
ვიძარა ფრაზით იწყება:—ბავშვს მაინც უთხარით რამე! ჩვე-
ნი მკერდები და შუბლები იმდენი ხანია ირეკლავენ ამ სიტ-
ყვებს, თუ გინდა თავი ქვას ახალე! ან რაზე უნდა ილაპარა-
კო დილას, როცა ყველა გარბის თავის საქმეზე, არც ავად
არის ვინმე, განსაკუთრებული სიხარულის საბაბი კი არ
ჩანს“... საერთოდ, გაუცხოებულ ადამიანთა განსჯას, მათი
სახისა თუ საქმიანობის გახსნასა და ჩვენებას პოეტი დიდ
ყურადღებას უთმობს და ამ თემაზე შექმნილი უამრავი მშვე-
ნიერი ლექსი შეიძლება გავიხსენოთ.

საკუთარი თავის რწმენა და შეცნობა სხვათა შეცნობას
აადვილებს. ამომავალი მზე ხშირად ჩამავალსა ჰგავს და
პირიქით. ამიტომ კეთილშობილება და სისკეტაკე უნდა ეძებო
ისეთ ადამიანებში, სადაც იგი თითქოს მოსალოდნელიც არაა.
დარღვეული პროპორცია პოეტისათვის ის ძირითადი ამოსა-
ვალი წერტილია, რომელიც პირობითად ლექსის შექმნის
საბაბადაც შეგვიძლია გამოვაცხადოთ; „ეს კაცი ისე მიდის
ქეჩაში მსუბუქი და მოცეკვავე ნაბიჯით, რომ ფეხსაცმელმა
თუ მოუჭირა, შეიძლება პაერშიც ავიდეს, საქონლის ხორ-
ცით ამოყორილი ტანების თვალწინ“...

ლ. სტურუას პოეზიის კიდევ ერთი ნიშანდობლივი თვი-
სებაა—ყოფითი დეტალების დამუშავებისაკენ სწრაფვა, სა-
დაც ინფორმაციას ფანტაზია ერწყმის და მათ ახლებურ



გააზრებას ვღებულობთ. ასეთ ღერძსთა პულსაცია პრეტიტე შინაგან მღელვარებას თანხვდება. ამგვარი გააზრებაა ღერძ-სებში: „სახლი“, „დაბადების დღე“, „სიბერე“, „ფარშავანგი“, „იმპროვიზაცია“ და სხვა.

მარტოობა სულის გარკვეული მდგომარეობაა, მის უშორეს სივრცეებში მიმდინარე ძიებები განსაზღვრავს ადამიანის ყოფის ხასიათსა და მიზანდასახულებას. „ჩემი სახელმწიფო არის მარტოობა, შემოსაზღვრული საყვირების წითელი მესერით...“

ეს და სხვა უამრავი პრობლემაა მხატვრულად გადაწყვეტილი ლია სტურუას პოემებში: „ფიქრები მზის მიწურულში“, „წრეში“, „ზღვის მოქცევა“ და სხვ. რომელთა პოეტურ თავისებურებებსა თუ იდეურ ჩანაფიქრზე ცალკე უნდა ვიმსჯელოთ.

ლია სტურუას შემოქმედება მზის, სინათლის აპოლოგიადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა პოეტისათვის განათებული, მოწესრიგებული სამყარო არაა იდეალი. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩამავალი მზე ამომავალსაც ჰგავს და პირიქით—ამ პარადიგმაში იკითხება სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების, სიყვარულისა და სიძულვილის, ლ. სტურუას ლექსისათვის დამახასიათებელი ზემოთ განხილულ შველა ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

მაპმტი, სახლი და ბინადარი

მოთხრობა „თაბაშირის კაცი“ გია ლომაძის ახალ კრებულ-შიც შევიდა (1989 წ.), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი კვლავ რჩება ცოცხალ ლიტერატურულ ფაქტად, ამიტომ რამდენიმე პრინციპული ხასიათის შენიშვნის გამოთქმა „თაბაშირის კაცის“ მიმართ დაგვიანებულად არ უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, იგივე ნაკლი, ჩვენი ფიქრით, რამდენადმე ბოლოდროინდელ მოთხრობა „კროსვორდშიც“ შეიძნევა.

„თაბაშირის კაცში“ ძირითად ამბავთან ერთად არსებობს ჩართული ეპიზოდები, მინიატურები, რომელთაც მთავარ სიუჟეტურ ხაზს მეტი დამაჯერებლობა უნდა შესძინონ. საერთოდ, ტექსტის კომპოზიციის ხერხემალს, საიდანაც მოთხრობის ძირითად შინაარსს ვეცნობით, თაბაშირის კაცისა და მანონ ლასაურას საუბარი შეადგენს. მას ავტორი უკავშირებს ირაკლი ხავთასის მრავალრიცხოვან სტუმართა (მათ შორისაა მანონ ლასაურაც) გაჭიანურებულ დახასიათებას, რაც ერთგვაროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს და, მცირე გამონაკლისის გარდა, საჭიროდაც არ აღიქმება. ამასთან, მოთხრობაში კიდევ არის მთავარ სიუჟეტურ ხაზს გარეგნულად მოწყვეტილი რვა მინიატურული ამბავი, რომელთა უმეტესობა დამოუკიდებული ნოველის მსგავსი სიუჟეტური თავისთავადობით გამოირჩევა. ჩართულ ეპიზოდთა სიმ-



რავლე და მთავარი სიუჟეტური ხაზის მიმართ მათი „დაჭვის კემდებარება“, ვფიქრობ, ამკრთალებს ძირითად ამბავს, არ სებითისადმი ყურადღების კონცენტრირებას აძნელებს. ხაზს ვუსვამთ სიმრავლეს (სიჭარბეს), თორემ, სხვა შხრივ, ავტორის მიზანი, რომ დახატოს ზოგადცივილიზებული ქალაქი, რომლის ცხოვრების ფილისტერული კანონები ადამიანს, შესაძლოა, ფსიქიატრული საავადმყოფოს ინვენტარიზებულ ობიექტად აქცევდეს, ბუნებრივია და არაბუნებრივობა არც მეთოდის არჩევანშია.

ორმოცდაათი წლის, უცოლო, უშვილო, მუდამ პეტიანად ჩაცმულ-დახურული, მარტოხელა ქურდი გრიშა ამბოკაძე აქტიურად მონაწილეობდა სახლმმართველობის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში (უბნის საპატიო მოქალაქეთა დაფაზე მისი სურათიც იყო). პეტიანს ყალბი საბუთებით იღებდა, გრიშა ამბოკაძე ავტომატური შემნახველი საკნების „სპეციალისტი“ იყო. დიდი ხნის გამოცდილებით იცოდა, რომ მათზე უმრავლესობა, დამახსოვრების მიზნით, საკუთარი დაბადების თარიღს კრეფილა. შეუმცდარი ალლოთი შეეძლო შემნახველთა ასაკის გამოცნობა, ამ გზით აღებდა საკანს. მიპქონდა მხოლოდ ფული, დანარჩენს ხელუხლებლად ტოკებდა. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, არასოდეს მჯდარა ციხეში... რამდენიმე წელიწადში გრიშა ამბოკაძე „საქმეებს ჩამოშორდებოდა, სადმე აგარაკს შეიძენდა პეტიონერის უფლებით და აქ უდრტვინველად დალევდა დარჩენილი ცხოვრების დღეებს“.



ირაკლი ხავთასის სტუმართა დასტის ერთ-ერთი წარმოებული
მადგენელი, ტელევიზიის დიქტორი არნა ჩირაძე ყოველდღეობის
სხვადასხვა კაბით გამოდიოდა ტელემაყურებელთა წინაშე.
ორასოთხმოცდათვრამეტ კაბას წელიწადში (ამდენჯერ უწევდა
ცისფერ ეკრანზე გამოჩენა) მისი ხელფასი, რა თქმა უნდა,
არ ეყოფოდა და ასეთ გამოსავალს მიაგნო: „მორჩებოდა თუ
არა სამსახურს, წინასწარ შეთანხმებულ მყიდველთან
გარბოლა, მიყიდდა ერთხელ ნაცვამ კაბას და ასევე წინას-
წარ შეგულიანებულ სპეკულანტთან იყო ახლის საყიდლად“.
არნა ჩირაძეს ამ საქმეში ქმედით დახარებას უწევდა ქმარი,
რომელიც ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშა-
კად მუშაობდა...

როგორც ვხედავთ, ესაა უტილიტარული, საქმოსნური ინ-
ტერესებით გატაცებულ ფილისტერთა ტიპური ნაწილი, ნებსით
თუ უნებლიერ რომ ჩაუკლავთ თავიანთ არსებაში ნაძღვილი
სილამაზის, მშვენიერისა და ამაღლებულის შეგრძნების უნა-
რი. მათში პრაგმატიზმი ბატონობს და ამქვეწიური არსებობის
შინაარსსაც ეს შეადგენს. ჩართული ეპიზოდები ნათელს
ხდიან მოთხრობაში აღწერილი საზოგადოების ცხოვრების
წესს, ხასიათს და მოთხრობის მიზნის—თაბაშირის კაცობის
ტრაგედიის საჩვენებლად გარკვეულ, ოღონდ ზოგად, წინა-
პირობებსა და ფონს ქმნიან.

რას ეფუძნება თაბაშირის კაცის კონფლიქტი საზოგა-
დოებასთან, და როგორი, რაგვარი დამაჯერებლობით აი-
სახება იგი მოთხრობაში?

მოთხრობაში საზოგადოების, როგორც ცალკე აღებული
დამოუკიდებელი მასის ცხოვრებაცაა წარმოდგენილი და პერ-



სონაჟის, თვით თაბაშირის კაცის შინაგანი ბუნებაც „გრიფი შეხედვით, კონფლიქტის მოტივების საკმაო პერსპექტივაა, მაგრამ ეს ორი მხარე, ინდივიდი და საზოგადოება, ტექსტში ერთმანეთისაგან გამოყოფილად, ცალ-ცალკე არსებობენ (თუ არ ჩავთვლით თაბაშირის კაცის მანონ ლასაურასთან საუბარს) ადა თაბაშირის კაცის მიერ საზოგადოების უარყოფის საფუძველი მაინც არ ჩანს. ამის მიზეზი კი მწერლის მიერ თაბაშირის კაცის, როგორც გათელილი სულიერების სიმბოლოს, მხატვრულ ხორციშესხმასა და განხორციელებაში უნდა ვეძებოთ.

„თაბაშირის კაცი“ ორი პარალელური (ერთმანეთისაგან უაღრესად განსხვავებული) სტილითაა დაწერილი. ერთია ჩართულ ეპიზოდთა გროტესკული, ხოლო მეორე—თვით თაბაშირის კაცის შინაგანი სამყაროს საჩვენებლად არჩეული პოეტიზირებული სტილი.

თაბაშირის კაცი მანონ ლასაურასთან საუბარში ამჟღავნებს თავის თავს, გამოთქვამს აზრებს, შეხედულებებს, რომელთათვისაც თანხმიერება არაა დამასასიათებელი, ისინი სპონტანური, პარადოქსული მსჯელობის ნაყოფია და მათ შორის ერთი მთლიანი ლოგიკური კავშირი არ შეიმჩნევა. თუმცა ამ საუბრებიდან ნათელია, რომ თაბაშირის კაცისათვის სინამდვილისადმი გრძნობადი დამოკიდებულებაა უმთავრესი. რომ მის არსებაში გონებას სულის პრიმატი სჭარბობს. ასეთია თაბაშირის კაცის საზოგადოებისადმი დამოკიდებულების ხასიათიც. „შეხედეთ მზეს წვიმაში და აურიამუდებულების ხასიათიც. „შეხედეთ მზეს წვიმაში და აურიამუდებულების, პაწია ხელებით რომ იჭერენ თბილ წველებულ ბავშვებს, პაწია ხელებით რომ იჭერენ თბილ წველებულ ბავშვებს, ნუთუ არ არის კარგი? შეხედეთ ხანდაზმულ წყვილს,

ნელა რომ მიუყვებიან ხეივანს ხელჩაკიდებულნი, შერწყმულნი წლებით და მზრუნველობით, ნუთუ არ არიან ლამაზები? შეხედეთ პატარა ბიჭუნას, ჯიუტი თმა რომ შუბლზე ჩამოშლია, ვეება ჩანთით ხელში რომ მიაბიჯებს, ნუთუ არ არის კარგი? შეხედეთ დიდხელებიან, სახეზე მზემოკიდებულ კაცს, ასაღ ფეხსაცმელებში ქუჩის პირას რომ დგას დაბნეული, მანქანათა მდინარებისაგან, ნუთუ არ არის ლამაზი? შეხედეთ აბრების ფირნიშთან მომლოდინე ჭაბუკს, ვიღაცას ელის, ნუთუ არ არის კარგი? შეხედეთ ქალიშვილს, ქარში თმაგაშლილს, სადღაც მიღის, მიფრინავს თითქოს, ნუთუ არ არის შშვენიერი?..

თაბაშირის კაცის ეს მონოლოგი მკითხველს არ შესძრავს, არ აგრძნობინებს იმ შთამბეჭდაობას, მისი შინაგანი სამყარო რომ უნდა იტევდეს, რადგან ისინი შესამჩნევი ზერელობითა და ზედაპირულობით გამოირჩევიან და მეორეც: ეს ის კითხვებია, რომელთაც თაბაშირის კაცისათვის ერთადერთი პასუხი გააჩნიათ („აზრებს მე ვუწოდებ პასუხებს კითხვებზე. ის, რაც არავითარ კითხვას არ პასუხობს, მოკლებულია აზრის მნიშვნელობას“—ბახტინი), ამიტომ შთამბეჭდავი, მძლავრი ტრაგიზმის ნაცვლად (რაც უთუოდ უნდა გამოხატულიყო), შეგვრჩა ფსევდოპოეტურობა (რაც გამოიხატება).

თაბაშირის კაცისათვის ბავშვობა ის პერიოდია, როცა სული გონების „ხუნდებისაგანაა“ თავისუფალი და ბუნების სიმშვენიერეს, ჩიტების უღურტულს თუ ნაკადულის რაკრაკს პრაქტიკული თვალით კი არ აღიქვამს, არამედ მთის წვერზე დავანებული თოვლივით სპეტაკი გრძნობით განიცდის. მაგრამ მწერალი მის საჩვენებლად გვეუბნება, რომ

თაბაშირის კაცის „მექსიერების გადახრუებულ უდაბნოში“
ბავშვობაა ერთადერთი ოაზისი, მისი გასრულების შემდეგ
კი ისე გრძნობს თავს, როგორც „ნიჩბებდალეწილი ნავი
ფიქრთა იდუმალებით სავსე ოკეანეში“. აქ, უბრალოდ რომ
ვთქვათ (და ასეთია, საერთოდ, მოთხრობის ის ნაწილი, სა-
დაც თაბაშირის კაცის აზრებია გადმოცემული), იმდენად
ხელოვნურია ფრაზის, როგორც ემოციური, ისევე აზრობრი-
ვი დატვირთვა, რომ მკითხველს თაბაშირის კაცის ტრაგე-
დია ავიწყდება. ამის მთავარი მიზეზი კი „მექსიერების გა-
დახრუებული უდაბნო“ და „ფიქრთა იდუმალებით სავსე ოკე-
ანეა“—ამგვარი სახეები, პომპეზური, უსაგნო და ძალაგა-
მოცლილია.

ბავშვობასთან, როგორც სამყაროსთან, ჰარმონიის, რო-
გორც სულისა და ოცნების სიწმინდის ხანასთან, ამგვარ
დამოკიდებულებას ეხმიანება გურამ საგინაშვილის ეპიზო-
დი. ბავშვმა ტროტუარზე თაგვი ნახა და მამას ეხვეწება:

„—მამი! წავიყვანოთ რა, ჩემთან წავიყვანოთ!

—არა, შვილო, არ შეიძლება...

—რატომ? ჩემთან იცხოვრებს, გალიაში ჩავსვამ და ყო-
ველდღე რძეს დავალევინებ!

—არა, შვილო, გალიაში ვერ გაძლებს... მაგას თავისი
მამა ეყოლება და ალბათ, იმასთან გარბის ახლა, შენ რომ
ვინმემ წაგიყვანოს სულ უჩემოდ, ხომ ვერ გაძლებ? ასე
იქნება მაგიც...

—მაშინ მანქანით წავიყვანოთ თავის მამასთან!

—ვერ მივიყვანო,—გაეცინა გურამ საგინაშვილს,—ჩვენ
ხომ არ ვიცით, სად ცხოვრობს?“...



ეპიზოდის ამ ნაწილში გატარებული აზრი ნაცნობია — უკულისა და ადამიანში არსებობს დახმარების, ხელის გაწვდენს, სრული თის გაღების საწყისი და ბავშვში ეს ყველაზე თვალშისაცემად იხილვება, რადგან ბუნებასთან ყველაზე ახლო მისი კავშირია. მისი გამოსახვისას ავტორი სასურველ თავისთავადობას ვერ აღწევს.

თაბაშირის კაცისათვის მიუღებელია სრული იზოლაცია, იგი ისევ ადამიანისაგან მოელის სითბოსა და სიყვარულს. „გინახავთ ოდესმე მაწანწალა ძალლის მავედრებელი შიშითა და პირველყოფილი ბუნებისათვის შეურაცხმყოფელი მორჩილებით სავსე თვალები“. აქ თაბაშირის კაცის საზოგადოებასთან დაბრუნების სურვილიც თვალნათლივ ჩანს.

ჩართულ ეპიზოდებში გ. ლომაძე მაღალოსტატურად იყენებს გროტესკს (მისი მწერლური შესაძლებლობანი, ამ მხრივ, უფრო ნათლად მეღავნდება მოთხრობებში „თაგვი“, „თუთიყუში“). გროტესკის პირობებში ავტორი დამაჯერებლობას აღწევს ხოლმე, ხოლო გროტესკის გარეშე ფსევდოპოეტურობა სძლევს. მოთხრობა კონტრასტის პრინციპზეა აგებული — ინდივიდი და საზოგადოება, მაგრამ მათი ჩვენება კი არ იყო მთავარი, არამედ დაპირისპირება და ამ დაპირისპირებისათვის საფუძვლის მოძებნაც. „თაბაშირის კაცის“ ძირითადი ნაკლი სტილისა და სტრუქტურის სფეროშია — იკვეთება სქემა, მოდელი, რომელსაც მხატვრულად განხორციელება უჭირს, რაღაც იმგვარი ხდება, მაკეტი რომ უფრო მეტყველია, ვიდრე ამ მაკეტის მიხედვით აგებული სახლი და მისი ბინადარი.

მთრთოლვარე სულის ანარეპლი

დღლო ჭუმბურიძე ლექსების ერთ-ერთ კრებულის წინათქმაში წერს:

„არაფერია უფრო ლამაზი და მწუხარე, ვიდრე შემოდგომის ტყეები. პოეზიაც ტკივილით შექმნილი მშვენიერებაა და პოეტს კი არ ათავისუფლებს ამ ტკივილებისაგან, ისე შეერთვის მას, როგორც ფოთოლცვენით ჩამოცლილი წეები ერთვიან მიწას.

შემოდგომის ტყე ცხოვრებასაც ჰგავს, სადაც არც დროის მონაკვეთია ჩვენთვის მოზომილი, არც სიყვარული და სიძულვილი, სადაც ერთდროულად ჰყვავიან და ჭკნებიან ჩვენი ოცნებები, სადაც სამშობლოა ყველაზე მთავარი და მისი არსებობის უამი—ჩვენი სიცოცხლის თარიღი.

სამშობლოთი და სიყვარულით სავსე—თამამად მიაბიჯებს კაცი მშვენიერებისა და გაძარცვულ შემოდგომის ტყის სიღრმეში“.

ეს წინათქმა იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი დ. ჭუმბურიძის პოეზიის საიდუმლოთა ყველაზე ლამაზ და მორგებულ გასაღებად გვეჩვენება. ამით თითქოს ფსიქოლოგიურად ვემზადებით იმ სამყაროში შესასვლელად, მშვენიერი და გაძარცვული შემოდგომის ტყე რომ ჰქვია და ყველაზე მეტად ცხოვრებას ჰგავს: სიხარულითა და ნაღველით, სითბოთი და სიცივით, სიყვარულითა და სიძულვილით...

სინამდვილის ტკივილიანი დანახვა დ. ჭუბეურიძეს პოეზიის არსებითი ნიშანთაგანია. მასზე ემკვიდრება და ეშენება სხვა, შედარებით მეორეხარისხოვანი ნიუანსები. ამიტომ ლექსი რაღაცნაირად სევდანარევი, ნაღვლიანი, ჩუმი განწყობილებითაა დამუხტული. თითქოს რაღაც აკრძალულსა და არგასამხელს ამხელდეს, იდუმალსა, სულის სიღრმეებში ჩაკირულსა და ჯერ ამოუცნობზე გვეჩურჩულებოდეს. ჩურჩული ასეთ დროს პოეტური სტიქიის გამოვლენის მორგებულ ფორმად გვეცხადება, რასაც ის განაპირობებს, რომ ლირიკული გმირი ტკივილით მიღის სინამდვილესთან. მის ჩვეულებრივობაში ჩაკარგულ ერთ ლამაზ დღესაც საოცარი სიმძაფრით განიცდის და ნაღვლიანი, მოწყენილი აცილებს.

პოეტის სულიერი მდგომარეობა ომახიან, მხნე განწყობილებას ვერ ეგუება, მისი ნაწარმოებებისათვის მაჟორული ტონალობა უცხოა. ლექს გადალაზული სევდა არ უდევს საფუძვლად. იგი ყოველ სტრიქონშია ჩაკირული, არაა შეცვლილი სხვა მოტივით, რაც სევდის პოეტური უარყოფაც იქნებოდა. თუმცა მისი ფარული არსებობა შეიძლება ძნელად ამოსაცნობიც გამხდარიყო. მაგრამ ეს იქნებოდა სასურველი სიმაღლე, რადგან სულ სხვაა ტკივილით დაბადებული განცდის სიხარულამდე აყვანა და სულ სხვაა მასზე „ქვითინი“. პირველი პრინციპი თითქოს არ დომინირებს დაჭუმბურიძის პოეზიაში, მეორე არცთუ იშვიათად გვხვდება. სამომავლო ამოცანა პირველის სიმრავლეა.

ჭოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დ. ჭუმბურიძის

ლექსებს სილაღე და უშუალობა აკლდეთ. საუკეთესო ლექსებში იდეა და ემოცია სასურველ ერთიანობას აღწევს და გამორჩეულ ელფერს სძენს მის მხატვრულ შინაარსს. ამის დასტურია ეს სტრიქონები:

„თუ იქნები,
უნდა იყო ერთადერთი...
ახლა მგონი მეოცნებე
რომანის გმირს ვგევარ.
ნეტავ ერთი,
რანაირად უყვარდათ
ერთმანეთი,
ადამსა და ევას?!”

განცდას ყოველთვის შესაფერისი ფორმა უნდა მოეძებნოს, თორემ სიტყვები ცალკე აღმოჩნდება და განცდა—ცალკე-ლამაზ, დახვეწილ, რაფინირებულ სიტყვათა შეკავშირება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გულისხმობს მაღალმხატვრულობას, თუ ლექსში მათი გამომწვევი კონკრეტული გრძნობა არ იქნება გამუღავნებული. უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ დ. ჭუმბურიძის ლექსებში ხილვას იდუმალების ხიბლი არ ახლავს, იგრძნობა, რომ პოეტი ამა თუ იმ გრძნობით თვითონ უფროა შეპყრობილი, ვიდრე ეს ტექსტშია გამუღავნებული, ამგვარ პოეტურ ნაწარმოებათა სტრუქტურა აღწერითა, პოეტის სურს მოვლენათა გარეგნული მხარის ჩვენებით მკითხველთა ყურადღება შინაგანი სამყაროსაკენ წარმართოს, მაგრამ მიზანი განუხორციელებელი რჩება, ლექსის გაწყობა არ გადაგვედება.

მაგრამ ავიღოთ ასეთი ლექსი:

„გელათის ქუჩით, „გრანდ-ჰოტელთან“ დამდგარი ეჭილის 16 დღიდაისით ლურჯით და ორპირთან გაბნეულ ფერფლით, ზენტრალური დება დილა, ფოთოლს ეძებს კომში და თუთა,—მოთოვს, ამ-ბობენ მოხუცები და წყნარად თვლემენ, როგორც მტრედები სითეთრისგან დამთვრალი სივრცით“... შესაძლოა აქაც იგივე პრინციპებთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ყველაფერი ერთ ფო-კუსში იყრის თავს და წარმავლობის ტკივილს გვიტოვებს, პოეტმა შემოდგომის მიწურულის ერთი ლამაზი დილა დაგ-ვისატა, როცა ვაზის ფოთლისფერი ხდება ცა, ხეები საკუ-თარ ფოთლებს ეძებენ... ყველაფერი ეს ბუნებრივი და ლამა-ზი შედარებითაა მოტანილი მკითხველამდე „—მოთოვს, ამბობენ მოხუცები და წყნარად თვლემენ, როგორც მტრე-დები სითეთრისგან დამთვრალი სივრცით...“ ამდენად ლექსი ერთ მყარ მთლიანობაში აღიქმება და ხელოვნურობის სა-შიშროებაც ქრება.

ჩვენ დ. ჭუმბურიძის პოეზიის რამდენიმე ნაკლზე მივუთი-თეთ, მაგრამ ეს საერთო შთაბეჭდილებას არაფერს აკლებს. მის შემოქმედებაში ძალზე ხშირია მაღალპოეტური ნაწარ-მოებები, ავტორის ორიგინალური პოეტური ხელწერით რო-მაა დაღდასმული.

კარგი ლექსია „ზღვა“. იგი მთრთოლვარე პოეტური მდი-ნარებითა და სამკაულთა სისაღავით გამოირჩევა. ამით სცილ-დება ამ თემაზე შექმნილ ათასჯერ განმეორებულ სტერეო-ტიპთა ფარგლებს. ლექსის მდინარებაში თანდათანობით შლის

ფრთხებს ოცნება, თითქოს ყველაფერი სიზმარში ხდებოდეს უკან
სწაფვა და აღმაფრენა ფიქრისა რაღაც კულმინაციას აღ-
წევს და სიზმარეული იმსხვრევა, საბურველი ჩამოეხსნება
მოჩვენებითს. ეს ხდება ლექსში არა ცხადი და რეალური
ყოფის ფრაგმენტთა შემოტანით, არამედ ლირიკული გმირის
მიერ ოცნების კიდევ უფრო მეტი გამძაფრებით, გათავი-
სებითა და გაშინაგანებით:

„სამხრეთის ზეცა მიხმობს კრიალა
და მიქნევს ქარში ულურჯეს მანდილს,
მზე ჩაღის, მაგრამ ზღვაში კი არა,
ჩემს ათროლებულ სხეულში ჩაღის“.

უკანასკნელი ტაეპი იმგვარი პოეტური ხილვაა, რომლის
მიმართაც მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება, მასში მღელ-
ვარედაა გამჟღავნებული ლექსის განწყობილება. ძალუმად
იგრძნობა, რომ ხილვა ლირიკული გმირის სულის ნაწილია.
დაახლოებით ასეთივე სწრაფვა და ფიქრის გრადაციაა ლექ-
სში „ლტოლვა“. მისი შინაარსი, როგორც აზრობრივ, ისე
ემოციურ ქსოვილშია გამჟღავნებული და მათი თანხმიერება
გადამდებად მოქმედებს მკითხველზე. ნაწარმოების რიტმი
იმდენად აჩქარებულია, რომ ამოსუნთქვის საშუალებას არ
გაძლევს. ინტონაციური პაუზა თითქმის შეუძლებელია და
ასე შეუჩერებლად, ერთი ამოსუნთქვით იკითხება ლექსი.
პოეტს იდილიური, ლამაზი მონატრების სურვილით ანთებული
სახეების შექმნაც იტაცებს. იგი ყოველთვის ცდილობს, ასე-
თი განცდა წრფელი, მართალი იყოს, რომ მკითხველსაც

გადაედოს და განაცდევინოს, ამგვარი ლალი, გულწრფელი განწყობილებით დამხუტული ლექსი დ. ჭუმბურიძის პოეზიაში მრავლადაა. მოღით, ერთ-ერთი გავიხსენოთ: „მახსოვს რკვის სადგურში / ძველი მატარებელი: „ქუთაისი საჩხერე“, / ჩიტი ხტოდა ამ გულში, / როცა ტყისპირ ედემი / დაკიდებდა ჩანჩქერებს./ის სადგური პატარა/ მაყვლითა და ატამით/ და ტყეებით ბებერით/ (მორიგე რომ აზარებს...) / ღმერთო, კიდევ მაჩვენე, / ღმერთო, კიდევ გამგზავნე/ ძველი მატარებელით—„ქუთაისი-საჩხერე“, თითქოს ამ ლექსში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ იმდენად წრფელი, ფაქიზი და ოოვლივით სუფთა განწყობილებითაა ნასაზრდოები, რომ არ შეიძლება სევდა არ მოგვაროს, არ შეიძლება ბავშვობის რაღაც ფრაგმენტი არ გაკრთეს გონებაში და ნოსტალგიაც არ აგედევნოს. ესაა პოეტის სურვილიც და საწადელიც.

დოდო ჭუმბურიძე მარტო პოეტისათვის არ წერს. მისი უპირველესი მიზანი მკითხველამდე ტკივილის მიტანაა, რომელიც თითქოს მეგობრად ეგულება და ყოველთვის ენდობა, სწამს, სჯერა მისი. ნაწარმოებიც არაა ხალხმრავალი აუდიტორიის მოხიბვლისა და დამორჩილებისათვის აუცილებელი მოწოდება, ლოზუნგი, ხმამაღლა წასაკითხი მანიუქსტი. მასში მხოლოდ პიროვნული განცდა და მიმართებანია ახსნილი. შეიძლება ლექსის ორნამენტმაც არ გაგვაკვირვოს, უბრალო და სადა მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს უკვე პოეტის ხედვისა და

სტილის თავისებურებაა. სამაგიეროდ, მიგვიზიდავს და მოგვინდავს კინ სხვა სიცრუფელე, სულისკიდემდე მაღალი გრძნობა:

„სულზე დამეუინა ნისლი ზედაზენას
 და შორს მიგუვუნებს ქარი განთიადთა,
 რატომ მომელანდა დედა სევდა შენი,
 შევი მანდილივით მზესთან გაკიაფდა.
 შენი წერილები წუხილს მიგზავნიან,
 თურმე დანანებით ჭვრეტ ჩემ ტოლ ასულებს,
 მოელი შემოდგომა ჩემთვის სიზმარია,
 რასაც შენი ნახვის შემდეგ ავისრულებ“.

დ. ჭუმბურიძის პოეზიაში მრავლადაა ნაზი, ლირიკული სითბოთი გამობარი ლექსები: „შენ ხან მზესავით გამობრწყინ-დები“, „გაზაფხულის ზღაპარი“, „მე არ ვიქნებოდი“, „მაისი“ და სხვ.

დ. ჭუმბურიძე მხატვრული სახის აგებისას ყოველდღიურობის გაპოეტურებას მიმართავს, რაშიც წარმოსახვის გან-საკუთრებულობა და ასოციაციათა სიზუსტე იკვეთება. ჩვეულებრივის გაესთეტიკურების პრინციპი საინტერესოს ხდის მხატვრულ სახეს: „მიყვარს საღამოს, ისეთ ბინდს რომ გადიფენს მიწა, თითქოს მთელი დღის ნახანძრალზე ამოდის კვამლი და ცისკენ წასულს ჩვენი თვალი ვერ მიწვდენია...“ კვამლი და ცისკენ წასულს ჩვენი თვალი ვერ მიწვდენია...“

ასეთი პრინციპით შექმნილი მხატვრული სახის ძირითადი საფუძველი შედარებაა, რაშიც პოეტის სინამდვილისადმი სტრუქტურული ელემენტის პოეტისეულ გააზრებაში ვლინდება.

ასეთი პრინციპით შექმნილი მხატვრული სახის ძირითადი საფუძველი შედარებაა, რაშიც პოეტის სინამდვილისადმი

დამოკიდებულების ერთი მხარეც მეღდავნდება — იგი ცოდნობს ზოგად ცნებებში მოქალაქლი შინაარსის ამოხსნას. ამისათვის ამაღლებულს ყოველდღიურს ადარებს, რის შედეგადაც პირველი კონკრეტულ შინაარსს იძენს და მიწიერდება. მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს:

„გრემის კედელთან, ხევისპირზე ჰყვაოდა ია,
გზას მიიკვლევდა ოეთრი ცხენი ოცნების მტკერში,
და ჩემი ვნების ცხელი მზერა, ვით უღრან ტყეში
სკელი ფოთოლი, ისე წყნარად იწყებდა შრიალს“.

აქაც შედარების იგივე მოდელია გამოყენებული — „ვნების ცხელი მზერა“ ჩვეულებრივს — უღრან ტყეში სკელი ფოთლის შრიალსაა შედარებული.

დ. ჭუმბურიძისათვის მეტაფორის კეთების „ხერხი“ უცხოა. საერთოდ, ყოველგვარი მეტაფორა ამა თუ იმ საგანზე შექმნილი სახეა, რითაც საგანი თითქოს იკარგება, უფერულდება, მეორეული ხდება. მასზე შექმნილი სახე „იწყებს გაბატონებას, რომელსაც ახალაღმოჩენის (ფაქტიურად „ახალი საგნის“ შექმნის) პრეტენზია გააჩნია და ავტორის შემოქმედებითი ლაბორატორიის ნაყოფია. დ. ჭუმბურიძისათვის სიტყვა თავისი კონკრეტული მნიშვნელობით მოკლებულია მხატვრულ ღირსებას. მას აუცილებლად პირობითობის იერი უნდა დაპკრავდეს. ამიტომ მხატვრული სახის სტრუქტურაში მეტაფორულობა უფრო ჭარბობს და იგი პოეტის მხატვრული პოტენციის გამოვლენის მორგებულ ფორმად გვესახება. თუნდაც „გზას მიიკვლევდა ოეთრი ცხენი ოცნების მტკერში“, ან ამ ლექსის დასაწყისში: „დღეს გამახსენდით ალა-

ზანთან ჩავლილი ღამით, ივლისის მთვარით აყვავერული გამბაქოს ყანით“.

არიან პოეტები, თემატური მრავალფეროვნებით რომ არ გამოირჩევიან. მათვის საყვარელ თემებს ერთგულებენ და ავიწროებენ თავიანთი მხატვრული ინტერესის სფეროს. ერთი შეხედვით ეს ერთფეროვნებაა, მაგრამ მას მეორე მხარეც—ლირსებაც გააჩნია: ასეთი პოეტები უფრო მეტად ვერ ურიგდებიან ზედაპირულობასა და ზერელობას.

ჩვენს ქვეყანაში პატრიოტულ თემაზე ლექსის შექმნა, ერთი შეხედვით, აუცილებელიცაა და რთულიც. რთული იმდენად, რამდენადაც თავი უნდა დააღწიო უკვე შექმნილს, მდიდარ ტრადიციას, ხოლო აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ პოეზიის განვითარების გზა ამ თემის ახლებურ გააზრებას მოითხოვს. მამულის სიყვარულის თემაზე შექმნილი დ. ჭუმბურიძის ლექსები არ ტოვებენ დუბლიკატის შთაბეჭდილებას, თავისთავადობით გამოირჩევიან. პოეტი ამ გრძნობის ლექსში გამჟღავნებისათვის ხშირად მიმართავს ისტორიულ ექსკურსეს, რითაც საკმაო ფონს უქმნის პატრიოტული სულისკვეთების წარმოჩენას.

ადამიანის გარესამყაროსთან ურთიერთობის შინაარსი დროის მუდმივ ცვალებადობას აცნობიერებს. „უამი შობისა და უამი სიკვდილისა“ ერთმანეთის გვერდითაა და სუბიექტიც თავის თავში დროის სამივე ფორმას ატარებენ. ამას თვითდადგენის პირველყოფილი ინსტიქტი კარნახობს. მე-ს სამყა-



როსთან მიმართების პროცესში არათანმიმდევრობითაა შეკული
მოტანილი ყველა დრო, რასაც საბოლოოდ ლირიკული გმირ
რის ესთეტიკური იდეალის დეფინიცია უნდა მოჰყვეს.

ისტორიის, როგორც დიდი ზნეობრივი მაგალითის, აღქმა
და გათავისება ყველა დროში მოგზაურობას გულისხმობს.
ასეთ შემთხვევაში ლირიკული გმირის პასუხისმგებლობა წარ-
სულის, აწმყოსა და მერმისის წინაშე იდენტურია. მისთვის
ისტორია დროის გაქვავებული შენაერთი კი არა, ის მრავ-
ლისმეტყველი ფენომენია, საკუთარი თავი და ჭეშმარიტი
ადამიანური მოწოდება რომ უნდა აპოვნინოს.

ქართველ კაცს არ შეიძლება გულს არ უკლავდეს კრწა-
ნისი, სადაც თითქოს სხვაგვარად ღამდება და ონდება,
სხვაგვარად ამოდის მზე და უცნაურ სხივებს აფენს არემა-
რეს, არაგველთა გლოვის დასტურად „რუხთერი ნისლით“
რომაა შემოსილი. არ შეიძლება არ აფორიაქებდეს „მწარის
დროის ქროლვასთან“ შერკინებული არაგველთა ფართო სივ-
რცის დამტევი სული.

„ტრფობამ მომკლას ჩემი სულის ცალის,
საქართველოს ტკივილების მწარის,
მიგონებდე სიყვარულში გამქრალს
და დამარხულს რუხი ნისლით კრწანისს“.

ან კიდევ:

„სადღაც, ზემო ნაპირებზე პონტის
კრწანისია, ცოდვა-მაღლით სავსე...
კრწანისია—ცრემლიანი პორტი
საქართველოს ფიქრებიან გზაზე“.

გარდასულ დროთა ტრაგედის გათავისებასა და მათ მონაწილედ საკუთარი თავის მიჩნევაში მეღდავნდება პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია, რადგან პოეტური სათქმელის გამეღდავნების ასეთი ხერხი დღევანდელობის ეთიკური, მაღალზეობრივი სრულყოფილებისათვისაა მოხმობილი.

წარსულის გამოხმობით ლირიკული გმირი ისტორიის ჭეშმარიტ არსეს უნდა ჩაწვდეს, მისი სულის სიმართლეს ეზიაროს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება მამულის მშვენიერი ხატი და გამოიკვეთება მისადმი დამოკიდებულება:

„ეს მიწა თბილი, ქართული მიწა
რამდენ სატკივარს ინახავს თრთოლვით,
მე მინდა ასე ოცნებით ვიწვე
გარსკვლავებსა და მცხეთის ჯვარს შორის.
ახლა მსურს რაღაც განსაკუთრებულ
ფიქრით ვბოლავდე ამ ლაშაზ ცამდე,
გადავერიო მიწას კურთხეულს,
რომ მისი ჩუმი წუხილი მწვავდეს...“

დ. ჭუმბურიძისათვის მამული და ისტორია ცოცხალი სახეა, სულის სამკვიდროა, არსებობის ის განუყოფელი ნაწილია, ფიქრისა და სწრაფვის ერთიანობას რომ აგრძნობინებს ადამიანს. „სძინავს მხარეს, სამშობლო რომ ჰქვია, ერთი მოსახემსი“—გვეუბნება ერთგან პოეტი და ეს განცდა სიმცირისა მიგნებული, რომ იტყვიან, მიზანში მოხვედრილი სიტყვითაა მოტანილი მკითხველამდე. სამშობლოს სიყვარულის განცდა დ. ჭუმბურიძის შემოქმედებაში ყოველთვის ტკივილიანი იყო, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დატრი-



ალებულმა ტრაგედიებმა კიდევ უფრო დაამძიმა პოეტის ფიჭრი, კიდევ უფრო სევდიანი გახადა განცდა.

„მართალია, პოეტი უნდა ახერხებდეს გრძნობების დამორჩილებას, იმ ყოფიერების დათრგუნვას, სადაც ტყვიები ზუზუნებენ, შური კლავს, ბოლმა ახრჩობს, ბილწი აგინებს და ბოროტი ზეობს... მაგრამ თუ ყველაფერი ეს კატასტროფა და საბედისწერო მისი ქვეყნისათვის, პოეტსაც გაუჭირდება სინამდვილიდან თავდახსნა“ — წერს დ. ჭუმბურიძე ერთ-ერთი ახლახანს გამოცემული პოეტური კრებულის ანოტაციაში და ეს სტრიქონები მკვეთრად ათვალისაჩინოებენ მშობელი ქვეყნის წარსულისა თუ დღევანდელობისადმი, მისი ყოფიერების ტკივილიანი ქრონიკებისადმი პოეტის დამოკიდებულებას. დ. ჭუმბურიძისათვის მშობელი ქვეყანა მარადიული მსახურების, მარადიული ზრუნვისა და ფიქრის საგანია და ამიტომ იმ ტკივილზე ამაღლება საოცრად ენელება, რომლის უთქმელობა ტანჯავს და ჰერნია, რომ ამის ხმამაღლა გაცხადებით მამულს ხსნის უამი დაუდგება. ამიტომაა, რომ ხშირად ქვეყნის ძველ ტკივილთა მესაიდუმლე მტკვარსაც ბარათაშვილისეული „ვინ იცის მტკვაროს“ რემინისცენციით მიმართავს:

„და ყველაფრის დამნახავი,
მტკვარი კი არ მოღის მტკვარად,
მოღის ცრემლად, მოღის შხამად,
და ქართველთა სატკივარად“.

„ჩგენში რამდენი დამფასებელი და თაყვანისმცემელიც ჰყავს პატრიოტიზმს, სიკეთეს, სათნოებასა და სიყვარულს,

იმდენი მიმდევარიც რომ ჰყავდეს, მაშინ არც ცხოვრება
იქნებოდა ასე ძნელი და არც პოეზიას გაუჭირდებოდა”...
ესეც პოეტის სიტყვებია და ამ ალოგიზმით აღბეჭდილ (თაყ-
ვანისმცემელი და დამფასებელი ხომ კაიგვარიან მიმდევარ-
საც გულისხმობს) გამონათქვამში უპირველესად ის აზრი
და პოზიცია ჭიატობს, რომ მამულს ცუდი ჟამი უდგას და
ეს სწორედ იმ ვაიპატრიოტთა ბრალია, ქვეყნის სიყვარულს
ანგარება, შური, მტრობა, გამყიდველობა რომ ანაცვალეს:

„ბედის ტაძართან ვარსკვლავი კიაფებს,
იქორთის ტაძართან წრიალებს ღამე,
სამშობლოს ჰყიდიან მსტოვარნი იაფად,—
ვით ძველმანს ქვრივისას, რამეს...
ჯიბებს ივსებენ, ყაჩალის ანგარიშს
არა აქვს ერი და არა აქვს რჯული...
და ყვირის ყვარელი, სხვიტორი, ჩარგალი,
სამშობლოს სამი ობოლი სული...“

ქვეყნები ხშირად ერთ, ობოლ, პირუთვნელ, ჭეშმარიტ
სულსაც გადაურჩენია (მამულიშვილთა ნაკლებობას არასო-
დეს განვიცდიდით), მათ მაღალ მსოფლმხედველობას ჭეშმა-
რიტი გზა უჩვენებია სხვათათვის და ჟამი გლოვისა ლხინი-
სად შეცვლილა. პოეტსაც ამის იმედი აქვს. მისი აზრით,
მხოლოდ ეროვნული ტკივილების გათავისება, ყველასა და
ყველაფრის ეროვნული პოზიციიდან განსჯა და შეფასება
შეიძლება იქცეს ქვეყნის სამომავლო კეთილდღეობის უტყუ-
არი ორიენტირი. ამიტომაა, რომ ელენე ორბელიანს ასეთ
სტრიქონს ათქმევინებს:

„თავს გაუფრთხილდით, ტყვიას ერიდეთ,
სიზმრებს ჩავძახი თქვენს ლოცვებს გმინვით,
და მაინც, ღმერთო ჩემო, შემინდე,
მაინც შამილი მგონია გმირი!“

ისტორიაში ბევრი რამ იცვლება, ხშირად მეორდება კი-
დევ მოვლენები, მტერი კი უცვლელი რჩება. ამ ცვა-
ლებადობასა თუ უცვლელობაში ჭეშმარიტება მუდამ ერთი
იყო და არის—ეროვნული ინტერესები, აი, უპირველესი
სამსხვერპლო.

ზემოთ ვამბობდით, დ. ჭუმბურიძისათვის პატრიოტიზმის გააზრება, უპირველესად, ქვეყნის ისტორიასთან, მის წარ-
სულსა თუ დღევანდელობის ტკივილიან ქორონიკონთანაა
წილნაყარი. ხშირად ხდება, რომ ისტორიული სახელები თუ
პერიპეტიები ისე მრავლად შემოდის ლექსში, რომ ასე ვთქვათ,
მათი პოეტური გადამუშავება ვერ ხერხდება და ხელთ ის-
ტორიზმით აღბეჭდილი, მაგრამ პოეტურად არასრულყოფი-
ლი განცდა გვრჩება. იქნებ ეს იმის მიზეზითაც ხდებოდეს,
რომ ამ ისტორიულ სახელებსა თუ პერიპეტიებს თავისთავა-
დი პოეტური მუხტი გააჩნიათ პოეტისათვის, მაგრამ, ვფიქ-
რობ, ლექსში ცოდნა რაც შეიძლება დამალული და ძნელად
თვალშისაცემი უნდა იყოს:

„არც ელადა, არც ეგვიპტე,
დიაონი—პლიუს კოლხა
მოელვარე ანდამატებს
ხან მზე, ხანაც თოვლი
მოჰყავს“...

ან კიდევ: / „ქუთაისი, თელავი, ათონი, /თბილისი, მდინარეობის, / ბედია, / ერთია საქართველო ღვთისმშობლის, / ვაზის ჯვრით ნაკურთხი ერთია!“... ამგვარ პუბლიცისტურ, გარკვეულწილად გაცვეთილი ცოდნის საფუძველზე შექმნილი ლექსის ხიბლი არ გიტაცებს და წაკითხვის შემდეგაც აღარ გამახსოვრდება. უბრალოდ, პოეტის ბოლო კრებულებში პოეტურ ხატად ვერქცეული შიშველი ისტორიზმით გატაცება შევნიშნეთ და ამიტომ გავამახვილეთ მასზე ესოდენი ყურადღება, თორემ დ. ჭუმბურიძეს პატრიოტულ თემაზე შექმნილი მშვენიერი ლექსებიც მოეძევება. ავიღოთ თუნდაც ეს სტრიქონები:

„სისხლი იწყებს შეჩერებას,
სული იწყებს შეჩვენებას,
სიყვარული—შესვენებას...
სიძულვილი—შეხსენებას...
მეც კვდები და,
შენც კვდები და
ყველა მკვდარი გვეჩვენება“.

ამ ლექსს „ფრაგმენტები დღიურიდან, 6 იანვარი, 1992 წელი“ ჰქვია და მართლაც ნაღდი სიმბაფრით გამოხატავს იმ დროს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების არსს. ამ მმათამკვლელ ომზე დღეს ბევრი იწერება, მაგრამ ზოგიერთი ხელოვნურ, თითოდან გამოწოვილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მონოლოგის ელფერდაკრული ეს სტრიქონები კი აშკარად გაგრძნობინებს არა მარტო მმათამკვლელი, არა-მედ, საერთოდ ომის უაზრობასა და ტრაგიკულობას. აქ

ჩამოთვლა ემოციური, გრძნობისმიერი თვალთაზედვის რომელი
გავიაზროთ, რაღაცნაირად თითქოს დაბლიდან მაღლიხეს
მიემართება და ყოველი სტრიქონი გაფრთხილებაა, შეხსე-
ნებაა იმისა, თუ რა მოსდევს ომს, კვლას... როცა სისხლს
გაგიჩერებენ, სულში ჩაგაფურთხებენ და შეგაჩვენებენ, სიყ-
ვარულს ვინდა დაეძებს... მხოლოდ ერთადერთი— სიძულვი-
ლი— საწყისი ყოველი ბოროტისა, გვახსენებს თავს და გვი-
მორჩილებს.

როგორც დავინახეთ, დ. ჭუმბურიძის პოეტური სამყარო
მრავალმხრივაა საინტერესო. პოეტი ქალის ფაქიზი, ნაზი,
სულის უსათუთესი წიაღიდან მომდინარე განცდები ხშირად
იპყრობს მკითხველის გულს.

სინათლის ტრა

თეიმურაზ ლანჩავას ახალი წიგნის („ჩამქრალი ვულკანი“, 1999 წ.) წაკითხვის შემდეგ ის უპირველესი განცდა ეუფლება მკითხველს, რომ თემატური თვალსაზრისით ეს მოთხოვბები და ნოველები უფრო დიდი მხატვრული ტილოს ანარეკლებია. აქ მოტანილი პასაჟები მსოფლმხედველობრივად უფრო მრავალმხრივი განზომილების, ფართოპლანიანი ნაწარმოების დეტალებს წარმოადგენს, რომლებიც მრავლისაგან ძირითადის გამორჩევის მართლაც რომ ნაღდი მწერლური ალლოთია უპირატესყოფილი. საერთოდ, „დეტალების სპეციფიკით“ შექმნილ ნაწარმოებს ყოველთვის ახლავს ის უხერხულობა, რომ ნიუანსობრივა სრულყოფილებამ შეიძლება დაჩრდილოს მთავარი და ხელთ პრიმატულ აზრობრივ მხარეს მოკლებული ეკლექტიკური ტექსტი შეგვრჩეს, მაგრამ მწერალი ამ შემთხვევაში საოცარი პერიოდი და ჭეშმარიტი თვითდაჯერებულობით გაივლის „ბეწვის ხიდზე“ და აღწევს საწადელს. მოთხოვბებსა და ნოველებში ძირითადი აზრობრივი დატვირთვა კი არ გამოკრთის, შეუმჩნეველი კი არაა, პირიქით, ყველა დეტალი (რომელთა მსოფლმხედველობრივი მრავალწახნაგოვნება გვაფიქრებინებს ზემოთქმულს) მის გამოაშეკრავებასა და უკეთ წარმოჩენას ემსახურება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ დეტალების უმრავლესი ნაწილი ჩვენი ყოველდღიურობის ტრივიალური ყოფიდა-

ნაა აღებული და მწერალი თამამად, პროფესიონალის თვალით თანამდებობის გაუწველის და გაცნობის უცნობ ნაცნობთა სახეებს. საერთოდ, მწერლობის უპირველესი დანიშნულებაც ხომ ისაა, რომ ჩვეულებრივს არაჩვეულებრივი თვალით შეხედოს და სხვებიც აზიაროს ამ ბედნიერებას.

არავის ეგონოს, თეიმურაზ ლანჩხავას, როგორც მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის სპეციფიკურ მხარეებს ახლა ვაცნობდე მკითხველს. მისი პირველი წიგნიდან („ჩემი მხიარული მოწყენილობა“) მოყოლებული, გამორჩეული ხელწერა, სათქმელის გამოხატვის მისეული, მსუბუქ იუმორში შეფუარული ფორმა კარგა ხანია ცნობილი და გათავისებულია ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობის მიერ, მაგრამ ახალ წიგნში მოთავსებული მოთხრობები და ნოველები გვაფიქრებინებას, რომ ოცდაათიოდეწლისწინანდელი თვისებანი ავტორისეული პროზისა ახალი შტრიხებით შეივსო, სათქმელი უფრო მასშტაბური გახდა, ხელწერამ კი ახალი ნიუანსობრივი ფუნქციები შეიძინა.

ამგვარი რამ, უპირველესად, იმ მოთხრობებზე ითქმის, რომელთა პარადიგმული ჩანაფიქრი კონკრეტულ, ცნობიერ კალაპოტშია მოქცეული და განვრცობის უტყუარ შთაბეჭდილებას ქმნის. ზემოთ ნათქვამის ნათელი იღუსტრაციაა ვრცელი მოთხრობა „ქურდი“, რომელშიც ყველაზე თვალშისაცვად სახიერდება მწერლის მისწრაფება პოეტური პროზისაკენ (თ. ლანჩხავამ მიმდინარე წელს მშვენიერი ლექსების წიგნიც აჩუქა მკითხველს). პოეტური პროზისათვის ნიშანდობლივი ყველაზე ნაცადი ნიუანსობრივი ელემენტების ნდობა თ. ლანჩხავასათვის თვითმიზანი კი არაა, არამედ ის ახალი,

მწერლური მანერისათვის სიახლედ შემატებული შეჭრითი რომელიც იუმორით შეზავებულ, აქამდე მკვიდრ წელწერასთან ერთად სინთეზირდება და მხატვრულ ქსოვილს მეტი ექსპრესიულობისა და დრამატულობის ელფერს სძენს. ამგვარი მოთხრობა თ. ლანჩავას მისთვის დამახასიათებელი ძველი მწერლური მანერით რომ შეექმნა, ვფიქრობ, იგი რაღაცნაირად მდორეც, ძნელად საკითხავიც იქნებოდა და სათქმელიც ზედაპირზე ასე ცოცხლად და მთამბეჭდავად არ ამოტივტივდებოდა.

მოთხრობის მთავარ გმირს—აგაბოს ერთადერთი შვილი ავარიაში დაეღუპა.

„გაუხარელმა წუთისოფელმა მუხთალლეტით გახოხა, თავზე წისქვილის ქვა დაგიბრუნა (ცნობილი ხატოვანი გამოთქმის საინტერესო ანტიოქზა, ე.თ.) და მაინც მორჩილება გიქადაგა, რადგან ნაყოფს ზრდიდი, სიყვარულის ნაყოფს.

აწი რაღამ გაგახაროს, აგაბო!“

აგაბოს მეუღლე ადრე დაეღუპა და ერთადერთი ვაჟი იყო მისი სსნა, იმედი. ახლა ისიც გამოეცალა ხელიდან და თვითმკვლელობის უნებურმა აზრმაც გაიელვა გონებაში. მოთხრობაში პერსონაჟის სულიერი გრადაცია ისეთი რეალური, ნამდვილი ემოციური ბუნებრივობითაა დახატული, რომ ძნელია აგაბოს თვითმკვლელობის განზრახვაში ვინმეს შეეპაროს ეჭვი. მწერალი ახერხებს პოეზია-პროზის საზღვარზე მყოფი ფრაზით და მისთვის საჭირო ლექსიკური ქსოვილით თვალნათლივი გახადოს აგაბოს სულიერი სამყარო: „ვისქენ ცქერამ გაგიბრწყინოს თვალები, ვინ იქნება შენი მკურნალი და მაოხებელი, ან რაღად გინდა მაშველი

და მოსარჩევე, როცა ცა ჩამოგექცა და ჩამოგიყორნისფრთხ
 და“. მოთხრობაში, ერთი მხრივ, შთამომავლობის გაგრძელების,
 მისი პერმანენტულობის აუცილებლობის იდეაა მხატვრუ-
 ლად წარმოჩენილი, ხოლო მეორე მხრივ ნაჩვენებია ის სამ-
 ყარო (ქურდულს რომ ეძახიან), რომლის წარმომადგენლებიც
 საზოგადოებისაგან გარიყულნი აღმოჩნდნენ. მწერალი ცდი-
 ლობს მათი ერთი ნაწილის ხასიათში, ქცევაში აღმოაჩინოს
 ზნექეთილობის ის მარცვალი, რომელიც მათ ადამიანური
 ჰუმანიზმის საწყისების ერთგულებისაკენ უბიძებთ. გავიხსე-
 ნოთ თუნდაც აგაბოსთან სამძიმარზე მისული, „ციხიდან ციხეში
 ნათრევი, წვერ-ულვაშში ჩაკარგული“, ყავარივით ძმები
 დიხამინჯიები. მათი მოქმედება, სინანული, შურისგების უარ-
 ყოფის გზით ღვთის ერთგულებამდე მისვლა, წუხილი იმაზე,
 რაც უმოქმედნიათ და ნუგეში ერთადერთშვილმკვდარი მამი-
 სადმი მათ მხატვრულ სახეს ჭეშმარიტი ვაჟკაცისა და რა-
 ინდის დაღს ასვამს. ამ სამყაროს წარმომადგენელთა მეორე
 ნაწილი უფრო ცხოველური ინსტიტიტ ცხოვრობს და განა-
 გებს განსაგებელს, მათთვის ფულის გულისთვის ბავშვის
 მოტაცებაც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. საზოგადოება
 და ეს ადამიანები ცალ-ცალკე არსებობენ, მათი სიახლოვის
 ბილიკი მხოლოდ ბოროტების ჩადენაა, რაც იქითა მხარი-
 სათვის მისაღებია, ხოლო ადამიანური ურთიერთობის ნორ-
 მებში არანაირად არ ჯდება. ასეთებია: ყველა ბაძგუა, წკა-
 პა და სხვ.

დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებიდან ცალკე უნ-
 და გამოიყოს დურუ ქურხულის სახე. მის არსებაში კეთილ-
 შობილების რაღაც მარცვალი კიაფობს (სულ სახლი ენატ-

რება, მისტირის თავის გაუხარელ, დუხშირ ბავშვობის მდგრადი (ა.შ.), მართალია, დანაშაულს ჩადის, მაგრამ რაღაცნაირი სევდისმომგვრელი შინაგანი სამყაროთი ცხოვრობს, რაც ერთგვარ სინანულსაც ნიშნავს. სინანულიდან საზოგადოებისაკენ შემობრუნებასა და მისი ზნეობრივი პრინციპების აღიარებამდე კი მცირედიღა რჩება, სწორედ ეს მცირედი ვერ გადალახა ქურხულმა. მწერალმა ამ გაორებულ, თავისი მსოფლისებრივი შუახიდზე მდგარ პერსონაჟს დააკისრა ნაწარმოების კვანძის გახსნა.

მოთხრობის სიუჟეტური ქარგის მიხედვით, აგაბოს შვილი გურამი, როგორც ვთქვით, ავარიაში დაიღუპა, რაშიც ბრალი ტრესტის მმართველ დომენტი კახიანის ვაჟს ედება. შემდეგ „გაირკვევა“, რომ დომენტის ქალიშვილი ნაია გურამისგანაა ფეხმდიმედ. გაჩნდება ახალი სიცოცხლე—პატარა გურამი, რომელსაც აგაბო ზრდის. ბავშვს, ფულის გამოძალვის მიზნით, ზემოხსენებული ქურდული სამყაროს წარმომადგენლები—დურუ ქურხული, ყველა ბაძგუა და წენაპა მოიტაცებენ, მიდის გამოსასყიდზე ლაპარაკი და ა.შ. ნაწარმოებში მოქმედება პიესის სპეციფიკით ვითარდება—მხოლოდ ფინალში აეხდება ფარდა სიმართლეს—აღმოჩნდება, რომ პატარა გურამი დურუ ქურხულის შვილია.

მოთხრობის პერსონაჟთა გალერეიდან არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ საინტერესო ტიპებზე, პირველ რიგში—ტრესტის მმართველ დომენტი კახიანზე. ესაა ჭეშმარიტგრძნობადაშრეტილი, პრაგმატული ბუნების ფუნქციონერი, ქონებით გაზულუქებული, მარადიული ღირებულებისაგან საოცრად შორს მდგომი პიროვნება. იგი დღევანდელი დღით

ცხოვრობს, ცდილობს, პატიოსნად მოაჩვენოს საზოგადოებას თავი, ეკეკლუცება მდივან ქალს, გაურბის ჭეშმარიტ, ნაღდ ურთიერთობებს. მისთვის მთავარია ცხოველური ინსტიქტები—თვითონ და მისი ოჯახის წევრები გრძნობდნენ თავს კარგად, სხვისი ტკივილი არ ტკივა და მისნაირი შინაგანი მე-ს მქონეს არც შეიძლება ტკიოდეს;

პოლიციის უნიჭო და უნიაოო უფროსი, პოლკოვნიკი გიორგი მაისურაძე, რომლის საქმიანობა ვერაფრით დატყობია ქალაქს—იპარავენ ბავშვებს, მიცვალებულებს, ქორწილიდან დედოფლებს. მაისურაძე კი ასე მსჯელობს:

„უულს და ოქროს ვინ დაეძებს (უუბნება აგაბო პოლკოვნიკს) მიცვალებულებს იპარავენ, ესაა საქმე?

—არ უნდა გადაიხადო ფული და უნდა შეატოვო შენი მკვდარი, რასაც იზამენ, მერე ვნახოთ.

—მოგვეჭრება თავი, ბატონო, დაგვძრახავს მტერ-მოყვარე.

—მკვდარს სად ჯანდაბაში წაიღებენ, შენც მიწას უნდა მიაბარო და ისინიც ასე მოიქცევიან.

—თუ შენი მიცვალებული შენ არ გააპატიოსნე, დაიტირე და ადგილი არ მიუჩინე, ივარგებს?

—ცოცხალს მოიტაცებენ თუ მკვდარს, ყველა ჩემი საჯავროა. მე მაგათი ცოცხალი და მკვდარი! —გულიანად შეიგინა გიორგი მაისურაძემ“.

ასეთია მეტად შთამბეჭდავი და ხატოვანი სახე პოლიციის უფროსისა, რომელიც უკეთესობის მისაღწევად კი არ მოქმედებს, არამედ ცუდი დროის დადგომა აჯავრებს და ანაღვლიანებს.

მოთხრობის მთავარი პარადიგმა — ახლადგაჩენილი სფერო
ცოცხლე, გურამი არც მერკანტილურ მიზნებს გადაყოლილ
კახიანების გარემოში, არც ქურდულ გარემოცვაში უნდა
აღიზარდოს, იგი აგაბოსთან, ამ სამიღან ერთადერთ ნათელ
სვეტთან უნდა იზრდებოდეს, რათა მის სულშიც არ დაიბუდოს
სიავეგ.

საერთოდ, თ. ლანჩავას ამ მოთხრობაში ტრაგიზმის მძაფ-
რი განცდა გამოსჭვივის. ტრაგიკული პიროვნებაა ყველა,
მაგრამ განსაკუთრებით აგაბო, რომელსაც ბედმა მისთვის
გენეტიკურად არაა ხლობელი სიცოცხლის აღზრდა დააკის-
რა. სხვათა ტრაგიკულობა კი მათივე უფუნქციობითა და
უნიადაგობით შეიძლება აიხსნას, აგაბო მაინც განცალკე-
ვებით დგას, იგი გამორჩეულია თავისი ფიქრით, განცდით,
მისწრაფებითა და მსოფლიოთ.

ტრაგიკული პიროვნებაა „ჩაქრალი ვულკანის“ პერსო-
ნაჟი მაქსიმიც. ამ მოთხრობის ძირითადი დედაზრი, კერძოდ
ის, რომ მარადიული სიყვარული არ არსებობს, რომ დრო
ყველაფრის მკურნალია, დასაწყისშივე ცხადდება. ნაწარ-
მოების გმირს აღექსის წრფელი სიყვარულით უყვარდა ო-
ონა, მაგრამ ვიღაც მამაკაცთან წაასწრო და ამან საოცრად
ააფორიაქა, მისი მოკვლაც გადაწყვიტა... გარკვეული დროის
გასვლის შემდეგ კი ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, დაწ-
ყნარდა და კინოკადრებივით გაიქროლეს მის ცხოვრებაში
სუსტი სქესის წარმომადგენლებმა.

ერთ დღეს საქართველო კლუბში მიწვეულმა აღექსიმ იმდე-
ნი სასიყვარულო ლექსი წაიკითხა, რომ დამსწრე ქალების

საოცარი სიმპათია დაიმსახურა. მირთმეულ თაიგულში ბარა-
თიც აღმოაჩინა, სადაც ტელეფონის ნომერიც იყო შითი-
თებული. დარეკა ამ ნომერზე და ქალის მაგივრად კაცმა
(მაქსიმმა) უპასუხა, რომ ნინო იქ არ ცხოვრობდა და თვითონვე
იცნო—შენ ალექსი არა ხარო?

შემდეგ თითქმის ყოველდღე საუბრობენ ტელეფონით, ნი-
ნო კი არსად ჩანს. როგორც გაირკვა, ბარათი და ტელეფო-
ნის ნომერი ერთგვარი საცდუნებელი ყოფილა, რომლითაც
ნინოს სურდა მაქსიმისათვის (იგი დავრდომილია) მეგობარი
შეეძინა. მაქსიმი ფრიად განსწავლული კაცია, მშვენივრად
მსჯელობს, ფილოსოფიურად აზროვნებს და მისთვის ჩვეუ-
ლებრივი ხმის გამცემი მეგობრად არ გამოდგებოდა. მწერა-
ლი ალექსი კი ამისათვის ზედგამოჭრილი გახლდათ. აქედან
იწყება მოთხრობის საინტერესო ნაწილი. მაქსიმი იმდენად
შეეჩვია ალექსის, რომ ხშირად ურეკავს, მივლინებაში, ქა-
ლაქებარეთ მყოფსაც ეხმიანება. ერთ მშვენიერ დღეს ალექ-
სიმ თვითონ გადაწყვიტა სტუმრებოდა მაქსიმს და აქაა სწო-
რედ ის დრამატული მომენტი. მაქსიმი ალექსის წინაშე
თავისი საკმაო განსწავლობით წარსდგა და იქვე დასძინა:
„ვთხოვე ნინოს, მეგობარი გაეჩინა, არ დამთანხმდა. იცის,
ადამიანი ვარ და ამით დამტანჯავდა. მაშინ ჩემს გვერდით
ყოფნა ავუკრძალე, თვალს რომ მიეფარა... ვამჩნევ, თანდა-
თან როგორ ფერმკრთალდება და ძალას კარგავს მასში
ქალური უინი. ორი დღის წუთისოფელი, ღმერთმა რომ აჩუ-
ქა, არ მინდა წავართვა... რომ არ მოგწონებოდა, იმ საღა-
მოსვე არ დარეკავდი...“ მოთხრობის ამ ადგილიდან ნათელი

გახდა მაქსიმის მამაკაცური უძლურება, მაგრამ ეს მანამდებ
ნაკლები მიზეზია იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელ
საც იგი შემდეგ აცხადებს. წასასვლელად გამზადებულ აღექ-
სის თხოვს, ნინო გააცილოს:

„—რას გაშტერებულხარ, დროა, უნდა წახვიდეთ, ფეხები
იმიტომ გაქვთ, რომ წახვიდეთ!—გვითხრა მაქსიმმა და პირი
კედლისკენ იბრუნა.

მე და ნინომ ქურდულად ავხედეთ ერთმანეთს. კარგა
ხანს ვიდექით ჩუმად.

—ჩემს თავთან დამტოვეთ... შემიბრალეთ!—ეს უკვე
ბრძანება იყო“.

მართალია, მაქსიმმა აღექსის ნინო გაატანა, მაგრამ მთლი-
ანად, ასე ერთი ხელის მოსმით, ვერ დათმო იგი და დაურეკა
კავალერს, ჰქითხა, როგორ მიაცილა შინამდე. ეს სატელე-
ფონო ზარი რომ არა, შესაძლოა აღექსისა და ნინოს შორის
იმ დღესვე მომხდარიყო მოსახდენი. ყოველშემთხვევაში, წი-
ნააღმდეგობის გაწევის დიდი სურვილი ნინოს ხასიათში არ
იკითხება (აღექსის შინაც გაჰყვა). ყოველივე ეს კი იმის
გამო ხდება, რომ ნინოს მაქსიმთან ძელი სიყვარული კი არა,
სიბრალულის, ერთგვარი მოვალეობის მოხდის, სამაგიერო
ჰატივის მიგების გრძნობა აკავშირებს უკვე (მაქსიმი ნინოს
ძმას მატარებელზე აცილებდა, ფეხები რომ დაკარგა).

რაც შეეხება მაქსიმის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას,
იგი, პირველ რიგში, მისი ფიზიკური უძლურებით, განსწავ-
ლულობითა და არაქართული წარმომავლობითაა მოტივი-
რებული. მწერალი ახერხებს ამ მცირე ნიუანსებით საოც-

რად შეკრას და ბუნებრივი გახადოს ორივე მხარის—მაქსრი
მისა და ნინოს ახალ სულიერ ტალღაზე გადართვა. მამაკა-
ცი ცივი გონებით, მისი მდგომარეობის გამოწვლილვითი
განსჯით ღებულობს გადაწყვეტილებას, ხოლო ქალის ხასი-
ათში რაღაც მდგომარეობის (მაქსიმის ტრაგიკული ყოფის)
გამო დროებით უკანა პლანზე გადატანილი, შეკავებული
გრძნობა იღვიძებს. მაქსიმსა და ნინოს ბავშვობიდან, უკვე
ოცი წელია უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ეს უკვე სიყვარული
აღარაა, იგი იმ დღიდან გადასხვაურდა და თანდათან გადა-
იზარდა სიბრალულში, როცა მაქსიმს უბედურება შეემთხვა.
მოთხოვის პერსონაჟი (მაქსიმი) კი ის პიროვნებაა, რომელ-
საც აღლო არ დაღატობს, სწორად განსჯის, აღიარებს
თვის ყოფას და გამოაქვს განაჩენი. მწერალი ლაკონუ-
რობით, მიზანში მოხვედრილი, მიგნებული დიალოგებით
ახერხებს საოცრად ბუნებრივი, გასაგები გახადოს ეს მეტად
რთული და ძნელად აღსაქმელი სიტუაცია.

თ. ლანჩავას ნაწარმოებებში ცალკე უნდა გამოიყოს გარ-
კვეული ციკლი მოთხოვისა და ნოველებისა, რომელთა
პერსონაჟები საოცრად წვრილმან და უსახურ მიზნებს გაუ-
ტაცნია. მათი ყოფის არსი ამ კნინი ფიქრების მსახურებაა. მწერალი ლალი იუმორით, მიგნებული პასაჟებით, ამგვარ
ადამიანთა ავანჩავანის ცოდნით ქმნის მათ გაშიშვლებულ
სახეებს. ტარიკო ტარასკონელის სახელობის ინსტიტუტის
დოცენტს, იხვისყელისფრად ახავერდებულპალსტუხიან ოტია
ჭუკიშვილს („მწუხრი“) სოფელ ჯილდუვავეთში მღვდელი და
პოლიციელი მიჰყავს შებილწული ჭა (არც იციან, ვინ ჩაასხა

მასში ტრაქტორის ზეთი) რომ აჩვენოს და სოფლებულების „
ლმერთით ან კანონით დააშინოს; სავლე ღამლამობით „ბომბებს“
ამზადებდა („სავლე“)—ანონიმურ წერილებს წერდა, ქალაქ
საქარიაში საპატიო თანამდებობები ეკავა, მაგრამ პირველი
კაცის სავარძელს ვერასდროს ეღირსა, საყველპურო ღექ-
სებს წერდა, დიდების კვარცხლბეჭს ვერ წაეპოტინა. საკუთა-
რი ნეკროლოგი სიცოცხლეშივე დაწერა, სამგლოვიარო ღო-
ნისძიებაც დეტალურად ჩამოაწიკწიკა. ნეკროლოგის მიხედ-
ვით, ქალაქის ცისფერ პანთეონში უნდა დაეკრძალათ, მაგ-
რამ გარეუბანში, ახალგაჩენილ სააფლაოზე, ქალაქელი მი-
კიტნისა და სოფლელი ხარატის შუაში მოუწია სამუდამო
ყოფნამ;

მთავარ ბუღალტრობაში დაბერებულ მარტოხელა ვარ-
ლამ კიღურაძეს მოულოდნელი სიხარული ეწვია („სევდა“),
მეზობელმა შაშვის ბარტყები ჩამოუყვანა სოფლიდან. კაცს
საზრუნავი გაუჩნდა, მის არსებობას აზრი და შინაარსი მიე-
ცა, თუმცა იგი მაინც შიშობს: „ვისაც გადავყევი და ვუპატ-
რონე, იმან რა ხეირი დამაყარა, შაშვი გაიგონებს ჩემსას?“.
ვარლამის მარტობა მარტოხელობითაა განპირობებული და
ახალ საქმეს—შაშვების აღზრდას გულმოდგინედ შეუდგა,
მაგრამ ბუღალტრულმა შიშმა მაინც გაიელვა მის გონებაში:
„თუ მართლა წამოვჩიტე და დავაფრთიანე, კი იგალობებენ,
მაგრამ ძალას რომ მოიკრებენ და სიმღერის გუნებაზე დად-
გებიან, ვიღას გავახსენდები“. ვარლამ კიღურაძეს არ სურდა
მარტობაში, „უმფოთველ ცხოვრებაში“ დალია სიცოცხლის
ბოლო დღეები, ვერც საქმიანობა უვსებდა სულის იმ კუნ-



ჭულს, სადაც მიუსაფრობა და მარტოსულობა იყო დაგენებული. შაშვების მოვლამ გაიტაცა, იმდენადაც, რომ საბუღალტრო დავთორებშიც გაჩნდა შაშვები. გამოიცვალა, გადასხვაფერდა, ღილინიც წამოიწყო... ერთი სიტყვით, ვარ-ლამ კიღურაძე ნამდვილ ცხოვრებას დაუბრუნდა, გახალის-და და ადამიანად იგრძნო თავი. მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი მაინც მარტოობისათვის იყო განწირული. მეზობლის კატამ შაშვები შეუჭამა და მთავარი ბუღალტერი ისევ ისეთივედ იქცა, როგორიც მანამდე იყო: „იმ დღიდან გაღიმებული ვარლამ კიღურაძე არავის უნახავს, თითქოს დაავიწყდათ კიდეც მისი არსებობა, ხანდახან საანგარიშოს კოჭების ხმაური თუ შეახსენებდათ, რომ ვიღაც თვლიდა და აჯამებდა მათი ყოველდღიური ლუკმა-პურის ფულს“.

კაკუშაძების ოჯახში ოცი წლის წინათ ჩაესიძა არქიფო („ცაზე მთვარე ჩახჩახებდა“) და ეს ხანი ისე გაატარა, როგორც კატორლაში. ჩასიძებისთანავე დაემშვიდობა თავისუფლებას, „ქეიფსა და დროსტარებას ვინ დაეძებს; თავის გემოზე აღარ ამოუხველებია“. და აი, არქიფოს სულიც აჯანყდა, თითქოს გაიღვიძა ღვთისგან ბოძებულმა გრძნობამ, მაგრამ იგი არაა თავისუფლების ღირსი პიროვნება. მიზეზიც ოჯახიდან გაქცევისა სასაცილოა—ცოლისდებმა მისი ხელით შეკერილი ბოხოზი დაარღვიეს და პალტოზე შემოაყოლეს. მოთხოვთ უამრავი ქვეტექსტია, რომლებშიც ის სიმბოლური აზრი იკითხება, რომ თავისუფლებას, უპირველესად, მოპოვება, დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. სახლიდან გაქცეული არქიფო ტაქსის რიგში ციხიდან ახლახან გამოსულ

გურამს, გეოლოგ ნესტორსა და ტაქსის მძღოლ არჭაფაზე გაიცნობს. სწორედ მათ ქმედებასა და დიალოგებში გამოიყოფა ჰევიის არამარტო პიროვნული, არამედ თავისუფლების გა-გების არაერთგვაროვანი სენტენციები.

„ყველაზე დიდი სიხარული მაინც ფულია. —ჩაილაპარა-კა მძღოლმა.

—ყველაზე დიდი სიხარული თავისუფლებაა. —ამოიგმი-ნა ბიჭმა.

—მარტო თავისუფლება? მეტი არაფერი? —ჩაიცინა არ-ტავაზამ.

—როცა თავისუფალი არა ხარ, მაშინ თავისუფლებაა ყველაზე დიდი ბედნიერება, როცა თავისუფალი ხარ —სიყვა-რული“.

საინტერესო ამბავს ყვება გეოლოგი ნესტორიც. კაცი დახრჩობას გადაარჩინა და იმის ნაცვლად, რომ მადლობა გადაეხადა, სილა გააწნა: „ღვთის ნება-სურვილს წინ გადა-ელობე და ამქვეყნიური საზრუნავი გამიგრძელეო“. ასე, სხვა-დასხვაგვარად, თავისებურად ესმის თითოეულ მათგანს პი-როვნული თავისუფლების არსი, მაგრამ საბოლოოდ ყველა აღიარებს —აღამიანი ტყვეობაში ვერ უნდა ძლებდეს და თუ საჭირო იქნება, მდინარის დინებას საწინააღმდეგო მიმარ-თულებითაც უნდა აუყვეს და მიაღწიოს საწადელს. არქიფო კი ასეთი არაა და ამიტომ ვერ იქცა თავისთავისთვის თავი-სუფლების მომტან გმირად. მის ამგვარ ჯოჯოზეთურ ყოფა-ში კი შეიძლება სიმბოლური აზრიც ამოვიკითხოთ და უფრო დიდ და წმინდა ცნებებსაც მივუსადაგოთ.

ამ მოთხრობაში ყველაზე ნათელი სულისა და ვაჟკაცური ბუნების პერსონაჟი გურამია, რომელმაც სასჯელი ვიღაც მეფურნის, დეზერტირისა და მომხვეჭელის ძეგლის აფეთქებისათვის მოიხადა, ბაზარში გამყიდველს ჩიტებით სავსე გალია წაართვა, დის საფლავზე მიიტანა (რომელსაც ძალიან უყვარდა ფრენა და მეხუთე სართულიდან „გადაფრინდა“) და გაუშვა ისინი.

მოთხრობას თანაბარი მხატვრული დონით წარმოჩენილი ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს—არქიფო და გურამი. ეს უკანასკნელი მებრძოლი სულის, დაუდვრომელი, შეურიგებელი ბუნების, ძველის ახლით შეცვლის სურვილით ანთებული პიროვნებაა. არქიფო კი ამგვარ მსოფლხედვას მოკლებული, არსებულს დაჯერებული ის „გმირია“, რომელიც ვერასდროს შეცვლის ძველსა და ცუდს ახლითა და სასურველით.

საერთოდ, თ. ლანჩავას შემოქმედებაში ზედმეტი ადამიანის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმნიშვნელო, ფუჭი მიზნებითა და სურვილებით გატაცებულ ადამიანთა მხატვრულ წარმოჩენას დიდი აღვილი ეთმობა (ასეთია მოთხრობები: „ამღერებული გუბეები“, „რისკი“, „მოწმე“, „დანაკლისი“ და სხვ.). მწერალი შესაშური ხატოვანებით ძერწავს მათ პორტრეტულ გალერეას. პერსონაჟებს კი თვალნათლივ ემჩნევათ, რომ ავტორი ძალიან ახლოს, ზუსტად და გამოწვლილვით იცნობს მათ და ქმნის მათ დამაჯერებელ, დასამახსოვრებელ, იუმორით შეზავებულ სახეებს, რომლის მიღმაც მწერლის საოცარი წუხილი და გულისტკივილი იკითხება.

დაბოლოს, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა „ჩამქრალ ჭულში განში“ შეტანილ ბოლო ვრცელ მოთხრობაზე „კრაცე, ზანზარინო, კრაცე!“, რომელშიც ამბავი არაფერი ხდება. პერსონაჟები მხოლოდ საუბრობენ ძველზე, ახალზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კაცზე, ქალზე... მათ დიალოგებში ლამაზი სევდა გამოკრთის. ყოველივე ეს კი ლალი, თ. ლანჩავასეული, შინაგანი მე-დან წამოსული, ბუნებრივი, ნაღდი იუმორითაა შემოსილი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ყოველთვის სინანულის გრძნობა მრჩება, სინანული იმისა, რომ მას რაღაც აკლია, რაღაც პასაჟთა ერთიანობა, რომ მშვენიერ რომანად იქცეს.

იმედია, თ. ლანჩავა უკმარისობის ამ სინანულისმომგვრელ გრძნობას იმით გააქარწყლებს, რომ მომავალ გამოცემებში „კრაცე, ზანზარინო, კრაცე!“, თავისთავად ეს მშვენიერი მოთხრობა, რომანის დონემდე იქნება შევსებული და განახლებული.

პარალელები

პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, თემატური თვალსაზრისით, ოცდაათიან წლებზე შექმნილ იმ მხატვრულ ქმნილებათა რიგს განეკუთვნება, როგორიცაა „კოლხეთის ცისკარი“, „გვადი ბიგვა“, „მთვარის მოტაცება“ და სხვა.

პ. კაკაბაძე ამ პიესაშიც კომედიური ჟანრის მის მიერვე გამოგონილი და მოძებნილი ხერხისა თუ მანერის ერთგული დარჩა—უარყოფით პერსონაჟთა და მათი ხასიათების მიმოქცევისა თუ გარდასახვის გვერდით, ფართო აღგილი დაუთმო ერთგვარი, სტაბილური და წინასწარვე ჩამოქნილი, დადებით თვისებათა მატარებელი გმირების წარმოსახვას. როგორც ცნობილია, კომიზმი ზომიერად შეიცავს დაცინვას, თანაგრძნობას და სატირულ უარყოფასაც კი. აქედან გამომდინარე, კომედიური ჟანრის სპეციფიკური თავისებურება საერთოდ გამორიცხავს ე.წ. „დადებით გმირს“, მაგრამ დრამატურგს არჩეული დრო და ვითარება „აიძულებდა“ მანკიერთან ერთად მეორე მხარეც არ დაევიწყებინა და მისი მხატვრული დასურათხატებისთვისაც ეზრუნა, თუმცა ამან საკმაოდ „დააზიანა“ თითქმის ყველა კომედია. პ. კაკაბაძეს, ბუნებრივია, კომედიური ჟანრის თავისებურება კარგად უნდა ჰქონოდა გათვითცნობიერებული და მისი ე.წ. „კლასიკური ვარიანტის“ მხარდამჭერიც ყოფილიყო. ამის დასტურად უნდა მი-

ვიჩნიოთ ჯ. იოსელიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი დრამატურგი დადებით გმირებს თავისსავე კომედიებში „საცენზურო ღალას“ ეძახდა.

თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ ე.წ. „დადებითი გმირები“ უსიცოცხლო და უსახური პერსონაჟებია. მათი ხასიათი არა-ნაირ ცვალებადობას არ განიცდის—პიესის დასაწყისსა და ფინალშიც ერთნაირები არიან—ტლანქი, უმოძრაო, უსი-ცოცხლო... და საერთოდ, ისინი რომ არ ყოფილყვნენ, კომე-დია საგრძნობლად მოიგებდა, უფრო ცოცხალი, ერთი იდეი-თა და მიზნით შეკრული გახდებოდა ნაწარმოები. ამ გმი-რებს კი გარკვეული სიმდოვრე შეაქვთ პიესაში, ანელებენ მოქმედების რიტმს... ერთი სიტყვით, ამ პერსონაჟთა არ-სებობა, ღალისა და ხარჯის მიუხედავად, ვერანაირ მხატ-ვრულ გამართლებად ვერ ჩაითვლება. უპირველესად, ნაწარ-მოები დროის შესაფერისად და მასზე მორგებულად არ უნდა იწერებოდეს. „კოლმეურნის ქორწინებასა“ და სხვა კომედიებშიც ყველაფერი ისაა მხატვრულად ღირებული, რაც დროის მოთხოვნით კი არა, მხატვრული სიმართლისადმი ერთგულების პრინციპითაა შექმნილი.

„კოლმეურნის ქორწინებაში,“ იმერეთის სოფლის ძველი ყოფის ტრადიციათა გვერდით, ნაჩვენებია საკოლმეურნეო ცხოვრების ნიუანსები, მისი რეალიზაციისათვის დამახასია-თებელი ზიგზაგები და შეფერხებანი. ყოველივე ამას დრამა-ტურგი ერთ ფოკუსში აქცევს ისე, რომ პიესაში მიმდინარე მოქმედებისათვის დროითი განცალკევება არაა დამახასია-თებელი. წარსული და აწყვო კი ერთად არ შეიძლება არ-სებობდეს. უფრო სწორად, შემოდგომის აზნაურთა ყოფიე-

რება და საკოლმეურნეო ცხოვრება გარკვეული დრომთვის
ინტერვალით იყო დაცილებული, რაც ბუნებრივია, ხასია-
თების, ჭიპების სხვადასხვაობასაც გულისხმობს. მართალია,
გადასვლა სხვა დროში მკვეთრად საგრძნობი რეტარდა-
ციების ხერხით არ ხდება, მაგრამ თვითონ ხასიათების დროსა
და სივრცეში ამგვარი განფენა რაღაცნაირ ეჭვს ბადებს,
ეჭვს იმისას, რომ ისინი სხვადასხვა დროის, ვითარებისა და
სოციალური პირობების პირმშონი არიან.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საინტერესოა „კოლმე-
ურნის ქორწინებაში“ პერსონაჟთა ხასიათების წარმომავ-
ლობა, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მათი არქეტი-
პული ბუნების მატარებელ ლიტერატურულ გმირთა აღეკვა-
ტის მოძებნას. ამის საშუალებას ტექსტი არც იძლევა, მაგ-
რამ, ვთიქონდო, საინტერესო იქნება ზოგიერთი პერსონაჟის
ზოგადქართული ხასიათიდან მომდინარე ნიშნების მიკვლე-
ვა-დაძებნა და მათი მსგავსება ამავე თუ სხვა პერიოდის
ლიტერატურულ პროტაგონისტთა ხასიათებთან.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს პირველად შეეხო პროფ.
ს. ჭილაძა, მისი შეხედულებები მთლიანად გაიზიარა დ.
იოვაშვილმა, საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს ამ სა-
კითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ციციშვილმა და დ. ბენაშ-
ვილმა, ჩვენ მათ შეხედულებებს სათანადოდ გამოვიყენებთ,
მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პრობლე-
მა—პერსონაჟთა არქეტიპული ბუნების საკითხი „კოლმეურ-
ნის ქორწინებაში“ სავსებით და საბოლოოდაა გაშუ-
ქებული—ზემოთ დასახელებული მკვლევარნი სპეციალურად

არ სწავლობდნენ ამ საკითხს და რამდენადაც მათ დაუგირებელი ვებისა და კომედიის წაკითხვის სფერო უფრო ფართო იყო, ამდენად ზოგადი შენიშვნებითა და შეფასებებით კმაყოფილ-დებოდნენ.

„კოლმეურნის ქორწინების“ პირველი მოქმედება ყოფილი მოჯამაგირისა და ნააზნაურალის შეხვედრის სცენას წარ-მოადგენს. ამდენად იგი ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს მიერ გასაანალიზებელი საკითხის განსჯისა და შესწავლისათვის. საქმე ეხება წარსულში ერ-თად მყოფი, სოციალური კიბის მაღალ და უდაბლეს სა-ფეხურზე მდგომ ადამიანთა შეხვედრას. ძველად მანუჩარი აზნაური გახლდათ, ხახული მისი მოჯამაგირე—ახალ ვი-თარებაში კი ორივენი შეცვლილი და გადასხვაფერებულნი არიან, არა მარტო თავიანთი სოციალური მდგომარეობით, არამედ ბუნებითა და ხასიათითაც, რაც უპირველესად მათ ურთიერთობასა და მოქმედებას ეტყობა, მაგრამ ეს კიდევ არ არის საბოლოო შეცვლა და გარდასახვა. ერთიც და მეორეც ატარებენ, როგორც ძველი, ისე ახალი დროის ნიშნებს. კო-მედიოგრაფის ალლო იმაშიც მჟღავნდება, რომ იგი პიგის დასაწყისშივე ერთმანეთს ახვედრებს, ე.წ. სინთეზური, რა-ღაცნაირი კონგლომერატის მსგავსი ხასიათების მქონე ორ ადამიანს და ჩვენს თვალწინ აშკარავდება, თუ რა შერჩენი-ათ მათ ძველი ყოფისთვის დამახასიათებელი და რა შეითვი-სეს ახლიდან.

თავისი სახლის წინ, ტახტზე მოკალათებულ ყოფილ მოჯამაგირე ხახულის ნააზნაურალ მანუჩარის ვაჟი ჯიბილო

და სოფლის მწერალის ვაჟიშვილი ვატა გამოეცხადა. ხახული
მასპინძლისათვის შესაფერისად ხვდება სტუმრებს, ხოლო,
როცა გაიგებს, რომ მათ შორის ერთ-ერთი მანუჩარის
ვაჟია — სიხარულსაც არ მაღავს: „შენი ჭირიმე, ბიჭო, შენს
დაბადებაზე რამდენი თოფი გავისროლე, არ მახსენებენ თქვენს
ოჯახში?“ როგორც ვხედავთ, ხახულის აინტერესებს მისად-
მი მანუჩარის ოჯახის ამჟამინდელი დამოკიდებულება, ის,
თუ როგორ უფასებს ნააზნაურალი მანუჩარი ძველ ამაგსა
და შრომას. ამ კითხვაში ისიც იგრძნობა, რომ ხახულის
ენანება ძველად განვლილი ცხოვრება, უნდა, რომ იმ წლებისა
და შრომის გამო ვიღაც მაინც იყოს მაღლიერი და საკად-
რისს მიაგებდეს მას. მაგრამ, როცა ვატა ჩვეულებრივ
ფაქტს — მანუჩარის ოჯახში მოჯამაგირეობას შეახსენებს,
შეცება და თითქოს იუკადრისებს კიდეც: „მოჯამაგირეც მე
ვიყავი და პატრონიც. ამის მამამ, მანუჩარმა, ჩემი მარჯვენა
მოიწონა, ჩემი სიმღერა შეიყვარა და... ცხონებული ბაბუაშე-
ნი რომ მოკვდა, ის ძველი აზნაურ-ბატონი, იმის ქელეხი
რომ გადავიხადეთ, იმ დღიდან თქვენს ოჯახში სუფრა არ
აღებულა ხუთ წელიწადს, დღე და ღამე, ნაირ-ნაირი პურ-
მარილი გვქონდა გაშლილი, ბოლოს, როდესაც გათავდა ქო-
ნება, მანუჩარმა სახლში გამიშვა და თავისი ნამოსამსახურევი
ცოლად გამატანა“.

ამდენად, ხახულის შეცებუნებამ სიმართლე ათქმევინა, ყვე-
ლაფერი გაიხსნა, რამაც მანუჩარის საბოლოო გაღატაკება
განაპირობა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ყოფილი
პატრონის მიმართ უკმაყოფილების გრძნობით, პირიქით ზე-

მოთ მოტანილ ციტატაში ერთგვარი სინანული, სიმპუზიუმის ერთგულების გრძნობაც კი შეიმჩნევა.

როგორც ცნობილია, „ისტორიული მსვლელობის მანძილზე, კერძოდ, გარდატეხების, კრიზისული ეპოქების უამს, ისე ნათლად იკვეთება ადამიანთა სხვადასხვა ფენების ფუნქციების მოშლა და რღვევა, რომ მათ უკვე აღარ ძალუმთ ძველებურად გულდამშვიდებით განაკუთვნონ თავი ტრადიციულ კლასიფიკაციას“. (მ. ჯოხაძე, „დავით კლდიაშვილის მოხუცები“)

ი. კონი წერდა, რომ „ვინ ვარ მე? ამ კითხვას რომ ადამიანმა უპასუხოს, ჯერ უნდა გამოაშკარავდეს, გაიხადოს თავისი სოციალური სამოსი“. ზემოთ მოტანილი ციტატიდან კარგად ჩანს, რომ ხახულის „ძველი სოციალური სამოსის“ ელემენტები ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს, ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გათავისუფლებული წარსულში მორგებული, ერთი შეხედვით უზრუნველი და უშურველი არსებობის გარანტიის ნილბისაგან. გავიხსენოთ, როგორ მოკრძალებითა და სიამაყის გრძნობით იხსენებს იგი მანუჩარის მამას: „ის ძველი აზნაურ-ბატონი“. ხახული პატივს სცემს ადამიანური ურთიერთობის იმ ფორმას, რომელიც მანუჩარის მამასა და მოჯამა-გირეს შორის ხორციელდებოდა, ხოლო ქონების დაკარგვისა და გაღატაკების მიზეზს მანუჩარის (თუმცა ამ სიტყვებს მის მიმართ პირველ მოქმედებაში არსად ახსენებს) ქარაფ-შუტობასა და აბსოლუტურ უგერგილობას მიაწერს.

ხახულის სოციალური შებოჭილობა კიდევ უფრო აშკარავდება მას შემდეგ, როცა იგი გაიგებს, რომ მის ოჯახში

აპირებს მოსვლას მანუჩარი, რომლის ვაჟსაც ხახულიშვილი ზობელი ირინე შეჰყვარებია და მამა, ყოფილი აზნაური, სარძლოს „გასაშინჯად“ მოდის: „მაშ, მანუჩარი ჩემსას მოდის?“ კითხულობს ხახული და ეს სიტყვები ერთდროულადაა გაკვირვების, სიამაყის, განცვიფრების, მოკრძალებისა და ერთგულების შინაარსის დამტევი.

ზემოთ ვამბობდით, რომ ისტორიულად გარდამტები პერიოდები ტრადიციულ კლასიფიკაციას არღვევენ, მაგრამ საწყისი ეტაპისათვის ახალსაც ვერ ქმნიან. ამიტომ ერთგვარი დიუზიური განმასხვავებლობითი ნიშნები იწყებენ მოქმედებას, რომელიც „ყოფილისა“ და „ახლანდელი“ მდგომარეობის“, თუ არსებობის ნიშნებს ითავსებენ და ამ პოზიციიდან აფასებენ ადამიანთა ურთიერთობებს. ხახულიც ასეთი ადამიანია, თვითონაც არ უწყის, რა პოზიციიდან, მდგომარეობიდან შეაფასოს ყოფილი პატრონი და ამიტომ განწყობილების ერთგვარი სიმბიოზური პოზიციით მოქმედებს.

ნააზნაურალ მანუჩარის ქმედებაში—სარძლოს „გასაშინჯად“ წასვლის ფაქტის დეფინიციის დროს ერთ დეტალსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ცნობილია, მაჭანკალი ქართული კომედიის ერთ-ერთი მთავარი ნიღაბია. ამდენად, იგი ხშირ შემთხვევაში კომედიის სიუჟეტის სიმბიმის მატარებელია, ანუ იგია ცენტრალური ფიგურა. ჯ. იოსელიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მაჭანკალი ასეთ შემთხვევაში არის „კონფლიქტის გამნასკვავ-გამკვანძავი, ხრიკებისა და ოინების ავტორი, ტყუილის მართლად მომჩვენებელი და პირუკუ“. ამ ნიღბის კომიზმის დომინანტი მხიარულებაა“.

მანუჩარის ქმედებას კი ასეთნაირად ვერ შევაფასებთ მაჭანკლობის განსხვავებულ ნიღაბთან უნდა გვქონდეს საქ-
მე. მართალია, მე-20 საუკუნის კომედიებსა თუ კომიზმის ნიშნით აღბეჭდილ ნაწარმოებებში (მაგ. დ. კლდიაშვილთან) მაჭანკლობის მიზანი ერთ-ერთი მხარისათვის სარგებლობის მოტანა და არსებული პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფ-
ვაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში კონფლიქ-
ტის წარმომშობ და გამნასკვავ ფიგურად მაჭანკალი არ გამოდის. აქ, პირობითად რომ ვთქვათ, მაჭანკლობის ისეთ ფორმასთან გვაქვს საქმე, როცა ძირითადი „გაშინჯვაა“, რომ-
ლის შინაარსიც პრაგმატული ინტერესით არის ნაკარნაზევი. ხოლო რაც შეეხება მამის ქმედებას—„სარძლოს გაშინჯვას“—
ამისი ელემენტები ჯერ კიდევ გ. ერისთავის „გაყრაში“ შეიმ-
ჩნევა, როცა მიკირტუმ გასპარიჩი თავად ცდილობს ქალიშ-
ვილის გათხოვებას, ამგვარი ქმედების კლასიკური ფორმა კი დომინანტობს დ. კლდიაშვილის მოთხოვნებში („დარის-
პანის გასაჭირი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“).

ხახულის მსოფლმხედველობა მანუჩართან შეხვედრამდე გარკვეულ ცვლილებას განიცდის. დროის იმ მონაკვეთში, სტუმრის მისაღებად მზადების პერიოდში, იგი თავისი ქა-
ლიშვილის ამბავს შეიტყობს და, მართალია, მისი წარმა-
ტებები, დღედაღამ კოლმეურნეობის პლანტაციებში ტრიალი არ მოსწონს, ქალიშვილს მოხუცი მამის მოვლისა და პატ-
რონობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ წარმოდგენასაც იცვლის თავის შვილზე, მისადმი გარკვეული სიმპათიის გრძნობითაც



იმსჭვალება, რაც უპირველესად მანუჩართან შეხველდნენ სცენის ნაში მჟღავნდება. ნააზნაურალის სალამზე „ძველ ხახულის გაუმარჯოს!“ არც კი უპასუხებს და ერთგვარი ირონიითაც ჰქითხავს:

„ეს უნაგირი, მანუჩარ ბატონი, სად შეიძინე?

მანუჩარი—ეჰ, სათაკილო მჭირს.

ხახული—როგორ გეკადრება.

მანუჩარი—ამ დილას ჩემი თეთრი ცხენი შევკაზმე.

ხახული—კიდევ ცოცხალია, ბატონო, ის თეთრი ცხენი?

მანუჩარი—ნეტავ მგელს დროზე შეეჭამა, დაბერდა, ექვისი თვეები ზედ არ შევმჯდარვარ, ამ დილას კი ვიკადრე, მაგრამ ძალიან ფორხილობდა... მერე მგზავრების შემრცხვა და შეუკაში გადმოვუხვიე, აქ კი მათრახმაც არ უშველა... ბოლოს წაიქცა და ფეხი გაჭიმა იმ ოხერძა“

მანუჩარი ამ ეპიზოდში გულახდილად, დაუფარავად ამჟღავნებს სიმართლეს, არ მალავს ყოფილ მოჯამაგირესთან თავის გასაჭირსა და უმწეობას. მაგრამ აქ ისიც ნათლად ჩანს, რომ ნააზნაურალი, მართალია, ცივი, მიუკერძოებელი გონებით სჯის თავის მდგომარეობას, მაგრამ ერთგვარი ნიღბიც აქვს. კერძოდ, ქალის „გასაშინჯად“ მიმავალ ნააზნაურალს თავისი ძველი წოდება და მდგომარეობა აიძულებდა ცხენით წასულიყო ამ საქმის მოსაგვარებლად და არა ფეხით, მოუხედავად იმისა, რომ თავადიშვილთათვის განკუთვნილი ტრანსპორტის ეს სახეობა—მათი ღირსებისა და შესაძლებლობის დამადასტურებელი თეთრი ცხენი, ამ საქმისათვის უკვე აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო. მანუჩარის ამგვარ ქმედებას

ნაწილობრივ განსაზღვრავს თამაში, ნიღაბი, რომელიც სა-
თავეს იმ დროიდან იღებს, როცა ნააზნაურალის გრძელების
გარკვეული დიდების ნაშთი შერჩენილი პქონდა და არსებულის
ათასნაირი თამაშითა და ნიღბური ვარირებით თვალშისაც-
მი უნდა გაეხადა ახლანდელ დროშიც მათი სიძლიერე და
ეკონომიური შესაძლებლობანი. ამდენად, მანუჩარის სახე
ახლოს დგას დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურად“
წოდებულ ტიპებთან... კლდიაშვილისეულ გმირთა მსგავსად,
მანუჩარმა ჯაგლაგი ცხენის სულის ამოხდომასა და ყოფილ
მოჯამაგირესთან უნაგირით ხელში სტუმრობას თავის
სარძლოსთან საინტერესო ახსნა მოუძებნა:

ირინე—მე გზაზედ დაგინახეთ, ბატონი, ცხენის მოკაზმუ-
ლობა მოგქონდათ, თურმე ვინ ბრძანდებოდით!

მანუჩარ—დიახ, მართალია, გადარეული ცხენი მყავს და
უნაგირიდან გადმომაგდო.

ირინე—რას ბრძანებთ, ასეთი ცხენი რად გინდათ?

მანუჩარ—ცხენი კი არა, რაშია, სარძლოს სანახავად რომ
მომეჩქარებოდა, მათრახი შემოვარტყი და იწყინა, გაფრინ-
და, მუხლებიდან ნიავივით გამომეცალა და ამოდენა კაცი
ბურთივით გადამისროლა მოლზე.

მისტიფიკაციის ცნობილი ხერხია, როცა ადამიანი ცდი-
ლობს რეალური მდგომარეობის შენიღბვასა და ამ გზით
მოჩვენებით სიმშვიდეს პოულობს თითქოს, მაგრამ ეს სიმ-
შვიდე უმძაფრესი ტრაგიზმითაა სავსე.

აკ. გაწერელია ასეთი ნიშნით გამოარჩევს და ახასიათებს
დ. კლდიაშვილის გმირებს: „ისინი ყოველთვის მოგზაურობენ...



ყველანი დასუსტებულ ცხენებზე ან ჯორებზე სხვადან, ეს მომენტი ანათესავებს ჩვენს ბელეტრისტს სერვანტესთან". როგორც ვხედავთ, ბეხრეკი და ჯაგლაგა ცხენებითა თუ ჯორებით მოგზაურობა დ. კლდიაშვილის გმირთათვის ტიპი-ური მაგალითია. ამ მოგზაურობით ააშკარავებენ ისინი თავიანთ უძრეობასა და უბადრუკობას, კულაბზიკობასა და ამპარტავნობას, ტრაგიკომიკურ მდგომარეობას.

პროფ. ს. ჭილაიას აზრით, მანუჩარი თავისი მდგომარეობით ერთობ მოგვაგონებს იმ სურათს, რითაც „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონია წარმოდგენილი. დ. იოვაშვილი უფრო ავრცობს და ავითარებს ხსენებული მეცნიერის შეხედულებას და აღნიშნავს: „მართლაც, მანუჩარი პლატონ სამანიშვილს მიემსგავსება ბევრი გარემოებით—იმერეთის ორლობებში ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებული მოგზაურობით და ამ მოგზაურობის მეტისმეტად უცნაური მისითაც კი. პლატონიც და მანუჩარიც სამაჭანკლოდ ასდევნებიან შარაგზას—პირველი საკუთარი მამისათვის და მეორე ღვიძლი შვილისათვის დაეძებს საპატარძლოს.“

მანუჩარის მსგავსება შემოდგომის აზნაურთა სახეებთან ეჭვგარეშეა, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. კერძოდ ის, რომ „კოლმეურნის ქორწინება“ 1936-1938 წლებშია დაწერილი და მასში, როგორც აღვნიშნეთ, იმერეთის სოფელში მიმდინარე საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენებია აღწერილი. „შემოდგომის აზნაურები“ კი, როგორც ცნობილია, უფრო წინა პერიოდს განეკუთვნებიან, („სამანიშვილის დედინაცვა-

ლი“—1897, „ქამუშაძის გაჭირვება“—1900 და „დარისპანის გასაჭირი“—1903 წელსაა დაწერილი), როდესაც საგლეხო რეფორმის გატარებამ ნიაღაგი გამოაცალა ქვეყნის საყრდენი წოდების, თავადიშვილების, როგორც ეკონომიურ, ისე სოციალურ მდგომარეობას. ამ ერთგვარ უხერხულობას კარგად ხედავს პროფ. გ. ციციშვილი და ამასთან დაკავშირებით წერს: „დრამატურგი თითქოს გვეუბნება, რომ აზნაურობის ნამდვილი დასასრული, მაშინ კი არა (ე.ი. შემოდგომის აზნაურთა დროს კი არა, ე.თ.), ახლა გვაქვს, ის თუ უკანასკნელი აგონია იყო, ეს მათი საბოლოო დამარცხებაა“. აქ, ალბათ, სიტყვების თამაში უფროა, ვიდრე ვითარების ნამდვილი დეფინიციის სურვილი (აგონია საბოლოო დაარცხებაცაა ალბათ), ამიტომაა, რომ მანუჩარის სახე მაინც არ არის ახალი დროისა და ვითარებისათვის შესაფერი ნიშნებით აღბეჭდილი, მის მხატვრულ გადამუშავება-გადახალი-სებას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი და თითქმის თანხვდება კდლიაშვილისეულ შემოდგომის აზნაურთა ცნობილ ტიპს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი კი ვითარებისათვის შესაფერი ადეკვატი გახლდათ და არა ახალი ისტორიული ყოფისათვის. ამდენად, მანუჩარის სახე ერთგვარად წამოღებული, ნასესხები სქემის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს რომ ასეა, ე.ი. მანუჩარი კლდიაშვილისეულ აზნაურთა რემინსცენცია რომაა, თვით პროფ. გ. ციციშვილის ზემოთ მოტანილ სიტყვებშიც შეიმჩნევა. თუ კლდიაშვილისეულ აზნაურების მდგომარეობა აგონია იყო (ერთი სიტყვით, თუ ვიფიქრებთ, რომ აგონია და დასასრული ამ

შემთხვევაში რაღაცით განსხვავდება ერთმანეთისაგანი, მაგრამ შინ მათი არსებობის დასასრულის ჩვენება ხომ ახალი წანნკ-გითა და დეტალით უნდა ყოფილიყო გამორჩეული. ეს გა-მორჩეულობა კი მანუჩარის სახეში არ შეიძნევა და ამიტომ ტოვებს იგი ერთგვარი ამორფულობისა და ახალი ყოფისათვის მოურგებელი სახის შთაბეჭდილებას.

სოფლის მწერლის შვილს ვატასაც შეიძლება მოეძებნოს ლიტერატურული პარალელი. იგი არ უნდა იყოს კაპუტასა და ქუჩარას სახის მხატვრული გადამუშავების ერთ-ერთი ვარიანტი (ს. ჭილაძა). ჯერ ერთი, ვატა გარკვეული სოცია-ლური წარმოშობის მქონე ადამიანის პირმშოა—იგი სოფ-ლის მწერლის შვილია, რომელიც, ხახულის თუ დავუჯერებთ, „აბლაკატი იყო, ქონება საჩივრებში დალია და ცოლ-შვილი ორმოში დარჩა იმ ცხონებულს“. ვატას საქმიანობას „სო-ფელში წოწიალი, ჭირსა თუ ლხინში სიარული და ამით თავის გატანა შეადგენს. „ჰოდა, მეც ამ ორმოდან ამოვძვერი და იმ ხელობით ვცხოვრობ, ვდავიდარაბობ—ეუბნება იგი ხახულის—ამ ბოლო დროს ქორწილს და ტირილს ვეტა-ნები, მაგრამ შეგხვდება იმისთანა ნავსი დღე, ვახშამიც არ გერგება“. არ შეიძლება ამ სიტყვების წაკითხვის დროს არ გაგვახსენდეს დ. კლდიაშვილის აზნაურთა გალერეის ერთ-ერთი „მშვენება“ კირილე მიმინაშვილი, რომელიც, ვატას მსგავსად, ქორწილსა თუ ტირილს არ აკლდებოდა და ამით გაჰყავდა წუთისოფლის უღიმღამო და უშინაარსო დღენი. კირილესა და ვატას შორის განსხვავება კი უფრო მათი სოციალური კუთვნილებით განისაზღვრება. თუმცა ისიც გა-



სათვალისწინებელია, რომ კირილე მიმინაშვილი უფრო შანსული შტაბური და შთამბეჭდავი სახეა, ვიდრე სოფლის მწერლის ვაჟიშვილი ვატა, მაგრამ მაინც ერთმანეთთან ახლოს-მდგომნი და მსგავსნი.

ყველაფერი, რაც აქამდე აღვნიშნეთ, ლიტერატურულ პერსონაჟთა ნათესაობა თუ რემინისცენცია, იმ ფიქრს გვიძლიერებს, რომ „კოლმეურნის ქორწინებაში“ კომიზმის რაღაც ნაწილი, მზამზარეული, წინა ისტორიული ეპოქისათვის სისხლხორცეულად კუთვნილი, ცნობილი ტიპების, უკვე ჩამოძერწილი მხატვრული სახეების ახალ ვითარებაში „გადმონერგვის“ საშუალებითაა შექმნილი. ამის მიზეზი კი ისევ კომედიისათვის უცხო სხეულები—დადებითი პერსონაჟებია. დაბოლოს, ორი აზრისა და შეხედულების ერთამდე დაყვანა მაინც ძნელდება, ჯერ ერთი: იქნებ მართლაც დალას, ხარკს უხდიდა მძვინვარე დროს პ. კაკაბაძე და ამას შეგნებულად აკეთებდა, მაგრამ პიესაში ერთხელ მაინც რაღაც მინიშნებით, ქვეტექსტით ხომ უნდა ჩანდეს კომედიოგრაფის პოზიცია ან თუნდაც ის, სისხლიანი ეპოქის მარწუხებისაგან თავდაღწევის მიზნით რომ აკეთებდა ამას და მეორე: რანაისად შეიძლება დრამატურგის საოცრად მახვილ და ფხიზელ მზერას საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი მანკიერი, უარყოფითი მხარეები ვერ შეემჩნია. თუ არა აქ, აბა, სად შეიძლებოდა კომიზმის უიშვიათესი სიტუაციების დაფიქსირება, როცა ყველა და ყველაფერი ნოველისებური იყო, ერთ აბსურდულ ფოკუსში მოქცეული მთელი ცხოვრება მართლაც რომ საოცარი დაცინვის საგნად შეიძლებოდა ქცეულიყო, მაგრამ...

„საფლავიდან ამონინიდან ლექსად“

დავით კვიცარიძის ლექსების ეს წიგნი მწერლის ოთხმოცი წლის იუბილის დღეებში უნდა გამოსულიყო. თვითონ შეარჩია, დაალაგა, ზოგიერთი შეასხვაფერ-შემოასხვაფერა კიდეც... მოუთმენლად ელოდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს „ოთხმოცი წლის ბერიკაცის ოთხმოცი ლექსი მკითხველზეო“. თუ ვიცოცხლე, ოთხმოცდახუთსა და ოთხმოცდაათსაც შევკადრებ ჩემს საყვარელ ხალხსო, ასეს, არავითარ შემთხვევაშიო—ჩაიღიმებდა. ასის კი არა, „ოთხმოცი ლექსის“ მზის სინათლის ხილვაც არ დასცალდა, არადა, აქ თავმოყრილი პოეტური ქმნილებანი მის შემოქმედებაში რაღაც საეტაპოდ ეჩვენებოდა და ასეცაა სინამდვილეში.

დავით კვიცარიძის ლექსების სრულყოფილი ანალიზი წარმოუდგენელია იმ ფიქრის განსჯისა და გააზრების გარეშე, რომელიც მის პიროვნულ ბედთანაა დაკავშირებული. მწერალი—ცხოვრების შუაგულში მყოფი, აქტიური, სხვათა ბედის გამრიგე და გამწესრიგებელი, ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ამისაგან განრიდებული, არავისა და არაფრის განმკითხავი, საკუთარ თავთან შთენილი... და რამდენად დელიკატურადაც არ უნდა გვეთქვა მისთვის, რომ ჭეშმარიტი ქმნილება სიმარტოვის შვილი და ნაყოფია, იგი, სხვაგვარ ყოფითობას ჩვეული, მაინც მტკიცნეულად განიცდიდა ამ სიახლეს. ცხოვრებისეული აბრაკადაბრა მისი ამქვეყნიური არსებობის არ-



სისა, მიზნისა სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდა, უწინდესი უდი
აქტიურობა მარტობის დაძლევის მცდელობად ესახებოდა
და ახლანდელი გარეგნული ფიზიონომია არანაირად არ თავ-
სდებოდა მის წარმოდგენასა და ცნობიერებაში. რაც გინდა
დავარქვათ ამას—დავით კვიცარიძის ცხოვრებისეული ბედის-
წერა თუ დრამა, ერთი რამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ—ამ-
გვარი მდგომარეობა სასიკეთოდ წაადგა მის პოეზიას. სწო-
რედ აქ ნათქვამმა წინააღმდეგობამ, გადაულახავის გადა-
ლახვის კეთილშობილურმა სურვილმა ნაღდი ტკივილით დაღ-
დასმული, ერთიანი და მონოლითური გახადა ლექსი. ამიტო-
მაა, რომ მწერლის ბოლოდროინდელ ლექსებში გამოკრთო-
მილი სევდა, უკმაყოფილების გრძნობა, რაღაცნაირად დამ-
თრგუნველი, მაგრამ არა ბედს დანებებულ-შერიგებული კა-
ცის განწყობა, ამღვრეული, აფორიაქებული სული ერთ და-
ჭიმულ სათქმელად აღიქმება და მშვენიერ, თითქოსდა პოე-
ტურ შეკივლებად სახიერდება:

„სდუმდი, ნელ ცეცხლზე იწვოდი
(რაც ტოლფასია გმირობის),
იცოდი და არც იცოდი,
სტიროდი და არც სტიროდი.
დაგტოვეს ასე ღატაკად
და ზეზეულად ხმებოდი,
რა მეხთაცემა დაგვატყდა,
ხვდებოდი და ვერც ხვდებოდი.
გარბიან წელიწადები,
ჯერ სუნთქავ უფლის წყალობით,
თავდები და არც თავდები
და ქრები თანდათანობით.



აქ ტკივილი, ნათელი, უბრალო მხატვრული ქსოვილით განსახიერებული და დრამატიზმი თავდაპირველად კონკრეტული იგრძნობა, თითქოს მკითხველის სულის სიღრმეში შესასვლელად ემზადება (დადებით-უარყოფითი აზრობრივი გადასვლებიც—„იცოდი და არც იცოდი“ და ა. შ. ამას განაპირობებს), რათა იქიდან, უსასრულო წიაღიდან შეანჯლრიოს მისი შინაგანი მე და გადასდოს თავისი განწყობილება. ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი და საერთოდ, დ. კვიცარიძის ამგვარ თემაზე შექმნილი ლექსები უპირველესად იმას ცხადყოფენ და ათვალსაჩინოებენ, რომ პიროვნული წვრილმანი, ყოფითი დეტალები და მათზე ჯვარცმული კაცის პოზიციან წუწუნი და მოთქმა კი არაა აქ ნაჩვენები, არამედ ტკივილი, ფიქრი, სულის შეძვრამდე განზოგადებული, პოეტურ დრამად ქცეული.

ერთი ამერიკელი მწერალი ამბობს, პოეტებს საოცარი წინათგრძნობა გააჩნიათო. დ. კვიცარიძის წინათგრძნობა კი „დასასრულის დასაწყისის“ მოახლოების შეგრძნება გახლდათ. სიკვდილის შიში, ამქვეყნიური ამაოების, წარმავლობის პოეტური გარდასახვა იკითხება თითქმის ყველა ბოლოდროინდელ ლექსში და ეს საწყისი—სიცოცხლის აღსასრულის უამის პოეტური ფოტოგრაფირება—ავსებს და ამთლიანებს ზემონახსენებ იმ წინააღმდეგობას, რაც მწერლის წარმოდგენასა და ბოლოდროინდელ რეალურად არსებულ ვითარებას შორის იყო. ამ ორმა საწყისმა, ვფიქრობ, დ. კვიცარიძის პოეტურ განცდას სიწრფელე და სიმართლე შესძინა.



სიკვდილის შიში მას არ გააჩნია, ვისთვისაც სულ ერთხული
სოფლის რომელ ნაპირზე ჩაუშვებს ღუზას. ამქვეყნიურო,
წუთიერი საზრუნავით გატაცებულ და შემდეგ მისი დაკარ-
გვით გულშეღონებულ დ. კვიცარიძისათვის მოახლოებული
სიკვდილის გრძნობა დრამატული აღქმის, განვლილი გზის
შეფასება-გადაფასების საფუძველი გახდა. ამ თემაზე შექ-
მნილ ლექსებს ერთი ნიშან-თვისებაც გააჩნიათ, თბილი, ფა-
ქიზი ლირიზმის ბურუსში გახვეულნი რაღაცნაირ მხედრულ,
გმირულ სულისკვეთებასაც ამჟღავნებენ:

„ნუ დამიძახებ, ნუ მომახედებ,
ნუ შემაყოვნებ, ნუ შემაჩერებ,
მე წასვლა რაკი ვთქვი და გავბედე,
შენ ნურც დამძრახავ, ნურც შემაჩენებ.
მივდივარ—
მე არ მივიპარები,
ცრუ საწუთოსთან ომით დაღლილი.
მივდივარ,
ქრიან ცივი ქარები,
მივიძურწები ბებერ ძაღლივით“.

ზემომოტანილ ორივე ნაწყვეტში სხვადასხვა მოდალობის
შემცველ უარყოფათა ციკლის განმეორებით მიიღწევა სრუ-
ლი უარყოფისა და უკუგდების ეფექტი, რაც პოეტის გან-
ცდას მეტ სიმძაფრეს, ექსპრესიულობას სძენს. საბოლოოდ
კი ამგვარი პოეტური სტრუქტურით შექმნილი ლექსის აზ-
რობრივი სხეული უფრო შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი
ხდება მკითხველისათვის.

ამქვეყნიური წარმავლობის, ფეხიდან მიწის გამოცვლის
 თანდათანობითი პროცესი ისე აწვალებს და ტანჯავს პო-
 ეტის შთაგონებას, რომ თითქოს ხელშესახები, საგნობრივი
 ხდება ყოფნის დასასრული. მარტოშთენილს, ბერიკაცული
 ყოფით შეჭირვებულს, მუდამ თავაწყვეტით მქროლავი დროც
 უღიძლამოდ, დათარსულად, მისი ფუნქცია კი უსაგნოდ, უაზ-
 როდ და ფუჭად ეჩვენება. ეს მეყსეული აზრობრივი გაელ-
 ვება ამაოებისა, პოეტის განცდათა უმეტესი ნაწილი რომ
 დაუპყრია, ეძებს იმ შესაბამისობას, მის ყოფიერებას რომ
 შეიძლება მიესადაგოს. ამიტომაა, რომ ხან ბულვარში ჩა-
 მოხმარ და ბებერ ცაცხვთან, დროშის ერთ ფიორ ნახევთან
 და ა. შ. ხდება გაიგივება, მაგრამ უფუნქციობის შეგრძნება
 მაინც მძაფრია და მძლავრი, რადგან მისი საფენელი წარ-
 მავლობის ნათელი და გამჭვირვალე შეგრძნებაა:

„დღენი უღიძლამონი, ფუჭნი და დათარსულნი,
 რბიან თავაწყვეტილნი დაცეთილი ნალებით,
 დედო ზარი გუგუნებს, მოღისო დასასრული,
 ჩამწარებულ სიბერის, ტანჯვისა და წვალების.
 ქაცვიანი ეკლების ტორი მოგითათუნა,
 ტალღა ტალღას შეასკდა,
 გაღვაცუნდა ღვარცოფად,
 შორიდან შემოგლრინა, გასაგებად, ქართულად,
 არავის ადარდებსო შენი ბერიკაცობა.“

ამ განცდებს, უფუნქციობის სენტენციებს „სულით
 ობლობის“ გრძნობაც კვებავს. რვა ათეულ წელს მიღწეული
 მწერალი ტკივილით ეთხოვება ყოველივე წარმავალს, კაცსა

თუ ხეს, ბალახსა თუ ქუჩის პირას ჩამოფხავებულ ძველი ლეგენდი ოდას და დუმილის რაღაცნაირ გარსში გაწვეული ეს ფიქრები თითქოს იდუმალების გრძნობას კი არ არიან ნაზიარები, პირიქით, პლაკატური, აშკარა პირდაპირობითა და პუბლიცისტურობით გვეუბნებიან საოქმელს და გვარწმუნებენ „სულით ობლობის“ პოეტურ სიმძაფრეში. „მე ახლობელზე აღარას ვამბობ, იქნებ ნაცნობსაც ვერ მოჰკრა თვალი“... ასე დაცარიელებული, ახლობლისა და ნაცნობისაგან გაცლილი ეჩვენება მწერალს ქუთაისის ბულვარი, ქუჩები და აქედან დასკვნაც:

„ვერაფერი ვუხერხე ჩემს დაწყვეტილ ნერვებსო,
მიკვირს, გული ისევ ძეერს, ფართხალებს და ბოგინობს,
მიდის, მიდის სიცოცხლე ყოვლად უინტერესოდ,
ფერმკრთალდება თანდათან
უსასრულო ლოდინიც.

დავით კვიცარიძეს არც მეგობარი აკლდა, არც ნაცნობი და ახლობელი, არც პატივი და ღირსება. სულით ობლობა კი, ზოგიერთათვის შეუმჩნეველი, ჩვეულებრივი თვალისათვის ხშირად ძნელად აღსაქმელი, პოეტთა ხვედრია, რომლის გარეშეც ამ ლექსებს ექსპრესიაც მოაკლდებოდა, შინაგანი ხმაც მყუდრო და მინავლებული იქნებოდა. ერთი სიტყვით, რითაც ბოლოდროინდელი პოეზია გამოირჩევა დ. კვიცარიძისა, ის ხიბლი გაქრებოდა, ჩაინთქმებოდა, ჩაიკარგებოდა ათასი ფიქრითა და სატკივარით გაჯერებულ საოქმელში. პოეტის სასოწარუკვეთელი განწყობილების დასტურად კი

თუნდაც მეუღლისადმი მიძღვნილი ეს მშვენიერი სტრიქონი
ნებიც იკმარებს:

„ვიღაც არ გვწყალობს,
ვიღაც მზაკვრულობს,
სიცოცხლე ჰქნება და ნაღვლიანობს,
წლებმა ვერ უნდა დაგვაძაბუნოს,
სიბერემ უნდა გაგვამთლიანოს.“

გარკვეული არტისტიზმით შეზავებულ ამ პოეტურ მოწოდებაში ნათლად გამოსჭვივის ბედის წყალობაცა და წყორმაც. ესაა ხვედრი ნებისმიერი შემოქმედისა. თეორად გათენებულ ღამეებში წვდომა, ზილვა ჯერეთ მოუხელობდლის, ამოუცნობის ამოცნობა, ქედწაზრილი, მონური ერთგულება სტრიქონისა, მისი დახვეწის, სრულყოფის დაუოკებელი უინი და შემდეგ სულიერი ბიოგრაფიის პოეტური დოკუმენტის ტვირთად ტარება მხრებით...

დ. კვიცარიძემ, როგორც შემოქმედმა, მთელი სიცოცხლის ენერგია ქუთაისს შეალია და ბუნებრივია, ამ განწყობამ მკაფიო ასახვა პპოვა მის პოეზიაშიც. მწერალი ცხოვრების ავანსცენაზე, ქვეყნისა და ქალაქის რთული თუ ყოველდღიური პრობლემების მოჭირნახულე—ეს იყო აზრიც, მიზანიც, ფუჭი თუ მარადიული მსახურება ძვალსა და რბილში გამჯდარი, ომგამოვლილი კაცის მომთხოვნელობითა და პირდაპირობით გაცხადებული, იქნებ ათასჯერ განმეორებული აზრი, რომლის ქვედინებანი მშობელი ქვეყნის, ქალაქის ხვალინდელი დღის უკეთესობისათვის იყო აუცილებელი. ქუთაისი თავისი ბაგრატით, გელათით, თეორი ზიდით, ცაცხვებით... შთაგონების წყარო იყო პოეტისათვის. „ქუთაისო, ქუთაისო, შენ-



თან არის გული ჩემი” — ამდერებული ლექსის ეს სტრიქონული ნები ერთგვარ დევიზად მიაჩნდა და სხვასაც ამგვარი გამაჭრებისა და გაშინაგანებისაკენ მოუწოდებდა.

ხომ ბევრი ლექსი წაგვიკითხავს ქუთასზე, თეთრ ხილზე... მაგრამ გულს ბევრი ისე არ მოკიდებია, არ შევუნჯდრევივართ და ხსოვნას არ ჩარჩენია, როგორც დ. კვიცარიძის თეთრი ხილისადმი მიძღვნილი ეს სტრიქონები:

„შენს დაბზარულ მკერდზე თუ აღბეჭდე ნეტავ,
ძელქეის შტოზე დამით გარჩენილი მთვარე,
იმ მთვარეზე ჩემი მოცახცახე ბედი,
მკრთალი, როგორც მთვარე,
წმინდა მთვარე, როგორც
სიცოცხლეზე მეტი, სიყვარულზეც მეტი,
ის პირველი ელდა, ის პატარა გოგო.“

ქუთასის, მისი ყოველი ადგილის სიყვარული მტკიცნეულად განაცდევინებს პოეტს თეთრი ხილის მუქად შეღებვას და სურს, მისთვის მაინც იქათქათოს ქუთათურობისა და აქაური ვაჟკაცობის ამ ერთგვარმა სიმბოლომ თეთრად და მხოლოდ თეთრად, რადგან ამ სითეორესა და სიქათქათეში სიწმინდე და სინათლეა ჩაბუდებული.

სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული განწყობა ყოველთვის იყო დ. კვიცარიძის პოეზიის თემა, მაგრამ ბოლოდროინდელ ლექსებში იგი უფრო მკაფიო, გამოკვეთილ სახეს იძენს. ეს, ალბათ, თავისუფლების გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყნის შეჭირვებული ყოფითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. პოეტის აზრით, არა მარტო ქვეყნის სასიკეთო

მომავალი (ჭაბარი), არამედ მანამდე მისასვლელი გზები და მისაშუალებაცაა საძებარი.

„გულით მოელით,
სისხლით ცხელით,
შენი ძელქვის შტოცა ვარ და ფესვიც,
მე ვარ მწუხრი,
მე ვარ ცრემლი
დაღის საფლავს მიწერილი ლექსის“.

პოეტს ისიც სჯერა, რომ ქვეყნის ერთგულება, მისი კუ-
თილდღეობისათვის ზრუნვა ხშირად არავის დაუფასებია,
მაგრამ, მისი აზრით, ადამიანი სწორედ ამ სამსახურისათ-
ვის, ამ უღლის ტარებისათვის იძალება. ხშირად ბარათაშვი-
ლისეულ პერიფრაზსაც აკეთებს და აცხადებს, რომ უბედ-
ურია ცოცხლებშიაც და მკვდრებშიაც ჩაუთვლელი კაცი. თუ
ცოცხალი ხარ, უნდა იღვაწო კიდეც, თუნდაც არავის გაახსენ-
დეს ამაგი შენი:

„წყალნი ვლიან,
ქარნი ქრიან,
შენ კი ლოდი მაინც უნდა ზიდო,
სანამ მიწას დაგაყრიან
შენი მონურ ერთგულების ჯილდოდ“.

დ. კვიცარიძის ბოლო პერიოდის ლექსებში არის ერთი,
ჩვენი ფიქრით, სამშობლოს სიყვარულისა და მასზე ზრუნ-
ვის დიდაქტიკურ ტრაქტატს რომ ჩამოჰვავს. ესაა ლექსი
„აბა, როგორ“. იგი პოეზიის ტრფიალ პიროვნებას—ნუგზარ
მჭედლიშვილს ეძღვნება, მაგრამ აქ კონკრეტული ადამიანის



სამოქმედო ასპარეზზე კი არაა საუბარი, არამედ ესაა პოეტის
ტის შეგონება, თუ როგორ უნდა იღვაწოს, იშრომოს რეზგორი იმის
რი რუდუნებითა და ერთგულებით უნდა ემსახუროს ყოველი
ქართველი ქვეყანას.

„საქართველო ნახანძრალი, ნასისხლარი,
სულ ცრემლია, სულ ტყვიების ხარხარია,
ასი ყური გამოიბი, ასი თვალი,
მკერდში გული აიფეოქე, მახარია.
დაიმატე სატკივარზე სატკივარი,
(ხან ყინვა სუსხიანი, ხან ქარია),
მოასვენე დამბაჩა და სატკივარი,
მიწას სითბო დაუბრუნე, მახარია.“

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად მეტყველებს პოეტის სურ-
ვილსა და წალილზე—ეხილა უკეთესი, დიდი წარსულის
სწორფერი ქვეყანა.

დავით კვიცარიძის პოეზიაზე მომავალშიც დაიწერება, ჩვენ
კი მოვალედ ჩავთვალეთ თავი, გარკვეული მეგზურობა გაგ-
ვეწია მკითხველისათვის მის პოეტურ სამყაროში შესასვლე-
ლად, დაგვენახვებინა ბოლოდროინდელი ლექსების სიწრიფე-
ლე და სიმართლე და კიდევ ერთხელ გაგვეაზრებინა, რომ
იყო ამქვეყნად კაცი, რომელსაც საფლავიდან ლექსად ამოფ-
რენის სურვილი პქონდა.

გველის სამართალი

„სიბრძნე-სიცრუისაში“ რუქას ერთ-ერთი არაკი ასეთია:

იწვოდა ძებვი და მასზე აბობლებული გველი, წასასვლელი რომ აღარსად ჰქონდა, საშინლად წიოდა. კაცს შეებრალა, მადლია ამის გადარჩენაო, გაიფიქრა და შუბის ტარი მიუშვირა. გველი შუბის ტარიდან მხრებზე ააცოცდა და ყელზე შემოეჭდო. კაცმა ჰკითხა—„რა გაწყინე, რატომ მიზამ, სიკვდილს მოგარჩინეო. გველმან უთხრა—კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო“.

ჯერ ჭადარს, შემდეგ ხარს თხოვეს სამართლის გარჩევა. ორივემ გველის აზრი მოიწონა. ჭადარმა: ამ ტრიალ მინდორში ერთადერთი ხე ვარ, მოვლენ, ჩრდილში დაისვენებენ, მერე ტოტებს დამამტვრევენ, ზოგს დაწვავენ, ნაწილს კიდევ საჩრდილობლად წაიღებენ. სიკეთე სიკეთით არავის გადაუხდია, მოუჭირე, გველოო და გველმაც არ დააყოვნა. ხარმა: ვხნავ, ვთესავ, კალოს ვლეწ, ზამთარზაფხულ ადამიანის სამსახურში ვარ, ერთ მშვენიერ დღეს სტუმარი ეწვევათ და ყელს გამომჭრიან. კარგისათვის კარგი მართლაც არავის უქნია, მოუჭირე გველოო... გველი სიკვდილს გადავარჩინე და დახრჩობას მიპირებს—შესჩივლა მელას იმედგადაწურულმა კაცმა.—კაცს ყელზე შემოჭდობიხარ, ახრჩობ და მე, „ლომ-ნადირთ ხელმწიფისაგან“

დანიშნული მდივანბეგი ასეთ ყოფაში სამართალს უწოდებოდა გავარკვევ, ძირს ჩამოდი და ორივემ დამიჩოქეთო — გამოუტანა მელამ გველს წინასწარ განაჩენი და მომჩივანი და მოპასუხე საწყის მდგომარეობაში ჩააყენა.

გველი ჩამოცოცდა, მელამ ტორი დაპკრა, მოკლა და თქვა: „გველის სამართალი ეს არისო“.

არაკის ფინალი ასეთია:

კაცს „მდივანბეგის“ ბეჭვი მოეწონა და მისი მოკვლა განზრახა. მელამ თავს უშველა და მიაძახა: არ უნდა გადამერჩინე, სიკეთე სიკეთით მართლაც არავის გადაუხდიაო.

ამ არაკის გახსენება რევაზ მიშველაძის ნოველა „ქველის“ წაკითხვის შემდეგ შემთხვევითი არ უნდა იყოს. „გველის სამართალი“ ანუ სიკეთის სიკეთით გადაუხდელობის პრობლემაა ნოველის ძირითადი აზრობრივი ხერხემალი, მაგრამ რუქას მიერ მოთხოვილი, ზემოთ მოტანილი ამბავი იგავია და მისი ჟანრობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ხატოვნად ააშკარავებს ადამიანური ურთიერთობის ამ მანკიერ მხარეს. ნოველასაც ეს მიზანი აქვს დასახული, თუმცა ამ შემთხვევები მთავარია, თუ როგორი მოტივირებითა და მხატვრულ დეტალთა როგორი სრულყოფილი დამუშავებით გამოირჩევა იგი, ანუ რამდენად დამაჯერებლადაა დახატული იგავური სამყაროდან ტრანსპლანტირებული ამბავი.

ნოველის გმირი გიგა ხაჩიძე, გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, 43 წლის იყო და ისევ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ექსკურსიამდღოლად დაიწყო მუშაობა (სამსახურს ნოველაში ის ნიუანსური დატვირთვა გააჩნია, რომ მუზეუმში ყველა 134

ლაზე ნაკლებად იშოვება ფული). აქედან მოყოლებული, 586 ლაზ წლის ასაკამდე ფულს აგროვებდა, ორიათას მანეთს და რვა კაპიქს მოუყარა თავი და გადაწყვიტა უცნობისათვის ეჩუქებინა იგი, რადგან ამ ფულით სახლს ვერ ააშენებდა, მანქანას ვერ იყიდდა, ცოლის შერთვის სურვილი მაინცდა- მაინც აღარ ჰქონდა.

ესაა ფაქტი—კაცმა სხვისთვის ფულის ჩუქება გადაწყვი- ტა, მაგრამ ამ ფაქტს ჭირდება მოტივირება, ანუ იმის მხატ- ვრული დასაბუთება, თუ რამ მიიყვანა ნოველის გმირი ამ გადაწყვეტილებამდე. ყოველივე ზემოთქმული კი ნაკლებდა- მაჯერებელია იმისათვის, რომ ადამიანმა თხუთმეტი წლის ნაგროვები თანხის უცნობისათვის (რადგან ფიქრობდა, რომ „უცნობისათვის ჩუქებას მეტი ეფექტი ექნებოდა“) ჩუქება გადაწყვიტოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გიგა ზაჩიძის შინა- განი სამყარო მკითხველს იმ აზრს არ აღუძრავს, რომ იგი ბუნებრივად მიდის ამ გადაწყვეტილებამდე. მწერლის მიერ ნოველის გმირისათვის ბოძებული პრაგმატული მინიშ- ნებანი—სახლის აშენებისა და მანქანის ყიდვისათვის დაგ- როვილი ფულის უკმარისობა, ან ცოლის შერთვის სურვი- ლის შესუსტება კიდევ უფრო ამძაფრებს და ააშკარავებს იმ აზრს, რომ ასეთი ჩვეულებრივი მიზნების მქონე ადამიანის გონებრივ სამყაროში არაორდინარულ აზრს ნაკლებად ან თითქმის არ უნდა დაესადგურებინა. ერთი სიტყვით, ნოვე- ლაში აღწერილი სასტარტო მდგომარეობა ფინალადაა ქცე- ული. საჭირო იყო კი ამ ე.წ. ფინალამდე მისასვლელი გა- დაწყვეტილების დეფინიცია და სრულყოფა. ეს კი ნოველაში

არაა ნაჩვენები. გიგა ზაჩიძის მიერ სიკეთის ჩადენის შემდეგ
მოქმედებას იწყებს „გველის სამართალი“ ანუ სიკეთის სიკე-
თით გადაუხდელობის პრობლემა, მაგრამ სანამ მასზე გავა-
მახვილებდეთ ყურადღებას, მოდით, იმის საილუსტრაციოდ,
რომ ნოველის გმირის ამგვარ გადაწყვეტილებას მხატვრუ-
ლი სრულყოფა სჭირდებოდა, ესპანელი მწერლის გრიგო-
რიუ ლუპეს ფუენტესის ერთი პატარა ნოველა „წერილი
ღმერთან“ გავიხსენოთ.

ღენჩის გვალვამ მთელი წლის მოსავალი მოუსპო. მორ-
წმუნე კაცმა იფიქრა, ღმერთი ჩემს ოჯახს ულუქმაპუროდ
არ დატოვებსო და გაუგზავნა წერილი, რომლის შინაარსიც
ასეთი იყო: ყოვლისშემძლე ღმერთო, გვალვამ მთელი წლის
მოსავალი შეიწირა. ჩემი ოჯახის გამოსაკვებად 100 პესოა
საჭირო, გთხოვ, დამეხმაროო. წერილი კონვერტში ჩადო,
გარედან დააწერა ღმერთს და საფოსტო ყუთში ჩააგდო.

საფოსტო განყოფილებაში, წერილების დახარისხების
დროს, ღმერთის ადრესატობის გამო, საგონებელში ჩავარ-
დნენ. იძულებულნი გახდნენ, გაეხსნათ. წაიკითხეს, ბევრი
იცინეს, შემდეგ გული აუჩუყდათ...ძლივსძლივობით 50 პესო
შეაგროვეს, კონვერტში ჩადეს, გამომგზავნად ღმერთი მიუ-
თითეს და ღენჩის ფოსტით გაუგზავნეს. ერთი კვირის შემ-
დეგ ფოსტის მოხსელეებმა იმავე ადრესატისადმი (ღმერთი-
სადმი) გაგზავნილი წერილი აღმოაჩინეს საფოსტო ყუთში.
გახსნეს, წაიკითხეს და სახტად დარჩნენ: ღმერთო, მე თქვე-
ნი გულმოწყალებისა მჯერა, ვიცი, რომ მეხმარებით. გწერ-
დით, ჩემი ოჯახის გამოსაკვებად 100 პესოა საჭირო, დარ-

წმუნებული ვარ, ამდენივეს გამოგზავნიდით, მე მხოლოდ 50 პესო მივიღე, გთხოვთ, ისევ გამომიგზავნოთ დანარჩენი, ოღონდ თაღლითი და ქურდაცაცა ფოსტის მოხელეების საშუალებით არა.

ლენქო მორწმუნე, გონებრივად შეზღუდული კაცია და შველას თხოვს ღმერთს. ამიტომ აქ გადაწყვეტილების მოტივირება ნათელი და გამჭვირვალეა. არც ისაა უფუნქციო და ირეალური, გამგზავნი და ადრესატი ფოსტის საშუალებით რომ უკავშირდება ერთმანეთს, რადგან ყოველივეს იუმორის ელფერი დაკრავს, რაც პერსონაჟისა და ფოსტის მოხელეთა გადაწყვეტილებას მხატვრულ სიმართლედ აქცევს.

ნოველაში „წერილი ღმერთთან“ პერსონაჟის მეტამორფოზა არ ხდება, იგი ფინალშიც ღვთის მორწმუნე, მისი ერთგული კაცია და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რაც მის გონებაში აქამდეც არსებობდა—მის რწმენას, რომ ფოსტის მოხელეები თაღლითები და ვირეშმაკები არიან. რუქას არაქსა და ლენქოს მოქმედებაში არანამდვილობის (ანეკდოტურობის, პირობითობის) ეფექტი ააშკარავებს ადამიანური ურთიერთობის ნაკლს—სიკეთის ქმნადობის შედეგიანობის დეფინიციას, იმას, აქვს თუ არა საერთოდ სიკეთის ჩადენას აზრი. რ. მიშველაძის ნოველაში კი მოქმედების ზედაპირული, გამჭვირვალე ხასიათი მის ნამდვილობას თვალშისაცემსა და აშკარას ხდის და ზემონახსენებ ეფექტს ნაკლებად იძლევა.

ახლა კი ნოველის ზოგიერთი აზრობრივი ნიუანსიც გა-

ვიხსენოთ. გიგა ხაჩიძემ ნაგროვები ფულის ჩუქება ყველაზე
გაჭირვებული ერმილე სახამბერიძის ოჯახისათვის გადაწ-
ყვიტა და თვითონვე მიუტანა იგი. სტუმრობისას ერმილეს
მეუღლეს—პისტის ფულის დათვლაც შესთავაზა. ქალმაც
დაიწყო ორიათასი მანეთის ათმანეთიანებად, ოცდახუთმანე-
თიანებად დალაგება და თვლა, მაგრამ ერთხელაც არ გაუჩ-
ნდა აზრი, თუ საიდან, რატომ, რისთვის მოუტანა მისთვის
უცნობმა პიროვნებამ ეს თანხა. პისტის გონებრივი პორი-
ზონტი ვიწროა, იგი გაუნათლებელი ქალია, მაგრამ უბირობაც
კი არაა საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარი ფაქტის გამო
მის მოქმედებაში სიხარული, ელდა, გაოცება არ გამოსჭვიო-
დეს. ერთი სიტყვით, ამნაირ სიტუაციაში წარმოჩენილი პერ-
სონაჟის მოქმედება შეიძლება მხატვრულ სიმართლეს მოკ-
ლებულად ჩაგვეთვალა, „სიმართლედ“ კი ის მდგვეჩნია, პის-
ტის კითხვაც, მადლობის გრძნობაც გასჩენოდა, ან თუნდაც
ელდა და გაოცება აღბეჭდოდა სახეზე. მაგრამ პერსონაჟის
ამგვარი განწყობა იმ შემთხვევაში იქნებოდა მართებული,
ყოველივე მომხდარი მას სიკეთედ რომ ჩაეთვალა. მწერალი
იქვე ფანტაზის უხერხულობის ამ ბურუსს და პისტის გარკვე-
ული უმაღლურობის გრძნობას გაამჟღავნებინებს. ჯერ ისიც
არ გაურკვევია, საიდან, რატომ, რისთვის მიიღო ამოღენა
თანხა და უმაღლურობის იმპულსი უკვე წინა პლანზე წამოს-
წია: „ორი ათასი მანეთი კი ცოტას შეგვეწევა, მაგრამ რომ
გითხრათ, გვეყოფა-თქვა, არ იქნება მართალი,“ ან კიდევ:
„გიგას მოეჩვენა, რომ ერმილეს მეუღლეს გაკვირვებითაც
მაინცდამაინც აღარაფერი უკვირდა“. ჭიშკრიდან გადასულ,

ქუჩაში მიმავალ უცხო სტუმარს (გიგა წაჩიძეს) ოთხი მინი (პისტი და მისი შვილები) „ცნობისმოყვარე თვალებით შეკურებდნენ“, მაგრამ ეს ცნობისმოყვარეობა იმნაირი ინტერესით კი არ იყო განპირობებული, კარგად დაემახსოვრებინათ სიკეთისმქმნელი, არამედ იმით, რომ ამ უცნაურმა კაცმა ხომ არაფერი მოატყუათ, ნაკლები ხომ არ მოუტანათ...

ნოველაში არის კიდევ ერთი ნიუანსი—ერმილე სახამბერიძეს კაცის გადასახვევთან ავარია შეემთხვა, „მანქანას აღარ ანდობდნენ“, მაგრამ არც ესაა მთავარი. ამ აღამიანებს სიკეთის ჩამდენ პიროვნებაზე კი არა, საერთოდ სიკეთის არსებობაზეც არა აქვთ წარმოდგენა და ყოველივეს მათ ცხოვრებაში მომხდარ რაღაც მოვლენებთან მიზეზ-შედეგობრივად აკავშირებენ. ისიც არ გაურკვევიათ, რისი მიზეზით მოხდა ავარია, ვინ იყო დამნაშავე, პირიქით, თავი მართლად ჩათვალეს, უკმაყოფილების გრძნობით აღივსნენ: „ის ავარიაც, გეცოდინებათ, ჩემი ქმრის ბრალი კი არ იყო, მაგერ, კაცის გადასახვევთან აღმართზე გააჩერა მანქანა, თქვენთან ბოდიში მომიხდია, თავის კაცურ საქმეზე მიეფარა ხეს ერთწამს და მოგეხსენებათ მარცხის ამბავი, მანქანა მისით დაგორებულა, ეს უპატრონო და ხრამში გადავარდნილა“.

ამ სიტუაციაში ჩავარდილ გიგა წაჩიძესაც უჩნდება კითხვა, თუ რატომ იქცევა პისტი ასე, რატომაა უმაღური, მაგრამ თავს იმით ინუგეშებს, რომ სამაგიეროს იმედით არ ჩაუდენია სიკეთე. დამაჯერებელია მწერლის მიერ მთავარი პერსონაჟისათვის ამგვარი შტრიხის აღნიშვნაც: „ერთი სიტ-

ყვით, ჩვენი გმირი ვალმოხდილი კაცის იერით, დამშვიდებული და სულდამცხრალი დაბრუნდა შინ და იმ ღამეს რომ ეძინა, რაც თავი ახსოვს, ასე ტკბილად არასდროს ძინებია“.

ამის შემდეგ იწყებს მოქმედებას „გველის სამართალი“ ანუ სიკეთის სიკეთით გადაუხდელობის პრობლემა, რაც ნოველაში მთელი სიგრძე-სიგანითა წარმოჩენილი (მოთხრობას „უმაღური“ რომ რემეოდა, უფრო მართებული იქნებოდა, რადგან ამ პრობლემის მხატვრულად გაშლა და დასურათხატება უფროა იგი).

ჯერ ერმილე სახამბერიძის ნათესავი მექუდე უშანგი ჭელია მიადგა სიკეთის მქმნელს და „წილში გაყვანა“ მოსთხოვა: „მე შენთვის გეუბნები, რომ ჩავარდე, ხომ უნდა გყავდეს კაცი... ჭირისუფალი ვინძე... პერედაჩის მომტანი. თუ ვინდა, წილშიც არ გამოვალ, სამ პროცენტზე ვიქნები“. ან კიდევ: „თხუთმეტი წელი შენთვის აგროვე და მერე სახამბერიძეს მიართვი საჩუქრად, ხომ?—მექუდემ საზარლად ჩაიცინა და ხელები მუხლებზე დაიწყო,—ვინ ჭამს ამას, ჩემო გიგა. რაღაც მართალს ხომ უნდა გავდეს, ვთქვი, მისი არ იყოს“.

სიკეთის აქტივიზაცია ნოველაში წარმოჩენილ საზოგადოებაში ჩვეულებრივ ამბად არ აღიქმება და ამიტომ მისი სიმართლესთან იდენტიფიცირებაც შეუძლებელი ხდება. აქ „სიმართლე“, უფრო სწორად, ცხოვრების წესი იმგვარადაა გააზრებული, რომ ასეთი რამ არანაირად არ შეიძლება მოხდეს და თუ მაინც მოხდა, იქვე ჩნდება ეჭვი მისა, რომ ჩადენილი სიკეთე რაღაცის მისაჩქმალად მოგონილი ნიღაბია.

უმაღურობის მაქსიმალური გამოვლინება და საზოგადოებაში

სიკეთის ქმნის გაუგებრობის შემაშფოთებელი სურათი მულავჭე ნდება გიგა ხაჩიძისა და ერმილე სახამბერიძის დიალოგში. გავიხსენოთ ზოგიერთი ღეტალი, რომლებიც არამარტო ზემოთქმულს ჰქონენ ნათელს, არამედ უმაღლურობას შესაშური ფანტაზიით, ფართო პლანითა და სპექტრით წარმოგვიჩენენ. „რა და, კი არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, გითხრათ სიმართლე, ცოტა მეტს ველოდი.

—რატომ ელოდით ცოტა მეტს? —გიგა აიმრიზა.

—მეკუთვნის და იმიტომ. ჩემი ცოლი რვა წელიწადი ძაფსაღებში ჯახირობდა. რავარი ჩასაწყობია აბა, ნახეთ ერთი, ცხელ მდუღარეში ხელები. საკეცესაც ვეღარ იკავებს ახლა წესიერად ნაკვერჩხლის ასაღებად. მე ვარ და, კარში დამაყენეს საღსალამათი კაცი. თუ მაგენი მანქანაზე დასმას არ მიპირებენ, მეტი უნდა გამოეგზავნათ“.

„ოთხასი მანეთი რომ გამოუყვეს კაცს და ორასი მომტანმა რომ გადაღუნა“...

„ერთი ეს მითხარი, ჩემს ცოლს თუ იცნობდი ადრე?“

„იმ ორიათას მანეთს არ უნდა მოყოლოდა რაიმე საბუთი? კვიტანცია, სიტყვაზე, მაგალითად? ხელი არაფერზე იყო მოსაწერი?“

ამ შეკითხვაზე გიგა ხაჩიძეს ერთადერთი — უარყოფითი პასუხი გააჩნია. კონტრარგუმენტი მხოლოდ ისაა, რომ ყოველგვარი ანგარების გარეშე ჩაიდინა სიკეთე, მაგრამ ეს არაა საზოგადოებისათვის საკმარისი, მათ სამოქმედო ზნეობრივ პორიზონტში ამნაირი რამ არანაირად არ თავსდება, პირიკით, მისი არსებობის გააზრებაც კი უამრავ შეკითხვას ბადებს მყისვე.



ერმილე სახამბერიძემ გიგა ზაჩიძეს აღმასკომშიც უჩივთა
ლა, ამიტომ მთავრობის წარმომადგენელიც ესტუმრა სიკე-
თისმქმნელს. მათი საუბრის აზრობრივი ანალიზი ცხადყოფს,
რომ მდინარის მეორე ნაპირზე მყოფი ხალხისათვის აბსურ-
დულად აღიქმება სიკეთის ქმნადობა. საზოგადოება ისეა
გადაგვარებული, რომ ამ ცნების არათუ განხორციელება და
რეალობად ქცევა, არამედ მისი არსებობაც კარგა ზანია
დავიწყნიათ, აქეთკენ მიღრეკილი ადამიანი გარიყულად კი
არა, დანარჩენთაგან სასაცილოდაც აღიქმება:

„რაც შენ გააკეთე, სიკეთე არ არის: ან, უფრო სწორად,
გულუბრყვილო, სულელური სიკეთეა. მე ძალიან მინდა, და-
ვიჯერო, რომ შენ მართლადამართლა უბრალოდ, არაფლის
გულისთვის, ხელისგასამართავად აჩუქე ფული სახამბერიძეს,
მაგრამ ვერ ვიჯერებ. შენ კარგად იცი, რატომ. ეს ყველაფე-
რი შეთხზულს და მოგონილს ჰგავს. ადამიანები კარგა ზანია
გადაეჩვინენ ასეთი „სიკეთეების“ ჩადენას. შენ თუ
სახამბერიძის პატივისცემა გინდოდა, რაღაც სხვა ფორმით
უნდა გეცა. მე ახლა ისე გელაპარაკები, თითქოს შენ რაც
მითხარი, ყველაფერი მართალი იყოს. არ გიფიქრია იმაზეც,
რომ პისტი და ერმილე ჩათვლიდნენ, თითქოს შენ ეს ფული
კი არ აჩუქე, არამედ მთავრობამ დააჯილდოვა და შენი
ხელით გაუგზავნა?“

„...ზალხოსნური ქველმოქმედება მოდაში აღარ არის. კა-
ცისთვის ორიათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შე-
ურაცხყოფის ელფერიც ახლავს“ და სხვ.

ასეთია ის საზოგადოება, რომელშიც დაცინვის, დამცი-

რების საგნად ქცეული პერსონაჟი ცხოვრობს. ამ გარეშოში სიკეთესა და მის განხორციელებაზე მეოცნებეთათვის ადგილი არაა. ამიტომაა, რომ გიგა ხაჩიძე საყვარელი მწერლის ღოსტოევსკის „იღიოტის“ წაკითხვასაც ვეღარ უდებს გულს, ხუთი გვერდის ჩამთავრების შემდეგ იქ მოთხრობილი ამბავი „ავადმყოფურად და გაჭიანურებულად“ ეჩვენება. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ თავად მიშკინის სახე უფრო მრავალმხრივი, მრავალპლანიანი გააზრებაა სიკეთისა.

იქნებ აქ დაგვემთავრებინა ეს წერილი, მაგრამ, ვფიქრობთ, ერთ კითხვას მაინც უნდა გავცეთ პასუხი—რატომ ვისაუბრეთ ასე ვრცლად და დეტალურად რ. მიშველაძის ამ ნოველასთან დაკავშირებით. ჩვენი ფიქრით, აქ გამოთქმული შენიშვნები მწერლის უმრავლეს ნაწარმოებზე შეიძლება გავავრცელოთ. ბევრ მათგანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასტარტო მდგომარეობა ფინალადაა ქცეული და ნოველის პერსონაჟები აზრობრივად ასე თუ ისე წინასწარ შემზადებული, მზაობის ეტაპიდან იწყებენ მოქმედებას.

პორტატიფის იქილი

„მინიატურა წერტილებით იწერება. მას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა“ — დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ წერდა სანდორო ცირკებიდე და ამგვარი მიღომა ბელეტრისტიკის ამ მცირე ზომის ჟანრისადმი დღესაც ძალაში რჩება. ზანტი, მოზომილი ხატვა, წერტილებით წერა იმისთვისაა საჭირო, რომ ჭიქა წყალში ოკეანისა თუ ზღვის მჩქეფარება დაინახო, მისი უკიდეგანო, უსასრულო პორტონტი შეიგრძნო და არ იფიქრო, რომ ეს სივრცე ჭიქაშია მოქცეული.

„...ყველა ავტორს ქვეყანაზე, აქვს პრეტენზია, რომ მისი მთლად მცირე ფორმის ქმნილებაც კი ეხება მრავალ საკითხს, და თუკი ამ საკითხების გამოცალკევებას დავიწყებთ, ათობით მეტი წერილობითი ფართობი დაგვჭირდება, ვიდრე თვით ნაწარმოებს უკავია“ — წერდა რევაზ ინანიშვილი ერთერთი წიგნის წინათქმაში. მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებთა ანალიზი ფაქტზე დამოკიდებულებას, ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. მინიატურის ჟანრობრივი სპეციფიკა გაიძულებს, უმცირეს ნიუანსსაც თვალი გაადევნო, რადგან შესაძლოა სწორედ მასში იღოს გასაღები მთელი ტექსტისა, სწორედ აქ იყოს დავანებული ის ძირითადი და მამოძრავებელი ძარღვი, რითაც გხიბლავს და გატყვევებს ეს მართლაც, ხშირად რამდენიმე წინადადებისაგან შეძგარი თხზულება.

მინიატურა ზანგრძლივი, დუმილიანი ფიქრის შედეგია. მას ში ათასგვარი, უფრო მეტად განცდა, ვიდრე განსჯაა ჩაწენებილი. ამიტომ თითოეული სიტყვის მიღმა არსებული თუ ჩაფიქრებული განწყობაა ამოსაკითხი, შესაცნობი. ისე, თვალის ერთი გადავლებით მინიატურა არც იკითხება და არც მისი ხიბლი შეიცნობა. „მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ზატავდეს შუადღისას ჭადრის ჩრდილში. მონასტრის მშვიდ კედლებში ზატავდნენ მინიატურებს გელათის სახარებისათვის“ — ესეც სანდრო ცირკიმის სიტყვებია. პროზის ეს ჟანრი პატარა ლაფუსუს საც ვერ იტანს, დამეთანხმებით, სასურველი იგი არსად არაა, მაგრამ რომანში იქნებ ძნელადაც შესამჩნევი იყოს, მინიატურაში აშკარად თვალშისაცემი და ადვილად დასანახია. ამიტომ მცირე პროზაული თხზულების თხზვა დიდ ოსტატობას, სათანადო გამოცდილებას, საოცარ მწერლურ ალლოს მოითხოვს. რევაზ ინანიშვილის მინიატურათა წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება ფაქიზი, მწერლის მიერ საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად მომთხოვნი განწყობილება არ შეიგრძნო და, რაც მთავარია, მწერლისავე სიტყვები არ გაგახსენდეს: „სისადავე! სისადავე! სისადავე! თი, რა ძნელია მიღწევა.“ რევაზ ინანიშვილი უმრავლეს შემთხვევაში აღწევს ამ სისადავეს, აღწევს კი არა, ურჩეულესთა ხვედრის წყალობით გვაზიარებს მის სიმაღლესა და სწორუპოვრობას, ქმნის დიდ ლიტერატურას... ამის უშუალო დასტური მინიატურებიცაა.

სანდრო ცირკიმები იღაშერებდა იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს ელექტრონისა და მოტორის ხანამ ცხოვრების ტემპი ისე ააჩქარა, რომ რომანების, გრძელი ამბების წასა-

კითხად აღარავის სცალია და ამიტომ იქმნება მიწიატურებიო. რაღაც ეჭვი რევაზ ინანიშვილსაც გასჩენია და პუეთი ჩანაწერი გაუკეთებია „სამაგიდო რვეულებში“: „ჩემი ნაწერების მსგავსი რაღაცები უნდა იკითხო ნელა, გამოთქმით. კოსმოსის ეპოქაში კი ვიღას სცალია ამგვარი ნირვანისათვის“. საერთოდ, მინიატურის მკაცრი უანრობრივი გამიჯვნა ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არავის მოუხდენია, თორემ დავრწმუნდებოდით, რომ მას მკითხველი ყველა ეპოქაში ეყოლება—საუკუნის დასაწყისში მცირე ზომის პროზაული თხზულების მომძლავრებას, ბელეტრისტიკის სხვა უანრებთან შედარებით; ცხოვრების რიტმის აჩქარებით, ტრამვაის, ელექტრონის გაჩენით წსნიდნენ, საუკუნის დამლევს კი ქართული მინიატურის ჭეშმარიტი დიდოსტატი ისევ და ისევ ცხოვრების ტემპის აჩქარებას მიიჩნევდა საზიანოდ მის თხზულებათა აღქმისა და გააზრებისათვის. რევაზ ინანიშვილის მინიატურებს მართლაც ნელა, დინჯად კითხვა სჭირდება, სხვაგვარად ვერ განსჯი, ვერ დაინახავ, ვერ აღიქვამ იმას, რომ მისი „ნაწარმოები ნამცეცებად გაბნეული სიკეთის მოკენკვის ცდაა“.

უურნალმა „XX საუკუნეზ“ რევაზ ინანიშვილის გამოუქვეყნებელი, უცნობი ჩანაწერები მიაწოდა მკითხველს. ესაა გაგრძელება ჩანაწერებისა „სამაგიდო რვეულებიდან“—თავმოყრილია შეხედულებანი, მოგონებები, მოთხრობათა ესკიზები, სრულყოფილი მინიატურები. თუმცა ეს მცირე ნაწილი

ყოფილა იმისა, რაც მწერალს დაუტოვებია (თორმეტი სტუდენტი—
ლი, საოჯახო ალბომის სხელა ბლოკნოტი—ოთხიათასამდე
გვერდი). ამ ჩანაწერებში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა რ.
ინანიშვილი, როგორც ჭეშმარიტი მწერალი, სიტყვის
მსახურებისათვის დაბადებული დიდი პუმანისტი. „სამაგიდო
რვეულებში“ ჩაწერილ ხებისმიერ ფრაზას, წინადადებას დი-
დი დატვირთვა, უსასრულო ქვეტექსტი გააჩნია.

ამ ჩანაწერებისათვის თვალის გადავლებაც საკმარისია იმ
შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომ რ. ინანიშვილის პროზა
ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი, რომ იგი ელის
ჭეშმარიტ შემფასებელს. ამ წერილს, რა თქმა უნდა, ამისი
პრეტენზია არ გააჩნია. უბრალოდ, „სამაგიდო რვეულებს“
ამჯერად კიდევ ერთხელ იმიტომ უუბრუნდებით, რომ ზოგი-
ერთი მინიატურის ახლებურად წაკითხვის საშუალებას
გვაძლევს და მწერლის პროზისათვის დამახასიათებელ რამ-
დენიმე ნიშან-თვისებაზეც მიგვაქცევინებს ყურადღებას.

ავილოთ „ზარი კახეთში“: „თოვს, თეთრად გადაფიფქული
შავი ადამიანების ბრბოს დაღუნული თავების მაღლა ციცი-
მით მიაქვთ თეთრი კუბო, რომელშიც წევს ტრაგიკულად
დაღუპული ორმოცი წლის ლამაზი ფერმქრთალი ქალი. ქვე-
ლებური ჭიშკრის წინ გადმომდგარა ჯოხზე დაყრდნობილი,
ქუდმოხდილი, დაღეული, დამუმიავებული ბერიკაცი და შე-
მაძრწუნებული ხმით იძახის:

—ეგ როგორ მოდიხარ, გოგო?!“

ამ მინიატურაში ყურადღებამისაქცევი ბუნების სურათის
აღწერაა. აქ შემთხვევით არ თოვს. მას ის ფუნქცია აკის-
რია, რომ ამ სითეორეში (თეთრად გადაფიფქული თუა ადა-
მიანები, არემარეც ზომ ასეთი იქნებოდა) თვალნათლივ გა-



მოკვეთოს შავი ადამიანების ბრბო, ადამიანებისა, რომელთა
თაც „დაღუნული თავების მაღლა“... ესეც საიტზე სოფელ
შტრიხია, აქ სიტყვა „დაღუნულს“ სწორედ გლოვის, ზარის
შინაარსი შეაქვს ტექსტში, თორემ ზეაღმართული თავებით
რაიმეს წაღება საზეიმო, აღლუმური განწყობილების შესა-
ფერი იქნებოდა. ბუნება და ადამიანები (თეორად გადაფიფ-
ქული არემარე და შავი ადამიანების ბრბო) რაღაცნაირ კონ-
ტრასტს ქმნიან, კუბოს ფერი კი ბუნების სურათს თანხვდება.
ორმოცი წლის ტრაგიკულად დაღუპული ქალის სიფერმკრთა-
ლეც არ უნდა იყოს შემთხვევითი, იგი სიცოცხლეში მის
ინტელიგენტურობას, განათლებულობას უნდა გულისხმობდეს.
ჭიშკრის წინ გადმომდგარი ქუდოხდილი, ჯოხზე დაყ-
რდნობილი, დაღული და დამუმიავებული ბერიკაცი თით-
ქოსდა სიკვდილის სიმბოლოა (დამუმიავებული გვაფიქრებინებს
ამას). ბერიკაცი შემაძრწუნებული ყვირილით ეგებება სიკ-
ვდილის საუფლოსაკენ მიმავალ ორმოცი წლის ახალგაზ-
რდა ქალს, მაგრამ მთავარი ამ მინიატურაში მაინც ფინა-
ლია, ბერიკაცის შემაძრწუნებელი ხმით ყვირილია — „ეგ რო-
გორ მოდიხარ, გოგო?!“ ესაა კულმინაცია, ყველა დეტალი,
ნიუანსი ფინალზეა აქცენტირებული. სტრუქტურულად კი
დისპარმონია, კონტრასტია მინიატურის საფუძველი. ახალ-
გაზრდა ქალი იღუპება, დამუმიავებული ბერიკაცი კი რჩება,
მაგრამ რჩება როგორც სახე-სიმბოლო სიკვდილისა („ეგ რო-
გორ მოდიხარ...“ ხომ ბერიკაცისაკენ წასვლას ნიშნავს, ამი-
ტომ სიკვდილისაკენ მიმავალი ქალი, ფაქტიურად, ბერიკა-
ცისაკენ მიდის). ქართული ზარიც ხომ გასვენების დროს
მიცვალებულის უსიტყვო გლოვაა, რომელიც ასე თუ ისე,
რექვიემის შინაარსსაც იტევს. „ზარი კაზეთში“ მაინც სი-

ცოცხლის რექვიემია, მასზე უსიტყვო გალობაა, ლოცვაა...
 რევაზ ინანიშვილს, მრავალ სხვა რამესთან ერთად, გამორჩეული, მისეული დამოკიდებულება ჰქონდა რექვიემის თანამედროვეობასთან მისადაგების საკითხთან დაკავშირებითაც. თვლიდა, რომ „ყველაფერს, რაც კი ატომის გახლეჩის შეძლება იწერება და იხატება, რექვიემის იერი დაჰკრავს“ („სამაგიდო რეველებიდან“). ეს იქნებ მხოლოდ ხატოვან გამოთქმად მოეჩენოს ვინმეს, მაგრამ მასში არეკლილია აზრი, რომ იმ დისონანსის—ატომის გახლეჩის შეძლება, ყველა ჭეშმარიტ ტექსტში, თუ მას რაიმე მხატვრული ღირებულება გააჩნია, გალობის, ლოცვის, რექვიემის განწყობა უნდა იკითხებოდეს: „ვაი, ჩემო დაღუნულო მხრებო, რა ამაოდ გვიზიდნია სიმძიმეები უდრტვინველად. მივდივარ ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში და დედუნით ვთხზავ რექვიემს“ („სამაგიდო რეველებიდან“). ესაა წარმავლობის ტკივილიანი განწყობილებით დამძიმებული მშვენიერი ურითმო ლექსი-რექვიემი.

რევაზ ინანიშვილის მცირე ზომის პროზაულ ქმნილებათა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ზემოთქმული, ასე დავარქვათ, რექვიემის განწყობილება, მთელი მისი შემოქმედებისათვისაა ნიშანდობლივი, ამიტომ ჩვენც განსახილველ მინიატურებს სპეციალურად კი არა, უფრო მეტად, ზომის სიმცირის თვალსაზრისით ვირჩევთ.

„ღამეულ ტყეში გამუდმებით ისმის რაღაც კრუსუნი, კვნესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდე ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდე, რანი კრუსუნებენ, კვნესიან და

გმინავენ, მაგრამ ამგვარი ცოდნის გარეშეც ადგილობრივი სახველრია ერთი: წუხილი ყველგანაა, შესაძლოა, თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში ტეხს და ქვემოდან გვევაღრება რაღაცას“ („ღამეულ ტყეში“). ეს მინიატურა უკვე განხილულს მოგვაგონებს: ძირითადი აქცენტი კვლავ ფინალზეა ორიენტირებული, მაგრამ წინანდელისაგან განსხვავებით, აქ მოულოდნელობის ეფექტია შესამჩნევი. აზრის თავდაპირველი მდინარება სულ სხვა გაგრძელებას გვაფიქრებინებს, მაგრამ უცებ—უჩევეულო დასასრული. ორივე მინიატურაში ლაკონურობით, სიტყვის მაქსიმალური მომჭირნეობით „იხატება“ სათქმელი. ეს რევაზ ინანიშვილის ხელწერაა და კიდეც აღნიშნავდა ამის შესახებ „სამაგიდო რვეულებში“: „მიქებენ „დამრიგებელს“, მე ვეუბნები, ვითომც არხეინი სიცილით, სხვები რთულდებიან და რთულდებიან, მე ეგრე ვმარტივდები და ვმარტივდები. ბოლოს, ალბათ, იქამდე მივალ, ასე დავწერ—კაცი ადგა, გამოვიდა ქუჩაში, უცებ თავში მეხივით დაეცა რაღაც, გაიშოტა, მოკვდა...“

გაფაქიზებული, თუმცა ეს სიტყვაც ნაკლებ მიესადაგება იმ გრძნობას, რითაც რ. ინანიშვილი სიტყვას ეპყრობოდა, მართლაც რომ სათუთი, გულჩვილი დამოკიდებულება სიტყვისადმი ხშირად ზედმეტ ლაკონურობაშიც გადაიზრდებოდა, მაგრამ ესეც სწორედ დახატვის, ასახვის მაქსიმალური სრულყოფილებისათვის იყო აუცილებელი. სწორედ ამგვარი ხელწერით გადააბიჯა მან ჩვეულთათვის დასაზღვრულ მიჯნას და გენიალურის ხარისხამდე აზიდა ხელისგულისოდენა მინიატურები და მოთხოვები.

ისევ მინიატურას დავუბრუნდეთ—



მასში ბუნება გასულიერებულია, გაადამიანურებულია: გასულიერებულია სუნებს, კვერცხებს, გმინავს... ჰუმანისტური საწყისის შეტანით ბუნებაში ო. ინანიშვილი ცდილობდა, უფრო ახლობელი გაეხადა იგი თითოეული ადამიანისათვის. ამიტომ მიაწერა დედამიწას ადამიანური თვისებები: „სახსრები ტეხს და ქვე-მოდან გვევედრება რაღაცას“. ისევ „სამაგიდო რვეულებში“ ჩავიხედოთ: „ბავშვობაში ჭექა-ქუხილის მეშინოდა, ახლა არა-ფერი მიყვარს მასავით. რაც უფრო მაგრად იჭექებს, მით უფრო მეტად მიმტკიცდება რწმენა, რომ დედამიწას ისევ აქვს შერჩენილი ძველებური ძალა“. ბუნების გასულიერება ო. ინანიშვილის პროზის დამახასიათებელი ნიშანია და ამ მხრივ იგი ვაჟა-ფშაველას ტრადიციის გამგრძელებელია.

მწერლის მინიატურებში ბუნება ბავშვის უბიწო, მოწმენ-დილ ცასავით კრიალა თვალებით იხედება, სუნთქავს, ფიქ-რობს, ტკივა. „ზამთრისპირის სევდაში“ ასეთი ამბავია მოთხრობილი: ერთ დღეს ოთხი ვეება ფრინველი მოფრინდა და ბალის ბოლოში ფოთოლგაცვენილ კაკალზე დაჯდა. მას-წავლებელმა გამოიტანა თოფი და ორი წყვილი გასროლით ქვეყანა შეაზანზარა, თუმცა ვერც ერთი მოკლა, ფრინვე-ლები „რა შეუცნობლობიდანაც მოვიდნენ, ისევ იმ შეუც-ნობლობაში შეიკარგნენ“. მასწავლებელი „ამას მრგვალ სა-ფანტს აბრალებდა, მრგვალმა საფანტმა ვერ გაუარა თივ-თიკსო, მე კი, ათი წლისას, მცენარეებიდან და ცხოველებიდან ჯერ კიდევ სულგამოუმიჯნავ ბავშვს, ძალიან მიკვირდა, რო-გორ ამბობდა ამას: როგორ შეიძლება მოკლა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზესი სევდა“. რე-ვაზ ინანიშვილი, მუდამ ბავშვებსა და მათ სამყაროზე მო-

ფიქრალი მწერალი, შესაშური ხატოვანებით, ემოციურობით
თხრობით ძერწავდა იმ სამყაროს, საღაც სიკეთე და ასეთი რეაქცია.
რებდა და ბავშვის პირველყოფილი, შეურყვნელი, „მცენა-
რებიდან და ცხოველებიდან სულგამოუმიჯნავი“ სულით
სავსე ადამიანები დასახლდებოდნენ. მწერალს სურდა,
შეუბლალველი თვალით აღვექვა ბუნება და არა პრაგმატუ-
ლი გაგებით. თვითონ ბუნების ვაჟასებურ გამგებსა და მესა-
იდუმლეს მათი ენა ესმოდა და ტკივილი ტკიოდა. აი, როგო-
რი ჩანაწერი გაუკეთებია „სამაგიდო რვეულებში“ (თუმცა
იგი მინიატურა უფროა, საერთოდ, ეს ჩანაწერები ძალიან
ხშირად მოთხრობის, მინიატურის სიუჟეტს შეიცავენ): „დი-
ლას, ქალაქის ბაღში, პავლოვის ქუჩაზე თვალი მომტაცა
გადაკიდულმა თუთამ. ახალამოყრილ ტოტზე ისეთი დიდ-
დიდი, ხასხასა ჯანსაღი ფოთლები ჰქონდა, ვიღექი და აღ-
ტაცებული ვუყურებდი. მერე ავიწოწე (რა ზუსტი სიტყვაა,
ე.თ.), ერთი ფოთოლი მოვწყვიტე, დავითინე მკერდზე, გულ-
თან. მეამა დიდად. ასე ვატარე შინამდე. შინ ამოვიღე, უკვე
ოდნავ მოდუნებული, დავდე მაგიდაზე... წუთი და მიმტაცებს
თვალს. თავს დამნაშავედ ვგრძნობ, თავს დამნაშავედ
ვგრძნობ... თავს დამნაშავედ ვგრძნობ ფოთლის წინაშე“. ამ
სტრიქონების ნამდვილობაში რომ დარწმუნდე, რ. ინანიშვი-
ლის შემოქმედებას უნდა იცნობდე. მწერლის მსოფლშეგრძნება
ადამიანს ბუნებასთან ორგანულ კავშირში მოიაზრებდა, მისი
მტკიცნული აღქმა, გააზრება სინამდვილისა, სწორედ ადა-
მიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიის დარღვევით იყო განპი-
რობებული. მწერალი ცდილობდა, ეს დისპარმონია როგორ-
მე დაძლეულიყო, მთელი მისი შემოქმედება იმისთვის ფიქ-

რია, ზრუნვაა, რომ ამით ადამიანის სული გაკუთრებული შობილებულიყო. ამ განწყობილებითაა ნასაზრდოები ზემოთ მოხმობილი სტრიქონებიც, რომელთა წაკითხვის შემდეგ ის განწყობილება კი არ გვეუფლება, თითქოს არტისტულობამ გაიტაცა მწერალი, პირიქით, სულის სიღრმემდე შემძვრელი განცდა ბუნებისა, მისთვის ლოცვისა, დასტურია იმისა, რომ რ. ინანიშვილი ასე ახლოს იყო ბუნებასთან და ცდილობდა, მკითხველიც ეზიარებინა ამ ჭეშმარიტად წარუგვალი გრძნობისათვის, როგორმე მისთვისაც გადაედო განწყობილება ბუნებასთან ბავშვური ახლობლობისა, როცა ფოთლის მოწყვეტითაც კი დამნაშავედ იგრძნობ თავს.

„ზამთრისპირის სევდაში“ ფრინველის სახელი არაა ნახსენები. ამით იმას გვეუბნება ავტორი, რომ ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ფრინველი—ბუნების შვილი, უნდა დაინდო და ბავშვის პირველყოფილი აზროვნებით უნდა გიკვირდეს მასზე ხელის აღმართვის მცდელობა—„როგორ შეიძლება მოკლა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზესი სევდა.“ ეს სიტყვები ლირიკული განწყობილების შინაარსის იტევენ და კიდევ ერთხელ ადასტურებენ მწერლის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მინიატურის ფინალისადმი, რომელიც კონცეპტუალური ფუნქციის მატარებელია და ყველაფერს ერთ გამჭოლ ფოკუსში აქცევს.

რევაზ ინანიშვილის მინიატურები ყველაზე ახლოსაა პოეზიასთან, თავისუფალ ლექსთან. ზოგიერთს ლექსის გრაფიკული ფორმაც რომ მივცეთ, იქნებ განსხვავება საერთოდ გაქრეს. მოვლენების ლირიკულ სპექტრში წარმოჩენა და

მათზე ემოციური, მაგრამ არა ზეაწეული, არამედ თავშეკრ-
ვებულად გრძნობისმიერი თხრობა რ. ინანიშვილის ვროზის
უძირითადესი ნიშანია. ამის დასტური ისევ და ისევ მწერ-
ლის სიტყვებია: „მიტევს, საცაა საბოლოოდ დამიპყრობს
ლექსი. მეჩვენება, რომ თანამედროვე კაცური საუბრის ყვე-
ლაზე ღირსეული ფორმა ურითმო ლექსია“. ფრიად საყუ-
რადღებო, ანგარიშგასაწევი აზრი—თვალნათლივ ჩანს მწერ-
ლის ცდა, პოეტურად მოწესრიგებული ფორმებით გამოხატოს
სათქმელი, რადგან მასში (სათქმელში) სწორედ ღირიკული,
ემოციური საწყისია პრიმატული და ფორმასაც ამდაგვარს
მოითხოვს. ვის, თუ არა რ. ინანიშვილს, ესმოდა ეს და
თხზავდა კიდეც, პოეზიისა და პროზის საზღვარზე რომაა,
ისეთი ფორმით. საერთოდ, მწერალი პოეტურის აღქმაში,
გააზრებაში განსაკუთრებულ მოწიწებასა და გამორჩეულ
პრინციპულობას ამჟღავნებდა, მიაჩნდა, რომ „პოეტთა მიერ
წარმოსახულ სამყაროში ისეთი მშვენიერებანი არსებობს,
რომელთა მსგავსს ამაოდ დაუწყებთ ძებნას ქვეყანაზე“. ვინ-
მეს ეს აზრი იქნებ გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ
მასში, დამერწმუნებით, ნათლად იკითხება პოეტურის (მის
მიერ შექმნილი სამყაროც ხომ ასეთი იყო) უპირატესი რო-
ლისადმი მწერლის მტკიცე და შეუვალი დამოკიდებულება.

„სამაგიდო რვეულები“ მწერლის მსოფლმხედველობის ზო-
გიერთი ნიუანსის გაშიფვრის საშუალებასაც იძლევა. მათში
იკითხება, რომ რ. ინანიშვილი გააზრებული ადამიანური ყო-
ფიერების უძველეს ცნებებს—სიკეთეს, სათნოებას, ბედნიე-

რებას... მარტო ადამიანებში არა, ბუნებაშიც ხედავდა უფლებულისური თან, აქ არსებული ეს პოსტულატები მიაჩნდა მუდმივად და წარუვალად და თვლიდა, რომ ამქვეყნიური ბუნებისმიერს არ თანხვდებოდა: „ამაოდ ეძებთ ბედნიერებას მხოლოდ ადამიანთა შორის. გადით, მოძებნეთ იგი ტყეებში, ბალაზებში, ტბებზე, მდინარეებზე“ („სამაგიდო რევულებიდან“). უნდოდა, ახლოს ყოფილიყო ბუნებასთან, მისი სურვილი თითქოს მასთან შერწყმას, ერთარსებად ქცევას ჰყავდა, რადგან ამ სიახლოვითა და განივთებით უკეთესად შეიცნობდა იდუმალს: „არავის უნდა მებაღე? ო, რა სიამოვნებით მოვუკლიდი ყვავილებს და ხეებს, რა სიამოვნებით მოვრწყავდი კვლებს, რა სიამოვნებით ჩავჯდებოდი ჩრდილში“. ეს მწერლისათვის ნეტარება არაა, უფრო სურვილია, შეუცნობის შეცნობის წადილით გაჩენილი, რასაც, უპირველესად, სიამოვნებით ტყბობა და აღმოჩენით გამკრთალი სიხარული მოსდევს. რ. ინანიშვილი კარგად ხედავდა, ადამიანსა და ბუნებას შორის კავშირს, იმას, რომ ასეთად ყოფნა ბუნებაზეცაა დამოკიდებული, ან, უფრო სწორად, გეოგრაფიული გარემო, ფიზიკური მოვლენები ასე თუ ისე განსაზღვრავს ადამიანთა ხასიათებს, განწყობილებებს, მისწრაფებებს... მწერალი ცდილობდა, ამ თანხმიერებაში, ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში და პირიქით ეპოვა ოქროს შუალედი, რაც ამ ორ საწყისს ურთიერთპარმონიულობას მოუტანდა: „ნუთუ დარი და ავდარი მხოლოდ ფიზიკურ მოვლენათა მარტივი შენაცვლებების შედეგია და მასში არაფერია ჩვენეული, ადამიანური განწყობილებებისა? ნუთუ გაზაფხული მხოლოდ მზის მოახლოებაა ჩვენთან და მეტი არაფერი?!“ ეს კითხვები იმ მეცნი-

ერულ შეხედულებათა გააზრების შედეგადაა გაჩენილი და მიმდინარებული ადამიანი—სამყაროს შემოქმედი, თავისი განუმღერებლობით, ერთადერთობით, დარის, ავდრისა თუ გაზაფხულის მისეული, ინდივიდუალური მსოფლიშეგრძნებით.

რ. ინანიშვილის პროზაში ბუნების მოვლენათა—ნისლის, წვიმის, თოვლის და ა.შ. იშვიათი მხატვრული სახეებია შექმნილი. ისინი ნამდვილობის იმოდენა ხარისხით არიან დამუხტული, რომ თითქოს კი არ აღწერს, ინიშნავს, აფიქსირებს მწერალი, იმდენად ზოგადი და ამავე დროს ავტორისეული, ინდივიდუალურია სურათხატი მათი, რომ წაკითხვის-თანავე მკვიდრდებიან მკითხველის ცნობიერებაში. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს მწერლის მიერ მათი ფიზიკური განცდაც, რადგან მისთვის (მწერლისათვის) მშვენიერება ყოფიერებაში, ყოველდღიურ გარემოშია და არა სხვაგან, ამიტომ ფიზიკური განცდითა და სიახლოვის აბსოლუტური მაქსიმალიზაციით იქმნება მშვენიერების შინაარსშეეღწილი სახეები. იმდენად ორგანული, გათავისებული, შინაგანად ქცეული ხერხია ეს რ. ინანიშვილისათვის, რომ თხზვის, ქმნის, რაღაცნაირად შობადობის პროცესიც ბუნების მოვლენებთან იდენტიფიკაციით სახიერდება: „მე ვიდექი მშრალი და ნათელი მყინვარწვერივით, თანდათანობით, ფრთხილად, ქვემოდან ზემოთ მეხვეოდნენ ღრუბლები. ბოლოს მთლიანად მოვიჯანლე. ცოტაც და გრიალით წავლენ ჩემგან ნიაღვრები“. ერთი შეხედვით მიმსგავსებული, ბუნების მოვლენების, ფიზიკური შეგრძნების, ზოგადად ქმნის შემოქმედებით განცდასთან დაკავშირება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაო-

დენ სურდა მწერალს, ამოეცნო, აეხსნა ბუნების საიდუმლო¹ მისთვის ყველაფერს—სულიერსაც და უსულოსაც—სივრცე, ფერი, ხმა გააჩნდა: „საღამოვდება. ჩიტები საიდანლაც ბრუნდებიან. ისმის საღამოს ნაბიჯების ხმაც. თუ ღმერთი გწამთ, ნუ მკითხავთ, რა ხმაა ეს ხმა.“ ბუნების ამგვარი განცდა რ. ინანიშვილის შემოქმედებაში ხელოვნური, თვითმიზნური არაა. ფლორისა და ფაუნის გაქვავებული, ჩამოსხმული სურათები კი არ იქმნება, არამედ ცოცხალია, მოძრავი, ფერადოვანი, ხავერდოვანი, ადამიანის გამაკეთილშობილებული და ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებული. მწერალი თავის მოვალეობად თვლიდა, ეზრუნა ადამიანის სულზე, მის პრაგმატიზმშეპარულ შინაგან სამყაროზე. ამიტომ მთელი მისი შემოქმედება ქადაგივით მოუხმობს ყველას სიკეთის, სათნოების, ურთიერთგატანის, ადამიანური ლირსების იმ უძირითადეს ცნებათა განუხრელ დაცვისაკენ, რისთვისაც ადამიანურს ადამიანურის შინაარსი უმკვიდრდება: „სიკეთე საქციელი არაა, სიკეთე ბუნებაა. მე მინახავს სიკეთის მქმნელი ხალხი, რომელსაც სული კბილით უჭირავს, ჩაგუბებულმა ბოროტებამ არ ამოხეთქოს. ადრე თუ გვიან, ეს ბოროტება ამოხეთქავს მაინც...“

რევაზ ინანიშვილი მხატვარია. უიშვიათესი სახოვანებითა თუ ხატოვანებით ჩამოძერწილი პეიზაჟები მხედველობითი აღქმის პრინციპითაა შექმნილი. სტრუქტურულად მათში ფერიც, ხმაც, სივრცეც, პორიზონტიც შეიგრძნობა. კიდევ ერთი რამ, რაც რ. ინანიშვილის პროზის გამოკვეთილი თვისებაა—პერამ,

იზაჟის დინამიური, ექსპრესიული ხასიათი მკითხველის ცნობის შესრულებას. რებაშიც გრძელდება, იკვეთება, უფრო მეტად სახიერი ხდება. ამიტომ გასაოცარი სიზუსტით გამახსოვრდება. აი, როგორ ხატავს რუსულ ბუნებას რევაზ ინანიშვილი: „როდესაც რუსულ ბუნებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მე თვალწინ გამივლის რუხი ფერებით დაწერილი ფართო, ფართო ტილო, ხელმარცხნივ, დათოვლილი, დაბალი სახლების სახურავების ზემოთ, ამობოლქვილია ეკლესიის ცისფერი გუმბათი, ოდნავ გაბრწყინებული ჯვრის გაშეშებულ მკლავზე ზის აფუფული ყვავი, მეორე ყვავი შეშფოთებული ჩხავილით ეშვება მისკენ. სახლსა და სახლს შორის გამოდის გზა და ჩაშავებული მდინარისკენ უხვევს. მდინარეზე ძელური ხიდია, ხიდს იქით კიდევ პატარ-პატარა სახლები, მათ ზემოთ, ოდნავ შემაღლებულზე, შავი ნისლივით გაწოლილი არყნარი, მათს კენწეროებს წამოსდებია ფთილასავით გამოწვდილი ნამდვილი ნისლი. გზაზე, ხიდს იქით, ღონივრად მიდის, მიაღაჯებს თექის ჩექმებიანი ქალი და მთელ ამ რუხ ფონზე მხოლოდ მისი მოსახვევი ჩახჩახებს წითლად“. ეს სტრიქონები აზრის მაქსიმალური დაძაბვით რომ წაიკითხო, მხატვრული ტილო გაცოცხლდება. აქ ისე ნამდვილი და ზუსტია ყველაფერი, რომ გვონია, მწერალს ვიღაც რუსი მხატვრის „პეიზაჟი“ ედო წინ და აღწერდა, მაგრამ ეს იღუზიაა. პირიქით, რ. ინანიშვილის ამ ტექსტის მიხედვით, შეიძლება მხატვარმა ყველაფერი დეტალურად დახატოს (იშვიათი მხატვრული ტილო გამოგვივა), მაგრამ იგი იქნება მხატვრული ტილო, ეს კი მწერლის მიერ „სიტყვებით დახატული“ დიდი ფერწე-

რული ტილოა. ქართულ აგვისტოს ასე გვისურათუში „რეკორდი“ ინანიშვილი: „აგვისტო, ოთხი, მზიანი, ცხელი დღე. მაგრამ ამ სიცხეში მე მაინც ვამჩნევ შემოდგომის ნიშნებს. ეს არის რაღაც ქარვისფერი სიყვითლე მზეში და დამცხრალი სიმწვანე ქედებში, ჩამოცვენილი, ყვითელი ფოთლები გაზონებში და მკვრივი სილურჯე ცაში...“ თითქმის ნატურალისტური, ზუსტად აღწერილი შემოდგომის ნიშნებშეპარული აგვისტო, მაგრამ ამ „ნატურალიზმში“ ინდივიდუალობის, მწერლისეული, გამორჩეული ხედვის ის დოზაა, მის ნამდვილობას რომ გაგრძნობინებს ნაღდად. საერთოდ, ამგვარ პეიზაჟს იქნებ სხვაც ხედავდეს, მაგრამ ვერ გადმოსცემდეს, ვერ „ნატავდეს“ ასე ზუსტი და მიგნებული ფერებით.

ვამბობდით, რ. ინანიშვილის „პეიზაჟები“ ადვილად ამახსოვრდება მკითხველს-თქმ, ამის მიზანად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მათი აღქმა კინოკადრის პრინციპით ხდება, როცა მხედველობითი მეხსიერება ადვილად აფიქსირებს „წაკითხულ ნანახს“. ამიტომ ისინი აზრობრივად საღაა, მარტივია. ავტორი ყოველ სიტყვას, ფრაზას ისეთი დაწურული, დაწნებილი ფორმით აწვდის მკითხველს, რომ ამ ლაკონურობის მიღმა მრავალი ქვეტექსტი შეიძლება დავინახოთ და ამოვიცნოთ. რ. ინანიშვილის შემოქმედებაში ვერ ნახავთ არაბუნებრივ, ხელოვნურ, საკუთარ მწერლურ ქურაში გამოუბრძმედავ სიტყვასა თუ სიტუაციას, მწერალი ყოველთვის გაურბოდა მის შინაგან სამყაროში დაუღვინებელ, დაუწრიტავ პრობლემებზე თხრობას, ათასნაირად უნდა განესავა, გაეანალიზებინა და შემდეგ იწყებდა თხზვას: „მხატვრული სახე—ადამიანი, ცხოველი, მცენარე, ნისლი ან წვი-



მა—ისე ამყვება, ვერაფრით ვეღარ ვახერხებ ხოლმებუმინისტრის
ჩამოცილებას, თუ არ ავდექი და ერთ დღეს ქაღალდზე არ
გადავიტანე. მაგალითად: კუკრუჭანებმა ათ წელზე მეტ ხას
მდიეს. სულ სამი გვერდის დაწერა კი დამჭირდა, და მორჩა,
გამათავისუფლეს“. ამ დამოკიდებულებას შინაგანი მოთხოვ-
ნილებით ოხზვა (რ. ინანიშვილს უყვარდა ეს სიტყვა, ე.თ.)
შეიძლება დავარქვათ, როცა გაურკვეველი, ბურუსისმაგვარი
მდგომარეობის დროს კი არ იქმნება ესა თუ ის მხატვრული
სახე, არამედ მკაცრი, უფრო ზუსტად—უმკაცრესი მოთხოვ-
ნილების წყალობით: „კვლავაც ძიება, ძიება, ძიება: როგორ
შევაღო იმ იდუმალებით მოცული სამყაროს კარი, რომელიც
ჩემს მაღლა დგას და ლიცლიცებს მირაჟივით. მე ვხედავ
მშვენიერ ხელებს, თითებს, თვალებს, ბაგებს, ხებს, ქვებს,
ქარისაგან ერთ ადგილას მოქუჩებულ ყვითელ ფოთლებს,
კედლებს, მესერებს, მაგრამ ყველაფერს ნაგლეჯ-ნაგლეჯ,
ერთი გაელვებით, საბურველში გახვეულს. საჭიროა ამ საბურ-
ველის გარღვევა, როგორ, როგორ...“

„სამაგიდო რვეულებში“ ორი დიდებული, ერთმანეთისაგან
განსხვავებული მინიატურაა და მათზე ცალკე გვინდა შევ-
ჩერდეთ. ერთს „მამა“ ჰქვია. რამდენი რამის დამტევია ამ
მინიატურის მოხდენილად, ზუსტად ნათქვამი თუნდაც პირ-
ველი ფრაზა—„მე არ მინახავს მისი ჭიანი კბილიც კი“
(მინიატურა ავტობიოგრაფიულია და მწერლის მამაზეა
საუბარი). როგორი ტკივილი, ტრაგიზმია ჩაქსოვილი მასში,
რა სიმძაფრით, ექსპრესიით განგვაცდევინებს წარმავლობის

საშინელ ყოფას, რომელსაც ახალგაზრდული, ჯერეთ წუთო-
 სოფლის შუაგზაგაუვლელი (არამცო დროულამგაცვეტილი)
 ასაკი კიდევ უფრო დრამატულს, სულის ამაფორიაქებელს
 ხდის. მწერლის მეხსიერებაში დარჩა მამა „მთლად ახალ-
 გაზრდა, სახენათელი, ჯანმრთელი, საყვარელი...“ აღარ დას-
 ცალდა ასაკისაგან სახეცვლა, მოხუცობა. მინიატურა ასე
 გრძელდება: „ერთად ერთი სცენა მისი უქეიფოდ ყოფნი-
 სა:—ყელი სტკივა, ყლაპვას უშლის, დგას ჩვენთან, სოფელ-
 ში, წინა ფანჯარასთან, სვამს ცხელ რძეს და იყურება გა-
 რეთ. გარეთ კი წვიმს: ცა ჩამოდის დედამიწაზე“. ეს მარ-
 თლაც სცენაა, კინოკადრია, რომელსაც აშკარად ხედავ, ხედავ...
 მერე ისევ კითხულობ და გარეთ რომ წვიმს და „ცა ჩამო-
 დის დედამიწაზე“, ეს ამბავი ავისმომასწავებლად გეჩვენება.
 ოთხქოს გონება ამ აღქმაში არც მონაწილეობს, იმდენად
 გრძნობისმიერი პლანით ვითარდება თხრობა, შემდეგ კი ნელ-
 ნელა იწრიტება მღელვარება და ხვდები, რომ თითოეული
 სიტყვაა გასაანალიზებელი, სიტყვა კი არა, წერტილი, მძიმე
 ... სხვა სასვენი ნიშნებიც რაღაც მეორე მნიშვნელობას იძენენ,
 მათშიც ქვეტექსტია შეყუული.

როგორც ვთქვით, მინიატურა ავტობიოგრაფიულია და მწერ-
 ლის მამას ეხება, რომელიც ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში
 დატრიალებულმა ტრაგედიამ იმსხვერპლა. ზემოთ მოტანი-
 ლი ნაწყვეტი რ. ინანიშვილის მეხსიერებაში ჩარჩენილი მა-
 მის პირველი ხატი გახდათ. მეორე კი, უკვე დაპატიმ-
 რებიდან ორი წლის შემდეგ მოხდა, მაგრამ პატიმარმა მამამ
 „ვერ მოასწორ მამად“ გახდომა, რადგან ბავშვის გულუბრყვი-
 ლო მსოფლშეგრძნებას არ სურდა გასაცოდავებული მამის

პორტრეტი აღებეჭდა ხსოვნაში: „ჰო, დაპატიმრებიდან წლის თავზე ვნახე ნაწამებიც—დაპატარავებული, დაშლარი, დაკოჭლებული, წვერგაუპარსავი და ღიმილშელეწილი (მოდი და ნუ აღფრთოვანდები ასეთი მიზანში მოხვედრილი სიტყვის წაკითხვის შეძლებ, ე.თ.), მაგრამ ეს გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე წამს და მან ვერ მოახერხა მამაქემად გახდომა“. მკრთალი, რაღაცნაირად მბეჭტავი დაპირისპირება მაინც იყითხება ამ ორ „ყოფიერებაში“—პატიმარი მამის ხატება წინანდელს არ ჰგავდა, არც ჯანით, არც ღონით, არც იერით, არც ფიზიკური, არც სულიერი მდგომარეობით, ის სხვა იყო, ბავშვის მეხსიერებაში ჩარჩენილისაგან აბსოლუტურად განსხვავებული და ეს განსხვავებულობაა სწორედ „განსხვავებულობის“ მიზეზიც, რომელიც რ. ინანიშვილისათვის ჩვეული, მიგნებული ფინალით ბოლოვდება: „მხოლოდ ახლა, თავად სიბერისკენ მიღრეკილთან, მოდის ხშირად და მემუდარება იმ ტანჯული თვალებით. დღეს თუ ხვალ, ალბათ, გავუღებ კიდეც სამუდამო კარს.“

ალბათ ბევრი არ მოიძებნება ასეთი სიმბაფრით, დრამატულობით განცდილი სახე მამისა, მისი ტრაგიკული ბედისა (ამავე უურნალში რ. ინანიშვილის ავტობიოგრაფიული მოთხოვნა „თოჯინის თვალითაა“ დაბეჭდილი, სადაც უფრო ვრცლად გვიყვება მწერალი მამისა და წინაპრების შესახებ).

მეორე მინიატურას „ძველიმერული“ ჰქვია, რომლის ტექსტს მთლიანად მოვიტანო:

„იმერელს ცოლისძმა მოუვიდა სტუმრად. ღვინო იმდენი არ ჰქონდა, რომ დაეთრო, დაუთრობლად სტუმრის გაშვება



კი სირცხვილია. პოდა, აი, გამოდიან ეზოში. იმერელმა მციქუს არ მართვალობის მიმდევალებს. ცოლისძმა რომ საიდანდაც ვიღაც უთუოდ უთვალოვალებს. ცოლისძმა რომ ცხენზე შეჯდომას დააპირებს, უზანგს დაუჭერს, აიწევს ცოლისძმა, იმერელი უზანგს გამოაცლის და ცოლისძმა წაბარგანავდება. ისევ: დაუჭერს უზანგს, აიწევს ცოლისძმა და გამოაცლის, ცოლისძმა ისევ წაბარგანავდება. იმერელი იღლიაშიც აშველებს ხელს, საქციელწამხდარი ცოლისძმა უხერხულად გადაჯდება ცხენზე. ეს უკვე უმტკიცესი საბუთია, რომ ის მთვრალი მიდის. იმერელი დგას, ქანაობს და ისე უქნევს ხელს. მეზობლების გამოსაგულისჭირებლად დადგმულმა სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. იმერელი მაყურებლებს ესალმება ხელის ქნევით“.

სათაური „ძველიმერული“ ამბის შესატყვისია, არის მასში კლდიაშვილისეულიც, ამიტომ ძველიც, მაგრამ აუცილებლად იმერული კოლორიტით გამთბარი, აქედან—ზოგადქართული. რევაზ ინანიშვილი ღიღ ყურადღებას აქცევდა ნაწარმოების სათაურის. სათაური და ფინალი ის ორი ძირითადი კომპონენტი იყო, ღიღი ალღოთი და გემოვნებით რომ შეირჩეოდა.

„ძველიმერულში“ აღწერილი ლაღი, ხალასი იუმორით შეზავებული (იგი ამ მხრივაც გამოირჩევა რ. ინანიშვილის პროზაში) ამბავი მოჩვენებითობის აშკარა მხილებაა. ამ მოჩვენებითობაში არტისტიზმის, თამაშის ელემენტებიცაა, მკითხველში თბილ, გულღია დამოკიდებულებას რომ აჩენს. ქართველი კაცი თამაშობს ცხოვრებაში, სინამდვილეში, ასრულებს როლს, ირგებს ნიღაბს და „სპექტაკლმა მაყურებლების“—მეზობლების გამოსაგულისჭირებლად თუ კარგად ჩაიარა, კმაყოფილია ამით. ტექსტში არის პერსონაჟის

(ცოლისძმის) მდგომარეობას მისადაგებული სიტყვა „წაბარ-განავდება“, რომელიც შეიძლება იმერული დიალექტის სუ-ლაც არ იყოს, მაგრამ კარგად გამოხატავს სიტუაციის იმ ნიუანსს, მინიატურაში რომ თამაშდება.

ქართველი კაცის არტისტული ბუნება ცხოვრებაში (ეს ცხოვრებაც ერთ გაბმულ სპექტაკლად რომ წარმოუდგენია), ტრაგიკულიც შეიძლება იყოს და კომიკურიც. თამაში სხვის დასანახად, ნიღაბი სხვის მოსაჩვენებლად, თორემ ნამდვილი გასაცოდავებულ, გაჭირვებულ ყოფას ახდის ფარდას. მინიატურაში პერსონაჟი გაჭირვების (ღვინის სიმცირისა და ცოლისძმის დაუთორობლობის) გამო თამაშობს, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც ითამაშებდა, ოღონდ სხვა შინაარსითა და ფორმით.

რევაზ ინანიშვილის „სამაგიდო რვეულები“ კიდევ ბევრ ფიქრს გაუჩენს მკითხველს. ესაა დიდი მწერლური გემოვნებით შესრულებული ჩანაწერები, მათში პრობლემებიც მრავალადაა დასმული, ზოგიერთი მოთხრობის, მინიატურის ესკიზიცაა მონიშნული. მოდით, ინტერპრეტაციის გარეშე გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი:

„მოხუცი ქალი ლოცავს ჩემს მეუღლეს:—ღმერთმა თვალ-მშრალი დედა გამყოფოს, შვილო...“

„სართიჭალაში, ხარაგოულის რაიონიდან გადმოსახლებულ-მა კიკნაძის ქალმა, რომელიც თურმე ას ათი წლის იყო, გულწრფელი წუხილით თქვა: ჩემზე უბედური სხვა არ მე-გულება ქვეყანაზე, სამოცი წელია დედაბერი ვარო“

„შავი, ულამაზო, გატანჯული, ძაბითმოსილი ქალი უმძიმესი სევდით უყვება მეორე ქალს, რომ სამი თვის წინათ დაეღუპა

ქმარი. წარმოიდგინეთ, საჭმლის მომტანი დაეღუპათ აშშავული შვებს! სხვა, ვთქვათ, არაფერი! საჭმლის მომტანი ზომ დაეღუპათ მის ბავშვებს! დაიღუპა ოჯახიდან გამსვლელი მონა-დირე და მომძიებელი. ო, რა ყმუილი ამოხდება მის სულს“.

„მწერალში, ნამდვილ მწერალში მრავალი ტბორი დგას, მრავალი დინება მიმოედინება აქეთ-იქით, ზოგი ტაატით, ზოგი აჩქარებით…“

ნამდვილ მწერალში მუდმივად თოვს, წვიმს, მზეა, ქარი ქრის. ვიღაცა ტირის, ვიღაცა მღერის, ვიღაცა იცინის. რაღაცები იწყება, რაღაცები თავდება, აღმართია ასავლელი, ანდა, პირიქით, დაღმართი ჩასავლელი. ამიტომაა, რომ ნამდვილი მწერალი თითქმის ყოველთვის დუმს, მისი გადიდებული თვალები კი გამოაშუქებს უამრავნაირ გაოცებას“.

ესეც რევაზ ინანიშვილის სიტყვებია.

მართლაც დიდი და ნამდვილი მწერალი იყო.

დავით მჭედლურის ლექსები

წარსული და აწმყო! დროის ამ ორი ფენომენის შედარებასა და დაპირისპირებაში იკვეთება დავით მჭედლურის ძირითადი პოეტური სათქმელი. დრო შეუნანებლად ამსხვრევს და ანადგურებს პირველყოფილი მშვენიერებითა და სიღიადით მოცულ სამყაროს. დღევანდელობის გადასახედი კი მისი გადარჩენის აუცილებლობას გვკარნახობს. ასეთი შედარებითა და დაპირისპირებით მიღებული ცვლილებები იქცევა მწვავე ტკივილის საფუძვლად. აქვე ცხადდება ადამიანის ძირითადი დანიშნულება, იკვეთება მისი ამქვეყნიური სამსახურის უმთავრესი მიზანი, რადგან პიროვნების კონფლიქტი აწმყოსთან ამ უკანასკნელის გაუკეთესებითაა ნაკარნახევი და არა ნამყოს იდეალიზაციით. თუმცა წარსულის მდინარებას ხშირად ისეთი ყოფითი მომენტებიც თან მიაქვს, რაშიც დღევანდელობამ ფესვი უნდა გაიდგას და, ამდენად მათი მხატვრული გააზრებისას რომანტიკული ხედვაც არაა გამორიცხული.

დავით მჭედლურის საინტერესო პოეტური სამყარო იმ საძირეზეა აღმოცენებული, თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი რომ ჰქვია და ყოველ ჩვენგანს თანაბრად სტკივა და აღელვებს. პოეტი კარგად ახერხებს, მოქალაქეობრივი პოზიცია დღევანდელი მთიანი სოფლის მტკიცნეულ პრობლემათა გააზრებასა და წარმოჩენაში გამოავლინოს. მშობლიური მთის თანამედროვე ყოფისათვის თვალის გადავლება, ყოფილისა და დღევანდელის შედარება მძაფრ

ტკივილებს აღძრავს. ამიტომ იქმნება ერთი შეხედვით მოწინდებითი, მაგრამ არა საუცხველმოკლებული აზრი, დ. შჭედლურის საუკეთესო ლექსების გარკვეული ნაწილის ერთი და იმავე თემის პოეტურ ვარიაციებად მიჩნევას რომ გვაფიქრებინებს.

ეს თემა კი მშობლიური მიწის, ფუძისა და ჭერის სიყვარულია. დაცარიელდა საგვარეულო სახლი, „ხვასტაგი ჭირმა ამოწყვიტა, ხოლო ცეცხლი კვამლს ცაში გაჰყვა“. ხავსმა და ეკალბარდმა დაფარა ოდამდე მისასვლელი ბილიკი... აღარც თივით დატვირთული ურმების ჭრიალი აკრთობს არემარეს, აღარც მამლის ყივილით იხლიჩება ცა გამთენის ჟამს, აღარც პირამიდის მსგავსი თივის ზვინები წამომართულან ეზოში და თითქოს ნაშემოდგომარი კაკლის ხეების ბებერი ჩრდილიც უღვთოდ გაბარჩხულა მორღვეულ ღობესთან. ამ სიჩუმესა და მდუმარებაში ამაღლვებლად გაისმის ლირიკული გმირის მონოლოგი:

„—საგვარეულო სახლო, მშვიდობით!
 დაგიქნე ხელი და მივალ,
 გამოვჯარე შენი კარები,
 საძოვარი ქარს მოვაძოვე.
 საგვარეულო სახლო, მშვიდობით!
 გაშიშვლდნენ შენი ყორეები
 და სარკმლიდან ჩვენი სული გარეთ გამოდის,
 წვიმენ წვიმები, მაგრამ ამაოდ,
 კარისპირებში ჩახმნენ ყანები,
 საგვარეულო სახლო, მშვიდობით!
 მივდივარ, გტოვებ, გვიყარენით“.

პოეტი აქ საოცრად გულწრფელია. არავითარ ნიღაბსა და



პოზას არ მიმართავს, რის გამოც შეუფერავი, მართალი განწყობილება იქმნება და იგი მკითხველსაც გადაედება. თითქოს გრძნობ, გვარის უკანასკნელი ნაშიერი როგორ ტოვებს მშობლიურ კერას, ხურჯინით კი თავისი ცხოვრების ბედი მიაქვს:

„დაუსრულებელ მდინარებაში
მეც ჩემი გზა მაქვს
და სასწაული“.

დავით მჭედლურის პოეტური სული მთაშია ნაქსოვი, მისი პირველქმნილი სილამაზითა და სისპეტაკითაა ნაკვები. ამიტომაა შეუძლებელი ქალაქის ცივ გარემოსთან შეგუება, მის ხმაურსა და ორომტრიალში ჩაკარგვა. პოეტი ხშირად ბრუნდება მთაში („დამშვიდობება—გაქცევა“ პირობითია და მხოლოდ სიყვარულის შინაარსი აქვს შერჩენილი): „ერთხელ შევედი ათასწლოვან დაბურულ ტყეში და ისეთი სიჩუმე იდგა—უმაღლ ყურებზე ავიფარე შემკრთალმა ხელი“—დიდი სიმართლეა ნათქვამი და განცდილი. სათქმელის ასე ლაკონურად გამოხატვა იმას შეუძლია, ვისაც გონებაში ერთხელ და სამუდამოდ აქვს აღბეჭდილი ათასწლოვანი დაბურული ტყის ნადირთა ყმუილითა და ფრინველთა გალობით შემკული სამყარო.

დ. მჭედლურისათვის მშობლიური მთის გახსენება ერთგვარი შვებაცაა: „ხვალ მშობელ მთებში მივემგზავრები“. ან კიდევ: „ტანს აიყრიდით, სათიბებო, უკვენტბის მთაში, მე კი სადა ვარ თქვენი მთისველი, სადა ვწევარ ბეტონის მჯიღში, სად შევყურებ ვოლფრამის მზეს, ნეონის მთვარეს, ტანს

აიყრიდით, სათიბებო, უკვენტბის მთაში“. უნდა ვთქვათ უფრო გარკვეული სიახლე ამ ოემის მხატვრული გააზრებისა და გადაწყვეტის მხრივ უფრო თვალნათლივ ვერლიბრის ფორმით დაწერილ ლექსებში შეინიშნება.

დ. მჭედლურმა ლექსების პირველი კრებული („პირმზით“) 25 წლის წინათ, 1975 წელს გამოსცა, მართალია, მასში მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობით არ წარმოჩენილა იგი, მაგრამ ეს არც იყო გასაკვირი, რამეთუ პირველი წიგნი ხშირად ფრთხილი და გამოზოგილი პოეტური ენერგიითაა ნაკვები, ამიტომ ორიგინალური მხატვრული სახეებისა თუ საკუთარი პოეტური ხმის სიძლიერეს ყოველთვის შემდეგ კრებულებში უნდა ვეღოდეთ. „სათავეს თითქმის არასოდეს მოუდის თვალში წყლის მდინარება“ (უან კოკტო).

დ. მჭედლურის მომდევნო პერიოდში დაწერილ ლექსებში უფრო მეტად დაიხვეწა ოსტატობა, პოეტის ფიქრის თვალსაწირი უფრო ვრცელი და მრავალმხრივი გახდა. მან ორგანულად შეისისხლხორცა ის მხატვრული სიახლეები, რაც ჩვენს პოეზიაში სამოცდაათიან წლებში მოხდა. და არა მარტო შეითვისა, მის დამკვიდრებასა და გაღრმავებაში გარკვეული წილი მასაც მიუძღვის. პოეტი, ტრადიციულ ფორმასთან ერთად, ვერლიბრსაც ხშირად მიმართავს: დ. მჭედლურის ვერლიბრი არ არის პროზაიზმებით გადატვირთული, მშრალი, მცირე ემოციურობით დამუხტული, იგი ისეთ ერთიან პოეტურად მოცახცახე სხეულს გვაგონებს, რომელსაც



ყოველი ნერვი გამოზომილი რიტმულობით უცემს, როგორიცაა მშფოთვარებით უნდა მიაწოდოს მკითხველს.

„ბალახებშია ჩვენი თვალები და შეგრძნებები,
უკიდეგანო სივრცეებით ფრთხებშესხმული
და გასაფრენად გამზადებული,
და როცა ქარი შეაშფოთებს
ჩვენი ფრთხების უმწეო ღინდღლს,
სიმწიფეს რომ დავიჩემებთ,—
მაშინ გვეტყვიან სიმართლეს
და მკაცრად გვეტყვიან,—
რომ ჩვენს ასპარეზს ისევ ჩვენი
მშობლიური ჭალა შეაღენს“.

როგორც ვხედავთ, დასაწყისისათვის ნიშანდობლივა ჩუმმა და მშვიდმა რიტმულმა მდინარებამ ახალი ჟღერადობა შეიძინა—შინაგანად დამუხტული სამყარო გაიხსნა და სათქმელს მეტი სილაღე და პაროვნება მიენიჭა. ამგვარი სალექსო ფორმით შექმნილი ლექსები მრავლადაა დ. მჭედლურის პოზიაში.

დ. მჭედლურის პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელია ცალკეული მოვლენის გარე სამყაროსთან მიმართებაში აღქმა. ეს ხერხი პოეტს იმდენად აქვს გათავისებული, რომ არასოდეს ავიწყდება კონკრეტული სათქმელი, პირიქით, ფიქრით გარშემოწერილი სამყარო ერთგვარი სივრცითი ფონის ფუნქციას ასრულებს და ცალკეულ აზრს უფრო ნათელსა და თვალსაჩინოს ხდის. სხვაგვარ შემთხვევაში შეშველ აბსტრაქციასთან გვექნებოდა საჭმე, ლექსი განსჯითაც დამძიმდებოდა და მისი მთლიანობაში აღქმაც გაგვიჭირ-

დებოდა:— „დედაო ჩემო, მოსულა თოვლი და ძლიერ დიჭხანს ალბათ ითოვებს, აღარ მოღიან თეთრი ცხენები, საფლავზე ბალახს აღარ გიძოვენ“. ან კიდევ: „დავეხეტები ქუჩა-ქუჩა, დღეს არის ჩემი დაბადების დღე, დედაჩემო! შენი ჯვარი დღეს უთუოდ შეირჩეოდა“. ან კიდევ:

„დამის მდინარე თითქოს
 შედგა,
 ისევ სიზმარი...
 სიზმარში გნახე,
 მაგრამ ძლივს ახლა გავბედე მეთქვა:
 ... ამოგერთმია შენ ჩემთვის გული
 და გემჩნეოდა თვალებში სევდა,
 რაღგან ეს გული,
 ვიდრე ფიქრობდი,
 იმაზე უფრო ძალუმად სცემდა“.

ასეთი ფორმით ტკივილი უფრო ხელშესახები სიცხადით განიცდება და შინაგანი დრამატიზმი სასურველ ექსპრესიას იძენს. დ. მჭედლურმა ლექსში გამუღავნებული სათქმელი პარალელური ასოციაციებით დააკავშირა და მკითხველის ყურადღება გარე სამყაროდან შინაგანისაკენ წარმართა, უარყო თვითმიზნური ანალიტურობა, ყალბი ინტელექტის სამოსი, ამიტომაც ყველაფერი ნათელი და ადვილგასაგები გახდა.

დავით მჭედლურის შემოქმედებაში ცალკე უნდა გამოიყოს მინიატურული პოეზია. ესენია ერთი კონკრეტული აზრობრივი ხატის გაელვებით შექმნილი ლექსები—მოჭარბებული ლაკონიზმით, აფორისტულობით, რაც შთამბეჭ-

დავს, ადვილად დასამახსოვრებელს ხდის მათ, მაგრამ არც
მწირი ლირიზმი, თავშეკავებული ემოციური მუხტია უარყო-
ფილი, ყოველივე კი განმარტებით-დეფინიციური ზასიათის
ლამაზ და ერთიან მინიატურულ ქსოვილს ქმნის:

„ესეც შენი უწყინარი
შაშვების გუნდი—
შეხედე,
როგორ ნადიმობენ
ნაზველების სისხლიან ტანზე“

ესაა აზრის წამიერი გაელვებით, პეიზაჟზე მყისიერი დაკ-
ვირვებით შექმნილი ტკივილიანი და დამაფიქრებელი პორ-
ტრეტი ბუნებისა, აქამდე დამკვიდრებულის უეცარ უარყო-
ფას რომ გვაგრძნობინებს და გვაფიქრებინებს: „შემოღვომის
მოწყენილ დღეებს უყვართ ველებზე ხეტიალი და ხანდახან
დიდი ქალაქის კარებთანაც გამოჩნდებინან“. ამგვარი სუ-
რათხატი მინიატურულ პოეზიაში მრავლადაა. მათი სიჭარბე
გვაფიქრებინებს პოეტის მისწრაფებას სათქმელის ლაკონუ-
რად და შთამბეჭდავად გადმოცემისაკენ. ზოგიერთი მინია-
ტურული ლექსი ერთი ტკივილიანი სურათია, მკითხველის
წარმოდგენაში რომ ღებულობს დასრულებულ სახეს: „ნელ-
ნელა ინგრევა საგვარეულო მიწურის ბოლო კედელიც, მას,
ოდესლაც ჩემგან დარგული, კაკლის ფესვები გასჯდომია
ქვას და ქვას შუა“. ეს მინიატურული ლექსი ღრმა
ბუნებრიობით გამოხატავს ტკივილს, გაშინაგანებულ და გა-
თავისებულ შინაგან მწუხარებას. ოუმცა ასეთი ბუნებრი-
ობა ყველაზე მეტად იმ მეტაფორა-შედარებებში იგრძნობა,



პოეტი რომ გვთავაზობს: „დგას მაცივარში ციცქნა ზამთართვის დატყვევებული მეომარივით“, „განწირულთა ერთი შეკვეთის დატყვევა—ერთი ხანია შენი თოვლი და ქარიშხალი, შენი ზვა-ვის შიში მომენატრა“; „ბუხარი—დიდი სიმშვიდის ძეგლი, აზროვნებს კვამლის ცისფერი ფთილით“, „ჯერაც მოთმენით იცდიან, თუ აგონდებათ ზაფხული, ნასიმინდარში გოგ-რები—ბოჩოლებივით დაბმულნი“. აქ ყველაფერი აზრის გან-ვითარების შინაგანი ლოგიკითაა ნაკარნახევი, დაზვეწილი ფორმითაა მოტანილი მკითხველამდე. არავთარი გარეგანი შეუსაბამობა არ არის. პარალელები ბუნებრივი და აშკარად გამოკვეთილია, რის გამოც აღარ გვჭირდება ყოველ ფრაზა-ში ხშირად ძნელადმისაგნები „მრავლისმთქმელი“ სიმბოლუ-რი აზრი ვეძებოთ.

დ. მჭედლური უმეტესწილად სურათის შექმნას ესწრაფ-ვის, რაც პოეზიაში არახალია, ძველია, მაგრამ ხშირად მის მიერ ნათელი და უმანკო ფერებით შექმნილი სურათი ისე ხელმისაწვდომი და საჩინოდ სახილველია, არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს:

„თოვს და ნასამხრევს
ძველი გომიდან
მეზობელს ცხენი
გამოჰყავს საბლით
და ვხედავ გაღმა:
გადასდგომია
ქარაფის ნაპირს
ბებერი წაბლი“.

პოეტის მიერ დანახული და დახატული სურათი უმთავრესად პეიზაჟურია, რომელშიც ხშირად გაკრთება საყოფაცხოვრებო რეალიები. მათ ფონზე იშლება პოეტისეული ჩანაფიქრი (საერთოდ, ეს პრინციპი მძლავრობს დ. მჭედლურის პოეზიაში), მოტანილ მაგალითს, ნივთიერი ხატის გარდა, ფარული ქვეტექსტიც გააჩნია. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, როცა პოეტი სურათსა და ქვეტექსტს ერთმანეთს აცილებს, აშორიშორებს:

„წიფლოვანებში შრიალებს ლელი,
ესმის შრიალი არაგვის ჭალას,
ქედებს მოუჩანს თითების კერტი
და ხევში მღერის ჭაბის ჩალა“.

დ. მჭედლური შეეცადა მეტისმეტად დაეხვეწა ფრაზა, ხორქლისაგან აბსოლუტურად გაეწმინდა, რამაც საბოლოო ჯამში სტროფი უფუნქციო გახადა, დაიკარგა ის ღირსება, რისთვისაც იგი შეიქმნა, პირველი და მესამე ტაეპი სურათის პრეტენზიას ავლენს, მეორისა და მეოთხის ამგვარი კონსტრუქცია კი რითმამ განაპირობა.

მოტანილ მაგალითს შეიძლება დავუპირისპიროთ ლექსი „სურათი“, სადაც ძალუმად იგრძნობა წარმავლობის ყრუტკივილი, ლირიზმი და ისეთი ჩუმი განსჯა, ჭეშმარიტ განწყობილებას რომ გვაზიარებს:

„ჰგავს ნეკერჩხალი
ხომალდის აფრას,
დაღლილს ათასი
ქარით და ღელვით,
ჩაელირება უძირო ნაპრალს,
ნაპრალს—რომელსაც ჩაუნთქავს ბევრი.

არვინ ჩაივლის:
 გამხმარ ბალახში
 ქარით ივსება
 პერანგი გველის,
 თითქოს და ბოლო მგზავრი გადავრჩი
 და ყველა კოცნა დახარჯეს მწველი.
 და ახლა უნდა
 უცხო ქაცივით
 შენი ზეობის
 ზღუდესთან ვიჯდე,
 სანამ ზაფხულის რაღაც ნაწილი
 დარჩება მხოლოდ ერთადერთ ფიჭვზე“.

როცა პოეტი ტრადიციულ თემაზე ქმნის ლექსს, უნდა დასძლიოს ტრაფარეტი არა მარტო გააზრების, არამედ გრძნობისმიერი თვალსაზრისითაც, რადგან ყოველი სიტყვა თუ სიტყვათშეთანხმება მკითხველში რაღაც ემოციას, აზ-რობრივ გაელვებას იწვევს. პოეტი ადამიანის იმ მერძნობიარე სიმს უნდა შეეხოს, აათროოლოს, რომელიც ლექსის ემოციურ და აზრობრივ ქსოვილს აიტაცებს და თავისად აქცევს. ხომ ბევრი წაგვიკითხავს კაი ყმის შესახებ, მაგრამ ვნახოთ როგორ დასძლია ეს თემა დ. მჭედლურმა ამავე სახელწოდების ერთ-ერთ ლექსში.

, „სავსე ვარ ზეცით,
 სავსე ვარ წვიმით,
 მიწაზე უფრო ახლო ვარ ცასთან,
 მიიფანტება წეროთა მწკრივი,
 ვხელავ: საორბის მწვერვალებს გასცდა.
 იწყება დელგმა,
 დაეტყო ურუნი,
 აყმუვლდებიან ახლა ზევები,

შენც ხორციელის გეცემა სუნი
 და აფთარივით მომეტევები,
 რომ სისხლიანი გამლოკო ენით
 და სიკვდილამდე
 ალერსი გასტანს,
 მაგრამ რას მიზამს განზრახვა შენი,
 მიწაზე უფრო ახლო ვარ ცასთან.“

სწორხაზობრივია პოეტური აზროვნება, სათქმელი არაა
 სხვადასხვა კუთხიდან დანახული და განსჯილი. უბრალოდ,
 პოეტმა ერთი ჩვეულებრივი რამ გვითხრა: ბევრი ესწრაფვის
 კაი ყმის სახელს და ბევრი ვერ სწვდება, რადგან იგი მიწა-
 ზე უფრო ახლოა ცასთან. მაგრამ ლექსის მთლიანი სხეული
 იმგვარი გრძნობიერებითაა განზავებული, იმ, ხშირად ძნე-
 ლადმისაგნებ ემოციურ ძაფზეა აკინძული, რომ ლექსის ძალუმი
 მდინარება გვიპყრობს და თავს გვამახსოვრებს.

დავით მჭედლურის პოეტური სამყარო შთამბეჭდავი პოე-
 ტური სახებითაა დასახლებული. პოეტის ტკივილიანი ფიქ-
 რი გამუდმებით მიმოატარებს მზერას ყოფელდღიურობის
 ნაცრისფერ გარემოში, აფიქსირებს მის მთვლემარე ბუნებას,
 ხასიათს და გამუდმებით იღვწის მისი უკეთესობისათვის:

„რეკავს ნერვიული რიტმი:
 —ყველაფერი გაცვდა!
 —გაცვდა!
 ჰყეფს სივრცეში გაჭიმული
 ყვავის გუნდი ერთი აცმა“.

ასეთ დამაფიქრებელ სურათ-ფიქრს გვიხატავს ერთგან
 პოეტი და მთელი შემოქმედებით ამხელს, ააშკარავებს ყო-
 ფას, რომლის მანკიერების დაძლევით, პოეტის აზრით, ადა-
 მიანის ჰარმონიულობა სამყაროში გარანტირებული გახდება.

მპილის არსებობის ფილოსოფია

რეზო ჭეიშვილის ვრცელი მოთხრობის „მეოთხე სიმუონიის“ ერთ-ერთი პერსონაჟი აღიო ღვაბერიძე, უორიას და-საფლავების შემდეგ, ბესო იაძეს მკლავში ხელს გაუყრის და დედის საფლავის მოსანახულებლად წაიყვანს. გაუჭირდება, მაგრამ მაინც მიაგნებს მოუკლელ, უალტამ-ნარშავაბაბუაწვერამოდებულ საფლავს, რომლის თავლოდში აღიოს მშობიარობას გადაყოლილი და მასზე შვიდი თვის ფეხშიმობის პერიოდში გადაღებული დედის ფოტოა ჩასმული.

„—მეც ვმარხივარ ახლა დედაჩემთან ერთად?—ეკითხება აღიო ბესოს.

—შენ აქა ხარ.

—აქაცა ვარ და იქაც“.

აღიო მართლაც ორივეგანაა—დედასთან ერთადაც „მარხია“ სურათში და საფლავთანაცაა მისული. ორმაგი ყოფიერება მისი ამქვეყნიური მოვლინების მიზანშეწონილობის ამოცნობას აადვილებს. „იქაც“ არსებობა იმ წლებისათვის თვალის გადევნების საშუალებაა, „იქიდან აქამდე“ რომ გაიარა. აღიო, პირობითად რომ ვთქვათ, მკვდარიცაა და ცოცხალიც— მკვდარი სურათში, ცოცხალი—საფლავთან მისული. რა აზრი აქვს მკვდრის დაბადებას, ანუ რა მნიშვნელობა პქონდა ღვაბერიძის გაჩენას? სიცოცხლეს, ჩვეულებრივ, ფუქსავატ ყოფად თუ მივიჩნევთ, პქონდა. დედასთან ერთად დამარხვის

შემდგომ, უფრო სწორად დაბადების მერე, კლიონმ
საგრძნობლად მოიმატა წონაში, მოიმატა კი არა, თუ ასე
გაგრძელდა, სიარულსაც ვეღარ შეძლებს აღბათ. ხოლო
სიცოცხლე რაიმე ჭეშმარიტ ღირებულებათა შსახურებით
თუ იზომება, მაშინ აღიოს არარსებობით არაფერი დააკ-
ლდებოდა ქვეყანას: „აქაცა ვარ და იქაც, როგორც დაბადება
არ მახსოვს, ისე დედა არ მახსოვს... წამიყვანეს თბილისში
და მას შემდეგ, ესე იგი დაბადებიდან, წავიდა ჩემი საქმე
უკუღმა——ღვაბერიძე ტიროდა, დაუფარავად იმშრალებდა
ცრემლებს ცხვირსახოცით, აქაცა ვარ და იქაცა ვარო, იმე-
ორებდა: აქ რომ ვარ, რას ვაკეთებ, დედაჩემთან ერთად
დავმარზულიყვავი, აჯობებდა, ვერც მოსვლას გავიგებდი, ვერც
წვალებას, ვერც წასვლასო. რაც გადავიტანე, კაცმა არ
იცის, გადასატანი კიდევ წინა მაქვსო“. ღვაბერიძისნაირები
უაზროდ მიათრევენ სიცოცხლის დღებს და მათთან პირ-
ველსაწყისი——დაბადება, განუწყვეტელი შფოთვა, წვალება
რომ მოჰყვება აღსასრულის ჩათვლით, ჯობდა არ არსებული-
ყო. ყოფნა თუ არყოფნა, რისთვის ჩნდება ამქვეყნად ადამია-
ნი, ყოფნის საზღვარდადებული მიჯნა და არყოფნის
მოახლოების ტრაგიკული განცდა, ადამიანი, როგორც არას-
რულყოფილი, ნაკლულოვანი არსება, აი, „მეოთხე სიმფონი-
ის“ პერსონაჟთა საქმიანობისა თუ შეხედულებათა გაცნობის
შემდეგ გაჩენილი, კაცობრიობის დასაბამიდან საფიქრებელი,
მუდამ თავსატკივებელი კითხვები.

საფლავის თავლოდში ჩასმული, ორმაგი ყოფიერების ში-
ნაარსის მატარებელი დედის ფოტო არა მარტო აღიო
ღვაბერიძის ამქვეყნიური არსებობის უაზრობას ჰუნებრივი

თელს, არამედ იმასაც გვეუბნება (ამას თვითონვე აცხადებს) რომ მის გაჩენას საერთოდ არ ჰქონდა აზრი და ჯობდა, როგორც სურათშია, ფიზიკურადაც დედასთან ერთად და-მარხულიყო. რეზო ჭეიშვილი, ყოფნა-არყოფნის ღირსებანაკ-ლულოვანი მხარეების ღრმად განმჭვრეტი და მხატვრულად წარმომჩენი, ადამიანის—არასრულყოფილ არსების ამქვეყ-ნიური მოვლინების ჭეშმარიტ საფუძველს ეძებს და გვეუბნება, რომ იგი, ისედაც სამანდადებულ წუთისოფელში, თუ ჭეშმა-რიტ ღირებულებებს არ ემსახურა, მაშინ მისი არსებობა ფიცარში მკილის ყოფნას, კუტკალიების, ბოცომქალების ჭრი-ჭინს უტოლდება.

„მეოთხე სიმფონიაში“ ყველაზე ხშირად განმეორებული და ამდენად აქცენტირებული სიტყვაა ჭრიჭინი, ჭრიჭინებენ. ნაწარმოების კონტექსტის მიხედვით, ეს სიტყვები ჩვეულებრივ სემანტიკურ მნიშვნელობაზე ტევადი ხდებიან, სიმბოლური ფუნქცია ენიჭებათ და ხსნიან, განმარტავენ მოთხრობაში აღწერილი საზოგადოების ცხოვრების წესს, ხასიათს:

„ჰაერი გატენილია ჭრიჭინით“ „ჭრიჭინსა და ბზუილში ინთემება ღუბელა მდინარის ღვალვანი“, „ასე ათასი მწერი ჭრიჭინებს იქ, ერთ ალაგას“; „აბზინდის აბურდულ ჯეჯილ-ში ჭრიჭინებენ სულმოუთქმელად“; „დანარჩენები ჭრიჭინებენ გაბმულად“; „სად იდგნენ, სად მღეროდნენ ჭრიჭრიჭრიჭინ-ში“; „ჭრიჭინებენ ბოცომქალები, კუტკალიები, ჭრიჭინები“, ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქ-რობ, ესეც საკმარისია იმის აღსანიშნავად, რომ ჭრიჭინის აქცენტირება სიმბოლურად გამოხატავს ადამიანთა მარად ერთსა და იმავე ქმედებას, ამგვარივე სურვილებით პერმა-

ნენტულ და უმიზნო მოძრაობას. აქ პერსონაჟები მწერებისთვის
მუდმივად, გაბმულად, თავმომაბეჭრებლად ერთსა და იმავეს
ამბობენ—ჭრიჭინებენ, რაც მწერლის ირონიული დამოკი-
დებულების საგანი ხდება და მისთვის ჩვეული გროტესკუ-
ლი ფერებით გადმოიცემა.

ადამიანი საყოველთაო მარადიული მიზნების
განხორციელებას თუ ოდნავადაც არაფრით ეხიდება, მაშინ
წვრილმანი, ფუქსავატი სურვილების მორევში დაინთქმება
მისი სიცოცხლის დღეები, რაც, მწერლის აზრით, დაბადებამდე
სიკვდილის (დაუბადებლობის) ტოლფასია. „ფეხზე მძინარე
ღვაბერიძეს“ არასდროს არაფერი მისი ხელით, ჭკუთ, ნი-
ჭით, სურვილით არ შეუქმნია, წიგნიც არასდროს წაუკითხავს,
მაგრამ მწერლობაზე ხმამაღლა საუბრობს. მისი შემეცნების
ძირითადი წყაროა სხვისი ნათქვამი, გაგონილი, ყურმოკრუ-
ლი და არა საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევი. ღვაბერიძეს სი-
ცოცხლე სიცოცხლის უარყოფით მიენიჭა (დედამისი მის
მშობიარობას გადაყვა). ამიტომ სიცოცხლის შენარჩუნება კი
არ იყო მხოლოდ საჭირო, მისი ღრმა, ტევადი შინაარსით
დატვირთვაც. ღვაბერიძის არსებობა არარაობას გაუტოლდა.
მის ხასიათში პარაზიტული, ყალბი ელემენტები დამკვიდ-
რდა—არასდროს არავისთან არაფერი ესაქმება, მაგრამ სა-
ზოგადოების საერთო ინტერესების გამომხატველს, ასეთი
თხოვნაც დაცდება ხოლმე:

„—მომიწყვეთ მეც ვიღაცა!—იყვირა უცბად ღვაბერიძემ.

—გყავს ვინმე?—დაინტერესდა გოვენ წიქარაშვილი,
ღვაბერიძის მარტო ხმის გაგონებაზე რომ ეცინებოდა.

—არავინ არა მყავს, მაგრამ გამოვძებნი, რა გაცინებთ,

სასაცილოა ეს ამბავი?! დაწერეთ, ბიჭო, ჩემზე რამე, დაწერეთ, რეთ. გაფიცებთ ყველაფერს, ან წიგნში ჩამაგდეთ, ან კინოში გამომიყვანეთ, ან თეატრში, გამომიყვანეთ და, როგორ გამომიყვანთ, არა აქვს მნიშვნელობა, არა ვარ დასაკარგავი კაცი, გეუბნებით, მოვკვდები და მერე ინანებთ. დაწერეთ რამე, რაც გინდათ, ის დაწერეთ: გინდ გლახა, გინდ კარგი, რაც გინდათ, მთავარია, არ დამკარგოთ, დედის სულს ვფიცავ, არ მეწყინება, სულერთია, რაც გინდათ, ის დაწერეთ...“

ღვაბერიძე ფიქრობს, მხატვრულ ნაწარმოებს, თეატრსა თუ კინოს მაინც შემორჩეს და ამით გადაარჩინოს ფუქსავატობას საკუთარი ნებით შეწირული არსებობა. ღვაბერიძის ხასიათში არის დარდიმანდობის ნიშნები, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა, ალიო თვითონ მოგვითხრობს ამ მთავარზე—საკუთარ არარაობაზე, მოგვითხრობს შემზარავი სიმართლით, დაუნდობელი, მამხილებელი ჭონით. ამ მონათხრობში არის ცინიზმიც, სხვათა დაცინვაც, აბუჩად აგდებაც, მაგრამ, უპირველესად, საკუთარი არარაობის, უმწეობის, კნინობის დაფიქსირება. ალიო ამაზრზენი სიმართლით წარმოჩენილი უკიდურესად დამცრობილი პიროვნებაა.

„ძალიან გავსუქდი, აღარ მეტევა არაფერი: რა მითხარი, რას დამგვანებიხარო? ჭაში ჩაშვებულ ვედროსავით მარახუნებს ცხოვრება და აბა რას დავემგვანებოდი: დამერღვა რეჟიმი, ოჯახური სიამტკბილობა, ნივთიერებათა ცვლა, სისხლის მიმოქცევა, ასოცი კილო გავხდი, სამოცდაათზე მეტი რომ არ უნდა ვიყო წესით. დავიბრიცე, დავმრგვალდი, წონამ დამძლია და ვერ წამაქცია...“

ღვაბერიძის შემპარავ ცინიზმში საკუთარი უსუსურობა

ილანდება. მისი პიროვნული მდგომარეობა, ნებით თუ უნებლივი ედ, გადარჩენის, დამკვიდრების გზას ეძიებს, მაგრამ იმ პირობებში, ყოფიერების იმ ჩარჩოებში ამის პოვნა ძნელი კი არა, შეუძლებელია. ამას თვითონაც გრძნობს და ესაა სწორედ მისი ცინიზმის საფუძველი, თორემ შინაგანად იგი არაა აქტოკენ მიღრეკილი ადამიანი, მის სიტყვებში სინაწყლი, წუხილი გამოკრთის; ისე ავად კი დავტოვე ცოლიო, ამბობს იგი, სხვები ეკითხებიან როგორააო და პასუხობს: „ის დამხვდებოდეს მკვდარი და გასვენებული და არ მინდა მეტი არაფერი. რა გაცინებთ? აბა, სადა მაქვს პანაშვიდზე დგომის თავი. შეხედეთ, რას მიგავს ფეხები, საკუთარ თავს ვეღარ ვზიდულობ, სხვას კი არა. რა არი, ბიჭო, ცოლი, ცოლი, ბიჭო... მე პირადად ძმაკაცებით მიდგია სული...“

მოთხობაში ღვაბერიძისნაირად გამორჩეული პერსონაჟია კარლო ამილახვარი—ფრანგული ენის სპეციალისტი (რამდენად იცის თუ ახსოვს ეს ენა, ამას სხვა გმირები ეჭვობენ), სასაფლაოს ადმინისტრატორად (ამ ადგილს თუ ასეთი ხელმძღვანელი ჰყავდა, ბესო იაძეს ვერ წარმოედგინა) რომ მუშაობს, მარადიულ მღუმარებაში ჩაძირული სასაფლაოსი, სადაც დრო შეჩერებულია, ერთ ადგილზეა გაყინული, უფროსი ყოველწამს საათზე იხედება და ამით არა მარტო საქმიანი, მოუცლელი კაცის იმიჯს იქმნის, მოჩვენებითად იმასაც აღნიშნავს, რომ დროს აქ გადამწყვეტი, არსებითი ღირებულება გააჩნია. კარლო ამილახვარი მთელი სიაშკარავით წარმოაჩნის იმ შემაშფოთებელ სინამდვილეს, საზოგადოებაში

რომაა გაბატონებული. დაუნდობლობის, გაუტანლობის ატემოსფერო, მერკანტილური, გამომძალველური ინტერესებით დაპროგრამებული ადამიანები, წმინდა, თუნდაც მეგობრული გრძნობები არარაობამდე რომ დაუყვანიათ. ტყუილი გაფეტი-შებულია და მოქმედების საზომად ქცეული. ყველანი ხვდებიან ტყუილს, მაგრამ მაინც იტყუებიან, ვერ წარმოუდგენიათ მის გარეშე არსებობა. ბუხუ მიქაშავიძე და ბესო იაძე, უორიას მარადიული სამკვიდრო ადგილის მოსაძებნად, ბუხუს მე-გობარ და თანაკურსელ კარლო ამილახვართან მივიდნენ. მან შესთავაზათ ადგილი, სადაც სამხედრო პიროვნების—მაიორის ცოლი მარხია და ამ დღეებში აპირებს ქმარი გადას-ვენებას: „...რაც დახარჯა, იმას ითხოვს, შეიძლება მეტიც მოითხოვოს, მაგრამ ღირს იტოვში“—ასეთი იყო მოფრანგუ-ლე ადმინისტრატორის პასუხი, მაგრამ აი, მიმსვლელები რას ფიქრობენ:

„—აქ არავინ არ მარხია,—სამხედროს ცოლის საფლავი-
საკენ გაიხედა ბუხუმ.

— „ხადია, — თავი დაუქნია ბესომ...“

მაიორის ცოლის საფლავი, გადასვენება და ამდაგვარნი გამოგონილია, ფულის აღებისათვის შეთხზული ამბავია, ამას კველანი ზვდებიან, მაგრამ ასე ურჩევნიათ, რადგან უფულოდ ამ საქმის მოგვარება წარმოუდგენლად ეჩვენებათ. ამიტომაა, რომ „მეოთხე სიმფონიის“ გმირები ხანდახან სინამდვილისადმი სატირულ, უფრო კონკრეტულად, სარკაზმში გადაზრდილ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებენ. სხვას რას უნდა მივაწეროთ, თუ არა ამას, კარლო ამილახვრის თუნ-

დაც ეს სიტყვები: „არ არი მუშაობა, არა—შორიდანვე წარმოითხოვ იწყო ამიღახვარმა—დაიცალა ქალაქი და ესენი შვებულებაში ვერ გავყარე, არადა, გეგმას ვერ ვასრულებთ... დროა ისეთი, ნაკლებია იტოგში ნედლეული... არაა ეს სამუშაო და რა ვუყო, ცოცხლებს ხომ ვერ დავმარხავ...“ ამ სიტყვებში ცინიზმიცაა, სატირაც, მცირე სარკაზმიც... არის დამაფიქრებელი დამოკიდებულებაც. ამგვარი შეგრძნება ხანდახან გაიღვებს ხოლმე ნაწარმოებში და გვაგრძნობინებს იმ შერყეულ წონასწორობას, დარღვეულ პარმონიას, ადამიანის ამქვეყნად გაჩენის ჭეშმარიტ გაგებასა და აქ აღწერილს შორის რომ უნდა ვიგულოთ ზღვარად.

„მეოთხე სიმფონიაში“ წამოჭრილი პრობლემების ფონზე მძაფრადაა დასმული ყოფნა-არყოფნის, უფრო ზუსტად, ყოფნის რაგვარობის საკითხი. მოთხრობაში აღწერილი საზოგადოება იმდენად გადაგვარებული, ნამდვილსახედაკარგულია, რომ მათი შინაგანი სამყარო ამ კითხვებზე პასუხის გაცემით თავს არ იტკივებს, თუმცა წარმავლობის გააზრების განცდა აიძულებთ მასზე ფიქრს, რაც, მართალია, გარკვეული დასკვნების, შეხედულებათა გადაფასების, მსოფლმხედველობის ცვლილების, ცხოვრების წესის შეცვლის საფუძველი არ ხდება, მაგრამ საერთო ტენდენციას მაინც გამოხატავს, მკითხველს იმ რწმენას უღვივებს, რომ არარაობით არაფერი იქმნება, რომ ადამიანს მაღალი იდეალების განმხორციელებელ არსებად თუ არ მივიჩნევთ, მაშინ სიცოცხლეს ფუნ-



ქცია ეკარგება, დაბადებაც უაზრობაა, არსებობაც უშინმარტველები
სო და მკილის ძალა, ნებელობა მისაბაძი:, რა არი აღამისა
ანიო, რა რთული, ამავე დროს სუსტი და იოლად მოწყვლა-
დი ნაწილებისაგან არის აგებული. რამდენ გარეგან, შინაგან
სწეულებას, სტიქიურს, პოლიტიკურს, სოციალურ, ეროვნულ
კატასტროფას უნდა გადაურჩეს, რომ დაბერდეს თუნდაც.
არადა, ერთდროულად, ერთი ხნისანი ხომ არ დავიხოცებით,
გინდათ თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით, უფროს-
უმცროსობით ხომ არ ჩავიცლებით ხვიმირაში. რიგს ვერ
დააწესებს, უკვდავებას ვერ დაუშვებს, სიცოცხლესაც ვერ
შეაჩერებს; თუ არ მოკლა, ვერც გააჩენს. როგორ შეიძლება
გონიერი არსება სამუდამოდ გამოეთხოვოს სინამდვილეს,
აცდეს მოძრაობას, გაეთიშოს დროს, რომელიც მის გარეშე
არ არსებობს. თუ ჩვენთან ერთად ქრება სინათლე, სამა-
რადეამოდ ესვენება მზე და ბნელდება ვარსკვლავიანი ცა,
რად მინდა გონება, რატომ დამსაჯე, დასასრულის შეგრძნების
უნარი რატომ არ წამართვი! მკილი ვარ, მომე ძალი მკილი-
სა, მომე მოთმინება მკილისა, მომე ხვრის უნარი მკილისა,
მაინც ხომ მკილი ვარ,—შემოქმედი ჩემნაირი მკილისა!“
მოთხოვის მთავარი პერსონაჟის—ბესო იაძის, ბიძაშვილ
უორიას ავადმყოფობის შემდეგ აკვიატებულ ამ ფიქრებში
ადამიანის ნაკლულოვანი ფიზიკურ-სულიერი მყოფობა
იკითხება, იგრძნობა ჯადოთი შეკრული, დასაზღვრული წრე
პრობლემებისა, რომელთაც უნდა გაუძლოს და გადაურჩეს
კიდეც ადამიანი. საბოლოოდ კი აღსასრული და მისი ტრა-
გიკული შეგრძნება გარდაუვალია, რადგან ასეთი გაუჩენია

შემოქმედს, ასეთია მისი ამქვეყნიური სახე და ზღვლის გფლი
ნებით განსჯილი ყოფნა დასასრულის მტკივნეულ განცდების
საც მოიცავს. ამიტომაა ადამიანი ერთდროულად ძლიერიც,
სუსტიც, რთულიც, მრავალსახოვანიც და ცალსახაც...
შეგრძნება წარმავლობისა იმდენად ტრაგიკულია მწერლის
აზრით, რომ მკილივით უგრძნობელი ყოფნაა ამ შემთხვევა-
ში უკეთესი, მისი ერთფეროვანი, უსახური და გამოფიტული
არსებობაა შესაშური. საბოლოოდ კი, რეზო ჭეიშვილის კონ-
ცეფციით, ადამიანში მაინც არსებობს მყარი, მუდმივი, წარ-
მავლობის მსახვრალ ხელს დაუმორჩილებელი განცდა—ესაა
არყოფნისას ყოფნა: „რაც იყო ჩემამდე, ის იქნება ჩემს შემ-
დეგაც. სადაც ვიყავ ჩემს არყოფნამდე, იქ აღმოვჩნდები ჩემი
არყოფნის შემდეგ. თუკი ვარსებობდი არყოფნაში, არ შეიძლება
არ ვიარსებო ხელახლა არყოფნაში“. ეგზისტენციური ბუნების
მატარებელი ეს სიტყვები გონების ვარჯიშის სფეროს უფრო
განეკუთვნება, ვიდრე მოთხრობის პერსონაჟთა სააზროვნო
მდგომარეობას, მათი აღქმისა და განსჯის შედეგად მიღწე-
ულ დეფინიციას.

„მეოთხე სიმფონია“ მკაცრი მხილება ჩვენს საზოგადოებაში
დამკვიდრებული მანკიერი სენისა, განათლებომანია რომ
შეიძლება დავარქვათ. ესაა ვითარება, როცა მისაღები გა-
მოცდების ჩაბარება, უფრო სწორად, „მოწყობა“ ყოფნა-არ-
ყოფნის საკითხს უტოლდება. ადამიანებს თითქოს ყველაფე-
რი გადაუკიწყებიათ და თავგამოდებულნი, ყველა მეთოდით,
ხერხით, საშუალებით იბრძვიან „ჩასაბარებლად“. როგორც
საზოგადოებაა გადაგვარებული, გაუცხოებული, ისეთივეა,

საერთო მასშტაბით, ქვეყანაც, სადაც „ორჯერ მეტი წლიური დენტია, ვიდრე საფრანგეთში და სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში“. ეს მდგომარეობა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, პირიქით, სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ, მათი სიცოცხლის საზრისი, ცხოვრების მიზანი სწორედ ეს გამხდარა: „იცით, ნარგიზა მეორედ აბარებს და ამისმა (მამაზეა საუბარი, ე.თ.) ავადმყოფობამ თუ ხელი შეგვიშალა, თავი მექნება მოსაკლავი...“ აი, როგორ აზროვნებს ხალჩი—შვილი გამოცდებს აბარებს და უკურნებელსენშეყრილი მამაც ავიწყდებათ, ზნეობა ხომ კარგა ხანია აღარ ახსოვთ და ჭაპანჭყვეტით, ქანცგა-მოლეული ეძებენ ყოველნაირ გზებს „მოსაწყობად“, „ჩასაწყობად“, უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მოსახვედრად: „ბიჭებს არ დალაპარაკებია ჯერ, ყველა საგანში ვამზადებთ ორი წელი. ატესტატი კაი გამოიტანა, არც ის გვიშოვნია მუქთად, მაგრამ მაინც... ეკუთვნისო, ჩვენც ვიცით, რომ ეკუთვნოდა, მაგრამ რომ არ წავხმარებოდით, არ მისცემდნენ...“ რამდენი რამაა ნათქვამი ამ სიტყვებით, როგორ ნათლად გამოხატავს იგი საზოგადოებაში გაფეტიშებულ ზნეობრივ ნორმებს, როგორ თვალსაჩინოს ხდის ადამიანთა მიზნებისა და საქმიანობის ხასიათს. იმას, რომ არაფერი ასეთ საზოგადოებაში თავისთვად არ ხდება, ყველასა და ყველაფერს „დახმარება“, „მომზადება“, „ჩაწყობა“ სჭირდება.

მოთხოვთ აღწერილი საზოგადოების გადაგვარებულობა, ფუჟუ, ყალბი ინტერესების კერპად ქცევა პერსონაჟთა მოქმედებებშიც, ხასიათშიც, მისწრაფებებშიც ვლინდება. აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებელ-

ში მოეწყოს ახალგაზრდა (მოწყობაც ამ საზოგადოების მიერ გამოგონილი ტერმინია) და არა ისწავლოს, ცოლნა მიძღოს. ეს უკანასკნელი არავის აინტერესებს, რადგან განათლებული და იმავლოულად პატიოსანი ადამიანი ყველას დაცინვის, დამცირების ობიექტი ხდება. გოვენ წიქარაშვილის დისტვილს, ეკონომიკურის ნაცვლად, ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადაუწყვეტია სწავლის გაგრძელება, რაც მამამისის აღშფოთებას იწვევს და შვილსა და მის ბიძას, საზოგადოების საერთო სახის მაჩვენებელი პრაგმატული, ვაჭრული დარიგებებით ამკობს: „ბიძაშენსაც ფილოლოგიური აქვს დამთავრებული და ხარისხი აქვს დაცული... რად გინდა მერე... დადის მთა-მთა, ტყე-ტყე, აღმა-დაღმა უფულოდ, იწერს ზეპირსიტყვიერებას, რომელიც აღარაა თურმე, იყოს თუ გინდა, რა ყრია შიგ, შაურს მოგცემს ვინმე... დარჩები, შვილო, პატიოსანი კაცის სახელით და საქმეში არ გაგრევენ. ეს პატიოსნება კი რა პურს გაჭმევს, იმასაც ნახავ. იმას გაჭმევს, რაც სხვას აჭამა, ბიძაა შენი, რა დასამალია და, ერთი კოსტუმის ამარა დადის ზამთარ-ზაფხულ... პატიოსანია და ორ კაცს ვერ შეიყვანს ერთდროულად რესტორანში, შეიყვანს? თვითონ თქვას! ერთი ბიჭი ჰყავს, გააჩენს მეორეს... ათი თუმანი მასესხე, უცბად, ვიღუპებიო, რომ უთხრა, გასესხებს? ასესხებ? თავით რომ დაკიდო ხანდახან, აბაზი არ გადმოუვარდება ჯიბიდან. ათ ბოთლ ღვინოს გაუგზავნის ვინმეს? ჩავარდა, ვთქვათ, ამნაირი მომენტი. ამას რომ წიგნი აქვს წაკითხული, ზოგს აფიშა არ ექნება იმდენი დანაწული, მაგრამ რად გინდა, ერთ სუფრას გადაიხდის?..“ ამგვარი

მერკანტილური სურვილებით ნაკარნახევი შეგონებაში „მუშაობის თხე სიმფონიაში“ მრავლადაა. ისინი ათვალსაჩინოებენ იმას, რომ ამ ადამიანებს, მთავარია, მატერიალური კეთილდღეობა გააჩნდეთ, სული საერთოდ არ ახსოვთ და იმათაც დასცინიან, ვინც სულის საზრდოს ეძებს დღემუდამ. თვითონ გოვენ წიქარაშვილიც ამ საზოგადოების ნაწილია, მთაში ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშები გამოილია, ირონიით აცხადებს და, სხვათა მსგავსად, ფუქსავატი ყოფიერებით ირთობს თავს.

ფსევდოგანათლებომანიის მასობრიობის მიღწევას საზოგადოების წევრები ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ, ეძებენ ნაცნობებს, ახლობლებს, ნათესავებს, ისეთი ვინმეც ახსენდებათ, ძნელად რომ გაიხსნებდნენ სხვა დროს და დარბიან, დაძრწიან საქმეების ჩასაწყობად. მოთხოვობაში ჩაწყობა-მოწყობის სქემებიცაა გაშარებული, გროტესკული ფურებით წარმოდგენილი. საზოგადოებაში ბატონობს ფული, მისი ყოვლისშემძლეობა ყოველ ფრაზას, დიალოგს გასდევს ქვეტექსტად. ადამიანებს უქრთამოდ ვერაფრის გაკეთება, შექმნა, მიღწევა ვერ წარმოუდგენიათ. ასეთ ვითარებაში ფული აზრის, სიტყვის, პირობის სიმტკიცის, დამაჯერებლობის ფუნქციას ასრულებს, მის გარეშე დანაპირები ჭეშმარიტ შინაარსსაა მოკლებული. „მოწყობა თუ არაფერი დაჯდება, მაშინ ჰაერზე დაგპირებია“ — ამბობს მოთხოვობის ერთ-ერთი გმირი და ამით გამოხატავს კორუფციისადმი არა მარტო საკუთარ, საზოგადოების დამოკიდებულებასაც. აქ გასამრჯელოს არადების საწინააღმდეგო ხერხებიც აქვთ შემუშავებული. ასე რომ, პატიოსნება არ არსებობს, იგი ნი-



ლაბია, თავშესაფარია, საიდანაც სხვა გზებითა და საშუალებებით მხოლოდ და მხოლოდ იგივე ხორციელდება: „...არ იღებსო, ამბობდნენ, სწორიცაა: არ აიღებს, დარწმუნებული ვარ, მაგრამ არსებობს არაღების საწინააღმდეგო ხერხები...“

„მეოთხე სიმფონიაში“ რეზო ჭეიშვილს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სპეციფიკური ხასიათიც არ რჩება მხედველობიდან და ისინი პუბლიცისტური, პლაკატური მიმზიდველობით კი არ ცოცხლდებიან მკითხველის წინაშე, არამედ საოცარი მხატვრული ცხოველ-მყოფელობით, შთამბეჭდავი ირონიული ხასიათით, რომელიც თითქოსდა ძნელად შესამჩნევიცაა, რადგან ყოველივე ჩვენს თვალწინ მიმდინარე მოვლენებია; მაგრამ მწერალი არ იშურებს არანაირ მხატვრულ საშუალებას, რათა მისთვის დამახასიათებელი მაღალმწერლური ნიჭიერებით დაგისურათხატოს საზოგადოების ეს უმანკიერესი მხარე. უნივერსიტეტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გამოცდების სხვადასხვაგვარობა, ჩაწყობა-მოწყობის ერთგვაროვანი ხასიათი, ყველგან იდენტური, მსგავსი გარემო: გამომცდელთა გაქნილი, ნიღაბაფარებული პატიოსნების გამომხატველი სიფათები, მშობლების ტრაგიკომიკური სახეები, კარიდან კარად ხეტიალი, თხოვნა, მუდარა, გამომცდელთა წინასწარ დამუშავებული მანიპულაციები, აბიტურიენტთა წინასწარ ნახვისა თუ პაროლების გაცემის მექანიზმები... აი, ერთ-ერთი მაგალითი ყოველივე ამისა:

„ბავშვი აქა გყავს? როდის მოიყვან? ჯერ არც გინდა,

იმდენი მაჩვენეს, რომ ერთმანეთში ამერია უკვე... დამრჩევე ყური: „ქართველი მწერლები ერის სამახურში იღგზნ შუდამ“... ასე დაიწყოს, რა თემაც არ უნდა დაწეროს. არ გინდა გადაწერა, ეს წაიღე ბარემ, აქ გადატანის ნიშანია... ეს პაროლი კი რიკაძესაცა აქვს გაცემული... ბოლო სიტყვა უნდა გადაიტანოს როგორმე. მუცალკე დაწეროს, დამ ცალკე, გაყოს აუცილებლად მუ-დამ. ეს პაროლიც ემთხვევა უკვე ერთმანეთს. ხუთი-ექვსი პაროლი ყველასა აქვს გაცემული, მერე იწყებენ ძებნას, სირბილს, შენთან ხომ არ არის, ჩემი აქაა... ზოგი იქვე გთხოვს, კოლეგებზე გეუბნები, იქვე გეხვე-წება, მოუმატეო. მოუმატე კარგია! კაცმა არ იცის, რა აქვს აბიტურიენტის მშობლებისთვის ნათქვამი... არც ერთი თემა ახლა უპაროლოდ არ იწყება, ჩვენთან ასეა და იმ ხერკე-ლაშვილმა რანაირად დაწერა, ვერ გეტყვი. ერთი უპაროლო ნაწერი რომ მანახია, ერთ ნიშანს მოვუმატებ, სარისკოა, მაგრამ მოვუმატებ და ჩემსას დავაკლებ ბოლოს და ბოლოს“. ობიექტურობის, სამართლიანობის საზომად ვიღაც ხერკე-ლაშვილის უპატრონოდ, მოხმარების გარეშე ჩარიცხვა აკე-რია საზოგადოების ერთ ნაწილს პირზე, იგი ქცეულა ეტა-ლონად პატიოსნებისა, სიკეთისა, მეორენი ამასაც აღარ ენ-დობიან. ასეთი ირონიული ქვეტექსტებითაა წარმოდგენილი დაღუპვის პირას მისული საზოგადოება, რომლის ყველა უენა, წარმომადგენელი განათლებომანითაა დაავადებული. რაც მთავარია, საზოგადოებას სამართლიანობის ერთადერთი მა-გალითი (თუმცა ესეც ირონიისათვის სჭირდება მწერალს) მოეძევება.



ადამიანები თავიანთი არსებობის მიზანს მხოლოდ და და მხოლოდ ამგვარი განათლებისადმი მისწრაფებაში ზედავენ. მომავალი თაობაც იმიტომ ჩნდება თითქოს, ასეთად რომ იქცეს, სხვაგვარი არსებობა მათვის წარმოუდგენელი გამხდარა. აზროვნების თვალსაწიერი ერთსა და იმავეს დასტრიალებს წამდაუწუმ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამგვარ ყოფაში განსხვავებული სამომავლო პერსპექტივა წარმოუდგენელია. ფსევდოგანათლებულობა არსებობის არა მარტო რაგვარობის განმსაზღვრელია, მისი საზრისია, ის აუცილებელი და ერთადერთი პირობაა, რითაც, მათი აზრით, ადამიანი ადამიანად აღიქმება. ბესო იაძე უნივერსიტეტის ეზოში ერთ-ერთი აბიტურიენტის მშობელს ეუბნება: თუ ვერ ჩააბარებს, რა მოხდა, ენები ისწავლოს, მუსიკას მოუსმინოს, წიგნები წაიკითხოს, ჭრა, კერვა, ქარგვა შეისწავლოს, გათხოვდეს, შვილები გააჩინოს, აღზარდოს... მშობელი, ამ ღიდაქტიკის შემდეგ, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულების გამომხატველ ფრაზას წამოისვრის:

„—ერთის მეტი არ მყავს და...

—მითუმეტეს.

ეს მითუმეტეს რაღა იყო, სულ ვერ გაიგო (აბიტურიენტის მშობელმა, ე.თ.), მოიღუშა, წარბები შეყარა... შემდეგ ისევ თითების ტკაცატკუცი ატეხა და მალე წავიდა“.

„ერთის მეტი არ მყავს და...“ ზუსტი გამოხატულებაა შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტად ადამიანური არსებობა, პერსონაჟთა თვალსაზრისით, მხოლოდ ფსევდოგანათლებულობით მიიღწევა, სხვა, მართლაც უმთავრე-



სი—ქალისათვის დედობა, შვილების აღზრდა, ჭრა, კურატორული ქარგვა და ა.შ. მეორეხარისხოვნადაა მიჩნეული.

რატომ ჰქვია მოთხრობას „მეოთხე სიმფონია“—ბრამსის მუსიკალური ნაწარმოების სახელწოდება?

მოთხრობაში მასთან სიახლოვის ნიშნები, მითუმეტეს—საერთო და მსგავსი არაფერი, ან თითქმის არაფერი შეინიშნება, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ეს ჭრიჭინი და მისთანანი სიმფონიისმაგვარად უნდა აღვიქვათ.

მწერალს თუ ვერწმუნებით (საუბარში გვითხრა ერთხელ), თხზულება ზუსტად იმ კალენდარულ დროში, თვესა და რიცხვში დაიწერა, ბრამსს მეოთხე სიმფონია რომ შეუქმნია.

ამის მიხედვით სახელწოდება, ასე თუ ისე, შემთხვევითობასთან ყოფილა დაკავშირებული.

არადა, რეზო ჭეიშვილი ნაწარმოებს კი არა, პერსონაჟებს, მეორეხარისხოვანსაც კი, არ არქმევს შემთხვევით სახელს.

ჯერჯერობით უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ერთი შემთხვევითობა მანაც დაუშვა და ამით თავსატეხი გაუჩინა მკითხველს.

„მეოთხე სიმფონიაში“ ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი დავით კლდიაშვილის „დარისპანის გაჭირვების“ ინტერპრეტირებაა. აქ პერსონაჟთა სახელების ერთი ნაწილი, სიტუაცია, დიალოგებიც კი ემთხვევა ხანდახან ერთმანეთს. განგებ, გარ-

კვეული მხატვრული თვალთახედვით შექმნილი ეს ეპიზოდი კიდევ უფრო ნათელს ხდის აღამიანთა ფსევდოგანათლებით გატაცების აბსურდულობას. დავით კლდიაშვილის „კარლა-კარ მოსიარულე პერსონაჟებს ბაძავენ „მეოთხე სიმფონიის“ გმირები. ადრე თუ გათხოვება იყო თავსატეხი, ახლა უმაღლესში „მოწყობა“ გამხდარა და დათიკო (იგივე დარისპანი), პელაგია, ნელი (მართა), ცისანა (კაროჟნა) და ნატო თამაშობენ იგივე სცენას ძველებური სიმბაფრით, ტრაგიკომიკურობით, ოღონდ განსხვავებული პრობლემებით. დათიკო დარისპანი ვინივით ტრაბახობს და ამით ნიღბავს თავის უმწეობას, შეჭირვებულ ყოფას. კლდიაშვილის პერსონაჟებს ქალიშვილებით სასიძოების საძებნელად კარდაკარ სიარულს გადაშენების, გადაგვარების საფრთხის გრძნობის ინსტიქტიც ხომ კარნახობთ. რეზო ჭეიშვილის გმირები უაზრო, აბსურდული მიზნებისათვის დაეხეტებიან, ეძებენ მომწყობთ თუ ჩამწყობთ, ამისი განუხორციელებლობა ტრაგედიად, სიკვდილის ტოლფასად მიაჩნიათ, როგორც კლდიაშვილის გმირებს ქალიშვილების გათხოვება: „...თუ მაგის იმედიც მოგვესპო, დევილუპებით და ის იქნება... წმინდათ დევილუპებით“... („დარისპანის გასაჭირი“); „...ახლა რომ ხელი მოგვეცაროს, თავი მექნება მოსაკლავი... დავიღუპებით, პირწმინდათ დავიღუპებით“... („მეოთხე სიმფონია“); „...სისხლი გამიშრო მე მაგან, მართა ჩემო, სისხლი გამიშრო!.. ამ გზაში სულ იმას ჩავჩიჩინებ—აი, ბოშო, სხვას რომ დეინახავ, თამამად იყავი, ხმა ამოიღე, ენა მუცელში ნუ ჩაგივარდება, დაანახვე, რომ მუნჯი არა ხარ... შენც არ მომიკვდე, ვერასფერი შევასმინე!—რავარც ვინმე გარეშეს თვალს მოჰკრავს, ქეც დამუნჯდება, ქეც დაყრუპ-

დება, ქეც დაკუტდება „(„დარისპანის გასაჭირი“). „...იცის, მარა რად გინდა, რომ ჩაუვარდება ხანდახან ენა, დაყრუვდება, დამუნჯდება „... („მეოთხე სიმფონია“). ციტატების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ზემოთ მოთხრობილიც ადასტურებს, რომ რეზო ჭეიშვილმა დიდი წინაპრის პიესისკენ მიბრუნებით კიდევ უფრო გაამძაფრა, დაამძიმა მის მიერ დასურათხატებული პრობლემა, ნათელი გახადა „მეოთხე სიმფონიის“ გმირთა აბსურდული ხასიათი და ტრაგიკომიკური ბუნება.

„მეოთხე სიმფონიაზე“ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება.

პერსონაჟთა სახეების ცალკეული შტრიხების, მყარი ინდივიდუალური მახასიათებლების გახსენება და ანალიზიც არ იქნებოდა ურიგო.

მაგრამ, მოდით, ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ.

მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს:

„თავს ვიქცევთ ყველანი, ვინც თამაშობს, ისიც თავს იქცევს და ვინც შრომობს—ისიც“.

რეზო ჭეიშვილს გენიალურად ეხერხება ასეთი ხალხის დახატვა. ამისი ბრწყინვალე მაგალითი „მეოთხე სიმფონიაა“.

„უშბა უშბს პგაშს ცაში ნასროლას...“

კლარენს შამფრიანის ლექსები ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ტექნიკური სრულყოფილება, სათქმელის რაფინირებულ, ზედმიწევნით დახვეწილ ფორმაში მოქცევა ნაკლებად აინტერესებს, ამიტომ პოეტურ ტექსტს აშკარად ეტყობა შთაგონების მყისიერი გაელვების ნიშნები. პოეტური ენერგიის ამგვარი თვითნაბადობა შემოქმედისათვის ღირსებაც შეიძლება იყოს და ნაკლიც. ღირსება იმდენად, რამდენადაც ლირიკული გმირის სათქმელი პირველყოფილობის ელფერით, ყოველგვარი ძალდატანების, ხელოვნურობის გარეშეა გადმოცემული, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ სათქმელი „პოეტურად ზუსტი“ არ აღმოჩნდა, მისი დახვეწა-სრულყოფილება, ანუ პოეტური სახისა თუ სათქმელის გადმოცემის უკეთესი ფორმის მოძიება არ ხდება. კლარენს შამფრიანის საუკეთესო ლექსები სათქმელის გადმოცემის ორიგინალური ნიშნებით გამოირჩევიან. მათი ღირსება სწორედ ისაა, რომ შებოჭილი სტრიქონი იშვიათად ან თითქმის არ გამოერევა წამიერად გაჩენილ ყოველდღიური ყოფის სხვაგვარი კუთხით დამნახავ პოეტურ სახეებში. ყოველდღიური შემთხვევით არ გვიხსენებია. პოეტის საუკეთესო ლექსთა ლირიკული გმირის სათქმელი სწორედ ჩვეულებრივ ყოფაში დევს, იმ მუდმივი ტრივიალურობიდანაა ამოზრდილი, რომელშიც ყველა ჩვენგანი ყოფილა, მაგრამ ეს ტკივილი თუ სიხარული ამგვა-

რად არ აღუქვამს და არ დაუნახავს. ავიღოთ ლექსის „საფრანგულის საფლაოზე“—ჩვეულებრივი ამბავი, ახალგაზრდა ქალის გარდაცვალება, რა სულისშემძვრელი ხატოვანებითაა დანახული. მასში სიკვდილი იმდენად შემზარავადაა წარმოსახული, რომ მესაფლავებსაც, აღამიანთა აქ ყოფნის საბოლოო კარიბჭის დამხურავებსაც, უჭირთ მასთან შეგუება, გაშინაგანება და გათავისება. ამის მიზეზია, პოეტის აზრით, სილამაზე გარდაცვლილი ქალისა, რომელიც ყველა მოკვდავის წარმოსახვაში სინანულის უფსკრულს აჩენს: „სასაფლაოზე წავყევი მძაკაცს (ახლობელის ჭირს რომელი არ წუხს?), ვიგრძენი, მკერდში რომ ჩამწყდა რაღაც, ასაფლავებდნენ ოცი წლის ქალწულს“. ასეთია ამ ლექსის ერთგვარი საექსპოზიციო ნაწილი, რომლის შემდეგაც ერთბაშად მძაფრდება ტრაგიზმი და მოულოდნელი, მშვენიერი პოეტური სახეებით გვირგვინდება:

„ნათელი ადგა... ვით წამებულებს...
 (აწ მის სამარეს ცრემლები მორწყავს),
 ჩვენ დაგვამსგავსა მიცვალებულებს,
 ის კურთხეული კი ჰეგავდა ცოცხალს.
 ეთხოვებოდნენ—შესაბრალებელს,
 დარღმა წალეკა ყველა მიჯნები,
 ჩუმად გავხედე მესაფლავებს—
 უკანკალებდათ ხელში ნიჩები.
 ჩამავალი მზის შუქს გვფენდა თითქოს,
 სანამ მიწაში დაინთქმებოდა...
 —მკვდარი ასეთი ლამაზი იყო,
 ნეტავ ცოცხალი რა იქნებოდა!“

ამგვარ ხილვებში ინდივიდუალური ჭვრეტა ყოფნა-პრეცენტის
პრობლემისა გონების პრიმატით კი არა, პოეტური ინტუიცი-
ითაა ნაკარნაზევი. საერთოდ, კ. შამფურიანის პოეზიაში განსჯის,
ანალიზის ელემენტები ნაკლებად ან თითქმის არ შეიმჩნევა.
წერს ისე, როგორც ეწერება, ანუ, უფრო ზუსტად, ცნობილი
სიტყვები რომ მოვიშველიოთ, «Пишу, как дышу» (ვ. ზვია-
გინცევა). ამიტომ პოეტისათვის ძველი, საყოველთაოდ აღია-
რებული ჭეშმარიტებანიც საკმარისია, ოღონდ ახალი პოე-
ტური რაკურსით წარმოაჩინოს და დაანაზვოს იგი მკითხველს.

კლარენს შამფურიანისათვის ძველი ადათი, ტრადიციები,
რაინდული ყოფა სათაყვანო კერპია, ამიტომ მის ლექსებშიც
საკმაოდ აისახა იგი. პოეტისათვის ადამიანურობის საზომი,
ღვთისგან ბოძებულ თავისუფლებასა და სიდიადესთან ერ-
თად, იმ მარადიული, საუკუნეების წიაღიდან მომდინარე ტრა-
დიციათა ერთგულებაცაა, რაც ქართველს ქართველად აქ-
ცევს და სხვათაგან გამოარჩევს. კაცურკაცობის, ძმობის,
ერთგულების, გაუტეხელი მეგობრობის მოტივს, თემატური
თვალსაზრისით, საკმაო ადგილი ეთმობა კ. შამფურიანის პო-
ეზიაში. გავიხსენოთ ლექსი „კაცს გაუმარჯოს, კაცს“.

„ზოგჯერ ზედმეტად კეთილს,
ზოგჯერ ზედმეტად მკაცრს,
სახით თეთრს, ზანგს თუ მეტისს,
კაცს გაუმარჯოს, კაცს!
ვინც არ სჯერდება „აწმყოს“
და ჰქმნის უკეთეს „აწს“,
ბრძოლების ცეცხლში ნაწრობს—
კაცს გაუმარჯოს, კაცს!

მტრის დანახვისას მგლისებრ
ფერს რომ დაიღებს ბაცს...
ისევ, ისევ და ისევ—
კაცს გაუმარჯოს, კაცს!“

ეს ლექსი ნათელყოფს იმას, თუ რა საწყისს ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოეტი ადამიანში. რაინდული, ვაჟეკაცური, საოცარი ამტანობის მოტივი დომინირებს ლექსებში „მამა“, „წინაპრებს“, „კაცური კაცის მოსაგონარი“ და სხვა. პოეტს იტაცებს და ხიბლავს ლომის სიძლიერეც, მაგრამ ვერ შეგუებია იმას, რომ დაუძლურებულ და სასიკვდილოდ გადადებულ ნადირთ ხელმწიფეს საბოლოოდ ისევ ცხოველები უსწორდებიან. აი, როგორი შთამბეჭდაობითაა გადმოცემული ეს იდეა ერთ-ერთ მშვენიერ ლექსში „ლომი“:

„როცა ნადირი ნადირს რიხით ეხმიანება
და ისმენ ქადილს ათასნაირ ხმების ქოროში,
საქმარისია ლომის ერთი შეღრიალება,
რომ ყველა მხეცი შეძვრეს სოროში.
ჯუნგლები თავის ადაოწესით ბევრმა ადიდა,
მე კი მის კანონს ერთ რამეში დავემდურები:
—როს კვდება ლომი, სათაყვანო მეფე ნადირთა,
ესევიან და... ჭამენ ტურები“.

კლარენს შამფრიანის პოეზიისთვის უცხო არ არის ლირიული განწყობილებაც. ერთი შეხედვით, იმ სტიქიის პიროვნებასა და პოეტს, როგორიც ისაა, ამგვარი რამ ნაკლებად უნდა იტაცებდეს, მაგრამ პირიქით, ლექსების უმეტეს ნაწილში მშვენიერი იდილიური განწყობილებაა დაჭერილი, მიგნებულია ის ზუსტი წერტილი, რომელიც მკითხველზე ნალდ ემოციურ შთამბეჭდილებას ახდენს. რაც შეეხება

ზემოთ ნახსენებს—ლირიული განტყობილება ნაკლებად წერილი და იტაცებდეს-თქო—ამას თვითონვე გვეუბნება პოეტი ერთ-ერთ ლექსში და იქვე მშვენიერი ზატოვანებით „ასაბუთებს“ ლირიკული გმირის შინაგანი სამყაროს საოცარ სინატიფესა და სიფაქიზეს:

„ხომ ცივი მთების შვილად ვითვლები,
მაქვს გამოხედვაც ამბობენ მგლური:
—შეახე ჩემს მკერდს თბილი თითები
და შენს ხელებში გადმოვა გული.“

ან კიდევ:

„სხივები რომ გაახშიროს,—
მთვარე უფრო გაიბადრა,
შენ კი არა, შენს ბალში რომ
ხე დგას, ისიც მომენატრა“.

კლარენს შამფრიანის ლექსების დიდი ნაწილი სვანეთი-სადმია მიძღვნილი. აქაური ბუნება, ადამიანები წმინდათაწმინდა, შეუბლალავი, სათუთად სატარებელი, გასაფრთხილებელი, თითქმის კულტის ღონებები აყვანილი პოსტულატებია პოეტისათვის. ამიტომ არ იშურებს ეპითეტებს, სურს ყველას დაანახოს ამ მხარის სილამაზე, სვანების გმირული სული და შეუპოვრობა.

„ჩანჩქერის წყალს დავლევთ წმინდას,
ვნახავთ კოშკებს—მზემდე აწვდილს,
კლდეს შემდგარი ჯიხვი ციდან,
მთვარეს რქებით ჩამოგვაწვდის“.

კლარენს შამფრიანის ლექსები, როგორც ვთქვით, ხშირად ექსპრომტული ხასიათისაა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც

კი, მათში საკმაოდ გამჭვირვალე, ლალი მეტაფორული
სახეებიც მრავლადაა. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი: „კოშ-
კები, დღეს რომ იპყრობს თვალს, სვანეთს ოდითვან ამშვე-
ნებს, რა მაღლებია, თითქოსდა ზეციდან ჩამოაშენეს“ „ნე-
ტავ, ნახევარი რად ჩამოტყდა მთვარეს? ალბათ მღვრიე
ნისლში უშბას დაეჯახა“, „უშბა შუბს ჰგავს, ცაში ნას-
როლს“, „მომხვდურს ბოლომდე შეაღნენ /როგორც მოსდგამ-
დათ გენებით/ და სამოთხეში შევარდნენ/ გაჭენებული
ცხენებით“ და სხვა. ამგვარი შედარებები თუ მეტაფორები
ისეთი ცინცხალი, შთამბეჭდავი სახეებია, რომ მათში მეღი-
ტაციურს აშკარად ჭარბობს იმპულსური, რომლის საფუძვე-
ლიც ჰეროიკული განწყობილებაა. ყოველივე ეს კი კ. შამ-
ფრიანის ლექსებს საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

თვითმფრინავის პილეთი

თეიმურაზ ლანჩავაძის სამწერლო მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო.

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რატომ გადაბარგდა პოეზიიდან პროზაში, დაახლოებით ასე პასუხობდა:

რომ შემძლებოდა, თვითმფრინავის ბილეთს მატარებლის ბილეთზე არავითარ შემთხვევაში არ გავცვლიდიო.

საგულისხმო შედარებაა, მწერალს, ალბათ, ის ჰქონდა მხედვებლობაში, რომ ლექსი მკითხველამდე უფრო ადრე აღწევს, მის გულსაც ადვილად იპყრობს, ვიდრე სქელტანიანი ნაწარმოები, ამასთან, ლექსი უფრო ზეცის შვილია, პროზა კიდევ მიწისა (ჩვენც შედარება გამოგვიდია!).

დაკვირვებული ვარ, პროზაიკოსთა პოეზიაში უფრო ძნელად იპოვნი სუსტ ლექსის, ვიდრე პოეტთა წიგნებში. პირველი მეტი მოკრძალებით ეკიდებიან ლექსის თხზვას, მაშინ ქმნიან, როცა სათქმელი სხვა ფორმას კი არა, ნაღდად, მაინდამაინც ლექსად ქცევას ითხოვს. საერთოდ, ნებისმიერი უანრის კარგი ნაწარმოები ასე იქმნება და ესაა კანონზომიერება, რომელზეც ხშირად გვიფიქრია სუსტი ლექსისა თუ ამდაგვარი მოთხოვნის წაკითხვის შემდეგ—იქნებ ამ ფორმით უკეთესი ყოფილიყო-თქო ან პირიქით. გოთემ ტრაგედია „იფიგენია“ ჯერ პროზად დაწერა, შემდეგ ლექსად. იპოლიტ

ტენი წერდა, რომ იგი „პროზადაც მშვენიერია, მაგრამ სად გაცილებით მაღლა დგას მასზე“.

გამოსახვის სხვადასხვა საშუალებებს როცა ფლობს შემოქმედი, ეს ბედნიერებაა, ამით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ხელობისათვის დამახასიათებელი ძალდატანებითი თხზვის ტენდენცია.

თუმცა, რაც ვთქვით, ისიც პირობითია, ზოგადია, კონკრეტულ შემთხვევას შეიძლება სულაც არ მიესადაგოს, მაგრამ, ვფიქრობთ, თეიმურაზ ლანჩავას პოეზიაზე საუბრის პრელუდიად გამოდგება, რადგან ზემოთქმულში სიმპათიამაც გაუონა, მოწონების ტენდენციაც გამოიკვეთა. ასე რომ, მათი დასაბუთება და დამტკიცებაა ახლა საჭირო.

თეიმურაზ ლანჩავას პოეზიაში წარსულის ჰეროიზაციით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობით აღბეჭდილ ლექსის იშვიათად ან სულაც ვერ ნახავს მკითხველი. სიმართლე აშკარა, პირში მთქმელობის პოზიციიდან, ყოველგვარი ექსკურსის, რომანტიკული გაზრების გარეშე ცხადდება. თანამედროვეობის მწვავე, სამართლიანი აღქმის ჭეშმარიტ მხატვრულ ქსოვილში მოქცევა იოლი არავის ეგონოს. ბარეორ შემოქმედს დატყობია დაღლა ამ თემის მხატვრული ხორცშესხმისას, პუბლიცისტური, ლოზუნგური, ყოველდღიური სიმართლე მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნა, ორიგინალურ, ისეთ ფაქიზ ფორმაში ჩამოასხა, რომ ხელახლა განაცდევინო მკითხველს მისი სიმწვავე, სიმძაფრე—ურთულესი რამაა და ხშირად ძნელადმისაღწევიც. უნდა ითქვას, რომ თეიმუ-

რაზ ლანჩავა წარმატებით ართმევს თავს ამას. მისი ულემობის სების უმეტესი ნაწილი დღევანდელობის ტკივილის პოეტური, უფრო კონკრეტულად—ლირიკული დეკლარირებაა. ამ სიტყვებს თანამედროვე გაგებით ვხმარობთ და არა ძველებური, აქტუალობისმაგვარი გააზრებით.

სიმართლის თქმის პრინციპსა და ერთგულების მოტივში ვლინდება პოეტის დამოკიდებულება დროსთან, ეპოქასთან, ქვეყნის სამსახურის მისეულ გაგებასა და გააზრებასთან. ესაა დომინანტი თემები თ. ლანჩავას ლექსებში, საიდანაც იღებს სათავეს სხვა განწყობილებების გამომხატველი პოეტური ქმნილებები. დღევანდელობის მტკიცნეული აღქმა პოეტისათვის მისგან განთავისუფლების, ამოსუნთქვის საშუალებაა, ის შვებისმომგვრელი განცდაა, რომელზედაც წვალინდელი დღის უკეთესობის პერსპექტივა უნდა დაეფუძნოს. თ. ლანჩავას ლექსებში აშკარად იგრძნობა მიწიერი პრობლემების პრიმატულობა, მათი გაკეთილშობილებისათვის ზრუნვა, ის, რომ ზეცისკენ ცეკრას სჯობს მიწაზე დავიხედოთ, მის სუნთქვას მივაყურადოთ, საშველი ვეძებოთ... ზეცასა და მიწას შორის არჩევანი თ. ლანჩავასათვის იგივე ყალბ, ფუჭ, ზედაპირულ მისწრაფებათა და ჭეშმარიტ ფასეულობათა მსახურებას შორის განსხვავებაა, ის მიჯნაა, რომელსაც თვალნათლივ გრძნობს პოეტი და სხვადასხვა ლექსებში „მიწიერი“ პრობლემატიკის, მიწაზე დარჩენის ლაიტმოტივურ განზოგადებას გვთავაზობს: „თუ მოინდომებთ, თქვენ გაფრინდებით, მე უნდა ისევ მიწაზე დავრჩე“; „დაეშვი! ისევ იწყება მიწა“; „ამაო არის ქროლვა, მაინც მიწაზე რჩები“ და

სხვ. მიწაზე დარჩენა პოეტისათვის დღევანდელობის საფრანგული
რალზე ზრუნვა, პრაგმატული სულისკვეთების წინაპლატნეგ
გალაშქრება, ჰუმანიზმის, კაცომოყვარეობის პრინციპების ერ-
თგულება და სიყვარულია. „მიწა“-ში პირობითად მთელი
სამყარო მოიაზრება, მისი ფიქრი და ტკივილი ხმიანდება:
„რომ შემეძლოს, მეც ზეცაში ავფრინდები, უნებლიერ ვალი
მმართებს მიწის, დედამიწა მიატოვა სიყვარულმა, დედამიწა
ცოდვის ალში იწვის“. სიყვარულმიტოვებული, ცოდვის ალ-
ში გახვეული დედამიწა ჩვენი დღევანდელობა, ქვეყანაა, უკი-
დურსობამდე დაჭიმული ყოფიერებაა, საშველი რომ არსაი-
დან უჩანს თითქოს, მაგრამ ეს თითქოს ანუგეშებს პოეტს
და სურს სხვებსაც უწილადოს იგი, რადგან მისთვის ოპტი-
მიზმი, გადამდები გრძნობის გარეშე, წარმოუდგენელია. ამ-
გვარად იკვეთება შემოქმედის ამქვეყნიური ფიზიკურ-სულიე-
რი ფიზიონომიის ჭეშმარიტი არსი და ფუნქცია. პოეტის
დანიშნულების ტრადიციული, ჩვენი დიდი წინაპრების აზ-
როვნებისა თუ საქმიანობის თანამდევი დეფინიცია — „შუა
კაცი ვარ, უბრალო, არც მიწისა ვარ, არც ცისა“ — იმდენად
ნიშანდებული ზღვარია თ. ლანჩავასათვის, რომ პრობლე-
მებისა თუ თემების გაშუქების მრავალწახნაგოვნებას სწო-
რედ ეს ეფინება საძირკვლად: „ხარ ღრუბლის ქვემოთ და
მიწის ზემოთ და ჯერ არ იცი, საით ითვლები“. საყურად-
ღებოა ეს გააზრება არა მარტო ზემომოხმობილ სენტენცი-
ასთან იდენტურობის თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგ-
ში იმით, რომ არსებობის განსაზღვრების ფონზე წარმავ-
ლობის დრამატული განწყობილება იკვეთება. ამ ტაეპის ზე-




მოთ ასეთი სტრიქონებია: „რომ წამიერი არის ცხრულება—
ცრემლები რწყავენ ნისლისფერ ბაღებს, რომ სიზმარივით
გააფერადებ მდუმარებისგან გაძარცვულ თაღებს“. თ. ლან-
ჩავას ლექსის ლირიკული გმირი, წამიერი ყოფნის განცდით
შეპყრობილი, არსებობის გამართლების ძიების პროცესში,
წარმავლობის თავბრუდამხვევ განწყობილებასაც გადაეყრება
და არარაობის, ამაოების სიღრმეებში პოეტურად ჩახედვა-
საც მოიწადინებს. და რაც მთავარია, ეს ძიება, „ჩახედვის“
ეს სურვილი თუ ფიქრი თავბრუდამხვევი გააზრებებით კი
არ ხორციელდება, არამედ ცალმხრივი, რაციონალური მდი-
ნარების ნამდვილად პოეტური და ნაღდი განწყობილებით
განიცდება სათქმელი.

„ვერ აფრინდება, ფასკუნჯის ხმა ვერ შეაფხიზდებს,
ვერ გამოიხმობს ხილვებიდან ფრთებდამწვარ მართვეს,
გაუცხოებულს, პატივაყრილს და ფერულადქცეულს,
მარადიული სიმშვიდე და დუმილი გმართებს.
მიაბნევს ქარი შენს საფლავზე ამოზრდილ ექალს
ფერწასულ ფოთოლს—დანანების უტყუარ დროშას,
და შენი ხსოვნა, როგორც სევდა მარადიული,
გაუთენებელ დამესავით შერჩება დროუამს“.

„მიწიერი“ პრობლემატიკის ერთგულება პოეტისათვის ოც-
ნების დამამუხრუჭებელი, ფრთების შემკვეცი განწყობილება
კი არაა, არამედ პოეტური ტემპერამენტის გამოვლენის სა-
უკეთესო საშუალება. ამ თემაზე შექმნილ ლექსებს, სიბრძნის
პრიმატულობასთან ერთად, გრძნობიერება სხვაგვარი, უფ-
რო დამდოვრებული, ამგვარ განწყობასთან მისადაგებული



გააჩნიათ და ამით ქმნიან საერთო თანხმიერებას  პარმონიულ წესრიგს. ყოფიერების მსახურების არაეჭვის გამო როვან ქმედებათა თუ აღქმის სხვადასხვაგვარობის გამო გაჩენილ ეჭვს, შიშს ყოველთვის თან სდეგს უკეთესობის დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის რწმენა, კე- თილშობილური მოძრაობის მარადიულ ფერხულში ჩაბმის სურვილი. ამ თემატური რკალის თუ განწყობილების მატა- რებელ ზოგიერთ ლექსში თითქოს სინანულიც, სევდაც, არ- ჩევანზე დაეჭვების სიმპტომებიც იკითხება, მაგრამ თ. ლან- ჩავასათვის მსახურება ქვეყნისა, მიწისა, „მიწიერი“ პრობლე- მატიკის ყოველდღიურ საზრუნავად ქცევა გადარჩენის, არ- სებობის საზრისის, ცოდვათა შემსუბუქების გარანტიაცაა:

„ხელები ცისკენ, თვალები ცისკენ,
სხეულით მაინც მიწაზე ვრჩები,
შენ გევედრები, მიწაო, მისსენ—
შემიმსუბუქე ცოდვები ჩემი“.

„მე ვითამაშე ყველა როლი და საკუთარ თავს ვთამაშობ ახლა“—ამბობს ერთგან პოეტი და რაოდენი სიმართლე, პი- რუთვნელობა, განსაკუთრებულად მისეული, მიუბაძველი აზ- რი და განწყობილება იკითხება ამ სტრიქონებში. როლი ხომ მაინც სხვისი ცხოვრებით ცხოვრებაა, სხვისი კარნახით გან- ცდაა, სხვის დაკრულზე ცეკვაა; დგება ჟამი, როცა შენივე სცენარით უნდა წარმართო წარსამართავი, განიცადო, აღიქ- ვა, რადგან ადამიანი სწორედ ამითაა ყველასა და ყველაფ- რისაგან გამორჩეული. აღსასრულის ჟამსაც ეს აზრი გაკ-



რთება, მეხსიერება ცხოვრების გავლილი გზის ყველა უფრო ხელის კუნძულს მოიძიებს და თუ პასუხებულებელი დარჩება კითხვა: „ნუთუ არავინ მოიძებნება, რომ სიკვდილის წინ თავის თავს ჰგავდეს“, მაშინ ფუჭი, ამაო ყოფილა წუთისოფელში ყოფნა, რაღაც თ. ლანჩავას აზრით, ცხოვრებას იმისათვის ძერწავს ადამიანი, რომ საკუთარი თავი, შინაგანი, მისეული ხმა და ამკვიდროს, თამაში, ნიღბიანი არსებობა იმ არასრულყოფილების შედეგია, ადამიანს რომ სნეულებასავით შეყრია და ვერ ხედავს, ამიტომ მარადიული ვალი ღვთისგაჩენილი გონიერი არსებისა, მიწის ვალია, მისი ტკივილის გაშინაგანება და სულით ხორცამდე განცდაა: „ცისფერი ცეცხლი გასჩენია ცოდვილ პლანეტებს, რადგან ღამეა, ვარსკვლავებიც უფრო-რე ბრწყინავს. სურვილი შენი შესაძლებელს ხომ არ ამეტებს, იქნება სჯობდეს დაველოდოთ ვარსკვლავთა წვიმას. საით მიფრინავ, დედამიწავ, ფრთების გარეშე, ცოდვილ მა-მაცთა ულმობელი გაქლავს აგონია, ზევით კი არა, უფსკრუ-ლისკენ მიექანები, რაკი მოძრაობ, რაკი სუნთქავ, ფრენა მგონია“. კოსმიური განცდა, აპოკალიფსისმაგვარი გან-წყობილება, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ რომ გვე-უფლება, იმის უტყუარობას გვაგრძნობინებს, გვაფიქრებინებს, რომ სიცოცხლის მარადიულობა მსახურების მარადიუ-ლობასაც გულისხმობს, რომ მოძრავი, მფეთქავი დედამიწა, ჩვენი არსებობის სამყოფელი—სამშობლო თუ ოჯახი, სხვა უცვლელი პოსტულატები, მუდმივი ფიქრისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

თ. ლანჩავას პოეზიაში ამ განსაზღვრებათა ფონზე დავხვდეთ თება სამშობლოს სიყვარულის განცდა, რომლისთვისაც ერთგულება, სიყვარული კი არაა მთავარი, არამედ იმ განუწყვეტელ უერსულში ყოფნა, მშობელ ქვეყანას უკეთეს ხვალინდელ დღეს რომ გაუთენებს: „ქვეყანა რჩებათ სულის-მღრღნელ ვირთხებს, ბარბაცებს მიწა, სისხლისგან მთვრალი“. ასეთ მართალ, პირუთვნელ, შემზარავ სურათს ხატავს პოეტი და გვეუბნება ჩვენც, საკუთარ თავსაც, რომ პერმანენტული, ყოველდღიური ზრუნვით შეიძლება მივაღწიოთ უკეთეს ხვალინდელ დღეს. ყოველი ქართველის სამოქმედო პროგრამისმაგვარი განწყობილება კი, პოეტის აზრით, ასეთი უნდა იყოს: „რა უბრალოა, ქართველი გერქვას, გრძნობდე, პატივი გერგო რამხელა, იყო ქართველი, იცნობდე შენს თავს და არ გრცხვენოდეს ამის გამხელა“. „თვლემს წამდა-უწუმ მფეთქავი გული მტვერწაყრილ განძივით და საკუთარ თავს ვშორდები ტყვიის სასროლი მანძილით“. ასეთი ზნეობრივი პარამეტრებით მოქმედება გადაარჩენს სიმახინჯის, პრაგმატიზმის, ულმობლობის ბაცილით შეპყრობილ ადამიანთა სულებს და თავისთავად მამულს.

„ჩამოიხსენით ნიღბები, ხალხო,
მფარველი ნაღდი, უმანქო განძის
და სულ პატარა
ფრთებიც ეყოფა
ერთმანეთისკენ გასარბენ მანძილს“

აქ თ. ლანჩავას პოეზიისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშან-თვისებაზეც უნდა ვთქვათ. ესაა ზნეობრივი ნორმების

მქადაგებელ პოეტურ ნაწარმოებთათვის ნიშანდობლივი, იმ ტონაციური ინდივიდუალობა. ამ ლექსებს გამოკვეთილი, საგანგებოდ მათთვის შერჩეული, მოძებნილი ინტონაციური შეფერილობა გააჩნიათ. ისინი ისეთი მკვიდრი ელემენტები არიან პოეტური ქსოვილისა, რომ აზრობრივი ფუნქციის სიმძიმის ცენტრის მოვალეობასაც კისრულობენ. უფრო სწორად, მათი ინტონაციური ხმიანობის საშუალებით ლექსის სათქმელი უფრო აღვილად აღსაქმელი ხდება მკითხველისათვის: „იმდენი არსად არიან, როგორც ჩვენთან და ჩვენში, სუსველა ფარსადანია, დანა უჭირავს ხელში“; ან კიდევ: „ზოგი ისეთი კაცია, ცოლსაც არ მოენატრება, სუფრასთან დასვამ, იმ სუფრას არაფრით მიემატება“; და კიდევ: „მტრებმა იქნება დაგინდონ, არ აგაცილებს მოყვარე, ეს სიბრძნე ყველას გადავდო, ღმერთო, იმდენ ხანს მომყარე“. ასეთი ინტონაციური სილალე, მარტივი, ზოგჯერ ხალხურს მისადაგებული, გამჭვირვალე ხმა ლექსში გატარებული აზრის გაების პრიმატულობას ემსახურება. პოეტს არ სურს, ინტონაციამ გაიტაცოს მკითხველი, მისით მოიხიბლოს და არ ჩაფიქრდეს მთავარზე—აქ გაცხადებულ ზნეობრივ კრიტერიუმებზე, რომლებიც, მისი აზრით, უპირველესია, ძირითადია და ყველა დანარჩენი სტრუქტურული ელემენტი მის უკეთ წარმოჩენას ემსახურება.

თ. ლანჩავას ლექსებში ეს განწყობილება ზოგჯერ ისეთ გადამდებ სახეს იძენს, რომ შეუძლებელი ხდება მისი ერთი ამოსუნთქვით წაკითხვა. იმდენად შემზარავია სიმართლეც და გამოსახვის ფორმა დრამატული, რომ ექსპრესიულობა

ლექსისა გთრგუნავს, თანდათანობით გიორევს დაუნდობლად ნათქვამი მშვენიერების მთლიანი სპექტრის აღსაქმელად და შესაცნობად:

„ხელგაშვერილი დაწანწალებს თავისუფლება,
რკინის ყვავილი, ყალბი მზერა, ნერვები რკინის,
არავინ უსმენს საუკუნის გამხმარ მკერდიდან
რიყის ქვად ქცეულ, გამოფიტულ ჩემს გულის ტკივილს“.

მძაფრი პოეტური ტემპერამენტით ამოთქმულ ამ სტრიქონებში ობიექტური რეალობის ჭვრეტის საფუძველზე ამოზრდება სინანული, დიდ ტკივილს რომ უტოვებს მკითხველს განსჯისა და დაფიქრებისათვის.

მიწიერი პრობლემატიკის ამსახველი ლექსების ამ ციკლის შემდეგ შეუძლებელია არ შევჩერდეთ ისეთ პოეტურ ქმნილებებზე, რომლებიც წარმავლობის ცივ, სუსხიან განცდას მაღალპოეტური სიმძაფრით, ხელშესახებად გვაგრძნობინებენ. პოეტისათვის ქვეყნის ერთგულება, მისთვის თავგანწირვა იმ განცდიდან იღებს სათავეს, რომ ადამიანის ამქვეყნად ყოფნა დასაზღვრულია, ამიტომ მაღალი იდეალების მსახურებას უნდა მოხმარდეს იგი. თ. ლანჩავას პოეტური სტრიქია მთელი ძალმოსილებით გამოვლინდება ამ როული და აზრობრივად მრავალმხრივი თემის პოეტური გადაწყვეტის დროს. ჰანს სელიუ წერდა, რომ „სიბერე ყველა იმ სტრესის ჯამია, ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გადაუტანია“. სიბერის ასაკი პოეტისათვის შორსაა, მაგრამ წლების განმავლობაში განცდილ-გადატანილი სტრესული განწყობილებები ამ შემთხვევაში წარმავლობის თემის მხატვრულ საფენელს წარმოადგენენ და შესამჩნევად

გამოკვეთილი ფიქრიანი გრძნობისმიერებით განგვაცდევინებენ
მის იღუმალებას. „თრთის სული, სევდა დაცურავს სისწლში,
საკუთარ სხეულს ეხები ხელით და იძირები თანდათან ნის-
ლში, გექაჩებიან ქვევით და ქვევით“. ლირიკული გმირი ასე
მტკივნეულად განიცდის წუთისოფლის წარმავლობას, მის
მაცდურ ბუნებას, დროითი სივრცის ხანმოკლეობას.

„მაკრთობს სიმშვიდე ღია სამარის,
მარადიულად მახსოვს,
რომ წამიერი არის მეჯლისი,
ზამთარი ყმუის კართან,
რომ წამიერი არის შეხვედრა
აზურმუხტებულ ქალთან“.

ამ ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ მშვენიერი და მართლაც
რომ მიგნებული სიტყვათშეთანხმება „აზურმუხტებული ქა-
ლი“ მოგხვდება თვალში, მაგრამ შემდეგ ხვდები, რომ მისი
ფუნქცია წამიერების უფრო დრამატულად, მთელი სიმწვა-
ვით აღქმაა. წარმავლობის განცდის ლექსად ქცევა ყოველ-
თვის მოითხოვს პოეტური აზროვნების გარკვეულ დოზას,
რომლის მოჭარბებითაც იგი ლექსის კი არა, ფილოსოფიურ
ტრაქტატს დაემგვანება. ამიტომ პოეტი ყოველთვის ცდი-
ლობს, განწყობა რაც შეიძლება ლირიულ, ემოციურ ყა-
ლიბში მოაქციოს, თავიდან აიცილოს ზედმეტი აზრობრივი
დეტალებით გადატვირთვა.

თეიმურაზ ლანჩავას პოეზიაში წარმავლობის თემაზე
საუბრის დროს არ შეიძლება ერთი უსათაურო ლექსი (საერ-
თოდ, მის შემოქმედებაში ბევრია უსათაურო ლექსი) არ
გავიხსენოთ, რომელშიც ყველაზე მეტად გამჟღავნდა პოე-

ტის ფიქრის დრამატული და გრძნობის ექსპრესიული ხასიათი და მასში სათქმელი ისეთი ძალითაა დამუხტული, რომ არ შეიძლება არ შეგძრას, არ გაგიჩინოს სუსზისა და ყინვის მსგავსი განწყობილება. წარმავლობის ყრუ და ტკივილიანი შეგრძნების ასეთი ღრმა და მართლაც დიდი პოეტური ენერგიით შექმნილი ხატი არცთუ ისე ბევრია. და კიდევ ერთი ნიშან-თვისება ამ ლექსისა—ესაა თითქმის გაბმული ამოყალი, ერთიან, მთლიან, დაჭიმულ ნერვად ქცეული განწყობილება და სურვილი, ოხვრა. მასში სოფლის სამდურავი, ამაოების განცდა და წარმავლობის ზოგადსაკაცობრიო სატკივარიც იკითხება. ყოველივე ეს კი პირადულის, ერთი ადამიანის კუთვნილების შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, ზოგად, საქვეყნო, ყველასათვის ახლობელ და გასაგებ ტკივილად განიცდება. ამ ლექსის უპირველესი ღირსება სწორედ ესაა. სხვა შემთხვევაში იგი კონკრეტული აღამიანის მოთქმასა და წუწუნს დაემგვანებოდა. გვინდა ეს ლექსი მთლიანად გავახსენოთ მკითხველს, რათა კიდევ ერთხელ განვიცადოთ წარმავლობის წარუგალ პოეტურ ფერებში წარმოჩენის მშვენიერება: „არც ერთი ღამე უსიკვდილოდ არ მითენდება, ტუჩებზე სისხლი, ხოლო თვალზე ცრემლი ელვარებს. ხომ შეიძლება, რომ ვერ გაძლოს სულმა ბებერმა, ხომ შეიძლება მიღალატოს გულმა ერთ ღამეს. სავსეა თავი კოშმარებით, გონებას მიმღვრევს გარდასულ დღეთა ტკბილ-სიმწარის მკვეთრი სურნელი, დგას ფანჯარასთან ჩემი ლანდი, ვით მოჩვენება, ვით მთვარეული ცად მავალი, შლეგი, სულელი. მოუსვენრობა ჩამსხვრევია ცივ თავის ქალას, თვალებს—სიშმაგე, გველის მზერა, ჭკრეტა მოისრის, მოვა დღე მკაცრი, ყველა ღაწვი გაფერმკრთალდება და დრო ჩემს

ცხედარს უსულგულოდ სადღაც მოისვრის. მიბობლებით მთვარის შუქზე მთვრალი ჭინკები, აცეკვდებიან დამუშლი შავი ლანდები, მერე ჭრელ სიზმარს შეერევა ჩემი აჩრდილი და შენ მძინარეს ცოცხალივით მოგელანდები. ჩურჩულებს იჭვი, იქნებ ახლაც აღარ ვარსებობ, იქნებ შენს თავში სხვა ჩიტებმაც დაიდეს ბინა, ნუ შეშინდები, ამის გამო თუ ავტირდები, არ დაგასველებს უძინარი თვალების წვიმა. სადღაა ცრემლი, რა ხანია, იგი გამიშრა, გაქრა ღიმილიც, ტუჩი შემრჩა და ვიფურთხები, არ შეიძლება ჩატეხილმა თეორმა კლავიშმა, რომ აამღეროს მგლოვიარე და ვიზუთები. არც ერთი ღამე უსიკვდილოდ არ მითენდება, ტუჩებზე სისხლი, ხოლო თვალზე ცრემლი ელვარებს, ხომ შეიძლება, რომ ვერ გაძლოს სულმა ბებერმა, ხომ შეიძლება მიღალატოს გულმა ერთ ღამეს“. აქ ყველაფერი თავის ადგილზეა—რიტ-მი, რითმა, განცდის ექსპრესიულობა, სხვადასხვა პოეტური აქსესუარიც ორგანულად ერწყმის საერთო ქსოვილს. ლექსს ფარული შინაარსი გააჩნია. ეპიკურ-ლირიულ საწყისთა სინ-თეზზე დაკვირვების საშუალებით იქმნება იმის მკაფიო შთაბეჭ-დილება, რომ აზრისა და გრძნობის ერთიანობა ქმნის სწო-რედ ამ მოდალობას. ამიტომაა ეს ქმნილება ერთი სულის-კვეთებით დამუხტული, გაწყვეტამდე მისულ ნერვიულად მო-ცახცახე სიმს დამგვანებული.

თ. ლანჩავას პოეზიაში გაზაფხულს გარკვეული ფუნქცია და დანიშნულება ენიჭება. იგი არა მარტო განახლების, გაღვიძების იდეის მატარებელია, არამედ პოეტი მასში ხედავს

იმედს, იმედს იმისას, რომ მარადიული ღვიძილია სამყაროს ცენტო
მამოძრავებელი მდგომარეობა. ამიტომ გაზაფხულის შეტოვი
ლექსში ხშირად წელიწადის სხვა დროსთან დაპირისპი-
რებაში აცოცხლებს ყველა იმ შინაარსს, ზემოთ რომ დავა-
ფიქსირეთ: „ფიქრები ჩემი გაზაფხულის კორტოხზე წვანან
და შემოდგომის ქარტეხილებს უქნევენ ნიჩბებს“; ან კიდევ:
„მეკითხებიან, ნანობ, აუყვავებელ რტოებს, მე ვუპასუხებ,
ვნანობ, რომ გაზაფხული მტოვებს“ და სხვ. სიცოცხლის
განახლებით ბუნების მარადიული ცვალებადობის კაეშნის-
მომგვრელი განცდა კი ხშირად ასეთ სევდიან, ლამაზ პოე-
ტურ გადაწყვეტამდეც მიდის:

„შემოაძარცვეს ღრუბლის ფთილა
დღეებმა ხეებს,
საცაა მთები სიმწვანისგან
აყმუვლდებიან,
მე შემიძლია მოვუხადო
ბოდიში ხეებს,
ხეებს, რომლებიც აღარასდროს
აყვავლებიან“.

თ. ლანჩავას პოეზია მშვენიერი სატრუქიალო ლირიკითაც
გამოირჩევა. უშუალო, წრფელი განწყობილების მქონე ამ
თემაზე შექმნილი ლექსები ისეთი ლალი, ჰაეროვანი, ოდნავ
სევდიანნიც არიან, რომ არ შეიძლება მკითხველის გული
ადვილად არ მოინადირონ:

„ჩვენს ასაკში ყვავილები აღარ მიაქვთ,
კვალს ჩემალავენ, სურვილებს რომ ამხელს,
ჩვენს ასაკში ხელზე მელნით არ იწერენ
შეყვარებულ გოგონების სახელს“.

თ. ლანჩავას პოეზია თემატური თვალსაზრისით მიღწეული გიხილეთ, ახლა კი პოეტური ოსტატობის შესახელდებული ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ზემოთ მოტანილი ნაწყვეტებითაც კარგად გამოიკვეთა, რომ თ. ლანჩავას შემოქმედება ინდივიდუალური ჭვრეტითა და ორიგინალური მხატვრული ხელწერითა გამორჩეული. სტრუქტურულად მისი მხატვრული სახეები, მართალია, უბრალო, მაგრამ შთამბეჭდავ პოეტურ გააზრებაზეა დაფუძნებული. მეტაფორის ძირითადი ელემენტი შედარებაა და იგი მოულოდნელ, თავბრუდამხვევ, მრავალფეროვან გააზრებათა გამმას კი არ გვთავაზობს, არა მედ, მარტივ, მიგნებულ პარალელს, რომელზეც ეშენება მხატვრული სახის მთლიანი კონსტრუქცია და ერთიც: ასეთ მხატვრულ სახეებში პრიმატული ემოციური საწყისია და არა რაციონალური. აი, ამისი შესანიშნავი ნიმუშები: „ჭილყვავების შავი ფრთები დაღლილ სხეულს სიკვდილივით აფარია“; „საღაც წაქცეულს გულზე ისე გადაგივლიან, თითქოს ეკალს ააცდინეს ფეხისგულები“; „ჩაფრენიხარ სიმართლეს—დამოკლებულ ყავარჯენს“; „მიქრის, მიაფრენს შენს სიყმაწვილეს ყორნებშებმული ეტლი, მიდი-მოდიხარ, თითქოს საკუთარ საფლავს გულდაგულ ტკეპნი“; „სულ რიგში ვდგავართ, მაგრამ მაინც ვცხოვობთ ურიგოდ“; „მეფისათვის ხალხი მხოლოდ კიბის საფეხურია“; „შენ რომ გეგონა, გრიგალი ქროდა, მაშინ საკუთარ თავს ვეხლებოდი“ და სხვ. ასეთი სახეები საძებნი არაა თ. ლანჩავას პოეზიაში. ისინი სათქმელს პოეტურობას ანიჭებენ, უფრო მეტ ემოციურ ელფერს სძენენ, ძირითადი და მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მკითხველს ამახსოვრდება და დიდხანს მიჰყვება მათზე ფიქრი.

სისხლის ყივილი

დავით თედორაძე ამ ოციოდე წლის წინათ გამოცემული ერთ-ერთი წიგნის წინათქმაში წერდა:

„ვწერდი, რასაც ვგრძნობდი და განვიცდიდი.

ვინც მამულს და ქვეყანას მიღამაზებდა—ვეფერებოდი.

ვინც ადამიანის სულის ტაძარში ტაკიმასხარობდა და გაქონილი ხელებით ეშმაკს უკრავდა ტაშს—ვკიცხავდი, როგორც შემეძლო.

ერის სამსახურს გადაგებულ წინაპრებთანაც მისაუბრია ხშირად.

დღევანდელობასთან ერთად ისინი მიპურებდნენ სულს“.

აქ ბევრი რამაა ნათქვამი, უპირველესად კი ის ნიშან-დობლივი სპექტრია შემოხაზული, რითაც დ. თედორაძის პოეზია გამოირჩევა. სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული თემატიკაა მისი შემოქმედებისათვის უმთავრესი. პოეტი თით-ქოს ამ თემის დეტალურ მხატვრულ წარმოსახვას ცდილობს, სხვადასხვა კუთხით, მრავალნაირი წახნავით წარმოჩენის სურვილი იმდენად დიდია, რომ მისი ლექსების ყოველი სტრიქონის ქვეტექსტი ამ თემის გააზრების ცდაა. მხატვრული ძიებანი, გადაწყვეტის საშუალებანი კი იმდენად ბუნებრივ, გულის სიღრმეებიდან ამოზიდულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ არ შეიძლება არ გაგიტაცოს, არ

მოგხიბლოს, პოეტს არ დაეთანხმო. ესაა დ. თელორამის პატრიოტული ლექსების გამორჩეული ღირსება. მათი შექმნის დროს სტრიქონის პოეტურ რაფინირებაზე მეტად სიწრფელის, ნამდვილობის, სიმართლის ხარისხს ექცევა ყურადღება. პოეტი შეუნიბავად, დაუნდობლად, აშკარად ამბობს სათქმელს, სიწრფელით გვამახსოვრებს მას და იმასაც გვაფიქრებინებს, რომ სათქმელის მართლად თქმის რხევის ამპლიტუდა ხშირად პოეტურობაზეც მაღლა დგას, უფრო სწორად, თვითონ ამგვარი სიწრფელის ხარისხით ნათქვამი სიმართლეა პოეტური, გრძნობამოძალებული. ლექსების სიწრფელე ოვითონ პოეტის მსოფლხელველობრივ მრწამსშია საძიებელი. იგი არასდროს წერს უცნობ, გაუთავისებელ პრობლემაზე, განსჯილი, ათასგვარად გააზრებულ-გაფიქრებული პოეტური სათქმელი გამოაქვს მკითხველის სამსჯავროზე და ამით აღწევს სიწრფელესა და ბუნებრივობას, რომელიც თავისთავად თანაგრძნობასა და ნდობას წარმოშობს.

იოლი სულაც არაა საქართველოში პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსით სხვებისგან გამოირჩე. დ. თელორაძე ზემოთნახსენები სიწრფელისა და სიმართლის აშკარა პრიმატულობით ახერხებს ამას. მისი სტრიქონი სადა და უბრალოა, სათქმელი მარტივად ნათქვამი. ჩვენს თავბრუდამხვევ დროში თითქოს არავინ ცდილობს მარტივად, ამავე დროს პოეტურად თქვას სიმართლე. დ. თელორაძე ამ პრინციპს არასდროს ღალატობს და წარმატებით ფლობს პოეტური სათქმელის უბრალოდ, სადად გამოსახვის ხელოვნებას. ესეც მის პოეზიას გამორჩეულსა და საინტერესოს ხდის.

პოეტში სამშობლო, მისი აწმყო და წარსული წუხრული სიტყვის განწყობილებას ბადებს. „სამშობლო—ჩემი ტკივილი და არსებობის იდეა, ო, მთებო, რა ლამაზი ხართ, ო, ღმერთო, რა სიმშვიდეა“. პირველ ტაქტში გამუღავნებულ მკაცრ, საპროგრამო დასკვნას ენაცვლება ლექსში განწყობილების მოტივის შემომტანი—მთების სილამაზე და ყოველივე ეს საბოლოოდ პოეტისათვის სულის გარკვეული, მკვეთრად დეფინიცირებული მდგომარეობა—სიმშვიდეა. აი, ასე, ახლოს, სისხლხორცეულად აღიქვამს იგი მშობლიური ქვეწის სიყვარულსა და მისი ბუნების სილამაზეს, რომელშიც დაბუდებული სიმშვიდის განცდა პოეტზეც გადამდებად მოქმედებს. თორემ დ. თედორაძის პოეზიისათვის სიმშვიდის ფენომენი უცხოა. იგი არასდროს ეძღვევა თვითდამშვიდებას, საკუთარ თავსა და სხვებსაც მარადიული მოქმედებისა და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს, მაგრამ თუ განხორციელებადი შეიქნება პოეტის ამქვეყნიური არსებობის საზრისი—სამშობლოს ტკივილის სულით ხორცამდე გათავისება, უფრო ზუსტად, ჭრილობათა მორჩენა, მაშინ მთებსაც ლამაზად აღიქვამს და ყოფიერებაც მშვიდად ეჩვენება. რეალობის ამგვარი განცდა დ. თედორაძის პოეზიაში იშვიათია, რაც ისევ და ისევ იმის ბრალი უნდა იყოს, რომ არსებული სინამდვილე არ აძლევს პოეტს ამის საშუალებას: „მე ვინც მიყვარს, მე რაც მიყვარს, ნაღდი სიყვარულით მიყვარს, კარგად მახსოვს, სად რა ითქვა, ყმად ვეკუთვნი ქართულ სიტყვას“. ეს სტრიქონები რეალურ შინაარსს იძენენ და უხერხულობის გან-

ცდას კი არ ბადებენ მკითხველში, არამედ იმის სისწორესა
და სინამდვილეში არწმუნებენ, რომ, განწყობილების სიწ-
რფელესთან ერთად, პოეტის მამულიშვილური პოზიცია მარ-
თლაც ქართული სიტყვის, ქართული სულის ყმობაში ვლინ-
დება. ეს იმდენად გულისგულიდან ნათქვამი სიტყვებია, რომ
ლოზუნგურად კი არა, პირიქით—მოწიწებით, კრძალვით
გამხელილ საკუთარ პოზიციად აღიქმება მშობელი ქვეყნის,
მშობლიური სიტყვის მსახურებასთან დაკავშირებით.

დ. თედორაძისათვის მამულის სიყვარული, ერთგულება,
მისთვის მსახურება ჩვეულებრივი მდგომარეობაა. სწორედ
ამით ფასდება, პოეტის აზრით, ადამიანი. იგი განაპირობებს
მის ადამიანურ სახესა და ხასიათში ჰუმანურობის საწყისს.
ამიტომაა, რომ ქვეყნისათვის თავგანწირვა, თავდადება, ისევ
-სიცოცხლის გაგრძელების, უკვდავების ტოლთასად აღიქ-
მება: „რადგან ჩვენ მოვკვდით საქართველოს გადასარჩენად,
ჩვენი სიკვდილი სიცოცხლეს ნიშნავს“. ამ მრწამსით ცხოვ-
რობს და მოღვაწეობს დ. თედორაძე, ამგვარად აქვს გააზ-
რებული მშობელი ქვეყნისათვის ერთგულება და თავდადება.

პოეტი ცდილობს, სხვასაც ჩაუნერგოს მამულის სიყვარუ-
ლი, რადგან ცალკეულ ინდივიდთა ერთგულებით ქვეყანას
არ ეშველება, ამიტომ მის ლექსებში ხშირად შეხვდებით
მშობლიური ქვეყნის, ასე ვთქვათ, სიყვარულის გაკვეთილებს,
შეხვდებით უამრავ ეროვნულ რჩევას, სურვილს, სხვათა
გასაგონად თქმულს: „იდიდგულე, შვილო ჩემო, წინაპრით
და მიწით, ათქმევინე იმპერიებს, გვარზე ხტისო კვი-
ცი“—ამბობს ერთგან პოეტი და სწამს, რომ მრავალი თაობის

სააზროვნო, სამოქმედო პოსტულატიად უნდა იქცეს ეს სიტყვები. სხვაგვარი განცდა მისთვის მიუღებელია, შეუძლებელია, გერქვას ადამიანი და შენი არსებობის ფუნქცია მშობელი მიწის ერთგულებით არ შემოფარგლო: „ხვალ საქართველო უსათუოდ გალამაზდება, ჩემი თეათი, შორენათი, ჩემი ირაკლით და აღსრულდება ყოველივე, რასაც ვინატრი“ — მიმართავს პოეტი შვილებს და იქვე გვთავაზობს იმ უძირითადეს პრინციპებს, რომელთათვისაც თავდადებით, ერთგულებით პოეტის ოცნება განხორციელდება. აი, ისინიც: „უნდა იცოდნენ მამულისთვის მსხვერპლის გაღება“, „უნდა იცოდნენ, მივითვლიდით რასაც სულ ადრე, ტაო-კლარჯეთზე, არტანუჯზე უნდა ზრუნავდნენ...“, „არ დაივიწყონ უმთავრესი სისხლი სიმართლის“..., სწორედ ამ მარადუჭკონბ ფენომენთა ერთგულება და სიყვარული იქნება ქვეყნის გალამაზების, გაკეთილშობილების, უკეთესობის საწინდარი.

პატრიოტული თემატიკა დ. თედორაძის პოეზიაში ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. პოეტისათვის წარსული ზნეობრივი გაკვეთილია, და ამდენად, იგი მუდამ გასათვალისწინებელი და ანგარიშგასაწევი ფენომენია — ერთის მხრივ, სიამაყის მომგვრელიცაა თავისი დიდი და გმირული ისტორიული ბატალიებით, ღირსსახსოვარი პიროვნებებით, უბადლო გმირებით და მეორეს მხრივ — ღალატის, გამცემლობის, შინააშლილობის სიმპტომებიც მრავლად მოიძიება განუნებულ ფოლიანტებში. პოეტ-



ში აღმაფრუნას, აღტაცებას იწვევს პირველი, ხოლო მეორე
გაკიცხვის, გაკილვის საგანი ხდება:

„უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა“,
„ახლა, როცა საქართველო მზრუნველებით გავსილია,
ნეტა კაცი შემახვედრა, მათქმევინა—ჰგავს ილიას“.

ან კიდევ:

„ბალუაშო, კლდეკარიდან
სისხლი გრიგალივით წივის,
ჩამონგრეულ ფიტარეთში
წინაპრების სული კივის,
წინაპრები... თორემ ვიცი,
მიწას დუხაბორიც უვლის,
ყელი გამოღადრული მაქვს,
ვპვდები, ვეღარ ვიკლავ წყურვილს“.

დ. თედორაძეს ისტორიული წარსული იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მასში დღევანდელობის გამოძახილი იკითხება, ის იდეა და ჩანაფიქრი ილანდება, რითაც შეიძლება ქვეყნის თანამედროვე მტკიცნეულ პრობლემებს ახსნა მოუძებნოს, წარსულის ზნეობრივი მაგალითები გამოიხმოს თანამედროვეობის გაუხეშებულ-გადაგვარებული სულის გადასარჩენად: „საბა-სულხანის ცრემლში გული უნდა ჩაკეპო, რომ იქართველო თვით ქართველმა აქ სანაქებოდ“. სწორედ ასეთი მოქმედებით შეიძლება იყო მშობელი ქვეყნის ერთგული, მისი მარადიული ჭირისუფალი და ტკივილების დამაყუჩებელი: „რარიგად აგხირებია ღვიძლი შვილები შენი, ნეტა-ვი ვიყო მალამო შენს მკერდზე დასაფენი“. ესეც ჩვეულებრივი,

ყოველდღიური ყოფაა დ. თელორაძისათვის. მისი პოეტიური სტიქია სწორედ ასეთი მსახურებით ჰქოვებს სიმშიდეს; მუხლჩაუხრელი, დაუღალავი მსახურება ჰგვრის შვებას და ისტორიულ წარსულშიც არ ინდობს სხვაგვარად მოფიქრალთ და მოქმედთ:

„ო, ტიტულები, დაღდასმული ღალატის სუნით,
სწრაფვანი პირველკაცობისკენ—ერის გარეშე,
ვის, ვის პატრონობს ძუკნა ძაღლის მყივანა სულით,
თუ ძმებს მიუგდებ უცხო ჯილაგს ქმა სათარეშოდ?
ხალხი ხალხია, არ იგუებს რჯულგაცვლილ ცვედანს,
ვიდრე საკუთარ თავს ეფარვი, ვინ მოგცემს ღროშას,
საქართველოში უწოდებდნენ სამშობლოს დედას,
უარმყოფელი შეთქვლეფია დღინგაცლილ დრო-უამს“.

მშობელი ქვეყნის დღევანდელი სახე, მისი ზნეობრივი პარამეტრებისათვის ზრუნვა პოეტის თავის განუყრელ მოვალეობად ესახება. მას გულს უკლავს ქვეყნის შეჭირვებული ყოფა, გადაგვარებული ქართველობა, მამულისათვის სამსახური კი არა, პიროვნული ინტერესები რომ წამოუწევიათ წინა პლანზე. პოეტი დაუნდობლად კიცხავს ასეთებს, ილაშქრებს მათ წინააღმდეგ, რომელთაც მშობელი ქვეყანა გამორჩენის ასპარეზად უქცევიათ და არა მარადიული მსხვერპლშეწირვის ფენომენად: „ამ სამოთხეში მეტ-ნაკლებად ყველა მარტვილობს, ძაღლში გაგცვლიან, ცხოვრება რომ გაიადვილონ“. პოეტის ასეთი მაქსიმალისტური შეგონება მანკიერ მოვლენათა საოცარი მომძლავრების გამოძახილია, იმ ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებისაკენ სწრაფვაა, ყველა ჭეშმარიტი პიროვნება რომ უნდა ესწრაფვოდეს. სა

ერთოდ, დ. თედორაძის პოეზიაში ამ განწყობილების მატარებელი ლექსები გამორჩეული დაუნდობლობით, პირუთვნელობით გვეუბნებიან სათქმელს (თავისთავად სიმართლეს). პოეტი ასეთ შემთხვევაში არ ერიდება არაფერს და სააშკარაოზე გამოაქვს დღევანდელობის სამარცხვინო პრინციპები, რომელთა ამოკვეთით ქვეყანა, ადამიანი ამოისუნთქებს, უფრო ლამაზი, ჰუმანური, ზნეკეთილი გახდება: „არა ერთი და არა ორი მწარედ თავხედობს, გულს უკორტნიან სატანა და ჭინკა ცდუნების, დროა, სიმართლეს ქართველებმა თვალში ჩავხედოთ, არც მიტევება, არც დანდობა უმაღლურების“, სათქმელის მკაცრი ტონი იმითაა ნაკარნახევი, რომ, პოეტის აზრით, უკეთურებაზე თვალის დახუჭვა ბოროტების ტოლფასია, ქვეყანა ათასი ჯურის დუშმანსა და მომხვდლურს შეიძლება გაუმკლავდეს, შინაგან სხეულში გაჩენილმა პრაგმატიზმის ნიშნით აღბეჭდილმა ჭიამ კი შეიძლება ნააღრევად დააჭკნოს, სამომავლო პერსპექტივა შეაფერხოს.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ ლექსზე „წყევლა“. ვფიქრობ, დ. თედორაძის პოეტური პოტენცია ამ ლექსში მაქსიმალურად გამოვლინდა. იგი იმდენად მძაფრი, ექსპრესიული ხასიათისაა, რომ ტექსტი პირველივე სტრიქონებიდან გზარავს და ეს განცდა თანდათან უფრო ძლიერდება, კიდევ უფრო სახიერი ხდება, იმდენად სახიერი, რომ ხელშესახებად გრძნობ ქვეყნის ორგულთა დასჯის მეტად მძაფრ და შემზარავ პოეტურ სცენას. ლექსი ერთი ამობახილია, შევონებაა, თითქოსდა ბიბილიური წყევლაა მისი რიტმი, შინაგანი დინამიკა ისე ვითარდება, რომ შეუძლებელია, ზაფრის გარეშე ჩაიკითხო ბოლომდე.

ლექსი საქართველოს ორგულთა წყევლაა, თანაც ისეთი მძაფრი და გამჭვირვალე მეტაფორებით ამოთქმული, რომ

ანათემის, ხატზე გადაცემის თუ კრულვის ელემენტები ხელშესახები ხდება. ლექსის დაჭიმული, ნერვული რიტმი ათვალსაჩინოვებს პოეტის განწყობილებას, ხოლო აზრობრივი მსარე ნათელყოფს მის შეურიგებლობას ქვეყნის ორგულთა მიმართ. „წყვლა“ პოეტის გოდებაა, ცრემლია, აკივლებული ტკივილია, მკაცრი შურისგებაა ორგულთა, გაუტანელთა მიმართ. ეს ლექსი ჯობს მღიანად მოვიტანოთ:

„ვინც საქართველოს უორგულებს,
ცაც გაუშავდეს,—
წყალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს,
ცოლიც გაუბახდეს,—
ქალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს,
სულიც დაუბრმავდეს,—
თვალიცა!
ვინც საქართველოს უორგულებს
ხორციც დაენაცროს,—
ძვალიცა!
მაღლი არ ეღირსოს,
უმაღლურმა
ყვავი და ყორანი კვებოს,
დედა გველს შეაჭამოს,
მამის სისხლით
ომა-წვერი შეიღებოს!
ჩაძალლდეს მისი ნაშიერიც
უწყლოდ,
უდაბნოს ხანძრითა,
გვარიც წაბილწული,
ჯიშც წაბილწული,
იხსენიებოდეს ღვარძლითა!
ვინც საქართველოს უორგულებს..“

„წყევლის“ მხატვრული სტრუქტურა რეფორმისა და ტექ-
სტიკეა ორიენტირებული. რეფორმი აქ ლექსის ხერხემალია,
მასზე პასუხის გაცემის ცდაა ტექსტი. რეფორმის ხშირი
განმეორება და პასუხების მონაცემებია ჰქონის იმ შთამბეჭ-
დავ სიმძაფრეს, მომნუსხველ ერთიანობას, რითაც ეს ლექ-
სი არა მარტო დ. თედორაძის პოეზიაშია საინტერესო და
ყურადღებამისაქცევი. ამ პოეტური ნაწარმოებით ნათელი
გახდა პოეტის მსოფლმხედველობის რამდენიმე ნიუანსი—ქვეყ-
ნის მოღალატე და ორგული ადამიანები არა მარტო წარ-
სულში იყვნენ, დღესაც მრავლად არიან და ისინი სწორედ
ასეთ მსჯავრს, წყრომასა და წყევლას იმსახურებენ.

„წინასწარმეტყველი და ისტორიკოსი ერთ ჭურში სხედა-
ნო“—წერდა პოლ ვალერი და ამით იმ აზრს გვიზიარებდა,
რომ წარსულის სრულყოფილი აღდგენა, მომავლის დეტა-
ლური განჭვრეტა ერთნაირად როული და შეუძლებელია. დ.
თედორაძისათვის წარსულის გამოხმობას (დეტალიზაციაზე
ზედმეტია ლაპარაკი) დღევანდელობის გაკეთილშობილების
ფუნქცია აკისრია. აქ ნამყო დრო და მისი საინტერესო დე-
ტალები თანამედროვეთათვის ზნეობრივი გმირის ფუნქციას
ასრულებენ. ამ ადამიანურ ღირებულებათა გათვალისწინებით
ხორციელდება ჭვრეტა მომავლისა, რომელიც პოეტის შეგ-
ნებაში სინთეზური დრო—დღევანდელი და წარსული ყოფი-
ერების საუკეთესო გააზრებათა ერთობლიობა უნდა იყოს:
„დარღმა გამხრა და სისხლიც გახევდა, ნეტა ამ დღეებს
მკვდარი ვენახე, ოღონდ, მამულო, ყრმა რომ გხედავდი, ისე
მყოლოდი და შემენახე“. პოეტის გულწრფელობა აქაც თვალ-
შისაცემია. მამულის სიყვარულის გაუაზრებელ, პირველყო-

ფილი ბუნებით აღქმას ათასსატკივარგაჩენილი, არეულო, შეჭირვებული ქვეყნის ხატი ჩაენაცვლა, რამაც პოეტის უძირებელი რი დრამატული, განწყობილება კი სევდამოძალებული გახადა.

დ. თედორაძეს ჩვენი დღევანდელობის თითქმის არცერთი მანკიერი მხარე არ რჩება შეუმჩნეველი, ყოველ მათგანზე მიგვაქცევინებს ყურადღებას და გვაგრძნობინებს, რომ დროთა ცვლამ ქართველებშიც მრავლად გააჩინა ფარისეველნი, მლიქვნელნი, გულზვიადნი, ამპარტავანნი, ყაჩალნი, მპარავნი, ფლიდნი, გამცემნი, დროის დინებას აყოლილი ყვარყვარენი... „დროს ხვრეპენ კუთხურ კუნკულში, ერთიმეორის მდურვაში და მიღის წუთისოფელი თავზე წისქვილის ბრუნვაში“. ეს სტრიქონები გაფრთხილებაა, შეძახილია, გამოფიზლებისკენ მოწოდებაა იმათვის, ვინც წუთისოფლის დღებს ასეთნაირად მიაბორძიკებს. დ. თედორაძის ეს მკაცრი გაფრთხილებანი ისევ მშობელი ქვეყნის, ქართველობის გადასარჩენადაა გამიზნული, თორემ პოეტის შინაგანი ბუნებისათვის უცხოა სიძულვილი, დაპთირისპირება, მისი პოეტური სტიქია ადამიანთმოყვარეობის უძირითადესი განზომილებიდან იღებს სათავეს, მისი ხასიათი ჰუმანიზმის საყოველთაო პრინციპებითაა ნაძერწი, მტერიც უყვარს, ქვეყნის ორგულიც, გაუტანელიც, ფლიდიც, მაგრამ მშობელი ქვეყანა უპირველესად და ამიტომ ყველას სიყვარულს უქადაგებს. „სიძულვილით კი არა, სიყვარულით ბრმა ვარ“—წერს ერთ ლექსში და ეს აზრი სრულად მიესადაგება მის ხასიათს, განწყობილებას, რომელიც ხშირად სიყვარულის უკიდურესი აზრით მქადაგებელიცაა: „საქართველოში? საქარ-

თველოში მგელსაც ვენდობი, დე, მოძუნბულდნენ მშიერთ
მგლები“; ან კიდევ: „მე ისიც მყოფნის, რაც მიმყება ოხვრად
და დარღად, ვინაც მღუპავდა, გადავყევი იმ კაცის შველას“.
ასეთი აზრისა და განწყობილების მატარებელი სტრიქო-
ნების მოძებნა მკითხველს დ. თედორაძის პოეზიაში არ გაუ-
ჭირდება. თითქმის ყოველ ლექსში შეფარვით თუ აშკარად
ფიგურირებს—კაცომოყვარების საოცარი ზიბლი, ლექსის
ხელმეორედ წაკითხვის ან სულაც დამახსოვრებისკენ რომ
გიბიძებს.

ერთი რუსი კრიტიკოსი ესტონელ პოეტთა შემოქმედების
ანალიზის დროს ასეთ აზრს ანვითარებდა:—საზღვრის პი-
რას მცხოვრებ პოეტთა შემოქმედებაში ძალუმად ფეთქავს
ქვეყნის სიყვარული, მისი მგრძნობელობის მაჯისცემაც აქ
უკეთესად ისინჯებაო.

დ. თედორაძის პოეზიაში ასახვა ჰქოვა გაყოფილი სოფ-
ლების, იქით-აქეთა მხარეს დარჩენილი ქართველების ტრა-
გიკულმა ბედმა, იმ შეგრძნებამ, „ლობის“ გაღმა-გამოღმა დარ-
ჩენილ ღვიძლ ნათესავებს შორის რომ მეფობდა. ორად გახლე-
ჩილი გულის ფეთქვა დრამატულად ხმიანდება დ. თედო-
რაძის პოეზიაში: „ხანდახან საქმე არ წაუვა კაცს ხოლმე
წაღმა, ტირილი იყო გამოღმა და ტიროდნენ გაღმაც“. გაღ-
მა-გამოღმა ისტორიული ბედუკუღმართობით დაცილებული
ქართველები ცხოვრობენ. პოეტი ისე მძაფრად განიცდის
ყოველივე ამას, რომ მკითხველსაც თავისი ტკივილის მოზი-
არედ აქცევს. ამ ლექსის ტრაგიკული განწყობილება ასე
გრძელდება: „მზემ სახეკეთილ დიაცივით ზღვაში ჩაყვინთა...
გამოასვენეს და გამოყვა გული გაღმიდან, აქ კი მდუმარე

ხაკისფერი ღობე და ღობე... სასაფლაოზე მოხუცები დაგანახანი და ბჭობენ“ ასეთი მტკიცნეული განცდით გვიხატავს პოეტი ამ კონკრეტულ, მაგრამ ზოგად და შთამბეჭდავ სურათს—ჩვენი ქვეყნის ბუდუქულმართობის კიდევ ერთ მკაფიო დასტურს.

საზღვრის იქით ’დარჩენილ ქართველთა უმრავლესობამ შეინარჩუნა ეროვნული სული, ბეობა, არ გადაგვარდა, რაც პოეტის აღტაცების საგანი ხდება. დ. თედორაძის აზრით, ეს გმირობის ტოლფასია. ასევე იქცეოდნენ ძველი წინაპრებიც—„ვაზი სულში, ჯვარი ჩუქურთმექში“ რომ გადამალეს. „ნუ გათათრდებიო“—ეს შეძახილი პოეტისათვის სადღე-ისო პრობლემაა, რადგან იმ ხაკისფერი ღობის იქით უამრავი ქართველი სახლობს—მართალია, წინაღობა ფიზიკურად დღეისათვის აღარ არსებობს, მაგრამ პოეტი აშკარად ხედავს სულიერ წინააღმდეგობას, სულიერი ტრავმებით გაჩენილ მერყევ ხასიათებს. ამიტომაა, რომ მოუწოდებს იმერხეველ ქართველებს: „გადავარჩინოთ ენა ქართული და ქართველობა გადავარჩინოთ“. პოეტში ამ მხარისათვის თვალის შევლებაც კი მშობლიურის განცდას აღძრავს: „ჰეგავს ეს ხეობა აჭარი-სას ტყუპისცალივით“. დ. თედორაძეს სჯერა, რომ წინაპართა მაგალითით ქართველობა მაინც გადაწონის ყველასა და ყველაფერს, და ეს იქნება გაკვირვებისა და განციფრების თანამდევი სასწაული:

„არ აღრეულხარ,
არ გაცვლილხარ
მონღოლ-თათარში,
მიკვირს, სულ მიკვირს,
როგორ გაძელ,
როგორ გადარჩი“.

წარსულის ხატი, მისი ზნეობრივი თუ ადამიანური პარა-
მეტრები დაიმედების, ოპტიმიზმის გრძნობას ბადებს, აშშ წა-
რუვალი პოსტულატების ერთგულებით, აწმყოში წარსულის
საუკეთესო იდეალთა გათავისებით ცდილობს პოეტი დაგ-
ვიხატოს სამომავლო პერსპექტივა, გვაგრძნობინოს ის გა-
მორჩეული და გამოკვეთილი მრავალფეროვნება, ხვალინდე-
ლი დღის ასეთ გააზრებას რომ უნდა მოჰყვეს.

დ. თედორაძის პოეზიაში ლაღი, ალალმართალი გან-
წყობილებით დამუხტული სატრიიალო ლირიკის მშვენიერი
ნიმუშებიც იქცევს ყურადღებას. პოეტი არც აქ ცდილობს
ზედმეტად თავბრუდამსხვევი, მედიტაციური საწყისით დატ-
ვირთოს ეს ლექსები. პირიქით, მათში ჩვეულებრივი ინტიმუ-
რი განწყობა ისეთი უშუალო ალალ-მართალი, თანაც და-
მაჯერებელი ფერებითაა გადმოცემული, რომ წაკითხვისთა-
ნავე გნიბლავს. ეს სიმარტივე კი, თავისი ბუნებრივობის,
ერთადერთობის წყალობით ისე ხშირად მომნუსხველია, გან-
საკუთრებით საინტერესო ხდება და ანგარიშგასაწევიც:
„ჩამოღამებულ სულში ინათა და როგორც ზღვაში ჩაძირულ
ხომალდს, შენ სუნთქვას ვეძებ ახლა თინათინ;“ ან კიდევ:
„სიზმრებში აგოგმანდები, ცალს ჩამორჩენილ გნოლივით, სხვა
რაღა გითხრა, მწყურიხარ წყურვილით არგაგონილით“. ასე-
თი გამორჩეული სიწრფელის გამომხატველი განწყობილებით
დახატული სიყვარული დამაჯერებლობის იშვიათი ეფექტი-
თაც გამოირჩევა.

დ. თედორაძის ლირიული განწყობილების ბუნებრივი გა-
მოვლინებაა ლექსი „სველი ზღარბები“. მასში იმდენად ორ-
განულად ენაცვლება ბოპემური, სასიყვარულო, სევდანარევი

განწყობილება ურთმანეთს, რომ არავითარი ხელოვნურობა არ იგრძნობა. უფრო ზუსტად, ვერ წარმოგიდგენია ამ განწყობილებათა გარეშე ეს ლექსი, ეს პოეტის დამსახურებაა. ხოლო ისეთი განწყობილებით, იდეით, ფიქრით დამუხტო ლექსი და იმდაგვარად, რომ სხვასაც გადასდო, უკვე გამარჯვებაცაა.

„რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მოვდივარ შენსკენ,
საყვარელო,
სველი ზღარბივით
ამავსე ცრემლით,
უძილობით,
საყვედურებით.“

დავით თედორაძის მაღალი პოეტული აზროვნების დასტურად რამდენიმე მეტაფორაც გავიხსენოთ: „ქალაქი მაქვს, ქალაქი მაქვს, ზღვა მიბმული საყელოზე“; „ჩამოდნა, ჩამოილია თოვლი ქმარმოკლულ ქალივით“; „შინ ვბრუნდები, როგორც გლეხი ქარდაკრული ყანიდან...“ „მენატრება მამაჩემი, გზაც მოკლდება მამისაკენ“; „აჭარისწყალი—ხეობა ვიწრო, მეც ამ ხეობის რძით მიდგას სული, მთა მანდილივით ნისლს გადაიძროს და იწმინდება მთასავით გული“; „გავრბივარ დასიცხულ კამეჩივით ზღვისკენ, მივაბლავლებ ზღვის პირს...“ „მინდოდა, მაგრამ ვერც რით ვუშველე შემოდგომის ტყეს, სისხლჩაქცეულ ფოთლების წუხილს“ და სხვ. ეს მხატვრუ-

ლი სახეებიც ნათელყოფენ ზემოთნახსენებ პრინციპთა ერ-
თგულებას, იმას, რომ პოეტი შედარებას შედარებისათვის კი ითვის
არა, სათქმელის უკეთ გამოხატვისათვის მიმართავს...

დავით თედორაძეს ერთი, სიყვარულის მისეული, ვფიქ-
რობ, მეტად საინტერესო გააზრება აქვს:

„მე ვინც მიყვარს, არ ბერდება,
არ აცვდება კურთხეული დიბა,
საქართველოს მტერთან მტრულად აენთება,
საქართველოს მტერს თვალებით თიბავს“.

ასეთი სიყვარულით შემოსაზღვრული ცხოვრობს და მოღ-
ვაწეობს იგი.

ყვარყვარებან ნაცარქეპიამდე და პირიძით...

ამ კომედიის შესახებ ბევრი დაიწერა, მრავალი საინტერესო მოსაზრება გაჩნდა, მაგრამ მისი მასშტაბური საოქმელი კვლავ გვაიძულებს ფიქრს, დაუინებით მოითხოვს ზოგიერთი საკითხის დაზუსტებასა და დაკონკრეტებას.

მიჩნეულია, რომ „ყვარყვარე თუთაბერში“ საინტერესოდ არის გამოყენებული ნაცარქექიას ნიღაბი, მაგრამ რამდენად ემყარება მწერალი ხალხურ ქარგას, რამდენად ენათესავება და სცილდება ხასიათი ფოლკლორულ ძირებს; ყვარყვარე თუთაბერი, როგორც ტიპი, მისი წარმოშობის ისტორიული პირობები და კანონზომიერებანი—აი, პრობლემათა ის რეალი, რაზეც „ყვარყვარე თუთაბერი“ ისევ და ისევ მიგვაქცევინებს ყურადღებას.

უპირველეს ყოვლისა, ყვარყვარე თუთაბერი კომედიოგრაფის მიერ მოაზრებულია, როგორც ნაცარქექია კაცი—შემთხვევათა წყალობით, გარკვეულ დროსა და ვითარებაში განდიდება, „გმირად“ ქცევა რომ შეუძლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი თავისთავში მაინც არქეტიპული ხასიათის მატარებელია და სწორედ ვითარების ხელახლა შეცვლისა და გარკვეული დროის (ამ დროს პირობითად „ნაცარქექიას დრო“ დავარქვათ) გასვლის შემდეგ ისევ ნაცარქექიად იქცევა. თუ კომედიის დასაწყისში ყვარყვარე თუთაბერს მეტსახელად ნაცარქექიას ვეძახით, ფინალში იგი ნამდვილ სახელად და-

უმკვიდრდება, რადგან მისი შენილბული ნაცარქექიული ბუნება და გამოაშკარავდება და ყველასათვის ნათელი გახდება. კომეტი დის ერთ-ერთი ძირითადი პათოსია, ვაჟკაცის სახელის მატარებელ ყვარყვარე თუთაბერს, რევოლუციის მღვრიე დღეებში საკუთარ განდიდებაზე გადაგებულ თვითმარქვია კაცს, ფარდა ახალოს, ნამდვილი ბუნება გამოუჩინოს, ჭეშმარიტი განაჩენი გამოუტანოს. ყვარყვარესათვის ყველაზე დიდი სასჯელი კი უნილბოდ, „ნამდვილი სახით, ნაცარქექის სახელით“ არსებობაა.

ყვარყვარეს ნამდვილი ბუნება უცხო არ არის მისი მეზობლების—კაკუტასა და ქუჩარასათვის. ისინი ამ გაიძვერა და მოხერხებულ ადამიანს ხშირად ნაცარქექიას ეძახიან, რისთვისაც, რასაკირველია, ყვარყვარეს რისხვას იმსახურებენ. აქ ნათლად გამოსჭვივის სოფლის დამოკიდებულება ყვარყვარესადმი—ჩანს, რომ უქნარა, ზარმაც ადამიანს სოფელმა შეარქვა ეს სახელი და მეწისქვილეს შეკედლებული ყვარყვარე უკვე სოფელს გამოქცეული თუ სოფლის მიერ მოკვეთილი ნაცარქექიაა. საერთოდ, კომედიაში მოქმედება ვითარდება ნაცარქექიადან ნაცარქექიამდე და ამ სქემით იგი ზღაპარს უახლოვდება. ხალხური ნაცარქექიას სიუჟეტიც ხომ ასეთია, უქნარობისა და სიზარმაცის გამო ძმა-რძალი ნაცარქექიას შინ არ აჩერებენ, იგი ტოვებს მშობლიურ სახლს, იწყებს ხეტიალს, ამარცხებს დევებს, მათ ქონებას შინაურებს გადასცემს, ხოლო თვითონ ისევ სანუკვარ ნაცრის ქექვას უბრუნდება.

ყვარყვარესა და ნაცარქექიას განსაცდელს შინაურები უყ-

რიან საფუძველს. შინაურები იმის გამო, რომ უქნართა
რჩენა ეძნელებათ, შინ არ აჩერებენ, გუდა-ნაბადს აუკრავენ,
სახლიდან აძევებენ... „ყვარყვარე თუთაბერში“ ფოლკლორუ-
ლი წარმომავლობისაა გმირის მოხეტიალე ხასიათი,
ახლობლებისაგან უარყოფა და აქედან მომდინარე თავგადა-
სავლები. ესაა, ასე ვთქვათ, ჩარჩოთა თანხვდენა, თორემ
ყველა ზემოთ მინიშნებული მოტივი, მიუხედავად იმისა, რომ
მათი მდინარების ქვეშ ფოლკლორული ძირები იღანდება,
კომედიაში ზღაპრისაგან განსხვავებულ რეგისტრშია აყვანი-
ლი და გადაწყვეტილი. მაგალითად, ყვარყვარე თუთაბერის
მშობლიური გრძნობისაგან განძარცვული ხასიათი, დიდებისა-
კენ მიმავალ გზაზე ყველასა და ყველაფრის ხიდად გამოყე-
ნება, თუნდაც ეს ხიდი, ახლობელთა გვამებით იქნეს აგებული,
კარგად ჩანს იმ წყველასა და ანათემაში, კაკუტასა და
ქუჩარას მშობელ მამასთან რომ აბარებს:

„დავიღუპე კაცი, ჩემს საფლავს პატრონი ვერც კი მონახავს და ცოდვით გიბარებთ, მამაჩემს წყვიწყვის ასე უთხარით: იმისთანა ვაჟკაც შვილს ნაცარქექია რომ შეატქი-თქვა, ცოლი არ ათხოვიე და კეტით გააგდე საშოვარში, ეს მოეწია-თქვა... ასე გადაეცით, სახრჩობელაზე რომ გაყავდათ, იქიდან შემოგითვალა, ძალლი ჩაგაკვდა მაგ სულში-თქვა“. როგორც ვხედავთ, აქ ზღაპრის მოტივი იმდენადაა სახეცვლილი, რომ ყვარყვარეს სიტყვებში ახლობლებისადმი აშკარა სიძულვილი იკითხება. აქ ამ ორ სახეს შორის არ-სებული მკვეთრი განსხვავებაც თვალსაჩინოვდება. ნაცარქექია თავისი მოხერხებულობით მკითხველის პატივისცემას



იმსახურებს, რადგან ზღაპრისათვის მთავარი—დილიშვილი კური ძალის მქონე და სუსტი, მაგრამ ხერხიანი და აღლოვანი არსების დაპირისპირებაა. მკითხველიც ფიზიკურად სუსტისა და მოხერხებულს თანაუგრძნობს, რამეთუ იგი ბოროტების საწყის—დევებს ამარცხებს და სიკეთეს ამგვიდრებს ქვეყანაზე, ყვარყვარე თუთაბერის პიროვნული თვისებანი და მისწრაფებანი კი იმდენად აღმაშფოთებელი და შემაზრზენია, რომ მკითხველს სიმპათიის ნატამალიც არ რჩება.

დრამატურგი ყვარყვარე თუთაბერს კომედიის დასაწყის-შივე შეგვახვედრებს. იგი სოფლის წისქვილში მოკალათებულა და ნაცარს ქექავს. ეს გარეგნული მინიშნებაა იმაზე, რომ ყვარყვარე ზღაპრული ნაცარქექიას მსგავს სახეს წარმოადგენს და ამიტომაც ჰქვია ასეთი მეტსახელი, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. წისქვილი ისეთი გარემოა, სადაც ფიქრი და საქმე ერთმანეთს ხელს არ უშლიან, სადაც საქმე მრავლადაა, მაგრამ ოცნებისათვისაც საკმაო დრო რჩება. ასეთ გარემოში ყვარყვარე ოცნებებში ეფლობა და თავისი უსაქმურობით აშკარად უპირისპირდება პრაქტიკულ საზრუნავში ჩაფლულ მეწისქვილეს, ნაცრის ქექვას თავმიცემული, ღიღინსაც კი უშლის მას—„ფიქრს ნუ მაწყვეტინებო“.

ცნობილი აზრია, რომ ყვარყვარე თუთაბერს ამგვარი საქმიანობა ფოლკლორულ ნაცარქექიასთან აახლოვებს, მაგრამ ამას გარდა აქ საერთოდ ზღაპრის (კონკრეტულად კი „ნაცარქექიას“) ერთი მეტად საინტერესო ხერხის გამოყენებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ზღაპარსა და მითოსს ახასიათებთ გმირის უეცარი, მოულოდნელი აღზევება—იგი მით უფრო გამოკვეთილად შესამჩნევი და შთამბეჭდავი იქნება,

რაც უფრო მეტად ცარიელი ნიაღაგიდან, თითქმის უპერა სპექტივო რეალობიდან (მოცემულ შემთხვევაში კი ნაცრის ქექვიდან) დაიწყება, პოლიკარპე კაკაბაძეც ზღაპრის ამ ხერხს იყენებს, რათა ყვარყვარე თუთაბერი არარაობიდან „გმირად“ აქციოს და ეს აქტი, გარკვეული კომიკური ფუნქციაც რომ აკისრია, ნათლად დასანახი გახადოს მკითხველისათვის. ყვარყვარე თუთაბერი დიდებისაკენ მიმსწრაფი ფილისტერია, მისი ოცნება წინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს, რადგან აქ, ოცნებაში დაბრკოლება, სწორედ იმიტომ, რომ იგი ზელოვნური და გამოგონილია, ყველაზე აღვილად დაიძლევა და ამით ყვარყვარეს დამსახურებაც გამოჩნდება, „დიდ მოიჯარად-რეობაზე“ მეოცნებე პატარა ზიდის გაკეთებას თავს ანებებს, რადგან „პატარა საქმე ჭირივით ეზარება“. ყვარყვარეს ამ-გვარ ბუნებას ყველაზე ნათლად ნაცარში მოქარგული გეგმა ააშკარავებს.

„მეწისქვილე—ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?

ყვარყვარე—გეგმაა, ზომ გესმის, ბებერო, დაზედე აქ რა ამბავია... ეს არის რკინიგზა: აი, აქ იწყება, ასე მიღის... ა...ასე უხვევს და მიადგება ამ მაღალ მთას, ახლა აქედან გზა სად წავა, შენ ძველო, აბა, თუ მიხვდები.

მეწ.—რა ვიცი.

ყვ.—აქ გვირაბია საჭირო.

მეწ.—გვირაბი რა საჭიროა?

ყვ.—მაშ, ზომ არ გადაახტება მატარებელი ამოღენა მთას?

მეწ.—მერე, შე კაცო, მთას რად უხვედრებ წინ, ველზე გაუშვი, შენი ნება არაა!



ყვ.—მოდი და ასეთ კაცს ელაპარაკე! გესმის, რა არ გემა? არ გესმის.

მეწ.—რა ვიცი.

ყვ.—მთავრობას ამ მთის გარშემო გაჰყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს. აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარვუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში ამოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო“.

ყვარყვარე ამ გეგმით (რომელიც, მართალია, არაა მოკლებული გარკვეულ ლოგიკას, მაგრამ მოსალოდნელი შედეგიანობისა და შესაძლებლობის გათვალისწინების რეალურ ფონზე იგი უტრირებული ფიქრია) იძლევა წინადადებას, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმის შესაძლებლობა მას არ აინტერესებს. ეს მისი სახელის უკვდავსაყოფად გაღებული მსხვერპლი უნდა იქნეს, მის სურვილთა შესრულების გზაზე ყველა და ყველაფერი საშუალებას წარმოადგენს და გეგმა, სასარგებლოს ნაცვლად, ავანტიურისტულიც რომ იყოს, მაინც უნდა განხორციელდეს, რათა ყვარყვარეს დიდკაცობას დაუდოს საძირკველი. სწორედ ამიტომ უხვედრებს იგი რკინიგზას წინ მთას და აქვე გვთავაზობს საკითხის გადაწყვეტის საინტერესო პერსპექტივას, რადგან ჩანაფიქრი ასეთია: გვირაბით გზა შემოკლდება, მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი პრაქტიკულად ამის გაკეთება, როგორი იქნება ამ წინადადების საბოლოო შედეგი? ეს ნაცარში მოქარგული გეგმის ავტორს არ აინტერესებს, რადგან, უბრალოდ რომ ვთქვათ, ესაა სინამდვილე, სინამდვილის ობიექტური განსჯით წარმოშობილი კითხვები, ყვარყვარე კი ყოველთვის გაურბის

სინამდვილეს, მის წინაშე კროება და საკუთარ მჭერის გარეშე გავს. მას მხოლოდ ოცნების სფეროში, სადაც არავინ და არაფერია ხელისშემსლელი გამოგონილ წინააღმდეგობათა გარდა, შეუძლია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა. ცოცხალი სინამდვილე და პრაქტიკული საქმიანობა კი აფრთხობს, მის ილუზიურ ბუნებას გასაქანს არ აძლევს. ყვარყვარე პატარა ხიდის მშენებლობისათვის თავის მინებებას ასეთ გამართლებას უძებნის: „ეკი გავაკეთებდი, მარა, დამეზარა ეს ოხერი, ტვინი წაიღო იმისმა ანგარიშებმა, თავი მომაძულა!!!!“.

ნაცარქექიას მსგავსად ყვარყვარე თუთაბერიც „დიდს“ ეჭი-
დება, „დიდის დათრგუნვა-განადგურებაში თუ მოფიქრებაში
სურს გამოიკვეთოს მისი ალლო, მიხვედრილობა და ამის
მისაღწევად არავითარ ავანტიურაზე არ იხევს უკან. ყვარ-
ყვარეს აღნიშნული გეგმა ბევრი რამით უახლოვდება ნაცარ-
ქექიას მიერ დევების დასამორჩილებლად მოგონილ ო-
ნებს—ქვის მაგიერ ყველის გაწურვა, რიყეზე მტვრის დაყე-
ნება და მისთანანი. კომედიაში ნათლად ჩანს ოინების რემი-
ნისცენციის კვალიც. ყვარყვარე თავის დიდ შესაძლებლობათა
გამო ამბობს: „ჩვენს სოფელში ერთხელ ხელით რომ ხე
მოვთხარე, არ გახსოვთ?“ „გზაში რომ დიდი ლოდი მოვხეთ-
ქე და მთიდან გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი
თვალით ნახეთ!“ ეს იგივეა, ნაცარქექიას ცისთვის რომ უკი-
დია ხელი. ორივე შემთხვევაში თვალსაჩინოდაა წინ წამო-
წეული სხვათა დაშინებით მე-ს გადარჩენის, ანუ ნამდვილი
ბუნების დაფარვისა და შენილბვის სურვილი. იგი სწორედ
ამიტომ ტრაბახობს და ფანტაზიორობს, სინამდვილეში კი
პირიქით ხდება: უფრო იაშკარავებს თავს. არსებითად ყვარ-

ყვარე თვითონ სწორედ ასე ფიქრობს და თუ მის ფიქრის რეალური უამი არ დაუდგა, უმაქნის ფიქრისკაცობით გალევს წუთისოფელს. ნაცარქექიაც იმიტომ იგონებს ათას-გვარ ონს, რომ გადარჩეს. რეალურად იგი ფიზიკურად სუსტია და თავის სისუსტეს მოხერხებულობით აწონასწორებს.

ყვარყვარეცა და ნაცარქექიაც უპირატეს სურვილებს საკუთარ ცრუშესაძლებლობებზე ბაქიაობით, ტრაბახით აღისრულებენ. ასე ახერხებს ზღაპრის გმირი დევების ადგილსამყოფელზე დამკვიდრებას. ესაა, ასე ვთქვათ, ავანტიურიზმში გადაზრდილი, რეალურ საფუძველს მოკლებული თამაში, რომლითაც, დროის სიძაბუნის გამო, ყველაფერი ადვილად მისაღწევი ხდება. ნაცარქექიასა და ყვარყვარეს ტრაბახითა და ბაქიაობით სხვათა მონუსხვა, შემდეგ დამორჩილებაც ძალუძო. მეწისქვილის ხიზანი თუთაბერი წისქვილში თავს მასპინძელივით გრძნობს, პატრონს გაგდებით ემუქრება და ამას ჯერჯერობით არ აკეთებს იმიტომ, რომ ვითომ ეცოდება, ზამთარში სად უნდა წავიდეს მოხუცი, წელმტკივანი მეწისქვილე, ზაფხულში კი ფართოდ განტოტვილი მუხის ჩრდილს პირდება. ყვარყვარე მდგომარეობის შეცნობის უტყუარი ალლოთი გრძნობს, რომ მომავალში ეს ასე მოხდება. აქ ორი—ფოლკლორული და ლიტერატურული ხასიათის ტოლფასი ნიშნები წამოტივტივდება—ორივეს ამოძრავებს სხვათა დაჯაბვის დიდი სურვილი და ხშირადაც ახერხებენ ამას, თუმცა ზღაპარში ნაცარქექიას ყოველივე საკუთარი ფიზიკური სისუსტის, უძლურების შესანიღბად უფრო ჭირდება ეს, ვიდრე დევების დასამორჩილებლად. მისი ხასიათი-



სათვის უცხოა სიძულვილი, სხვათა დამორჩილებით, უფრო უძვი
თელვითა და ფეხქვეშ გაგებით ტკბობა. იგი გულუბრყველობით
და ადამიანთმოყვარული გმირია—შინიდან გაგდებულმა წყენა
არ ჩაიდო გულში და ბოლოს დევების სახლ-კარიც ძმებს
გადასცა. ყვარყვარეს ნებას სიძულვილი წარმართავს. მას
ადამიანი საერთოდ არ უყვარს, აქედან გამომდინარე, არც
პატივს სცემს მას, მისი ეთიკური მაქსიმალიზმიც ამით არის
განპირობებული—ადამიანებს, საზოგადოებას დაუახლოვდეს
მხოლოდ მაშინ, თუ პირად გამორჩენას გამოელის, ხოლო
თუ ამას შეუძლებლად მიიჩნევს, შორს დაიჭიროს მათგან
თავი და გადარჩენაზე იფიქროს: „ცხოვრების წესი მე ასე
გამიგია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ერყევა, მოთხარე,
მაგრამ, თუ მაგრადაა—გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქი-
ლოს.“

ყვარყვარე და ნაცარქექია მოხერხებული, ალლოიანი პი-
როვნების ნიღბის მატარებელი პერსონაჟებია, მაგრამ მათ
იმის ნიჭიც საკმაოდ მოეძევებათ, რომ თავიანთი ამგვარობა
საფუძვლიანად მიჩქმალონ და მიაჩუმათონ. „ყველაზე დიდი
მოხერხებულობა საკუთარი მოხერხებულობის დაფარვაა“
(ფრანსუა დე ლაროშფუკო).

როგორც აღვნიშნეთ, ყვარყვარესა და ნაცარქექიას მდგო-
მარეობისათვის ალლოს აღება და აქედან გამომდინარე—სა-
კუთარი სურვილისამებრ მისი გამოყენება ძალუბთ. ამის გა-
მო მათი ხასიათი რაღაცნაირი შინაგანი ზიგზაგურობით ხასი-
ათდება, საღაც ძირითადი აქცენტი პიროვნულ კეთილ-
დღეობაზეა გადატანილი. კომედიაში ფოლკლორის კვალი
იმ მხრივაც შესამჩნევია, რომ ყვარყვარე თუთაბერის ხასია-

თის ნაცარქექიადან მომდინარე ნიშნები ხშირად ისეთსავეა მოქმედებაში ვლინდება, როგორიც ზღაპრისათვისაა დამახასიათებელი.

ყვარყვარე მეწისქვილეს ემუქრება — წისქვილს სულ რიარიად ვაქცევო: „ასე გავადენ ბდლვირს აქაურობას (სცემს ჯოხს ნაცარში)“.

ყვარყვარე თუთაბერი პირველსავე მოქმედებაში მეტად არაჩვეულებრივ სიტუაციაში წარმოგვიდგება. სოფლის წისქვილი, სადაც იგია მოკალათებული, რუსეთ-თურქეთის ფრონტის ხაზთან ახლოს მდებარეობს, ყოველ წუთს მტრის შემოსვლაა მოსალოდნელი. ამბავი პირველი მსოფლიო ომპერიალისტური ომის დროს ხდება. არმიაში რევოლუციური განწყობილება შლის ფრთებს, სასწორზეა შეგდებული არა მარტო ქვეყნის ბედი, საზოგადოებრივი წყობილების ყოფნა-არყოფნის საკითხიც. სასაცილო და ლიმილისმომგვრელია ყვარყვარე თუთაბერის ასეთ დროს წისქვილში მოკალათება, არხეინად რომ ქექავს ნაცარს და მტრის მოახლოებით შეშინებულ მეწისქვილეს უტიფარი სიმედგრით ეუბნება: „ჩერჩეტობ! რას ამბობ?! ტყუილა გული არ დამიშინო, თორემ ამ წისქვილს სულ რია-რიად წავიღებ“. ამ სიტყვებში ფარული შიში იგრძნობა. ყვარყვარეს მართლაც ეშინია, მაგრამ საკუთარ „დიდ“ შესაძლებლობებს (წისქვილის რია-რიად წალება რომ შეუძლია) მათ წინააღმდეგ კი არ მიმართავს, არამედ უკვე დაბრიყვებული და დაშინებული მეწისქვილის წინააღმდეგ. მოტანილი ციტატა კარგად ააშკარავებს ყვარყვარეს მშიშარა, ლაჩრულ ბუნებასა და იმას, რომ იგი ტრაბახით ცდილობს ამგვარი ბუნების შენიღბვას, დაფარვას, ყვარყვა-

რე თუთაბერმა, ისევე, როგორც ნაცარქექიამ, უნდა იტრაბაზოს, იმცნებოს, ითვალთმაქცოს, უნდა ეცადოს, საჩინო არ გახვდოს თავისი „მე“.

ყვარყვარე თუთაბერი გმირად შეირაცხება იქ, სადაც რე-ალური ძალა არაა, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გმირის როლს თამაშობს ისეთ დროსა და სიტუაციაში, როცა რეა-ლური ძალის მქონენი ყოყმანის, ლოდინის პოზიციას არჩევენ. სწორედ ამ დროს აღმოჩნდება ყვარყვარე ისტორიის ავანსცენაზე და გმირის როლს ითამაშებს მანამ, სანამ ფარ-დის იქით დაწყებული ბრძოლა ნათელი მომავლისათვის ავან-სცენასაც არ მოედება, გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

დევებსაც ზომ ჰყონიათ, რომ ნაცარქექიასთან შედარებით სუსტები აღმოჩნდნენ. ეს იმიტომ, რომ ნაცარქექიამ შესაშუ-რი ხერხიანობით, ალლოიანობით დააეჭვა ისინი თავიანთ შესაძლებლობებში და შემდეგ ეს ეჭვი რწმენად ექცათ: „ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს ჩავსვით ცარიელი ქვევრი და ეს მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასო“.

„ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ თითო ხე და ეს კი წკეპლას ეძახისო“.

ეს უკვე რწმუნებაა იმისა, რომ ნაცარქექია მათზე ძლიე-რია, დევები იმიტომ დამარცხდნენ, რომ მათ ყველაფერი სერიოზულად აღიქვეს, ნაცარქექიას ყველა ხერხსა და ოინს სერიოზული თვალით შეხედეს, თავიანთი სიტლანქის გამო მოჩენებითი ნამდვილად ჩათვალეს და ამისათვის დაისაჯნენ კიდეც. ზღაპრის ფინალში მელა დევს წელზე თოკით გა-მოიბამს და სახლის დასაბრუნებლად წამოიყვანს, მაგრამ ნაცარქექია აქაც ხერხით გავა ფონს: „ჩემი თორმეტი დევი

გემართა და ბედ მარტო ერთი მოგყავსო“—ეტყვის შელას. ამბავი იმით მთავრდება, რომ ისედაც რწმენაშერყეული დე-
ვი მელას დაფლეთს და ცხრა მთას იქით გადაიკარგება.
ზღაპრის ამ ეპიზოდში ცდაა, რომ დევს საკუთარი თავისა
და შესაძლებლობათა რწმენა დაუბრუნდეს, მაგრამ ეს არ
ხერხდება, რადგან დევებს მელასებრი სიცბიერე, ნამდვილი
ვითარების შეცნობის უნარი აკლიათ. ეს კარგად იცის ნა-
ცარქექიამ და მელას დევისავე ხელით ამარცხებს. ამდენად,
უცხოდ არ უნდა მოგვეჩვენოს აზრი, რომ ნაცარქექიას სა-
კუთარი თავის სრულად გამოსავლენად დევი სჭირდება. სწო-
რედ მასთან ჭიდილში, შერკინებაში, ორი განსხვავებული
საწყისის დაპირისპირებაში უნდა გამოიკვეთოს ერთის უპი-
რატესობა. ესაა დრო, როცა საკუთარ შესაძლებლობათა
ურწმუნოებით შებოჭილი დევები გასაქანს უთმობენ ნაცარ-
ქექიას და გმირად აქცევენ მას. პირობითად რომ ვთქვათ,
ესაა „ნაცარქექიას დრო“ და მასზე საჭიროდ მიგვაჩნია ყუ-
რადლების გამახვილება, რადგან კომედიაში საინტერესოდაა
გააზრებული ამგვარი დროის ანარეკლი.

პიესაში მოქმედების განვითარების ქრონოლოგიური ჩარ-
ჩო მოიცავს პერიოდს—პირველი მსოფლიო ომის უკანასკნე-
ლი ეტაპიდან (1916-1917 წ.წ.) ოქტომბრის გადატრიალების
შემდეგ რამდენიმე დღის ჩათვლით. დრამატურგის ჩანაფიქ-
რის მიხედვით, ესაა „ნაცარქექიული დრო“, ანუ ისეთი დრო,
ვითარება და გარემოება, როცა ყვარყვარესნაირებმა შეიძლება
გმირის როლი მოირგონ, შეასრულონ—ესაა მღვრიეწყლის-
მაგვარი, საერთო გაურკვევლობის უამი. ესაა დრო, კომედი-
ის ერთი პერსონაჟის სიტყვები რომ გავიხსენოთ, როცა „ბაღ-



ლინჯოც კი სხვაგან არ იჭყლეტს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე“. „მღვრიე წყალში“ ყველა რაღაც ადგილის მოპოვებაზე ფიქრობს, რაღაც ნამდვილს ჭეშმარიტი სახელი ჯერ კიდევ არა აქვს დამკვიდრებული და მოჩვენებითს საშუალება ეძლევა, ითამაშოს მისი როლი.

სწრაფი ცვლილებების, ყოველდღიური მიქცევ-მოქცევის, საერთო გაურკვევლობის, ფორიაქის გამო, ადამიანთა ერთ ნაწილში გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის შიში ისადგურებს და ამის გადასარჩენად ტანსაცმელივით ირგებენ ახალ-ახალ აზრებს, შეხედულებებს. როგორც ნაცარ-ქექიას სჭირდება დევები, ყვარყვარესაც თავის „შესაძლებლობათა“ სრულად წარმოჩენისათვის ესაჭიროება ამგვარი სიტუაცია. ასეთნაირად არის გააზრებული დრამატურგის მიერ „ნაცარქექიას დრო“, როცა შემთხვევით ვიგინდარას; მართალია დროებით, მაგრამ მაინც საშუალება ეძლევა წამოტივტივდეს და ქვეყნის ბედი განაგოს.

„ყვარყვარე თუთაბერში“ ნაცარქექიას ხალხური ნიღბის საინტერესო ტრანსფორმაციაა მაზრის კომისარი—ტიტე ნატუტარი. პოლიკარბე კაკაბაძემ მეფისა თუ დროებითი მთავრობის მოხელეთაგან მხოლოდ იგი გამოარჩია და უბოძა სახელ-გვარი, რაც ისევ და ისევ ზეპირსიტყვიერების პერსონაჟთან ნათესაობაზე მიგვანიშნებს. ტიტე—საბას მიხედვით საპატიოა, ხოლო „ტუტი—ესე არს ნაცრის წვენი კუმპა-სათვს, გინა გვარჯილის მიწის წვენი საგვარჯილედ და მისთანანი“ (ტუტა კი საბასთან ხართუთას ნიშნავს, რამაც შესაძლოა თუთაბერის, როგორც გვარის, ნატუტართან მსგავ-სებაც გვაფიქრებინოს).

ტიტე ნატუტარს ერთგვარი ცოდნა გააჩნია, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობის არავითარი უნარი არ შესწევს, ესაა ცაში გამოკიდებული შეხედულებანი, უმაქნის, უსარგებლო თეორიებზე გამოდევნებულს, დიდ შესაძლებლობებზე მოტრაბახეს, ვითარების შეფასების უნარიც დაუკარგავს.: მაზრას რომ ბოლშევიკები დაეპატრონენ, მან გაქცევით უშველა თავს, ტიტე ნატუტარი ხვდება საკუთარი ცოდნისა და იმდროინდელი სწავლების ძირითად ნაკლს—თეორიული შეხედულებანი და სინამდვილე ხშირად რომ სცილდებიან ერთმანეთს: „ეპ, სიტყვა, ხალხი, ჩემთვის წმინდათაწმინდა იყო, ახლა კი, ვფიქრობ, როგორც პოეტების დახატული ქალი არ იპოვება ბუნებაში, ისე არ არსებობს ხალხი იმ სახით, როგორც ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები გვასწავლიდნენ“, ეს იმიტომ, რომ მას თავისი საქმიანობა ქადაგებით, ცრუთეორიათა, შეხედულებათა გადმოიფრქვევით შემოუფარგლავს და საკადრისი შედეგიც მიუღია.

ნატუტარი ყვარყვარესავით მშიშარა ადამიანია. მისი აზრები ისეთივე უსაფუძვლო და უსარგებლოა, როგორც თუთაბერის მიერ ნაცარში მოქარგული გეგმები. სწორედ აქ თვალსაჩინოვდება მათი ზასიათების სიახლოვე:

„ყვარყვარე—თუ ეს ჭკუა არ გაეგქცა თავიდან, შენისთანა თეორეტიკოსი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. ისე მგონია, რაც ცეცხლის პირად ნაცარში გეგმები მომიქექია, ვითომ ესაა, ახლა მომყავს ცხოვრებაში.

ტიტე—ო, რა საამურია ზამთარში შუაცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...

ყვარყვარე—შენც გიყვარს?

ტიტე—მიყვარს“.

ასე იკვეთება კომედიაში ორი უმაქნისი, მკვეხარა და მშიშარა ადამიანის ნათესაობა. თუ ყვარყვარეს სიტყვა მაინც ხორკლიანია, გაურანდავი, გაუწაფავი გონების ნაყოფია, ნატუტარი ამ მხრივ საკმაოდაა დაოსტატებული. იგი ყვარყვარეს აქებს, უუბნება, რომ მასში სახელმწიფოს დამთრგუნველ-დამმორჩილებელი სარდლის უდრევ ძალას, შეუვალ ნებას ხედავს, თვითონ კი პოლიტიკოსისა და თეორეტიკოსის როლით კმაყოფილდება. ყვარყვარეს მოსწონს მაზრის კომისრის გაშალაშინებული (თუმცა კონკრეტულ სიტუაციასთან შეუთავსებელი) აზრები, რადგან მასში საკუთარი ოცნების აღსრულების შესაძლებლობას ხედავს.

ტიტე ნატუტარის სწორი შეხედულებითა და აზრით, ისტორიის შემოქმედია არა ხალხი, არამედ ცალკეული პიროვნებანი, რომელთაც ძალუბო მიმართულება უჩვენონ და თავის ნებაზე ატარონ ეს „ათასთავიანი დევი“, „მაგალითად, ჩვენ წარმოვიდგინოთ თავშეყრილი ათი ათასი კაცი. ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და თუ ჩვენ მათ ღონეს შევაერთებთ, ვღებულობთ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევაერთებთ, ეს იქნება ვირის ჭკუაზე ნაკლები და, ამიტომაც, ასე ხდება,—გამოდის საუკეთესო ვინმე და თავის ერთი ჭკუით სულ ყველას იმორჩილებს“.

ტიტე ნატუტარმა არ იცის, თუ რა ხდება ქვეყანაში, რა გზით მიექანება იგი, ამიტომ უნიადაგო აზრებს „უხამებს“ არსებულ სინამდვილეს. მას არა აქვს ადამიანის შე-

საძლებლობათა ამოკითხვის უნარი, ყვარცვარეში ახალი დოკუმენტის ნაპოლეონს, დიდ სარდალს ხედავს, სჯერა, რომ იგი ქვეყანას დააჩიქებს, შემდეგ სხვა ქვეყნების დაპყრობასაც მოიწადინებს, მაგრამ, მისი რჩევით, ეს არ უნდა მოხდეს: „შესდექ, ნუ გავიმეორებთ ნაპოლეონ დიდის შეცდომას, სჯობია დავისვენოთ და გავიმაგროთ ფესვები, დიახ, ყველაფერია ფესვები, ძირი და საფუძველი“. აქედან უკვე ნათელია, თუ რამდენად აბსულულად, სინამდვილესთან მიუკარებლად, სასაცილოდ, ლაყბობად გაისმის მაზრის კომისრის ეს სიტყვები საერთოდ და, მითუმეტეს იმ კაცის მისამართით, ვისაც ნაცრის ქექვის მეტი არაფერი შეუძლია.

ტიტე ნატუტარი ოცნებობს იდეალური სახელმწიფოს შექმნაზე, მისი კონსტიტუციის დაწერას თვალდახუჭული აპირებს, მაგრამ აქვე არ ავიტყდება იმ დამსახურების გამოკვეთაც, ყვარცვარესა და მას ამგვარი სახელმწიფოს შენებისათვის რომ ექნებათ გაღებული. უტოპიური, ილუზიური ქვეყანა ამგვარი, ხოლო მის შემოქმედთა ღვაწლი ასეთნაირად დაფასებული უნდა იყოს. „როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება—აცხადებს ნატუტარი—ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიდებთ. ყველა ჯვარს ეცმება ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოჰკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზეციურეთ“.

ტიტე ნატუტარის სახე ნაცარქექიას ნიღბის ზოგად გააზრებას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ზოგადობისა, ფოლკლორული გმირის ხასიათის კონკრეტული ნიშნები მაინც

არაა უარყოფილი. ნატუტარი ზღაპრის გმირის მონაფესავენი ნაცარქექიასავით მშიშარა, მკვეხარა და უმაქნისია ბრძოლა კარპე კაკაბაძის შემოქმედებაში ამა თუ იმ სახის, ტიპის ღრმა ორიგინალურობის, მაღალმხატვრულობის მიზეზი ისევ მათს ხალხურ წარმომავლობაში, ხალხის მეხსიერებაში გამობრძმედილ, საუკუნეების მანძილზე შექმნილ და შემუშავებულ სახეთა დიდი მწერლური ოსტატობით დამუშავებაში უნდა ვეძებოთ.

პ. კაკაბაძეს ხალხური სიბრძნის, ფოლკლორის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა გეგმაზომიერად გამოეყენებინა ისინი, თავის შემოქმედებით ჭურაში გადაეხარშა და მათ საფუძველზე შეექმნა ახალი, ტიპიურობის მაღალი ნიშნით აღბეჭდილი, ცოცხალი, მეტყველი, შთაბეჭდავი ხასიათები. პ. კაკაბაძის კომედიები დახუნძლულია ხალხური სიბრძნით, თქმებით, ანდაზებით, აფორიზმებით და პერსონაჟთა მეტყველების ასეთი მრავალფეროვნება შესაძლებელს ხდის ნამდვილი ხალხური კოლორიტის შექმნას. ღრამატურგს ზღაპრის მასალა მექანიკურად კი არ გადმოჰქონდა მწერლობაში, არამედ ამუშავებდა მათ, პქმნიდა ახალს, უსაღაგებდა სიტუაციას და სხვა. გავიჩსენოთ ზოგიერთი მათგანი „ყვარყვარე თუთაბერიდან“.

„შენ პირდაპირ ნაწილად დასარიგებელი კაცი ხარ“, „ჩემო ბოლო გაშლილო გვრიტო“, „მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი თუ არ მოვკალი, ავად ვხდები“, „მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა“, „უეხის ერთი დაკვრით ბურთი ლელოზე ვის გაუტანია“, „სვინდისი გობქვეშ კი არ შემი-

ნახავს“, „მე შენთვის ოქროს ლოგინს ვამზადებდი და შენ უფსკრულში მაწვენ“ და სხვა.

ასეთია მოკლედ ზღაპრის ანარეკლი „ყვარყვარე თუთაბერ-ში“, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში პერსონაჟთა ხალხურ ქარგასთან ნათესაობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ხასიათის ფოლკლორული ძირები და არა ის, რომ ესა თუ ის გმირი ზღაპრის სფეროს არ სცილდებოდეს, ნიღბის ასლს წარმოადგენდეს. პირიქით, აქ ხასიათის ღრმად ორიგინალური გააზრება და ხორცშესხმა—კომედიაში ზო-მიერების, მომჭირნეობის დიდი გრძნობით შემოტანილმა ნა-ცარქექიას თვისებებმა შესაძლებელი გახადა ხასიათის ახლებური გააზრება, რის გამოც ზღაპრისაგან შესამჩნევად დაცილებული, თავისებურად გააზრებული ყვარყვარე თუ-თაბერი მივიღეთ.

ყვარყვარეს ოცნებაში დიდკაცობისადმი სწრაფვას ერთა-დერთ მოწინააღმდეგებ მეწისქვილე ზვდება. ესაა ზარმაცი, უმაქნისი ადამიანისა და სინამდვილის რეალური თვალით შემფასებლის დაპირისპირება, სადაც მეოცნებე უფრო მე-ტად აქტიურობს და აყალიბებს თავის ბუნებას. მეწისქვილე მთაში გვირაბის გაყვანის გეგმას განუხორციელებლად მიიჩ-ნევს ისეთი ადამიანისაგან, როგორიც ყვარყვარეა და ამის გამო არაორაზროვნად ამბობს: „მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა“, „ნაცარში გვარიანად ქარგავ“ და სხვა. სინამდვი-ლესთან შეხვედრისას ყვარყვარეს ჩანაფიქრი იმსხვრევა, მაგ-რამ აქვე მუღავნდება სხვა თვისებაც—მოჩვენებითის ნამ-

დეილად გასაღების, ზედაპირული ცოდნის წყალობით სხვა-
თა დარწმუნების კარგი უნარი, რის გამოც მეწარმეს და-
ბალაუნებურად, იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს მას.

ნაცარში მოქარგული მეორე გეგმა ასეთია:

„მეწისქვილე—ეს რა მოგიქარგავს?!“

ყვარყვარე—(დუმილის შემდეგ) სასახლე, გალავანი,
ბაღები—ვერ ხედავ?! აი, აქ შეხედე, აქ სულ კიბეებია.

მეწისქვილე—სად?

ყვარყვარე—ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შემობრძან-
დება შენი ქალიშვილი, აქ, ამ განიერ დარბაზში, გვრიტივით
მოგოგმანდება და მერე აქ ნესვივით გაგორდება.

მეწისქვილე—სად, ამ ნაცარში?

ყვარყვარე—ნაცარი კი არა, ეს ჩემი სასახლეა“.

თუთაბერი აქ თავის სტიქიაშია. ოცნებობს ჯერჯერობით
განუხორციელებელზე, მიუღწეველზე. ერთნაირად აწუხებს
უცოლობა და დიდკაცობაზე ფიქრი. ამიტომ უკავშირებს
ერთმანეთს მეწისქვილის ქალიშვილსა და თავის სასახლეს.
ყვარყვარეს შინაგანი ბუნება სიმაღლეებისაკენ სწრაფვის გა-
რეშე წარმოუდგენელია, თუ ეს რეალურად ვერ ხერხდება,
ოცნებით კმაყოფილდება, ხოლო როცა საამისო სიტუაციას
იგდებს ხელთ, პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგება. თა-
ვის სასახლეს ნაცარში იმიტომ ქარგავს, რომ ჯერჯერობით
მისი აშენება შეუძლებლად მიაჩნია, ხოლო სხვა დროს,
როცა ხელსაყრელ მომენტს იგდებს ხელთ, არამარტო სა-
სახლის აგებაზე, საკუთარი თავის გამოქანდაკებაზეც იზრუ-
ნებს.

ნაცარში მოქარგული გეგმები ყვარყვარეს ილუზიის ნაფო-

ფია, მათ არაფერი აქვთ სინამდვილესთან საერთო, არც მთის გარშემო გაჰყავს ვინმეს რკინიგზა და არც ყვარყვარე-სათვის დაუვალებიათ უკეთესი გეგმის შედგენა, მაგრამ თა-ვისთავად ყვარყვარეს გეგმა მართლაც სწორია, გონიერამახვი-ლურია.

როგორ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, ყვარყვარე თუთაბერს გააჩნია გარკვეული აპრიორული ცოდნა, რასაც იგი მეორე მხარის მონუსხვისა და გადაბირებისათვის იყე-ნებს... როგორია ეს ცოდნა? აბსოლუტურად ზედაპირული, ყურმოკრული, გაგონილი ამბებით შეკოწიწებული, მაგრამ მაინც „ახალი დროის“ თავისებურად აღქმის მაჩვენებელი, დროისათვის ფეხის აწყობის დამადასტურებელიც კი. მის გამახვილებულ სმენას შეუძლია საქვეყნო ამბებიდან მხოლოდ ახალს მიაყუროს და თავისებურად გაიაზროს იგი. მის-თვის ცოდნა მხოლოდ სხვებზე მაღლა დადგომის, დაჩაგ-ვრის, უპირველესი მდგომარეობის მოპოვებისა და გაბატო-ნების საშუალებაა. ნაცარში მოქარგული მეორე გეგმით გაპ-ვირვებულ მეწისქვილესა და ყვარყვარეს შორის ასეთი დია-ლოგი იმართება:

„ყვარყვარე—ხომ ვერ გავაგებიე ამ კაცს, რა არის გეგ-მა?! იცი, რა არის გეგმა?

მეწისქვილე—მე, რაც გლეხკაცს შეეფერება, ვიცი.

ყვარყვარე—იცი, რა არის კაპიტალისტი?

მეწისქვილე—რა უნდა იყოს, ვთქვათ...

ყვარყვარე—კაპიტალისტი ფულია. იცი, რა არის სოცია-ლისტი?

მეწისქვილე—პო...

ყვარყვარე—ბებერო, შენ აწი ხომ მაღე დაგელევა
ცოცხლე. აბა, რა,—წელსაც ვერ აბრუნებ.

მეწისქვილე—ეს ასეა, რას იზამ.

ყვარყვარე—სოციალისტი ამბობს, რომ საიქიოს ვერ ნახავო.

მეწისქვილე—რატომ ვერ ვნახავ?

ყვარყვარე—რატომ! შენ იცი, ღმერთი რომ არ არის, ა?“

ამ საუბრის შემდეგ მეწისქვილემ ყვარყვარეს ანგარიში უნდა გაუწიოს, მისი ოცნებებიც გაითვალისწინოს, რადგან ცოლნით (მიუხედავად იმისა, რომ იგი ყურმოკრული და ზე-დაპირულია) მეორე მხარემ აჯობა, დაჩაგრა. შეიქმნა რეა-ლურობასთან მიახლოებული მოჩვენებითობის შთაბეჭდილება, რისი მიზანიც მეწისქვილის გაღმობირება, პრაქტიკული თვა-ლის უარყოფა და ყვარყვარესათვის ანგარიშის გაწევაა. ასეთ დროს კი თუთაბერი პირველი კაცის როლშია, ლალად გრძნობს თავს და მართალს ტყუილად, ტყუილს მართლად ასაღებს.

ყვარყვარესათვის დროის შეგრძნების ალლო საკუთარი მიზნების განხორციელების ზღვართან მთავრდება. მას არ შეუძლია საერთო მდინარების საბოლოო შედეგს ჩაწვდეს, ამოიცნოს, ამოხსნას იგი. დღევანდელი შედეგით საზღვრავს ყველაფერს და სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ რას მოი-ტანს ხვალინდელი—როგორ შეაფასებს მის სვავივით გაუ-მაძღარ ბუნებას. შინაგან საყრდენგამოცლილ ხასიათში ერ-თი თვისებაა გამოკვეთილი—როგორმე მოერგოს ყოველივე ახალს, ყოველ ახალ დღეს და პირადი კეთილდღეობისათ-ვის გამოიყენოს. ყვარყვარე იძლევა ყველა დროის ერთ ზუსტ შეფასებას: „დიდი მოიჯარადრე შევიქნები, დიდისაგან დიდი.

კი ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში¹⁰ ამ სიტყვების პატრონმა იცის, რომ დიდისაგან დიდი მოიჯარადორე რომ შეიქნეს, დიდკაცობასთან უნდა დაიჭიროს საქმე, საკუ-თარი მდგომარეობის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად ქრთამი ქერივით უნდა აძლიოს მათ, რადგან ასეთია ცხოვ-რების გარემო, მისი ზოგადი წესები და კანონზომიერებანი.

ყვარყვარე თუთაბერის ეთიკური კრედი პარადოქსებით, ჩვეულებრივი, ორდინალური ნორმებიდან გადახვევითა და დაპირისპირებითაა შექმნილი. ის, რაც ნორმალურია ყველა ადამიანისათვის, ყვარყვარესათვის ანომალიაა და პირიქით. ძველებური ვაჟკაცის სახელის მატარებელ თვითმარქვიას სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია. მასში ზიზღისა და გაუ-გებრობას იწვევს ადამიანთა მიერ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული დამოკიდებულება ამ გრძნობისადმი, ის, რომ სირცხვილნაჭამი კაცი ხალხთან შეხვედრას გაურბის და თავდადრეკილი ინანიებს საქციელს.

თუთაბერი ასეთი ეთიკურსარჩულგამოცლილი, პარადოქ-სული ფორმულით მოქმედებს: „ეს ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება... სირცხვილს რომ ჭამ კაცი, თუ ვარგხარ, მაშინ თავი უფრო მაღლა უნდა ასწიო“.¹¹ სირცხვილის გრძნობასთან ამგვარი დამოკიდებულება ყვარყვარეს თვალთახედვიდან გასაგებია, რადგან ის, რაც ეთიკის აუცილებელი ნორმის ფარგლებში თავსდება და ყვე-ლა სულდგმულისათვის სისხლხორცულია, ყვარყვარეს გა-საქანს არ აძლევს, ამიტომ მისი დამსხვრევით, საწინააღ-

მდევო გააზრებით თავის სურვილთა შესრულების საინტენსიური
რესო წინაპირობას ქმნის.

ყვარყვარე თუთაბერს ორი გრძნობა აქვს გამძაფრებული:
ჯერ ერთი, ქალისადმი დიდ ეროტიულ მგრძნობელობას იჩენს
და მეორე—სიკვდილისადმი ავადმყოფური შიშითაა შეპ-
ყრობილი. პ. კაკაბაძე უხვად იყენებს გროტესკულ ფერებს
პერსონაჟის ამგვარ დამოკიდებულებათა წარმოსაჩენად. გან-
დიდებულ ყვარყვარეს „დამსახურების“ გამო ქვის ლოდში
გამოქანდაკებას პირდებიან, მაგრამ მაინც აწუხებს საკუთა-
რი ზღვარდებული სიცოცხლე და ბოლოს ასეთ ფილოსოფი-
ურ დასკვნამდე მიდის: „სულ ტყუილ-ბზუილა არის ეს ცხოვ-
რება, ბოლო ყველასათვის დაკარგულია“.

ყვარყვარე თუთაბერისა და კომედიის პერსონაჟთა ერთი
ნაწილის პირად შეხედულებათა სისტემა ვითარებისადმი უტი-
ლიტარული დამოკიდებულებითაა განპირობებული, კონკრე-
ტული სიტუაცია მხოლოდ გამოსავლიანობის თვალსაზრი-
სით აინტერესებთ და არა მისი მოგვარების, შეცნობის, გაუ-
კეთესების კეთილშობილური მიზნით, ამდენად, მათ მიერ
სინამდვილის შემეცნების ხარისხი მოვლენათა სიღრმისაკენ
კი არ მიემართება, არამედ მათი თვალთახედვა თითქოს
ზედაპირზე ტივტივებს, რადგან ამა თუ იმ სიტუაციის სრულ-
ყოფილად ამოხსნის უნარი მათ არ შესწევთ, ამიტომ, ეს
შეხედულებანი სწრაფად იცვლება ვითარებისადმი მომხმა-
რებლური დამოკიდებულების გამო. ყვარყვარე თუთაბერი
სულ „იმას შუა და იმას შუა“ ქანაობს და სწორედ ასეთი
მდგომარეობაა მისი ნამდვილი სახის მაჩვენებელი.

შეხედულებებისა და თვისებების ზიგზაგურობა, სწორადული მეტამორფოზა მისი ხასიათის სისხლხორცეული ნაწილია. ღრამატურგს ისტორიის მკეთრი ცვლილებებით ნიშანდებული პერიოდი აქვს არჩეული და ამის გამო პოზიციის, მრწამსის, შეხედულებების ქამელეონისებურ სახეცვალებადობას დიდი აღვილი ეთმობა კომედიაში. პოლიკარპე კაკაბაძე რეალისტი მწერლის უტყუარი აღღოთი გვისურათებს არმიის შტაბის საიდუმლო განყოფილებასა და ღროებითი მთავრობის ამიერკავკასიის რწმუნებულის კაბინეტში მოკალათებულ ხელმძღვანელთა „ახალი სიოს“ დაქროლით გამოწვეულ განცვითობას, დაბნეულობას, აზრების სწრაფ მეტამორფოზას, არამყარობასა და ეფემერულობას, რომელთა მიზანი ისევ და ისევ საკუთარი თავისა და პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებაა: „წელზე ფეხს ვიდგამ—აცხადებს ამიერკავკასიის ღროებითი მთავრობის რწმუნებული—და სახელმწიფო საჭეს მაინც ხელიდან არ ვუშვებ. რატომ?! შენ გგონია, ქვეყანას თავსა ვწირავ? არა, როდესაც წარღვნა მოდის და სოროები წყლით ივსება, ჭკვიანი ვირთხა მაშინ მაღალ მწვერვალებს ეძებს“...

როგორც ვხედავთ, ღრო, არსებული ვითარება, ხელს უწყობს და განაპირობებს პერსონაჟთა ისედაც არამყარი შეხედულებების, მრწამსის გამოაშკარავებას. ყვარყვარეც ამგვარი ღროის კარნახით მოქმედებს. მისი სურვილები, ოცნებანი იმდენად ხორციელდება და ამ განხორციელების უამს იმდენად მუღავნდება პერსონაჟის ხასიათი, რამდენადაც ღრო იძლევა ამის საშუალებას. თუთაბერის მეოცნებე, მშიშარა

და დიდების მოყვარული ბუნება ტიპიურობამდე მაღლებაზე
ყვარყვარეს მსგავსნი რევოლუციების თუ გადატრიადებაზე
გზაგასაყარსა და მსგავს სიტუაციებში მრავლად მოიპო-
ვებიან და ამიტომ ისინი ტიპიური არიან ტიპიურ გარემოში.
ყვარყვარე თუთაბერის ტიპიურობა გულისხმობს მარადიუ-
ლი ნიშნების (მეოცნებე, განდიდების მოყვარული, ზარმაცი)
ინდივიდუალურ (ცინიზმი, სარკასტული სიცილი) არეავლას
და მისი ტიპიურობის ეს განზოგადებული და ამავე დროს,
ერთობ ინდივიდუალური სახე ნათელს ხდის იმ საზოგა-
დოებრივი მოვლენის, ვითარების დედაარსს, ქვეყანაში ყვარ-
ყვარეს „გმირად“ ქცევის დროს რომ იყო გამეფებული.

ს ა რ ჩ ე ბ ი

„უფროს არს ცოდვა...“	5
„ცისფერი მთების“ სტილისტიკა	19
ოთხი მოთხრობა.....	38
ჩამავალი მზის პარადიგმა	57
მაკეტი, სახლი და ბინადარი	71
მთრთოლვარე სულის ანარეკლი	78
სინათლის წრე	94
პარალელები	109
„საფლავიდან ამოვფრინდე ლექსად“	123
გველის სამართალი	133
ჰორიზონტს იქით	144
დავით მჭედლურის ლექსები	166
მკილის არსებობის ფილოსოფია	177
„უშბა შუბს ჰეგავს ცაში ნასროლს...“	196
თვითმფრინავის ბილეთი	202
სისხლის ყივილი	217
ყვარყვარედან ნაცარქექიამდე და პირიქით.....	232

მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი ლევან ჩიხლაძე
კორექტორი ლია შერბელაშვილი

გადაეცა წარმოებას 10.01.2000,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.01.2000,
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 16, ზომა 70X108 1/32,
ტირაჟი 500, შეკვეთა №450

ფასი სახელმისამართი

ქუთაისის გ. ტაბიძის სახ. ს/ს „სტამბა“
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33.

F22·954
2